ზღაპრები

*

იგავ-არაკები

*

ფანტასტიკური მოთხრობა

„ნაკადული"
თბილისი
1996

84 Гр7 — 4
ბ 306

აკაკი გელოვანის წინამდებარე კრებულში შეტანილი ზღაპრებისა და იგავ-არაკების დიდი უმრავლესობა მეორე გამოცემაა. კრებულს დაემატა რამდენიმე ახალი ზღაპარი და იგავ-არაკი, დაემატა კიდევ ერთი ვრცელი ფანტასტიკური მოთხრობა — „ბრონტოზავრის ნაკვალევზე". მოთხრობა მკითხველს წარმოსახვით მოატარებს გარდასულ ეპოქას, გააცნობს გადაშენებული ცხოველების ზნესა და ცხოვრების პირობებს, მათს უჩვეულო შეხვედრებს მოთხრობის მხიარულ გმირებთან.

© „ნაკადული", 1996

ავტორისაგან

გამოჩენილი იტალიელი მწერალი ალბერტო მორავია ამბობდა: „ნუ ჩამკეტავთ ერთ ჩარჩოში. მე ვარ არა რომანისტი, დრამატურგი, მოთხრობების ავტორი, არამედ საერთოდ მთხრობელი. ამიტომ ნუ გიკვირთ, რომ ზღაპრებსაც ვწერ“.

ადამიანი ისწრაფის რაღაც უსვეულო, შორეული, საოცარი სამყაროსაკენ. საამისოდ ფანტაზიას ყველაზე მეტი გასაქანი ზღაპრებში აქვს. ზღაპარი უნდა შეიცავდეს საოცარსაც, ყოველდღიურ სინამდვილესაც, ნათელ იდეასაც, — უნდა ქადაგებდეს სიკეთეს, სამართლიანობას, სიმამაცეს, სამშობლოს ერთგულებას.

არ ვიცი, რამდენად მივაღწიე ჩემს ზღაპრებში ამ საპატიო მიზანს, რომ გულისხმიერმა ნორჩმა მკითხველმა გაიგოს ის, რისი თქმაც მსურდა. მაგრამ ვწერდი სიკეთის რწმენით, თავისუფალი ხელოვნების სიყვარულით. ჩემი ზღაპრების გმირებიც ებრძვიან ბოროტ ძალებს — ურჩხულებს, დევებს, ბოროტ მეფეებს, ამარცხებენ და ბედნიერება მოაქვთ ადამიანებისათვის. ჩვენც ერთგული ერჩებით ზღაპრის კლასიკური ტრადიციისა, ხალხურობისა, ამიტომ შეიძლება ზოგი მოტივი ან ეპიზოდი სხვა ცნობილი ზღაპრების მსგავსიც გეჩვენოთ (ავსული ბოთლში, ობოლი საცილე, უმცროსი ძმა და დევები, საგანთა ქცევა ოქროდ და სხვ.), მაგრამ ეს შეგნებულად და საკუ-

ოარი კუთხით გამოყენებული მასალაა და არა გადმოღება. საერთოდ, მსგავსება ზღაპართა საყოველთაო თანამგზავრია. ზოგი მოტივი სვანური ფოლკლორიდანაა (მაგალითად, „ცის ჩამოქცევა“ და სხვა. ჩემი ჩაწერილი და დამუშავებული ზღაპარი „ჰაიტ“ ქს. სიხარულიძემ შეიტანა თაეის „ხალხურ სიტყვიერებაში“). კრებულში შესული ზღაპრებისა და იგავების მეტი ნაწილი გამოქვეყნებულია ჟურნალ-გაზეთებსა და კრებულებში.

მოხარული ვარ, რომ „ნაკადულმა“ ისინი ერთ წიგნად აკინძა.


ᲬᲚᲘᲡᲠᲔᲨᲘ

ფუტკრის ზღაპარი

შორს, სვანეთის მთებში, ლურჯ ცაცთან ახლოს, ორ ხევსა და ორ მთას შუა, მწვანე მაღლობზე ერთი პატარა სამოსახლოა. ყიბენაკს ეძახიან, რაც სვანურად ზედა ველს ნიშნავს. რუკას ნუ შლით, ამ სოფელს ვერც ერთ რუკაზე ვერ ნახავთ, ისე პატარა და უცნობია. სამაგიეროდ, ჩემთვის ერთ დროს ყიბენაკი იყო უდიდესი და ულამაზესი სამოსახლო, სადაც იწყებოდა ქვეყნიერება, რადგანაც აქ დავიბადე და აქვე გავატარე ჩემი ბავშვობა. ტყე-ღრეში დავრბოდი, კორტოხებზე მარწყვსა და მაყვალს ვკრეფდი, იელისა და ქრისტესისხლა ყვავილებს ვკონავდი, მთა და ბარი ჩემი იყო. ვიცოდი, რომ სადღაც იყო შგენაშის მთა, მაგრამ არ ვიცოდი, რომ არსებობს ამერიკა. ძალიან მინდოდა მაღალ მწვერვალზე ასვლა, რადგან პაპამ მითხრა იქიდან ზღვა ჩანსო, მაგრამ მამას არ მივყავდი. პაპას არ შეეძლო, დედას არ ეცალა, მე კი გზა არ ვიცოდი, არც ფრთები გამაჩნდა. ბოლოს ისეც არწივი მოფრინდა საშველად, ფასკუნჯის ტოლა არწივი. ასეთი არწივები ახლა აღარ არიან. ყანაში გადაბულ გოჭები რომ გამოვრეკე, უცებ მზეს ღრუბელი გადაეფარა. ავიხედე და რა ვნახე?! — ვეება არწივი მიახლოვდებოდა, მაღლიდან ქარმა დამიბერა. მეგონა, სურვილს ამისრულებდა, მაგრამ, ეტყობა, მეტისმეტად დიდი ვეჩვენე და ჩემ მაგიერ გოჭი წაიყვანა. მაღლა გოჭი ჭყიოდა, დაბლა მე...

რაც იყო, იყო... ახლა სულ სხვა რამ მინდა გიამბოთ.

აი, ამ პატარა ყიბენაკში ჩვენ ოცამდე სკა გვქონდა. იყო ერთი ფუსფუსი, ჯაფა და ბზუილი. ყვავილები საფუტკრის

გარშემოც უხვად იყო, მაგრამ გამრჯე ფუტკრები ამას როდი სჯერდებოდნენ, სულ შორს მიფრინავდნენ, ალბათ ეგონათ, ცხრა მთის მიღმიდან მოტანილი თაფლი უფრო ტკბილი იქნებაო. მართლაც, ქვეყნად არსად არ იცოდა ისეთი ტკბილი თაფლი, როგორიც ყიბენაკში: სქელი, ოქროსფერი, ფიქებშივე ჩაშაქრებული! დღეს იქ აღარც საფუტკრეა და აღარც ადამიანები ცხოვრობენ. სახლი, რომელშიაც მე დავიბადე, დიდი ხანია დაინგრა, იმ ადგილას ახლა დიდრონი მარად მწვანე ურთხელა იზრდება. ურთხელა უკვდავი ხეა და არ გახმება, მაგრამ საფუტკრისა კი რა მოგახსენოთ. შემიძლია მხოლოდ ის ადგილი გიჩვენოთ, სადაც სკები იდგა და მამა ფუტკარს გულმოდგინედ უვლიდა. მე მოვლას თაფლი მერჩია...

ერთხელ საფუტკრესთან გაშლილ მოლზე ვისხედით მე და პაპა ვიჩი, ეს ბრძენი და კეთილი ბერიკაცი, რომელმაც ქვეყნის ზღაპრები იცოდა. მე მარწყვს ვაცვამდი კრიალოსანივით წალამის წვრილ ღეროებზე, პაპა კი ზღაპრებს მიყვებოდა, რომ შორს არ მერბინა და ყანაში ისევ გოჭები არ შეპარულიყვნენ.

როცა ცხრათავიანი დევისა და ასთავიანი გველეშაპის ზღაპრები დასრულა, მე კი მარწყვის ცხრა აცმა ბუერას ფართო ფოთოლზე დავაწყვე, უცებ უჩვეულოდ ძლიერი ბზუილ-ზუზუნი მოისმა. გავიხედეთ და ერთი სკიდან ისარივით გამოფრინდა მკვირცხლი ფუტკარი, გამოჰყვა მეორე, მეასე... შეეუჩდნენ, დატრიალდნენ და ყურთასმენა წაიღეს.

— პირველი ნაყარია, — სიამოვნებით ჩაილაპარაკა პაპამ, ხელში თოხი აიღო და ზედ დანის ყუით დააკაკუნა.

— პაპა, რატომ აკაკუნებ ასე? — ვკითხე გაკვირვებულმა.

— რომ ნაყარი ტყეში არ წავიდეს.

— ტყეში რა უნდა?

— იქ იყო ძველად ფუტკრის სახლი.

— ტყეში?

— ულრან ტყეში, ხის ფუღუროში.

— მერე, თაფლს რანაირად იღებდნენ?

— ვინ იღებდა თაფლს? სად ჰყავდა პატრონი? ფუტკარი მაშინ ველური იყო.

— ველურის?

— ქო, ველური, გარეული... მაცალე ახლა, ჯერ ნაყარი დავაბინავოთ და მერე გეტყვი, — თქვა პაპამ, წამოდგა და ქლიავისაკენ გაეშურა, რადგან ნაყარი ქლიავის ტოტს ეტანებოდა.

არ გასულა ერთი საათიც და ნაყარმა ახალ სუფთა როგოში დაიწყო ფუსფუსი, პაპა ვიჩი კი შორიახლო ჩრდილში ჩამოჯდა თავის ძველ საკარცხულზე და მითხრა ფუტკრის ზღაპარი.

აი, ეს ზღაპარი მინდა გიამბოთ ახლა, ვიდრე დამავიწყდება.

უხსოვარ დროს ერთ უღრან ტყეში, ასწლოვანი მუხის ფუღუროში ფუტკრის ოჯახი ცხოვრობდა. ეს ერთადერთი ოჯახიც დაღუპვის პირას იდგა; ჭიანჭველიდან დაწყებული — დათვამდე — ყველა მას ემტერებოდა.

ერთხელაც შეიყარა ოჯახი სათათბიროდ: დაარჩიეს ცხრა უმამაცესი ფუტკარი და საიმედო სამოსახლოს გამონახვა დაავალეს. — ახალი ნაყარი გადასახლდება და მთელი მოდგმა არ ამოწყდებაო.

დილაადრიან გაფრინდა ცხრა მამაცი ფუტკარი. შუადამისას ექვსიდა დარჩა, საღამოს — სამი: ზოგი ლურჯმა ფრინველმა შეჭამა, ზოგი — შავმა ჭიანჭველამ, ზოგი — რუხმა ობობამ.

შელამებისას სამი დაღლილ-დაქანცული ფუტკარი მოცვის ყვავილზე დაჯდა ღამის გასათევად. ვინ გაცალა ძილი! სად იყო და სად არა, კრაზანა მოფრინდა და ერთს მზაკვრულად ჩააფრინდა ზურგში. ფუტკარი გამოცდილი მეომარი იყო, არ დაიბნა და ავაზაკს ნესტარი წელში ჩაასო. კრაზანა შეცახცახდა, დაიკრუნჩხა და ძირს დავარდა. მაგრამ სიხარული ნაადრევი გამოდგა: მის მეგობრებს კრაზანების მთელი გუნდი დასხმოდა თავს. ფუტკარს გული გადაუტრიალდა: ვაითუ ყველანი დავიღუპოთ და შინ ამბავიც ვერ მივიტანოთო! ამის გაფიქრება იყო და, ერთბაშად ხუთი კრაზანა დაესხა თავს; კრაზანებს სწორედ მოცვის ბუჩქის ძირას ჰქონდათ ბუდე.

რას გახდებოდა ერთი დაღლილი ფუტკარი ხუთ კრაზა-

ნასთან? შეკრეს. შებოჭეს და თავიანთ ბუდეში გააქროლეს

საშინელი ორმო იყო კრაზანების ბუდე: ბნელი, ნესტიანი და ვიწრო. ფუტკარს კინაღამ გული შეუწუხდა. შხამიანმა ავაზაკებმა ბოროტი თვალები დაუბრიალეს:

— როგორ მზადდება თაფლი? — დაიზუზუნა ერთმა.

— გეტყვით, მაგრამ ვერ დაამზადებთ, — დინჯად მიუგო ფუტკარმა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ფუტკრები არა ხართ. თაფლი რომ დაამზადოთ, ფუტკრები უნდა იყოთ.

შეურაცხყოფილმა კრაზანებმა ტყვე კინაღამ გაგლიჯეს. მაგრამ მეფემ ბოროტი თვალები დააბრიალა და ანიშნა, არ მოკლათო. იმედი ჰქონდათ, დავაშინებთო. კრაზანებმა ხოჭოებით აქოთებულ კუთხეში მიაგდეს ფუტკარი. გუშაგები მიუჩინეს და ერთმანეთს ბზუილით სათათბიროდ მოუხმეს...

— მე მაგისი ხახლი ალმოვაჩინე, — თქვა ერთმა, — ხვალ დილაადრიანად თავს დავესხათ, ამოვბოცოთ, თაფლი შევჭამოთ, მერე ჩვენი ტყვე გავუშვათ, მეც შიგ ფუღეროში ჩავსაფრდები და ჩუმად დავზვერავ, გავიგებ, როგორ დაამზადებს თაფლსაო.

— შენ რომ კრაზანა არ ყოფილიყავი, ჭოტი იქნებოდი, ისეთი ბრძენი ხარო, — მიუგო მეფე კრაზანამ და ბრძანა: — დილისათვის სალაშქროდ გაემზადეთო.

ფუტკარს ისეთი სმენა ჰქონდა, ყველაფერი გაიგონა. ალიონზე, გუშაგებს რომ ჩაეძინათ, ფეხაკრეფით გამოვიდა და გაფრინდა.

წინ დათვი შემოეყარა.

— დათვო, დათვო! — შესძახა ფუტკარმა: — მიეშველე, ჩემს ძმებს კრაზანები ამოწყვეტას უპირებენო.

— მიეშველები, მაგრამ, სამაგიეროდ, რაც თაფლი გაქვთ, მე უნდა მომცეთო!

— სულ ერთი არაა? მაშინ უთაფლობით ამოვწყდებითო! — თქვა გულდაწყვეტილმა ფუტკარმა და გაფრინდა.

წინ ობობა შემოეყარა.

— ობობავ-ფეიქარო! — შესძახა ფუტკარმა. — მიეშველე ჩემს ძმებს, კრაზანები ამოწყვეტით ემუქრებიანო!

— კეთილი, მივეშველები, მისასვლელს ქსელით გადავღობავ, მაგრამ ყოველდღე ამ ქსელში თითო ფუტკარი უნდა გაებმოს.

— ობობას ქსელში გაბმას ისევ ბრძოლაში სიკვდილი სჯობსო! — თქვა ფუტკარმა და გაფრინდა.

წინ წითელი ჭიანჭველა შემოეყარა.

— მამაცო ჭიანჭველავ! — შესძახა ფუტკარმა. — მიეშველე ჩემს ძმებს, კრაზანები ამოწყვეტით ემუქრებიანო.

— მივეშველები, მაგრამ თქვენი ფუღუროს კარი ჭიანჭველებისათვის მუდამ ღია უნდა იყოსო!

— არა, არა! მუდმივ მონობას ისევ ერთხელ სიკვდილი გვიჯობსო! — თქვა შეწუხებულმა ფუტკარმა და გზა განაგრძო.

წინ ახლა ადამიანი შემოეყარა.

— კეთილო ადამიანო! — შესძახა დაღლილმა ფუტკარმა. — მიეშველე ჩემს ძმებს, ავაზაკი კრაზანები ამოწყვეტით ემუქრებიანო.

— გამიძეხი, — მოუჭრა ადამიანმა და გზას გაუდგნენ.

ბევრი იარეს თუ ცოტა, ბოლოს ასწლოვანი მუხაც გამოჩნდა. ღამდებოდა. ადამიანს ხელში ანთებული კვარი ეჭირა.

ფუღუროსთან სასტიკი ბრძოლა უკვე დიდი ხნის დაწყებული იყო. თავზარდამცემი ბზუილის ხმა ტყეს ეფინებოდა, უთვალავი ფუტკარი და კრაზანა ეყარა მუხის გარშემო: ზოგი გაშეშებული, ზოგი სულთმობრძავი, ზოგიც მოწინააღმდეგესთან გადაჯდომილი.

ფუტკრის ოჯახი სუსტდებოდა. ერთი კრაზანა ისე არ მოკვდებოდა სამი-ოთხი ფუტკარი მაინც არ დაეგესლა. ამიტომ ბედის სასწორი თანდათან ავაზაკების მხარეს იხრებოდა.

სწორედ ამ დროს მოვიდა ადამიანი. ფუტკარი-შიკრიკი ფუღუროში შეფრინდა. და ძმებები გააფრთხილა: გარეთ არ გახვიდეთო. გარეთ ვინც იბრძოდა, ისინიც ფუღუროში შეიხმეს. ადამიანი კი მაშხალით დაეარა კრაზანებს და მუსრა გაავლო, უკვე ისე დაღამდა, რომ კრაზანები ანთებული კვარის გარდა ვერაფერს ხედავდნენ, ისეკ მის შუქს ეტანებოდნენ, ზედ ფრთები ეტრუსებოდათ და ძირს ცვიოდნენ.

მალე კრაზანების მთელი ჯარი დატრუსული და გასრესილი ეყარა ძირს. ფუტკრები გადარჩენას ზეიმობდნენ, ადამიანს შემოეხვივნენ და მადლობა გადაუხადეს, თან იმდენი თაფლი შეესთავაზეს, რამდენის ზიდვასაც შეძლებდა.

— არა, ძვირფასო ფუტკრებო, — უთხრა მათ ადამიანმა, — ამდენ თაფლს არ წავიღებ თქვენგან. მე ამისათვის არ მოვსულვარ მოსაშველებლად. ერთი რამ მაინც მოვიფიქრე: სუფთა, მოხერხებულ სახლს გაგიკეთებთ და ვიცხოვროთ ერთმანეთის გვერდით. ვერც კრაზანა მოგაყენებთ ზიანს, ვერც ობობა, ვერც დათვი და ვერც ჭიანჭველა, რადგან მეც თქვენსავით შრომისმოყვარე ვარ.

— ბედი გვქონია! — შეესძახეს ფუტკრებმა, — ტყუილად კი არ გაიძახის ღამით ჭოტი, ადამიანი ყველაზე გონიერიაო!

აი, აქ დაიწყო ადამიანის მეგობრობა ფუტკართან.

დევის თვალი

ულრან ტყეში ცხრათავიანი დევი მიალაჯებდა. ისეთი მძიმე იყო, რომ მის ფეხქვეშ მიწა იზნიქებოდა, ხოლო თუ ეძინა, მის ფშვინვაზე ქარაშოტი ამოვარდებოდა, ფიჭვები და ნაძვები წელში იმსხვრეოდნენ. მუხები და წიფლები იზნიქებოდნენ, ბუდიდან ჭოტის ბარტყები ცვიოდნენ. ცხრა თავზე მხოლოდ ერთი წყვილი თვალი ჰქონდა, დანარჩენი თავები გოგრებივით ტყუილად ესხა, ტვინი შიგ არა ჰქონდა და სხვა რა უნდა ჰქონოდა! ამიტომაც უთავო დევს ეძახდნენ. ეს უზამფარი არხეინად დაბორიალობდა ტყე-ღრეში და უჭკუოდაც იოლად გადიოდა.

ამბობენ, რომ ამ დევმა ერთხელ დალს მოჰკრა თვალი და მოეწონა. ცოლად უნდა შევირთოო, გადაწყვიტა თავისი ჭკუით. აბობღდა საჯიხვეში, დალის გამოქვაბულს მიადგა და დაუბრახუნა. გამოვიდა მშვენიერი დალი. ჭიუხების დედოფალი, ოქროს ნაწნავები მუხლებამდე სწვდებოდა. ამოდენა დევის დანახვაზე შეძრწუნდა და ჰკითხა:

— რა გინდა, დევო, აქ რისთვის ამოსულხარ? შენს ხევში ვერ დაეტია?

— დაიჯა...ხება გადავწყვიტე და მოვედი, რომ ხე... ხელი გთხოვო...

დალმა შუბლი შეიკრა. ცაც მოიღუშა.

— რას ბოდავ, ბილწო დევო, ეგ რა მოგსვლია თავშიო! — უთხრა. — შენისთანა ტლანქსა და ბოროტ არსებას ვინ გაჰყვება? ახლავე წადი აქედან!

—რო... როგორ წავიდე?

— აი, ასე! — დალმა ხელი აუქნია, მთას თოვლი მოსწყდა. წამოვიდა ზვავი, ეტაკა დევს და ხევში ჩახვეტა.

დალის კლდე ისეთ ფრიალოდ იქცა, დევი კი არა, ჭიანჭველა ვერ აცოცდებოდა.

დევი მას შემდეგ კიდევ უფრო გაბოროტდა და არავის ინდობდა. დაბორიალობდა და საკბილოს ეძებდა. სულ ცოფს ანთხევდა.

ერთხელაც თვალში ჭოტი ჩაუვარდა. იმდენად სულელი იყო, რომ ხელი იტაცა, თვალი ამოიგდო და ფეხით გასრესა. ამოთხრილი თვალის ფოსოდან შავი სისხლი თქრიალით მოსკდა. შიშისა და ტკივილისაგან დევმა ერთი ისეთი დაიღრიალა, ტყე შეზანზარდა. კუნელის ბუჩქიდან კურდღელი გამოხტა და გაიქცა. ცალთვალა დევმა კურდღელი დაინახა. ტკივილის ბიზეზი ის ეგონა და ბღავილით დაედევნა. გზადაგზა სისხლი იღვრებოდა და ყველაფერს სწვავდა. სადაც დევმა გაიარა, ბალახი დღესაც არ ამოსულა. ამ გზას ახლაც დევის გზას ეძახიან.

ვაცალოთ სულელ დევს, ირბინოს, რამდენიც ენებოს, თუნდაც ქვეყნის კიდემდე სდიოს უდანაშაულო კურდღელს, ჩვენ კი ვნახოთ, რა მოხდა იქ, საიდანაც დევმა კურდღლის დევნა დაიწყო. სწორედ იმ ადგილზე, სადაც თვალი გასრესა, ამოვიდა საშინელი ეკლიანი ხე, რომელმაც ერთადერთი ნაყოფი გამოიღო. ეს ნაყოფი დღისით ვაშლს ჰგავდა, ღამე კი ლამპარივით ანათებდა. თუ ვინმე ახლოს მივიდოდა და ვაშლის მოწყვეტას განიზრახავდა ხე უეცრად შეირხეოდა, ათასობით ეკლიანი ტოტით ჩააფრინდებოდა და მსხვერპლს თავის ფუღუროში მიაქანებდა. ეშმაკმა იცის, რა იყო იმ ფუღუროში, რადგანაც იქიდან არავინ გამობრუნებულა. ღამით კიდევ, თუ რომელიმე გზადაკარგული მგზავრი ან დაგვა-

ნებულ მონადირე ანთებულ ლამპართან მივიდოდა, უხილავი ეკლიანი ტოტები ათასობით ნემსს ჩაასობდა და სადღაც უფსკრულისაკენ მიაქანებდა. ოჰ, ეს საშინელი ხე იყო. ასეთი კაციჭამია ხეები ყოველ ტყეში როდი იზრდებიან.

გავიდა წლები. სიკვდილის ხე არავის და არაფერს ინდობდა. შიშით მოცული ადამიანები მის გახსენებაზე ცახცახით გარბოდნენ. ბევრმა იცოდა, რომ ეს მშვენიერი ხე დევის თვალზე იყო ამოსული და მას სიკვდილი მოჰქონდა. ვინც არ იცოდა, არცოდნა ძვირად უჯდებოდა. უფრო ბეტად მანც მის ანკესზე ნადირები ეგებოდნენ: სიკვდილის ხეს ზამთარ-ზაფხულ მწვანე ტოტები ეცხა. უწყინარი შვლები ან უგნური თხები სიამოვნებით მიდიოდნენ მასთან და შებღალვებისაც ვერ ასწრებდნენ, რომ ხე მათ ყლაპავდა, მერე კი თავის საშინელ ტოტებს ისე გაშლიდა, თითქოს არაფერი მომხდარაო. უარესი ღელ ადგებოდა ჩიტებს, რომლებიც მის მშვენიერ ყვავილებზე სხდებოდნენ.

ცხრაჯერ დაზამთრდა, ცხრაჯერვე გაზაფხულდა უღრან ტყეში. ცხრა წელი თესა სიკვდილი საშინელმა ხემ, მაგრამ მისი დღეები დათვლილი იყო.

ერთ მშვენიერ დღეს მთის მწვერვალზე გამოჩნდა უშიშარი ჭაბუკი. ხელში მშვილდ-ისარი ეჭირა, სხვა არაფერი გაჩნდა. ამ მშვილდ-ისრით მოკლა ბატონი რომელიც ვითომ იმდენად გულკეთილი იყო, რომ ხარები ეცოდებოდა და კევრში ადამიანებს აბამდა.

— ეგ ცოდვის პური რისთვის გინდა, ბატონო?— ჰკითხა ერთხელ ბერიკაცმა.

— შვილის ქორწილისთვისო! — მიუგო ბატონმა.

— კარგია, თუ მოესწრები იმ ქორწილსო. — ჩაიდუდუნა ბერიკაცმა.

ბატონმა ყური მოჰკრა მის ნათქვამს.

— აბა, თუ ვერ მოვესწრებიო. — და ბერიკაცს მათრახი გადაუჭირა. ბერიკაცი წაიქცა და სისხლი წასკდა. ჭაბუკი შეესწრო ამ ამბავს.

— რაკი პურს სისხლი უნდა შეერიოს, რაღა მშრომელი გლეხისა. ბარემ მოძალადე ბატონისა იყოსო! — დაიძახა, გადმოიღო მშვილდი, ჩადო ისარი და ესროლა ბატონს. დაიზუ-

ზუნა ისარმა. ბატონს გულში მოხვდა. ბატონი მოკვდა, ხოლო ჭაბუკი მთებში გაიქცა. ბევრი ხეტიალის შემდეგ ერთ მწვერვალზე ავიდა, ერთი გამოქვაბული მონახა, შევიდა, დაწვა და დაიძინა.

შუაღამისას საშინელი სიზმარი ნახა: ვითომ უფსკრულის პირას წევს, ძირს კი შავ გველეშაპს დაუღია პირი. სადაცაა ჭაბუკი გადავარდება და გველეშაპს ჩაუვარდება ხახაში. ჭაბუკმა დაიკვნესა და გამოეღვიძა, უკუნეთი ღამე იყო. შორს, ქვემოთ, ბურუსში ტრიალი მინდორი ჩანდა, იქით ულრანი ტყე. შუაგულ ტყეში ლამპარი ანათებდა, საოცრად ლამაზი და თანაც საშინელი. მაგრამ ჭაბუკი უშიშარი იყო. რა უნდა იყოსო? — გაიფიქრა. ამ ფიქრში ისევ ჩაეძინა. დილას რომ გამოეღვიძა, ლამპარი აღარ ჩანდა სამაგიეროდ, შუა ტყეში ერთ უცნაურ ხეზე ლალისფრად ღაჟღაჟებდა ისეთი ვაშლი, რომ თვალი უკეთესს ვერაფერს ნახავდა.

ჭაბუკმა მშვილდი მოზიდა და თქვა:

— ისრის ფხა უნდა გამოვცადო! თუ ჩემი ბედია, იმ ვაშლს ჩამოვაგდებო.

ისარმა დაიზუზუნა, გადაიქროლა მინდორი და ჯადოსნურ ვაშლს შუაში ჩაესო. გასკდა ვაშლი, ავარდა კვამლი, დაიბერა ტყე და დაბნელდა ცა.

ჭაბუკი დაეშვა მთიდან, გადაიარა მინდორი და შევიდა ტყეში. კვამლის ღრუბლები გაიფანტა. უშიშარი მოისარის თვალწინ დადგა ცხრა საართულიანი ბროლის სასახლე, რომლის წვეტიანი თავი ცასა სწვდებოდა. სასახლის ყველაზე მაღალი კოშკის თავზე დასობილი იყო ფრთიანი ისარი — სწორედ ის, რომელიც ჭაბუკმა ისროლა. სასახლე ცხრა სვეტზე იდგა. ყოველ საართულს ცხრა კარ-ფანჯარა ჰქონდა. ფანჯრებში სულ ფერად-ფერადი შინები იყო ჩასმული და ფირუზის ქვებით მორთული ჩარჩოები თვალს იტაცებდნენ.

ჭაბუკი ფაიფურის მოხატულ კიბეზე ავიდა, კარი შეაღო და სასახლეში შევიდა.

— სალამი შენ, მამაცო ჭაბუკო! ჩვენო მხსნელო! — მოესმა ათასი ხმა. მოხდა ის, რასაც არ მოელოდა ჭაბუკი.

სახლის დარბაზი სავსე იყო ადამიანებით, ნადირითა და ფრინველით, რომელთაც წლების განმავლობაში ნოქავდა სიკვდილის ხე.

ყველა გარეთ გამოეფინა, ხელახლა ნახეს მზის სხივები, რომლებიც ბევრ მათგანს ცხრა წელი არ ენახა და ძალიან მონატრებოდათ. შვლები, ციყვები, ირმები, ლომები, სპილოები სიხარულისაგან ხტოდნენ, ბღაოდნენ, ღმუოდნენ და კუნტრუშობდნენ. ყველანი ჰაბუკის გარშემო ირეოდნენ, ლოკავდნენ მის ხელებს, ფეხებსა და ტანისამოსის კალთებს: ჩიტები მხარზე ასხდებოდნენ, ფარფატებდნენ და ყივილ-ხივილით აცოცხლებდნენ მკვდარ ხეს. ადამიანები კი ერთმანეთს ჰკოცნიდნენ და თავიანთ მხსნელს ადიდებდნენ, არწმუნებდნენ, რომ მას შეუძლია გველეშაპის მოკვლა, დევის წაქცევა და, საერთოდ, ყველაფერი ის, რაც არ შეუძლიათ სხვებს. ჰაბუკი იღიმებოდა.

— ჩვენო სახელოვანო მხსნელო! — შეესძახა ძველმა მონადირემ. — შენ გადაგვარჩინე საშინელი ხის კლანჭებს. ჩვენ კი ეკლებზე ვეკიდეთ და წამებით სიკვდილი გველოდა. დღეიდან შენ ხარ ჩვენი მამაც და მეფეც. გაუმარჯოს ჩვენს მხსნელ ჰაბუკს, გლეხკაცის შვილს!

— გაუმარჯოს! — დაიგრიალა მთელმა ტყემ.

მაგრამ მათი სიხარული ნაადრევი გამოდგა: უცებ გაისმა საზარელი ღრიალი, მიწა იძრა. ნაძვები კენწეროებით მიწას ეხებოდნენ. გაიხედეს: მინდვრის ბოლოში კურდღელი მორბის, უკან შავ მთასავით აყუდებული ცალთვალა დევი მოსდევს. ამოთხრილი თვალის უბე გამოქვაბულს უგავს. ისე ქშინავს და ბრდღვინავს, რომ მტვერი ცას ასკდება. დასწვდება მიწას, მოგლეჯს ბელტებს და კურდღელს ესვრის. მაგრამ ნაცარა კურდღელიც ხსვებივით დოყლაპია კი არ არის, მარდად უსხლტება კლანჭებიდან ცალთვალა და ცხრათავა დევს, ყურები ზურგზე დაუწყვია და მორბის. ისეთი დაღლილია, საცოდავი, სადაცაა, სული ამოსძვრება. ხუმრობა ხომ არ არის, ცხრა წელიწადი თვალი არ მოუხუჭავს და გემოდ არაფერი უნახავს! მაგრამ იცის ჭკვიანმა კურდღელმა, რომ სიკვდილს ისევ შიმშილი და უძილობა ჯობს, და გარბის შეუჩერებლად. ყველა სულდგმული შიშისაგან გა-

ფიქრდა. თვით უძლეველი ლომიც მოიკუნტა და ლეკვივით წამოტუტუნი დაიწყო.

ჭაბუკი გამოეყო ხალხს, გავიდა მინდორში და მშვილდი მოიმარჯვა. კურდღელმა მოიბრუნა და ქალთაში ჩაუხტა. აი, რა ჭკვიანი კურდღელი იყო! ჭაბუკმა მშვილდი მოზიდა. დევს მიაძახა:

— უკან გაბრუნდი, უბედურო დევო, ლამის ქალთაჟ შეაფარე თავი, თორემ დღეც ლამედ გექცევიან!

— ჰო-ჰო! — დაიბუყბუყა დევმა. — შენ მემუქრები, უგნურო ბუზანკალავ! — მოგლეჯა ძირფესვიანად ხე და ჭაბუკს ესროლა. ჭაბუკმა კლდიდან მორღვეული ლოდი შეაგება და ხე ისევ მსროლელს მოხვდა მკერდში. ვიდრე გონს მოვიდოდა, დაიხუხუნა ჭაბუკის ისარმა და დევს შიგ თვალში მოხვდა. რომელ თვალშიო, მეკითხებით: სად თვალში, მეტი თვალი არცა ჰქონდა. დევი სრულიად დაბრმავდა. ბრაზისგან გაგიჟებულმა დაჭრა ფეხი მიწას, გააპო და ყველა ცხრა თავიანად შიგ ჩაიმარხა. აი, ეს სულელურად დაიღუპა ცხრათავიანი დევი.

ხალხს და ცხოველებს ამის შემდეგ კიდევ უფრო შეუყვარდათ ჭაბუკი და ერთხმად აირჩიეს ხელმწიფედ. ჭაბუკიც დაეთანხმა, მაგრამ ერთი პირობით: მძიმე სამეფო გვირგვინის ნაცვლად თავზე გლეხკაცის მსუბუქ ქუდს ვატარებ და ხელში სკიპტრის ნაცვლად მშვილდს დავიჭერო. ხალხიც დათანხმა: მეფე ხარ და როგორც გენებოს, ისე მოიქეციო.

ჭაბუკმა იმით დაიწყო, რომ ხალხს და ნადირთა ლაშქარს გაუძღვა, დაამარცხა ბოროტი მეფე. რომელიც მას ბატონის მოკვლისათვის დევნიდა და ხალხს ტანჯავდა. ბერე შეირთო მეფის ასული და ბროლის კოშკში მოიყვანა, ქორწილში თამადა ლომი იყო.

იმ დღიდან ყველამ დაიწყო პატიოსანი შრომა. რა თქმა უნდა, კვერში ადამიანებსაც აღარ აბამდნენ!

იმ ადგილას, სადაც დევი ჩაიმარხა, ცხრა ქალაქი გააშენეს და ტყე ბაღად აქცეს. შიკრიკად კურდღელი დანიშნეს. ისე მარდად გადაჭრიდა წერილები ქალაქიდან ქალაქში, რომ ყველა ხახტად რჩებოდა; ჯერ დაწერილიც არა ჰქონდათ, რომ უკვე ხელში ეჭირა მას, ვისთვისაც განკუთვნილი იყო.

ასე რომ, ზელანს დამწერი კი არ აშრობდა ქაღალდზე, არამედ ის, ვისთვისაც იწერებოდა წერილი. თუ ამას არ დაიჯერებთ, არც ამით დაშავდება რამე: ეს ხომ ზღაპარია!

იცით, რატომ ხდება მიწისძვრა? — ბრმა დევს უმძიმს ქალაქები, რომლებიც მას მხრებზე აწვება, დროდადრო შეირყევა ხოლმე და ამ დროს მიწა იძვრის. თუ დაკვირვებულხართ, კუურდღლები ამ დროს სწრაფად დარბიან: ასე ჰგონიათ, დევი ისევ მოგვდევსო. მაგრამ დევი მიწაშია ჩამარხული, ვერაფრით ვერ ამოვა იქიდან და თუ ამოვა, ჭაბუკი დახელოვნებული მსროლელია, მიზანს არ ააცდენს!

ბუმბერაზის სათითური

ფრიალო კლდის თავზე მთასავით იყო აღმართული სპილენძის კოშკი. ამ კოშკში ერთი ავი, ბუმბერაზი ქალი ცხოვრობდა. თუ სადმე უფსკრულის ძირას ადამიანი გამოჩნდებოდა, ქვას ესროდა, მოკლავდა, მერე კავით აიტანდა, ხარშავდა და ჭამდა. იჯდა ასე ის ბუმბერაზი თავისი კლდის თავზე, თან კერავდა და თან მიდამოს ათვალიერებდა.

ერთხელ საკერავზე ჩასთვლიმა. სათითური შეუმჩნევლად წასძვრა და უფსკრულში ბზრიალით ჩავარდა. დაბლა ამ დროს უფლისწული ნადირობდა. ოქროს ელვარე სათითური სწორედ ჭაბუკის წინ დაეცა. გაუკვირდა ახალგაზრდა უფლისწულს, აიღო და თვალი ვერ მოსწყვიტა. ასეთი ძვირფასი თასი თავის მამაპაპურ საგანძურშიც არ ეგულებოდა. გულის ჯიბეში ჩადო და წავიდა. თასი ეგონა და რა იცოდა, რომ ეს ჯადოსნური სათითური იყო! საიდუმლოება გაიგო მხოლოდ მაშინ, როცა ამ თასით გზაში წყალი დალია. შესვა. თუ არა, უეცრად მკლავში არაჩვეულებრივი ღონე იგრძნო, მუხლში — სიმსუბუქე, გულში — სიმხნეე.

ნეტავი, ჩემი მოხუცი დედ-მამა მაჩვენა! — გაიფიქრა უფლისწულმა, და მაშინვე თვალწინ დაუდგა მამის სასახლე, მომღიმარი მშობლები, ყვავილები და მერცხლები... მაგრამ ეს რა არის? რაღაც შავი ლაშქარი უახლოვდება სასახლეს. თავიდან ფეხამდე შავ აბჯარში ჩამსხდარი კუშტი მეომრე-

ბი თელავენ ჯეჯილებსა და ბალებს. ხოცავენ ყველას და მი-
დიან წინ, რომ ქვეყანა ბატონად აქცინონ.

უფლისწული ამ დროს წყაროსთან ისვენებდა. შავი ლაშ-
ქრის დანახვაზე ელდა ეცა. თითქოს ძილიდან გამოფხიზლ-
და. სასწრაფოდ მოხტა ბერანს და სასახლისაკენ გაქრო-
ლა. სწორედ დროზე მივიდა: შავ ლაშქარს უკვე დაემარცხ-
ებინა სასახლის მცველთა რაზმი, გალავანს ანგრევდა და სა-
დაც იყო სასახლეში შეიჭრებოდა.

უფლისწულმა ძალიან დასჭექა და დაუპატიჟებელ სტუმ-
რებს მოულოდნელად შეუტია. ყიჟინით მიიწევდა წინ და
ყალტამივით კაფავდა მტრის რიგებს. შავი ლაშქარი შედ-
რკა. ასეთი მეომარი არასოდეს ენახათ. ჯერ ნელა დაიხიეს
უკან, მერე კი იარაღი დაყარეს და მოკურცხლეს. ქალაქი აოხ-
რებას გადარჩა.

მოხუცმა მეფემ ტახტი მამაც შვილს დაულოცა. უშიშა-
რი, უძლეველი და სამართლიანი ახალგაზრდა მეფის სახელი
შორს გავარდა. ვერავინ უბედავდა შებმას „ოქროს თასის ბა-
ტონს". თვითონ მეზობელი ქვეყნები სთხოვდნენ დახმარებას.
თუ მოუსვენარი მტერი მათს ქვეყანაში ავაზაკურად შეიჭრე-
ბოდა.

ყველაფერი უხვად ჰქონდა ახალგაზრდა მეფეს — ჭკუაც,
სიმდიდრეც, სახელიცა და სიმამაცეც. მხოლოდ ცოლი არა
ჰყავდა და ეს აწუხებდა მოხუც დედ-მამას.

— შვილო, დროა, გამონახო პატარძალი, — ეუბნებოდა
მამა. — შეარჩიე ვინმე ღირსეული მეფის ასული, შენ უარს
ვინ გეტყვისო!

— მესმის მამა-ბატონო, მესმის, — უპასუხებდა ჭაბუკი
და სახელმწიფო საქმეების მოწესრიგებას შეუდგებოდა.

გავიდა დრო დ თვითონაც ჩაუფიქრდა მოხუცი მშობლის
სიტყვებს. ერთხელ ნადირობის დროს წყაროსთან ჩამოჯდა
და გაიფიქრა: „ბოდი. ჩემს თასს ვთხოვო!" ამოიღო ოქროს
სათითური წყაროს წყლით ავსო, ასწია და შესძახა:

— ჩემო თასო, მაპოვნინე საბედო!

უეცრად თასში მშვენიერი სახე დაინახა და იმ წამსვე
მოსვენება დაკარგა. მზეთუნახავი ქალიშვილი შემოსცქეროდა
თასიდან.

მეფე მერანს მოახტა და გაფრინდა. ვინ მოთვლის, რამდენი ქვეყანა მოიარა, რამდენ მეფეს ესტუმრა, მაგრამ ნაცნობი სახე არ ჩანდა და არა. დაღლილ-დაქანცული ერთი სალი კლდის ბექობზე ავიდა და ჩამოჯდა. ღამდებოდა. სადღაც შორს ბუმბერაზის კოშკი გამოჩნდა. ჩაბავალი მზის სხივებზე ანთებულნაირ კოშკის გუმბათი ისე ლაპლაპებდა, თითქოს ურჩხულის ჯავშანიაო.

ჭაბუკმა კოშკში მისვლა განიზრახა და საღამომდე მივიდა კიდეც, რადგან მას მერანს უფსკრულებზე ფრენა შეეძლო. კოშკში ბუმბერაზი ქალი ცხოვრობდა. სათითურის დაკარგვას მისთვის უბედურება მოეტანა. ავად გამხდარიყო, ლოგინად ჩავარდნილიყო და ისე დასუსტებულიყო, რომ საკუთარი კოშკის ეზოში გასვლის ღონე აღარ შესწევდა. რაღა თქმა უნდა, ბუმბერაზ კაცუნამის ადამიანის ხორცი მოენატრებოდა. სტუმარი მოსაჩვენებლად ისე მიიღო, თითქოს მისმა მოლოდინმა ჩაგდო ლოგინად. ხელისგულზე დაისვა და მიუალერსა, ფარჩის სამოსელსაც კი დაპპრიალა „პატარა ხელმწიფეს". მაგრამ გულში თავისი კოშკივით შავ ზრახვას ინახავდა. დაღამდა თუ არა, თავის შავ მსახურს უბრძანა: დააწვინე, ღამით ოთახში შეიპარე, ნაჯახი დაჭარი, მომიხარშე და მომიტანეო.

ჭაბუკმა ჯადოსნურ თასში დაინახა მოსალოდნელი უბედურება. ამიტომ, როგორც კი მსახური გავიდა, საბნის ქვეშ მუთაქა დადო, თვითონ კი კუთხეში დაწვა.

შუალამისას კარი წყნარად გაიღო, ოთახში შავი მსახური შევიდა. ხელში ნაჯახი ეჭირა. ღამესა და შავ განზრახვას მისი სახე კიდევ უფრო გაეშავებინა. ფრთხილად მივიდა ლოგინთან, ნაჯახი მოიქნია და მუთაქას დაჭრა. შემდეგ აიღო, მოხარშა და ბუმბერაზს მიართვა. მუთაქაში ჩვრები იყო და რაღა თქმა უნდა, რომ ასეთი კერძი ბუმბერაზს კიდევ უფრო ცუდად გახდიდა. დილით ჭაბუკი მეფე ცოცხალი რომ ნახა, კინალამ ჭკუიდან შეიშალა.

— აიღე ნაჯახი და შეებრძოლე, — უბრძანა სულელ მსახურს. — ან მოკალი, ან თავი შეაკალი, თორემ ამ ქვაბს ხომ ხედავო?

სულელ მსახურს სულაც არ ეხალისებოდა მდუღარეში ბანაობა და სტუმარს ბაძინვე თავს დაესხა.

მთელი დღე ჭიდაობდნენ და ვერც ერთმა ვერ სძლია: ჭაბუკი უძლეველი იყო, მსახური კი მოუხელთებელი. საბოგერეოდ, საღამოს დაღლილობისაგან ორივე თაკისით წაიქცა. ჭაბუკი წყაროსთან დავარდა, დიდხანს ეგდო. როცა ოდნავ სული მოითქვა, თასი ამოიღო, წყალი დალია. მაშინვე ღონე მოემატა, ასწია შავი მსახური და უფსკრულში გადაგდო. ყოველივე ამას ფანჯრიდან ხედავდა ბუმბერაზი ქალი, რომელიც კოშკში იწვა. თავისი ოქროს სათითურის მხილველმა ისე დაიგმინა, რომ კლდე შეზანზარდა.

— პატარა ხელმწიფევ! — დაუძახა სტუმარს. — ვინ მოგცა ეგ თასი?

— კლდეში ვიპოვე, — მიუგო ჭაბუკმა დაბლიდან.

— ჩემი სათითურია.

— შენი იყო, ახლა კი ჩემია.

— პატარა ხელმწიფევ! დამიბრუნე ჩემი სათითური და ერთ სურვილს შეგისრულებო.

— დაგიბრუნებდი, მაგრამ შენ ბოროტი ბუმბერაზი ხარ, ადამიანებს ჭამ, ხელი აიღე ამ საზიზღარ ჩვეულებაზე და სათითურს მოგცემო.

— არ შემიძლიაო.

— მაშ, თასი ჩემთანვე დარჩეს. როცა შეძლებ, მაშინ მოგიტანო!

— პატარა ხელმწიფევ! მოვიფიქრებ. სამი დღის ვადა მომეცი.

— სამი კვირა მომიცია. მე საპატარძლოს ვეძებ. ვიპოვი და მოვალო.

ამ სიტყვებზე ჭაბუკი ბერანს მოეხტა და ვაქროლა. მერანმა მწვერვალებზე შევარდენივით გაინავარდა და ერთ ტრიალ მინდორში დაეშვა. ჭაბუკმა მიმოიხედა. ახალგაზრდა მწყემსი ქალი ცხვრის ფარას აძოვებდა. ხელმწიფე ქალთან მივიდა და გაშეშდა: ეს ის ნაცნობი სახე იყო, წყაროს წყალში რომ დაინახა. ბოროტ დედინაცვალს უსაგზლოდ გაეგდო ცხვარში და გულსაკლავად ტიროდა. მშვერი, დაკონკი-

ლი, ფეხშიშველა მწყემსი ქალი სილამაზით ამომავალ მზეს ეჯიბრებოდა.

ჰაბუკმა მეფემ მწყემს ქალს მუხლი მოუყარა: ცოლად გამომყევიო.

ქალი უარზე დადგა. სად მეფე და სად მწყემსი ქალიო. მაგრამ ვერაფერი გააწყო. ჰაბუკმა მწყემსი ქალი ცხენზე შეისვა და გაქროლა.

სამი დღის შემდეგ დიდებული ქორწილი გადაიხადეს, სამი კვირის თავზე კი ახალგაზრდა მეფე ისევ სპილენძის კოშკს ესტუმრა, რადგან სიტყვის გატეხვა არ უყვარდა.

ბუმბერაზი სულს ღაფავდა. მსახური ქალები — ავსულები —დაღლილიყვნენ ავადმყოფის მოვლით და მიეტოვებინათ. მეფემ ძვირფასი საჩუქრები მოუტანა, მოუარა და უთხრა:

— შენმა თასმა დიდი სამსახური გამიწია. მტერი დამამარცხებინა, ჩემს მერანს ფრენა ასწავლა, საცოლე მაპოვნინა. მინდა დაგიბრუნო და მადლობა გითხრაო...

— მე კი მზად ვარ ადამიანებს დავუშვებობდე, ჩემო პატარა ხელმწიფეე! — შესძახა მისუსტებულმა ბუმბერაზმა. — არც აქამდე ვუმტრობდი. მაგრამ მათივე ბრალია: ერთმა კადნიერმა ხელმწიფემ ისარი მესროლა, დამჭრა, მას შემდეგ შევიძულე ადამიანის მოდგმა, რადგანაც ყველა მასავით ბოროტი მეგონა. ახლა ვხედავ, რომ შევცდი. თვითონ შვილებმა, თვითონ ავსულებმა გამწირეს და ბედის ანაბარა დამტოვეს. შენ კი, ადამიანის მოდგმის მშვენიერო ნაშიერო, სიკვდილს გადამარჩინე, თასი მიპოვე, დამიბრუნე. აღარასოდეს არ ჩავიდენ სიავეს. მენდე, ბუმბერაზი რასაც იტყვის, შეასრულებსო.

გახარებულმა მეფემ სათითური ბუმბერაზ ქალს დაუბრუნა. ქალმა მაშინვე თითზე გაიკეთა, მერე ადგა, სტუმარი ხელისგულზე დაისვა, საგანძურის კარი გაუღო და უთხრა:

— აირჩიეს. რაც გენებოს! ყველაფერი შენია, პატარა ხელმწიფეე!

გავიდა დრო და ბუმბერაზმა ქალმა მეფესა და მწყემსის ქალს ვაჟიშვილი მოუნათლა.

ეს იყო უხსოვარ დროს. დღეს სპილენძის კოშკი დანგ-

რეულია ბექობზე ჯიხვები ნავარდობენ და მონადირეებს ბუმბერაზთა კოშკის ნანგრევები კლდის ლოდები ჰგონიათ.

ბუმბერაზის სათითური? როშელიღაც ნაპრალში ინახება, მაგრამ როშელში, ეს არავინ იცის.

სამი ძმა

იყო სამი ძმა. ორი სანადიროდ დადიოდა, მესამე კი — უმცროსი ძმა — ქალამნების გამხდელად ჰყავდათ. მასვე ავალებდნენ სახლის დალაგებასა და გაცვეთილი ფეხსაცმლის დაკერებას. ასე იმსახურებდნენ და ჩაგრავდნენ ნაბოლარას, ის კი ხმას არ იღებდა.

ერთხელ, ძმები სანადიროდ რომ იყვნენ წასულები, უმცროს ძმას მეზობლები შეუჩნდნენ: რას ემსახურები, მაგათზე ნაკლები რითა ხარ, ადექი და შენც სანადიროდ წადიო!

— უმცროს ძმას ეს ირჩევა ჭკუაში დაუჯდა.

— ხვალ მეც სანადიროდ წამიყვანეთო, — სთხოვა უფროს ძმებს.

— შენ რაში გამოგვადგებიო? — გაეცინათ.

— გამოგადგებითო: თუ არჩვი მოკალით, არჩვს წამოვიკიდებ და თუ ჯიხვი მოკალით — ჯიხვსაო.

— მაშ, გაემზადე, ოღონდ თვითონ არ გაგვიხდე წამოსაკიდებელიო, — გაეცინათ ისევ ძმებს.

მეორე დღეს სამივე ძმა სანადიროდ წავიდა. იმ დღეს ვერაფერი მოინადირეს და ღამე ერთ უღრან ტყეში გაათიეს. ცეცხლი დაინთეს და იმით დანაყრდნენ, რაც თან ჰქონდათ წაღებული. უფროს ძმებს მაშინვე ძილი მოერიათ.

— ცეცხლს მიხედე, არ ჩაქრესო, — უბრძანეს უმცროს ძმას, თვითონ იქვე გაიშხლართნენ და ხვრინვა ამოუშვეს.

უმცროს ძმას თვალიც არ მოუხუჭავს. ცეცხლს დარაჯობდა, ძმებს არ შესცივდეთო. შუაღამისას ტყეში რაღაც ლაწანი გაისმა. მალე გამოჩნდა ცალთავიანი დევი, ამოიქშინა და ყვაწვილ კაცს მკლავები უჩვენა:

— ინძლა და ბინძლაო! — უთხრა. — ეიჭიდაოთო.

— რატომაც არაო! — თამამად მიუგო ჭაბუკმა და დევს

ისარივით ეცა, დაატრიალა, დაარეტიანა, სარმა გაიოსდო, წააქცია და თავი მოჰკვეთა. შორიდან რომ გენახათ, გორა გეგონებოდათ.

დაღლილი ჭაბუკი დაჯდა და ცეცხლს შეშა შეუკეთა. მალე უარესი ლაწანი გაისმა და ორთავიანი დეევი გამოჩნდა. უმცროსმა ძმამ ისიც მოკლა.

ძმებს ისევ ეძინათ, არც უმცროს ძმას აწყენდა სუფთა ჰაერზე ძილი, მაგრამ ვინ დააცალა! გათენების წინ მიწა იძრა, ტყე აშრიალდა, გეგონებოდა, ქარიშხალი ამოვარდაო. გამოჩნდა სამთავიანი დეევი და მაშინვე დაიბლუყუნა: ინძღიბინძღიო!

— ნუ ხარ ფიცხიო! — მიუგო ჭაბუკმა, ესროლა ისარი და თვალი ამოუგდო. დეევი სიმწრისაგან ქვას დასწვდა. ჭაბუკი მარდად გადახტა, სამჯერ დაჰკრა ხანჯალი და სამივე თავი წააცალა.

ღვარად წასულმა სისხლმა ცეცხლი ჩააქრო. ძმებს შესცივდათ, გამოეღვიძათ და უმცროსი ძმა დატუქსეს: — დოყლაპიავ, ცეცხლი რად ჩაგიქრიაო!

— არ გამიწყრეთ, ძმებო, ისრის სროლაში ვვარჯიშობდი და ვერ მივხედე... ახლავე გავაჩაღებ: აგერ, ტყის იქით გორაზე რაღაც ცეცხლი ჩანს, გავიქცევი და მოვიტანო.

უმცროსი ძმა გაიქცა. უფროსებმა კი თვალები მოიფშვნიტეს და ახლაღა დაინახეს ნაბოლარა ძმის ნამოქმედარი. ჯერ შიშით კანკალი აუვარდათ, მერე შერცხვათ და თავები ჩაჰკიდეს.

უმცროსმა ძმამ კი ტყე სწრაფად გადაირბინა, გორაკზე ავიდა და დიდებული სამეფო სასახლე დაინახა, არც კოშკები აკლდა. არც ბალები და არც გალავანი, მაგრამ ადამიანის ჭაჭანება კი არ ჩანდა. ღია ჭიშკარში შევიდა, მარმარილოს კიბეები ავარა და ქალების ქვითინი შემოესმა. დარბაზში ადამიანის თვალი უკეთესს რას ნახავდა: ზის სამი მზეთუნახავი და გულამოსკვნილი ტირის.

— რა გატირებთ, რა გაგვირვებიათო? — ჰკითხა ჭაბუკმა.

— რაღა რა გაგვირვებია, მამაჩვენის სასახლეს სამი დეევი დაეცა, ყველა გაწყვიტეს, კაცის ჭაჭანება არ დატოვეს.

დედ-მამაც მოგვიკლეს და ჩვენ, სამი ბედდამწვარი ასულიღა დაგვტოვეს ცოცხალიო.

— ახლა სად არიან ის დევებიო? — ჰკითხა ჭაბუკმა.

— ტყეში ცეცხლი ენთო: სადღაც კიდევ დარჩენილან ადამიანებიო, თქვეს! ჯერ ერთი წავიდა იქით, მერე მეორე, ბოლოს მესამე... სადაცაა დაბრუნდებიან და უნდა შეგვირთონ... წადი, შენ მაინც უშველე, ჭაბუკო, თავსო!

— ნუ გეშინიათ, მეფის ასულებო, — გაიცინა ჭაბუკმა: — აბა გაიხედეთ, ეგერ იქ რომ გორაკებია, წუხელ საღამოს ერთი მაინც იყო? წინათ დევები იყვნენ, ახლა დევთა გორები არიან. აქ ვეღარასოდეს დაბრუნდებიან.

მეფის ასულების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. უმცროსმა ძმამ უფროსებიც იქ მიიყვანა და სამმა ძმამ სამი მზეთუნახავი ასული შეირთო.

შავი ყვავილი

ერთ მიუვალ კლდეში, უზარმაზარი გამოქვაბულის შესასვლელთან შავი ყვავილი იზრდებოდა. სამ წელიწადში ერთხელ გაიფურჩქნებოდა, თან განუწყვეტლივ ირხეოდა და ისეთ მყრალ სუნს უშვებდა, რომ ქვეყანა იწამლებოდა. გარშემო სიკვდილი მეფობდა. არავის არ შეეძლო ამ სუნის ატანა. ადამიანი, ნადირი თუ ფრინველი ერთნაირად იღუპებოდა. შავი ყვავილის შხამიანი ამონასუნთქისაგან თვითონ მცენარეებიც ჭკნებოდნენ, ამიტომ აყვავებული ველები და მობიბინე ტყეები თანდათან ხრიოკ უდაბნოებად იქცეოდა. ბრძენი ამბობდა: როდესაც ეს ყვავილი ათასი წლისა გახდება, ქვეყანა ერთიანად მოიშხამება და სიცოცხლე მოისპობაო.

იმ ქვეყანაში ერთი ჭაბუკი ცხოვრობდა. ღონე და მოხერხება კი ჰქონდა, მაგრამ არ იცოდა, რისთვის გამოეყენებინა და ამიტომ დროს უქმად ატარებდა. ერთხელ სასახლეში მივიდა, პირდაპირ მეფის ასულს გამოეცხადა და ჰკითხა: ცოლად ხომ არ გამომყვებიო?

— ცოლად როგორ გამოგყვები, 'მე უქნარავ?! — იწყინა მეფის ასულმა. — ზარმაცები სიკვდილივით მეჯავრებაო.

— ეს ქვეყანა მაინც სიკეთილისაა და გამომყეფო, — არ ეშლიდა ჭაბუკი.

— ცოლად მხოლოდ მას ვეუფლები, ვინც საჩუქრად შავ ყვავილს მომიტანს, — უპასუხა მეფის ასულმა, რომ თავიდან მოეშორებინა.

მეფის ასულის ნათქვამმა ჭაბუკი ჩაფიქრა. ასეთი ამბავი უწინ აზრადაც არ მოსვლია. რისთვის უნდოდა ძალა და მოხერხება, თუ ხალხს არაფერში გამოადგებოდა, ანდა ასეთ საცოლეს სურვილს არ შეუსრულებდა?!

ამ ფიქრებით მოცული შინ რომ ბრუნდებოდა, გზაზე ერთი დედაბერი შეხვდა და ჰკითხა:

— რაზე ჩაფიქრებულხარო?

— შავი ყვავილის მოსაწყვეტად უნდა წავიდე და ვარაუდებს ვაწყობო. — უპასუხა ჭაბუკმა.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს! — ამოიოხრა დედაბერმა. — მაგრამ ვინც მაგ ყვავილს მიუახლოვდება მაშინვე იწამლება, ჭკნება და კვდება. შენ ისეთი სახიერი ხარ, რომ დასაკნობად მებრალები. შემოდი ჩემს ქოხში, ისეთ მალამოს მოგცემ, შავი ყვავილი ვერაფერს გავნებსო.

— მაგ სიკეთისათვის, თუ ოდესმე მეფე გავხდი, მკურნალთუხუცესად დაგნიშნავო, — გაეხუმრა ჭაბუკი. მერე მალამო გამოართვა, დედაბერს მადლობა გადაუხადა და წავიდა.

გზაზე ბრმა მომღერალი შემოხვდა. გუდა-სტვირს აკვნესებდა და ტკბილად მღეროდა ერთ ძველ სიმღერას:

ბნელსა სძლევს ნათელი,
რომ ტანჯვა აგვმორდეს,
და მზეცის ნათელი
ბალახი გასწორდეს.

— მოხუცო, სიმღერა კარგი გცოდნია, მაგრამ გული მიკვდება, უსინათლოს რომ გიყურებო, — უთხრა ჭაბუკმა.

— ხალხის დაცემას რომ ვუყურო, იმას ისევ სიბრმავე მირჩევნია, შვილო, — მიუგო მოხუცმა, — მაგრამ შავი ყვავილი რომ ვინმემ მოწყვიტოს, თვალები ამეხილებაო

— მაგ შაე ყვავილს მე მოვწყვეტო! — უთხრა ჭაბუკმა.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს, შვილო! — ოხერით წარმოთქვა მოხუცეხულმა. — მაგრამ ვინც მაგ შხამიან ყვავილს მოწყვეტს, გველეშაპს ვერ გადაურჩება. თუ შენ მართლა ხალხის გმირი ხარ და არა უბრალო მკვეხარა, წაიღე ეს წითელი ნაჭერი, ხალხის დროშის ნაწილია. ვისაც ეს დროშა თან ექნება, ადვილად არ დამარცხდება, რადგანაც მამა-პაპის წმინდა სისხლით არის შეღებილი. გამოქვაბულიდან რომ გველეშაპი გამოვარდება, უჩვენე და აზრი დაეფანტება. დანარჩენი შენ იცი.

ჭაბუკმა მადლობა გადაუხადა ბრმა მომღერალს და წავიდა. მოულოდნელად წინ ერთი ფეიქარი შემოხვდა და უთხრა:

— ჭაბუკო, გავიგე, შავი ყვავილის მოსაწყვეტად მიდიხარ. მეც წამოვედი, რომ ხელი გაგიმართო. აი, ეს რიდე წაიღე თან, ხალხის ცრემლითაა გაჟღენთილი. ათი წელია ხალხში დავდივარ და შეწუხებულ ადამიანთა, სნეულთა და მომაკვდავთა ცრემლით ვალბობ. ვიდრე კლდეზე აცოცდები, ეს რიდე ძირს დაფინე. ყოველი ცრემლი მახვილად იქცევაო.

ჭაბუკმა ფეიქარსაც გადაუხადა მადლობა და გზა განაგრძო, თან ფიქრობდა: რა კეთილები ყოფილან ადამიანები! როგორ გაწამებულა ხალხი და მე კი დღემდე არ ვიცოდიო!

შინ რომ მივიდა, კარგად დაისვენა, გამოიძინა, მტირალ დედ-მამას გამოემშვიდობა, თოკები წაიღო და წავიდა.

ჭაბუკმა თოკის ყულფი კლდის ქიმზე გამოსდო, გამოქვაბულამდე ჩაცოცდა და შავ ყვავილს მიუახლოვდა.

შავი ყვავილი მაშინ სწორედ ახლად აყვავებული იყო. სილამაზით თვალს იტაცებდა, სიდიდით ქოლგის ოდენა იქნებოდა და ისეთი შავი იყო, რომ მასთან ყორანიც თეთრი გეჩვენებოდათ. ერთი სიტყვით, მზეს აბნელებდა. ამ სიბნელიდან თეთრი ორთქლი ნისლივით ამოდიოდა და მიდამოს შხამიან ღრუბლებად ეფინებოდა. ყველგან დახოცილ ადამიანთა, ცხოველთა და ფრინველთა ჩონჩხები ეყარა.

ჭაბუკმა მალამო წაისვა, გაბედულად მივიდა ყვავილთან, დაჰკრა მახვილი და ღერო შუაზე გადაუჭრა.

ყვავილის მოწყვეტა უმახვილოდაც ადვილი იყო. სიძნელე ამის შემდეგ იწყებოდა.

უეცრად მთამ დაიქუხა, კლდემ დაიჭექა, ქარმა დაიწივლა, გამოქვაბული ორად გაიყო და ცეცხლის ალივით გამოვარდა უზარმაზარი გველეშაპი. ცხრაათას ორმოცდაცხრამეტი წელი ეძინა ამ გველეშაპს კლდის გულში. მისი შხამიანი ამონასუნთქი შავი ყვავილის გვირგვინიდან ამოდიოდა და ქვეყანას წამლავდა. ათასი წლის თავზე უწმინდური ერთს ამოიხვნეშებდა, მთელ ქვეყანაზე სიცოცხლეს მოსპობდა და დედამიწას თვითონ დაეუფლებოდა. ასეთი იყო შხამიანი გველეშაპის ზრახვა და, აი, ვიღაც ჭაბუკმა უბრალო გლეხკაცის შვილმა, ურჩხულს ათასწლოვანი ძილი დაუფრთხო! გველეშაპს სუნთქვა შეეკრა, კლდე გააპო და პირდაღებული გარეთ გამოვარდა. ხახიდან ცეცხლს აფრქვევდა, თვალებიდან — ელვას, ცხვირის ნესტოებიდან — ღრუბლებს, კბილებიდან კი — შხამს შადრევანს.

ჭაბუკმა კლდეს ლოდი მოგლიჯა და გველეშაპს ღია ხახაში შეუგდო, თან იმავე წამს დროშის ნაწილი აუფრიალა. გველეშაპი აირია, დარეტიანდა, დაიგრიხა, შხუილით გამოქვაბულის კიდეს მოაწყდა და უფსკრულში გადაეშვა. უფსკრულის ძირამდე დიდი მანძილი იყო: ფსკერზე რომ ასსართულიანი კოშკი აგეგოთ, მის თავზე კიდევ ნახევარი სართულის მიმატება დაგჭირდებოდათ, რომ ამ კოშკის სახურავზე მდგომი კაცი შავ ყვავილს ხელით შეხწვდომოდა. გველეშაპი მაინც გადარჩებოდა, ჭაბუკს რომ უფსკრულის ძირას ხალხის ცრემლით გაჟღენთილი ქსოვილის გაშლა დავიწყეებოდა. ამ ქსოვილზე ასობით შიშველი მახვილი იყო აღმართული. გველეშაპი ზედ დაეგო და ცოცხალ-მკვდარი დღესაც იგრიხება. ამ დროს მიწა იძვრის და კლდიდან კენჭები ცვივა.

ჭაბუკი მშვიდად შეუდგა იმავე თოკზე ასვლას, მაგრამ კლდეზე ხახუნისაგან თოკი დაწვრილდა, გაწყდა და უფსკრულისაკენ ბზრიალ-ტრიალით დაექანა. საბედნიეროდ, გამოიქროლა არწივმა, მძლავრ მხრებზე შეისვა და ველზე უვნებლად აიყვანა. ნადირ-ფრინველნიც ეხმარებოდნენ თავიანთ მსხვნელს. ჭაბუკმა არწივსაც მადლობა გადაუხადა, ყვავილი

წაიღო და მეფის ასულს მიართვა. ცხადია, შავი ყვავილი შხამიანი აღარ იყო, მისი ნახვაც ზიანს აღარავის აყენებდა.

მეფე ჭკვიანი კაცი იყო, ქალ-ვაჟი მაშინვე დააქორწინა. მერე ტახტიც მათ დაუღოცა და ქვეყანაც

გაიმართა დიდებული ქორწილი. ბრმა მომღერალს თვალი აეხილა და საოცარი სიმღერებით ადიდებდა ხალხის გმირს. მოხუცებული ქალი, მართლაც, მკურნალთუხუცესად დანიშნეს, წამალსა და ნუგბარ საკმელებს არ აკლებდა მეფე-დედოფალსა და მათ სტუმრებს. მერიქიფედ კი დანიშნეს... ვის დანიშნავდნენ? რა თქმა უნდა, ფეიქარს! ქორწილში არწივიც მოიწვიეს, მაგრამ მოუცლელობის გამო ვერ მივიდა.

ეს არის ყველაფერი, რაც შავი ყვავილის შესახებ ვიცით. თუ კიდევ რამეს გავიგებთ, უსათუოდ შეგატყობინებთ.

საგანძურის უძვირფასესი თვალი

ერთმა კეთილმა დიასახლისმა სადღესასწაულოდ ქოსა ჯუჯასაგან ოცი კვერცხი იყიდა, შინ მიიტანა და კალათი სამზარეულოს მაგიდაზე დადგა. ვიდრე კვერცხების მოსახარშად ჭიდან წყალს ამოიღებდა, მოხდა ერთი პატარა ამბავი, რომელმაც საქმის ვითარება სრულიად შეცვალა.

გაზაფხულის დილა იყო. ღია ფანჯრიდან ჩიტი შემოფრინდა და კალათის სახელურზე დაჯდა. ფანჯრის რაფაზე მოკალათებულმა კატამ ჩიტი შენიშნა, გაინაბა და ისკუპა, მაგრამ... ჩიტი გაფრინდა, კატა კი კალათიანად ძირს გადმოვარდა და იქვე წყლით სავსე როფში ჩავარდა.

დიასახლისმა შეჰკივლა, გაწუწულმა კატამ ჩხავილით თავს უშველა და სირცხვილს საკუჭნაოში დაემალა.

იმავე წუთს გაოგნებული დიასახლისის თვალწინ როფიდან ამოცურდა ოცი მშვენიერი პატარა გედი, ყველამ სათითაოდ ფრთა გაშალა და ღია ფანჯარაში ისარივით გაფრინდა.

— ნეტავი, საით მიფრინავენ თეთრი გედები? მათი გზა ზღისკენ მიდის თუ ცისფერი ტბისკენო? — იკითხა მეფის ასულმა და მშვენიერი თვალები ჭაბუკ სარდალს მიაპყრო.

— თუ მართლა გულით გინდა გაიგო, საით მიფრინავს

ოცი თეთრი გედი, მაგას მე შეგიტყობ, მეფის ასულო! — ოოკრძალებით მიუგო სარდალმა.

მეფის ასულმა კვლავ შეხედა თავაზიან სარდალს, მზეჭაბუკივით პირმშვენიერსა და ამირანივით ახოვანს, მადლობის ნიშნად გაუღიმა და უთხრა:

— თუ შენ ამას ნამდვილად გამოგებ, სარდალო, სიტყვას გაძლევ, მამაჩემის საგანძურიდან ყველაზე უძვირფასეს თვალს ვიღებ საჩუქრადო.

ჭაბუკმა მეფის ასულს თავი დაუკრა, თავის ყორანა მეერანს მოასტა და ქვით გააქროლა, საითაც გედები მიფრინავდნენ.

გედებმა გადაიქროლეს მთები, ველები და ტყეები, ჭაბუკი მხედარი მათ კვალდაკვალ მიჰყვებოდა. ერთ ტრიალ მინდორზე მშვენიერი ცისფერი ტბა ლივლივებდა. შუადღე იყო და ოცი გედი ცისფერ ტბაში ჩაეშვა. ჭაბუკი ცხენიდან ჩამოხტა და ტბის ნაპირზე მწვანე ლერწმებში დაიმალა. შუა ტბაში ბოლის ხომალდივით ირხეოდა ბებერი გედი, მის გარშემო თეთრი მარმაშივით განლაგდა ოცივე გედი. ბებერმა გედმა თავი ასწია და დაიწყო თავისი უკანასკნელი სიმღერა. ტკბილი იყო მისი ხმა, გულსაკლავი იყო მისი სიტყვები.

მე ვიძირები ცისფერ ტალღებში,
როგორც ასი წლის მაშვრალი გემი;
მაშ, მოისმინეთ, ჩემო შვილებო,
უკანასკნელი სიმღერა ჩემი!

ასი წელია, რაც პირმშო შვილებს
შეარაეს და ყოდის ბატარა ქოსა.
მაშ, გისაროდეთ: გიხსნით ჭაბუკი! —
ჯუშინ ბალარეს მე მისი მოსვლა.

მე ვიძირები
ცისფერ ტალღებში,
ვერ ვინავარდებ
ზეცის თაღებში,

მაგრამ იმედად მიმყვება ფსკერზე,
რომ ძალას კარგავს ჯადოქრის წყველა,

და შავი კოშკის ეშმაკის ტყვეები
კვლავ ქალწულებად იქცევით ყველა.

შე ვიძირები
ცისფერ ტალღებში,
თქვენ ინავარდეთ
ხეცის თაღებში!

ამ სიმღერაში თეთრი გედი თანდათან წავიდა ფსკერისაკენ, გედიც ჩაიძირა და სიმღერაც დასრულდა.

დიდხანს დასტიროდა ოცი მშვენიერი გედი დაღუპულ დედას. მერე ოცივე აფრინდა. გედების გზა მთებსა და ხეობებში მიდიოდა. მხედარი დაიქანცა. შეღამებისას გამოჩნდა შავი მთა და ზედ ლანდივით მდგარი შავი კოშკი. ოცივე გედი ამ კოშკზე დაეშვა. კოშკი უფსკრულის თავზე იყო აღმართული, ოკეანის ტალღები გამეტებით ეხეთქებოდნენ გრანიტის კედლებს, მაგრამ კლდე ფოლადივით მაგარი იყო.

კოშკის გალავანთან პატარა ქოსა დადიოდა, პირიდან საპნის ბუშტებს უშვებდა და ყორანს ეთამაშებოდა.

— შენი თამაში დასრულდა, ჯუჯავ! — შესძახა ჭაბუკმა, სტყორცნა ისარი და შავი ყორანი ძირს ჩამოაგდო. განრისხებულმა ჯუჯამ კლდეს მოაგლიჯა უზარმაზარი ლოდი და დაუპატიჟებელ სტუმარს ესროლა. სარდალმა აიცდინა, ლოდი გრუხუნით უფსკრულში გადაეშვა. ვიდრე ქოსა მეორე ლოდს აიტაცებდა, ჭაბუკმა მერანი გააჭენა, ხაშინელ უფსკრულზე გადახტა და ქოსას შეუტია: გადმოხტა ცხენიდან, დასტაცა ქოსას ხელი და ზღვაში გადაისროლა. იქ ჯუჯა ზვიგენებმა დაგლიჯეს.

— ვეღარ ივაჭრებ გედის კვერცხებით! — ჩასძახა ჭაბუკმა და ლახტი ჰკრა კოშკის კარს. კარი დაიმსხვრა, გრძნეული კოშკიდან ჭინკებისა და ქაჯების რაზმი გამოვარდა. კატასავით კლანჭები ჰქონდათ, ფოცხვერივით კბილები და თხასავით რქები. სასაცილო იყო მათი გრძელი ყურები. სარდალს პირველად მოუხდა ასეთ ჯართან ბრძოლა და ძალიან გაუჭირდა. იქნებ დამარცხებულიყო კიდეც, მაგრამ კოშკის ვიწრო ეზოში უკან დასახევი გზა აღარა ჰქონდა: ციხე-სიმაგრის იქით უფსკრული იყო, უფსკრულის ძირას — ზღვა,

ზღვაში კი — იგივე ზვიგენები და ზღვის ქაჯები. ამიტომაც მტერს გაბედულად შეუტია, ქაჯებსა და ჭინკებს ისე კაფავდა, როგორც ჭინჭარს. ზოგი ხმლით გაკვეთა, ზოგი ლახტით გასრისა, ზოგსაც კუდში ხელი ჩაავლო და ზღვაში გადაისროლა. გაშმაგებით იბრძოდა. მხედარს არც ერთგული ცხენი ჩამორჩენია: კბენდა, გლეჯდა და ფლოქვებით სრეს/და უსახურ უშინდურებს. მაგრამ ჭინკებიც ჭიანჭველებივით დაესივნენ ორთავეს. მძიმედ დაჭრილ-დაკაწრულ ჭაბუკს თვალთ დაუბნელდა. უნდა წაქცეულიყო, მაგრამ გაახსენდა მშვენიერის მეფის ასული, ვისი დავალებრთაც აქ იყო წამოსული. ამან ძალა შემატა და ისევ განაგრძო მტრის ჟლეტა. მთელი ზავი ლაშქარი გაწყდა. უკანასკნელად სპილენძის ჩლიქებიანმა ქაჯმა რომ შემოუტია, ჭაბუკი ისევ შედრკა. ამ ქაჯის სხეული ფოლადმა ვერ გაჭრა. გმირს ხმალი დაუჩლუნგდა. წელში გველივით მოხრილი, საიერიშოდ გამზადებული, კბილებდაკრეჭილი, ბრჭყალებგაალმასებული ქაჯი ზავი კუდის ქნევითა და გრეხით უახლოვდებოდა სარდალს.

— ვაი, რა მახინჯია! — შეჰყვირა ვაჟმა. მისი საქმე მართლაც უიმედო ჩანდა. მაგრამ გამოსავალი მუდამ მოინახება, ოღონ ადამიანი წუწუნს ნაცვლად საქმეს მოაგვარებს. ვიდრე ქაჯი საშინელი ნახტომით მივარდებოდა, ჭაბუკმა რაღაცა მოიხაზრა.

— ქაჯების სარდალო! — შესძახა უშიშრად. — ვხედავ, დაწყრილი ხარ. მაგრამ ერთი თხოვნა მაინც შეასრულე: ჩემი სული ჭატარა შუშაშია, შუშა — კოლოფში, კოლოფი კი ხურჯინში. მაცალე მისი ამოღება, რომ თან წავიღო საიქიოში...

— ხა! ხა! ხა! — ჯოჯოხეთური ხმით გადაიხარხარა ქაჯმა. — სული! სული! სწორედ სული მესაჭიროება შენი და აბა ეგ ბინძური ხორცი! ხა-ხა-ხა! — და ქაჯი ხურჯინს მივარდა, თან ისე ხარხარებდა, რომ კლედ ირყეოდა. გამოძახილი უფსკრულში ინთქმებოდა და ურჩხულების შხეილს ეშზგავსებოდა. ყველა სულდგმული ცახცახებდა. ქაჯი კი ხარხარებდა, ხურჯინში კოლოფს დაეძებდა. ბოლოს იპოვა, გახსნა და ბოლოს შუშა ამოიღო, მაგრამ სული არსად ჩანდა: რაც არ არსებობს, რა იქნებოდა!

— აქ სული ხედ არის? — ჰკითხა ქაჯმა ჭაბუკს.

— მოშეცი, მე ამოვიღებ, — მიუგო ჭაბუკმა. — ხომ ხედავ, არ ამოდის!

— მე თვითონ ამოვიღებ! — არ დაანება ქაჯმა. — ეშმაკი ადამიანზე ძლიერია.

— ძლიერია, მაგრამ სულს ეშინია შენი, შუშიდან არ ამოვალ.

— მაშინ მე ჩავალო.

— რანაირად უნდა ჩახვიდე, როცა შუშა ასეთი პატარაა, შენ კი უზარმაზარი ხარ?

— ხა-ხა-ხა! — ცივად დაიროხროხა ავსულმა. — სულელო ადამიანო! მე ქაჯი ვარ! იცი, რა არის ქაჯი? აი, ნახე!

ამ სიტყვებზე ქაჯი დაპატარავდა, დაეგვანა ჯერ პაწია შავ ტიკინას, მერე კუდიან კოღოს და შუშაში ჩაძვრა. ჭაბუკმა ელვის სისწრაფით დაახურა შუშას საცობი და ხელში შეათამაშა. ქაჯს თავზარი დაეცა, უმალ შუშის კედლებს ეცა, მაგრამ, აბა. რას გახდებოდა?!

— რაო, გაება? — სიცილით ჰკითხა ჭაბუკმა. — აკი ახლა იძახოდი, ქაჯი ადამიანზე ძლიერიაო? ახლა საკმაო დრო გაქვს, შეგიძლია იხარხარო ათასი წელი, ოღონდ იხარხარე არა ადამიანის, არამედ ქაჯის და ეშმაკის უმწეობაზე. მე მოვკალი შავი ყორანი, ზღვაში ვისროლე ჯუჯა ქონა, გავეცალე შავი ჭინკების ლაშქარი, და როგორც ხედავ არც შენ აღმოჩნდი უძლეველი. მაშ, იხარხარე! შენი ხმა კედლებს არ ეკარება. ახლა შუშის კედლებსაც ვეღარ არ ეკარ. რა მოხდა? ხმა დაკარგე? იქნებ ზღვაში იპოვო? მაშ, გაფრინდი და შენს ქოხს გაგებინე, ქვეყნად ყველაზე ძლიერი ადამიანი ყოფილიქო!

ამ სიტყვაზე ჭაბუკმა მთელი ძალით ისროლა შუშა ოკეანის ტალღებში, თვითონ კი დაჭრილი და დაქანცული პირდაპირ მიწაზე გაიშალა და მკვდარივით დაძინა.

როცა გამოეღვიძა, გარშემო ოცი მშვენიერი ქალწული ედგა. ყველანი ტკბილად მღეროდნენ და თავს ეფლობოდნენ ოვალთ მსხვილს.

ამ დროს ზღვაზე გამოჩნდა შავი იალქნიანი ხომალდი და დინჯად მოადგა კლდოვან ნაპირებს. უეცრად გემიდან აფ-

ლინდა ოცი შავი გედი. მაინ გუნდი თავს გადაეცლო შავ ტოტებს და ძირებად ჩამოჯდა გალეკანზე. გაოცებული ჭაბუკისა და ქალიშვილების თვალწინ გედებს თანდათან გაუქრათ ფრთები და ბუმბული. კისერი დაუმოკლდათ, ფეხები დაუგრძელდათ და მოხდენილ ჭაბუკებად იქცნენ. ყველამ მადლობით დახარა თავი სარდლის წინაშე, მერე კი უამბეს თავიანთი ტანჯვით სავსე წარსულის ამბავი, მაგრამ ეს გრძელი ამბავია და მისი მოყოლით თავს აღარ შეგაწყენთ.

...ასე დაკარგა ძალა ჯადომ და ბოროტებამ ადამიანის დაუცხრომელი გულის წინაშე. სარდალმა ოცი ასული ოც ჭაბუკზე დაქორწინა, და ეს იყო მის მიერ მოპოვებული ერთი საუკეთესო გამარჯვება. ვიდრე ოცი ჭაბუკი ოც სარძლოს ზღვათა სამეფოში წაიყვანდა, ქორწილის გადახდა თვითონ სარდალმა იკისრა და ყველანი თავის ქვეყანაში მიიწვია. ორმოცი ცხენი იყიდეს და გასწიეს.

ცხრა დღე და ცხრა ღამე მიდიოდა ორმოცდაერთი მხედარი. ბოლოს, გზა დასრულდა და სასახლეც გამოჩნდა.

მეფის ასულს ამ ხნის მანძილზე ტკბილად არ უძინია. სარდლის ბედი აინაღვლებდა და წუხდა რომ ასეთი სახიფათო დავალება მისცა. ვერ აგიწერთ მის სიხარულს, როცა სარდალმა სასახლის ეზოში ორმოცი ცხენოსანი შეიყვანა.

სამ დღესა და ღამეს გაგრძელდა ქორწილი, მაგრამ ნამდვილი ქორწილი მაინც გადაუხდელი იყო.

მეოთხე დღეს დილით, ზღვათა მეფის სასახლისაკენ გამგზავრების წინ, წყნარად წამოდგა სუფრის თავში სტუმრებს შორის მჯდარი მეფის ასული და მამას მიმართა:

— ხელმწიფევ! როცა ჩვენი სარდალი გედების კვალდაკვალ გაემგზავრა, სიტყვა მიეცი, რომ, თუ ის ამ სახიფათო დავალებას შეასრულებდა, მამაჩემი სამეფო საგანძურიდან ყველაზე უკეთესს თვალს მისცემდა. სარდალმა დავალება შეასრულა. ახლა...

— ჯერი ჩემზეა! — სიტყვა ჩამოართვა მეფემ. — აირჩიოს, ჩემო ასულო, რაც ენებოს. ვფიცავ პატიოსნებას, უყოყმანოდ მივცემ.

— მეფეო! — აიღო სიტყვა სარდალმა. — მე უკვე დი-

დი ხანია არჩეული მაქვს: თქვენი საგანძურის უძვირფასესი თვალი თქვენი ასულია...

უზარმაზარი დარბაზი ჯერ გაირინდა, მერე კი ხმაურდა, და ეს ხმაური არ შეწყვეტილა კიდევ სამი დღე და ღამე. ადვილად წარმოიდგენთ, რა იქნებოდა ქორწილი, რომელშიაც ოცდაერთი მეფე და ოცდაშვიდი დედოფალი იყო! მოხუცი მეფე, რა თქმა უნდა, ძლიერ კმაყოფილი იყო თავისი ჭკვიანი და მამაცი სიძით და, მას შემდეგ, რაც შვილები ზღვათა მეფის სასახლიდან დაბრუნდნენ, ტახტიც მას დაულოცა და კვერთხიც.

ჩვენ დაგვიანწყდა დასახლები, რომელმაც ქოსა ჯუჯასგან ოცი კვერცხი იყიდა. როგორ შეიძლება მისი დავიწყება! ასეთი ზარალი ნახა და ისიც დიდხანს არაფერი იცოდა, რა ბედი ეწია მის გედებს. მაგრამ როცა ერთ მშვენიერ დღეს საჩუქრად ოცი ოქროს კვერცხი მიუტანეს, ყველაფერი გაიგო და ძლიერ კმაყოფილიც დარჩა. ახლა ის თავისი მშვენიერი გედების სასახლეში ცხოვრობს და მათი პატარებისათვის ისეთ გემრიელ კერძებს ამზადებს, რომ პირდაპირ საზღაპროა.

ცის ჩამოქცევა

(სვანური ხალხური ზღაპრის მოტივები)

გადარეულივით გარბოდა ნამძინარევი მელია. სულ ოფლად იღვრებოდა. წინ კურდღელი შემოეყარა.

— რას გარბიხარ, რა მოხდაო? — ჰკითხა.

— როგორ თუ რა მოხდა! ცა ჩამოიქცა და მიწა გაიპო. ჩქარა თავს უშველე!

— ვაიო! — შეეცხადა კურდღელმა, ყურები ზურგზე შეოწყო და მოკურცხლა. წინ ტურა შემოეყარა.

— საით, რა მოხდაო? — ჰკითხა.

— როგორ თუ რა მოხდაო! — ჭირის ოფლი მოიწმინდა კურდღელმა. — ცა ჩამოიქცა და მიწა გაიპო.

— ვინ გითხრა?

— აგერ, ამ პატიოსანმა მელიამ.

— მელია ჩემი ბიძაშვილია, ტყუილს არ იტყოდა, — თქვა ტურამ და უკან მიჰყვა. წინ მგელი შემოეყარათ.

— რა მოხდაო? — შეუღრინა ტურას.

— როგორ თუ რა მოხდა? ცა ჩამოიქცა და მიწა გაიპოო.

— ვინ გითხრა?

— კურდღელმა.

— შენ ვინღა გითხრა, კურდღელო?

— ამ პატიოსანმა მელიამ;

— შენ საიდანღა გაიგე, მელიავ?

— ჩემი საკუთარი ყურებით მოვისმინე და თვალებით დავინახე.

— მაშ, მართალი ყოფილაო! — თქვა მგელმა და კურდღელს გადახედა: სად გამექცევაო, და პირველმა თვითონ მოკურცხლა.

წინ მგელია, უკან ტურა, მერე კურდღელი და ბოლოს მელია.

წინ დათვი შემოეყარათ. საით გარბიხართო, — ჰკითხა მგელს, — რა მოხდაო?

— როგორ თუ რა მოხდა! ცა ჩამოიქცა და მიწა გაიპოო.

— ვინ გითხრა?

— ტურამ.

— შენა, ტურავ?

— კურდღელმა.

— შენა, კურდღელო?

— ამ პატიოსანმა მელიამ.

— ბუჰ! მაშ, მართალი ყოფილაო! — და დათვი ძუნძულით გაუძღვა ქარავანს.

წინ დათვია, მერე მგელი, უკან ტურა, შემდეგ კურდღელი და ბოლოს მელია.

წინ ზღარბი შემოეყარათ.

— საით, ბატონებო, რა მოხდაო? — იკითხა.

— როგორ რა, ცა ჩამოიქცა და მიწა გაიპოო!

— პირველად ვინა თქვა ეგ ამბავი?

— ამ პატიოსანმა მელიამ.

— მაშ... მთვრალი ყოფილა! — გაიცინა ზღარბმა. მხე-

ცებს ასე მოესმათ: „მართალი ყოფილაო!“ — და საბოლოოდ დაიჯერეს ცის ჩამოქცევა, რადგან ზღარბი ბრძენია და მისი სიტყვა ბეჭედია.

— გამიგონეთ, ბატონებო! — თქვა ფიქრის შემდეგ ზღარბმა. — თქვენ ირბინეთ და თავს უშველეთ, მე კი ჩემი ნემსებით მიწას ამოვკერავო.

— ბუჰ! ამოკერავს! — ჩაიბურტყუნა დათვმა. — მაშინ სკას ვიპოვიო.

— კაწ-კაწ! — გააკრაჭუნა კბილები მგელმა. — მაშინ კურდღელს შევახრამუნებო;

— ვაჰ-ვაჰ! — დაიჩხავლა ტურამ. — მაშინ ბატებს დავერევიო.

— ვაი! — დაიკვნესა კურდღელმა. — მაშინ მგელი შემჭამსო.

— მაშ, მაშ! — დაუმოწმა მელიამ. — მაშინ მგელი შეგჭამსო.

მხეცებმა ისევ მოკურცხლეს. ზღარბი კი იქვე დაგორდა და დაიძინა.

რაღა ბევრი გავაგრძელო, გზაში ნადირთა ქარავანს შეუერთდა კაჭკაჭი, ჩხიკვი, ყვავი და ხვლიკი, ფოცხვერი, შველი, მაჩვი და გველი; ძაღლი და ცხენი, დიდყურა ჩვენი... გეგონებოდათ, მთელი ცისქვეშეთი დაძრულაო. იყო ერთი ძახილი და მოძახილი. ხარი ბღაოდა, ყვავი ჩხაოდა, გველი სისინებდა, ცხენი ჭიხვინებდა, ბაყაყი ყიყინებდა, თხა კიკინებდა, ქათამში კრიახობდა, ბატი გნიასობდა, ჭრიჭინა ჭრიჭინებდა, თაგვი წწრიპინებდა, არწივი ყაშყაშებდა, ორბი ფრაშფრაშებდა, ბეღურა ჟივჟივებდა, ხვავი სივსივებდა, ღორი ღრუტუნებდა, კატა ჭრუტუნებდა, შაშვი ჭახჭახებდა, ძაღლი წკავწკავებდა, ჭოტი ჭიოდა, გოჭი ჭყიოდა... ზოგი ჩიოდა, მიწა გასკდაო, ზოგი კიოდა, გული გასკდაო! გარბოდნენ, თვალებიდან სულ ნაპერწკლები სცვიოდათ... და თან როგორ შიოდათ!

ყმაწვილებო, გაგიგონიათ ასეთი ამბავი? თუ ნადირმა დიდხანს ირბინა, თავისდა უნებურად იმავე ადგილზე მიბრუნდებაა, საიდანაც გავიდაო. ასე მოუვიდათ ამ ჩვენს ნადირებსაც. დიდხანს ირბინეს, იხვნეშეს, იტრაბახეს, სიკვდილს გავექეცითო, სიბრძნის სალაროს მივაგენითო, ქვეყნიერება შევაჯერე-

ათ და მაინც იმავე ადგილზე შემობრუნდნენ, საიდანაც უსარგებლო სირბილი დაიწყეს.

— აი, აქ მოხდა, რაც მოხდა! — თქვა მელიამ. — აქ ჩამოიქცა... ცა... აქ გასკდა მიწა და... დახე, მიწა მთელიაო!

ყველა შეკუჭდა... ყველა დაბერებულიყო ამ სირბილში... ისე დაბერებულიყვნენ, ყბებს ძლივს აბრუნებდნენ, უსაქმურებივით ბარბაცით დადიოდნენ, მაგრამ ვინ დაეძებდა! რაც მთავარია, ცოცხლები იყვნენ და მიწა მთელი იყო! არც ცა ჩამოქცეულა და არც მიწა გახეთქილა! მათი სირბილი და არსებობაც კი შეუმჩნეველი დარჩენოდა დედა-ბუნებას, რაც ყველას იტევს და ყველაფერს ითმენს. არაფერი შეცვლილა. ტყე იყო და მუხის ქვეშ ზღარბი იწვა. ნადირთა გნიასმა გამოაღვიძა, თვალები მოიფშვნიტა და თქვა:

— დილა მშვიდობისა, მაშვრალებო! რა ამბავია ქვეყანაზე?

— ქვეყნის ამბავს შენ ვინა გკითხავს? — დაიბურტყუნა დათვმა. — შენ ის გვითხარი, სადაა მიწა გაპობილიო?

— არსად, ამოვკრე!

— ყოჩაღ, ზღარბო! — გაიხარეს ნადირებმა და ისეთ გუნებაზე დადგნენ, დაღლილობა და შიმშილიც კი დავიწყეს. ასე გასინჯეთ, მგელმაც კი უარი თქვა კურდღლის შეხრამუნებაზე: გასუქდეს, სად გამექცევაო! მართლაც, სად გაექცეოდა, მიწა ამოკერილი იყო!

როცა მშიერი ნადირები მიიფანტ-მოიფანტნენ, მელიამ ზღარბი დაიპარტოხელა და ჰკითხა:

— ახლა მართალი მითხარი: დიდი იყო ნაპრალი?

— არავითარი ნაპრალი არ ყოფილა.

— მართლა? მაშ ის ცის ნატეხი რა იყო, თავზე რომ დამეცა?

— არავითარი ცის ნატეხი არ ყოფილა!

— რას ამბობ? მაშ, ცა არ ჩამოქცეულა?

— რა ცა, რის ცა! არც ჩამოქცეულა და არც ჩამომზღვლეულა! ყვავამა რკო ჩამოაგდო, ყურში მოგხვდა და გეგონა, ცა დამეცაო!

მელიას სირცხვილისაგან კუდი დაუგრძელდა.

— აი, ყმაწვილებო, ასე დააქცია რკომ ცა და გააპო მიწა.

ნადირებმა ეს თავიანთი შერცხვენა დაფარავს, მაგრამ ყბედმა ჩხიკვმა ქვეყანას მოსდო.

„ჰ ა ი ტ ი“

რომელიღაც ქვეყანაში იყო ერთი საწყალი ბერიკაცი. ერთადერთი შვილიშვილი ჰყავდა. მისთვის ცოცხლობდა, მზე მასზე ამოსდიოდა. ეს ბავშვი ისეთი ლამაზი და კეთილი იყო, რომ ცის ქვეშ მისი სადარი არ დაბადებულიყო.

ერთხელ ყმაწვილს კარში ფიჩხი შეჰქონდა. უცაბედად ზღურბლს ფეხი წამოკრა და ძირს გაიშხლართა. ჰაჰამ თვალი მოჰკრა, შეეშინდა და უნებურად წამოიძახა:

— ჰაიტ!

რა იცოდა მოხუცმა, რა განსაცდელს უმზადებდა თავის მემკვიდრეს ასეთი წამოძახილით! თურმე „ჰაიტ“ ქაჯს ერქვა და რაწამს თავისი სახელი გაიგონა, იქ გაჩნდა.

— მოხუცო, შენ დამიძახე? ჩქარა მითხარი, რა გინდა ჩემგან, ათასი საქმე მაქვსო.

მოხუცი დაიბნა. ვერც ვერაფერი მოახერხა, არც უპასუხოდ დატოვება ვარგოდა. ცივმა ოფლმა დაასხა და წაილულლუღა:

— ქვესკნელის უფალო, განვედი ჩემგან! ჩემი ყრმა წაიქცა და... — აქ ხმა ჩაუწყდა. ეშმაკის რისხვისა შეეშინდა და კილო შეიცვალა:

— ძვირფასო სტუმარო, მე მინდოდა შვილიშვილი აღსაზრდელად შენთვის მომებარებინა. იმედი მაქვს ადამიანად გამოიყვან... — და თვითონვე გაუკვირდა, ეს რამ მათქმევინაო! რა იცოდა, რომ ეშმაკმა ათქმევინა!

ასე იყო თუ ისე, მოხუცმა თავისი შვილიშვილი გასაზრდელად ქაჯს გაატანა.

ჰაიტის პირობა ასეთი იყო: ცხრა წლის შემდეგ მოხუცი ეშმაკს ქვესკნელში ესტუმრებოდა და, თუ სხვა აღსაზრდელებში გამოარჩევდა თავის შვილიშვილს, შინ დააბრუნებდა, თუ ვერა — სამუდამოდ ქვესკნელში დარჩებოდა.

ტანჯვით გაატარა მოხუცმა ეს ცხრა წელი, დღემუდამ ლო-

ცულობდა. ბოლოს, როცა დათქმული დრო გავიდა, ნაჩვენები გზით ქვესკნელში ჩავიდა, მონახა ქაჯის წვეტიან-ქონგურებიანი სახახლე და პირდაპირ ეშმაკის ბუნაგში ამოყო თავი. წინ შემოეგება უცნობი ახალგაზრდა და ასე უთხრა:

— ჩემო პაპავ! მე ვარ შენი შვილიშვილი, მაგრამ არ გაკოცებ, თორემ სამუდამოდ დავიკარგები. ფიქრი ნუ გაქვს, ქაჯმა ვერ შემცალა. ვინც ბუნებით ბოროტი არაა, იმას გულში ბოროტი სული ვერ ჩაუჯდება. ახლა ეშმაკი თავის შეგირდებს ჩაგვამწკრივებს მოედანზე. შენ ამ მწკრივს ჩამოუვალი და გახსოვდეს: ფეხებში გვიყურე. ვისაც ფეხი ოდნავ წინ წამოდგმული ექნება, შენი შვილიშვილიც ის იქნებაო.

თქვა ესა და უდარდელად გაქცა, სხვა ყმაწვილებს შეერია.

ქაჯმა მოხუცი თავაზიანად მიიღო, თან არწმუნებდა, შენი ბიჭი კარგად გავზარდე; მრავალი ხრიკი და მაქციერობა ვასწავლეო. შემდეგ გაიყვანა ერთიმეორის მსგავსი ათასი ყმაწვილი და მოედანზე ჩაამწკრივა. ყველანი იმათი ბავშვები იყვნენ, ვისაც ალაბედად წამოსცდენოდა საბედისწერო სიტყვა „ჰაიტ!“ ქაჯს მათი ბავშვები ქვესკნელში მიჰყავდა, ერთნაირ სახეს აძლევდა და, თუ ვერავინ იცნობდა, თავისთან იტოვებდა.

საკვირველი სანახავი იყო ერთი სიმაღლის, ერთმანეთის მსგავსი, ერთნაირად ჩაცმული ათასი ბავშვი. ვინ იცნობდა აქ თავის შვილს!

ჰაიტმა ნიშანი მისცა. ბავშვები სულგანაბულნი გაჩერდნენ. მოხუცმა ოსტერ ჩამოუარა მწკრივს, ვითომ ვერ სცნობდა თავის ბადიშს. ბოლოს აკანკალებული ხელი მხარზე დაადო მას, ვისაც ფეხი ოდნავ წინ წამოედგა და თქვა: ეს არისო.

ქაჯი ბრაზით აენთო. მაგრამ პირობა ვერ გატეხა, ბერიკაცს ქვესკნელიდან მოჰყავდა ქაჯის გაზრდილი ყმაწვილი.

პაპა-შვილიშვილის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ლაპარაკით რომ გული იჯერეს, ყმაწვილმა პაპას ასე უთხრა:

— გამიგონე, პაპა! ჰაიტთან ბევრი რამე ვისწავლე. რადაც მინდა, ვიქ�. შემიძლია ხარად ვიქცე. ბაზარში წამიყვანე და იმ კაცს მიმყიდე, ვინც ყველაზე მეტი ფული შემოგაძ-

ლიოს. ის მდიდარი კაცი იქნება, ღარიბის მოტყუება არ მინდა. ჩვენც ხომ ღარიბები ვართ! ოღონდ გახსოვდეს, არ მიმყიდო ისეთ კაცს, რომელსაც წინა ქვედა კბილი ოქროს თენგს უგავსო.

თქვა ესაა თუ არა, მშვენიერ ხარად იქცა. ბერიკაცმა თოკი მოაბა და ბაზარში წაიყვანა. ერთი უხამსი კაცი შეეგაჭრა, ათასი ოქრო შეაძლია. შეხედა ბერიკაცმა, წინა ქვედა კბილი ოქროსი ჰქონდა, თენგს უგავდა.

— ხარს არ ვყიდი, ეს არის თვითონ ვიყიდეო, — უთხრა სწრაფად ბერიკაცმა და ჩამოშორდა.

სამჯერ შეეგაჭრა ეს ოქროსკბილიანი კაცი — სინამდვილეში ჰაიტი — და სამჯერვე უარი მიიღო. ბოლოს ხარი ერთმა ლიპიანმა ვაჭარმა იყიდა. მოხუცებულმა ფული გამოართვა და შინ გასწია. გზაში ბიჭი წამოეწია და ბევრი აცინა: თურმე ვაჭარმა დუქნის კარზე დაბა ხარი და თვითონ დუქანში შევიდა დანის გამოსატანად. როცა გამოვიდა, კარზე თოკიღა დახვდა, ხარი აღარსად იყო. გაოცებისაგან ვაჭარს დანა ხელიდან დაუვარდა და ფეხში ჩაესო. ყმაწვილს გაეცინა.

— ხარი ხომ არ გინახავს, ბიჭო? — ჰკითხა ვაჭარმა.

— რა ხარი?

— ახლა აქ ება. შენ მოიპარავდი!

— მე რას მედავები, ხარს ჯიბეში ხომ არ ჩავისვამდიო, — უთხრა ბიჭმა და წამოვიდა.

კარგა ხანს ცხოვრობდნენ უდარდელად პაპა და შვილიშვილი. წოგნები იყიდეს და ქვეყნის ამბებს კითხულობდნენ. ბოლოს, ფული რომ ისევ შემოაკლდათ, ყმაწვილმა პაპა ისევ გააფრთხილა, ოქროსკბილიან კაცს არ მიმყიდიო, და ცხვრად იქცა. მოხუცს ისევ ის ეშმაკი შეეგაჭრა. მოხუცმა განგებ ას ოქროდ დაუფასა.

— ძვირია! — თქვა ცბიერმა ჰაიტმა და მერე თითქოს მოლბა: — ჰო, კარგი, ჯანი გავარდეს, მოგცემ ას ოქროს, ძალიან მჭირდება ცხვარიო!

მოხუცი შეშფოთდა.

— გეხუმრე, თორემ ათას ოქროდაც არ გავყიდიო, — და გზა განაგრძო.

— მოგცემ ათას ოქროს, — მიყდევდა ჰაიტი, ჭაბრამ პატრონმა ცივად მოიშორა: ცხვარს არ ვყიდი, რას ჩამომეკიდეო!

აქ კი ჩამოშორდა, მაგრამ ქაჯი, აბა, რისი ქაჯია, თუ ერთ საწყალ ბერიკაცს ვერ მოატყუებს! ერთი ვაჭარი მოისყიდა: ესი ოქრო მიეცი, ესაც მე შენ მოგცემო და ასე ჩაიგდო ხელში ცხვარი.

მიჰყავს ჰაიტს თავისი მოწაფე, მდინარის პირას ჩაიყვანა, ფეხები შეუბორკა და დასაკლავად დანა ამოიღო.

უეცრად ცხვარი შეფართხალდა, კალმახად იქცა და მდინარეში შესრიალდა. ქაჯმაც გველის სახე მიიღო და კალმახს დაედევნა. ის იყო უნდა დასწეოდა, რომ კალმახი ამოსრიალდა, მტრედად იქცა და ჰაერში შეინავარდა. იმავე წამს გველმაც მიატოვა ტალღები, მინინოდ იქცა და მტრედს დაედევნა. მტრედი დაბლა დაეშვა, ირმის სახე მიიღო და უკვე ვეღარ გარბოდა, უკან კი გველი — ჰაიტი მისდევდა. გარბის ირემი, მისდევს ლეგა მგელი. ქანცგაწყვეტილი ირემი ერთ სახლში შევარდა და მკერავი ქალის კალთაში ჩაეშვა. პირდაღებული მგელი სწვდა ირემს და ნემსი კი ეჩხვლიტა დრუნჩში: ირემი ნემსად იქცა. მაშინ მგელმა ძაფის სახე მიიღო და ნემსზე წამოეგო. გასრიალდა ნემსი ქალის ხელიდან და ცეცხლში გადაეშვა. ავარდა ალი — დაიწვა ძაფი, ქაჯი ჰაიტი. ნემსი კვლავ გამოცურდა ცეცხლიდან, მშვენიერი ჭაბუკის სახე მიიღო და მშვენიერ მკერავ ქალს გადაეხვია. იმავე დღეს ამ სახლში ქორწილი გადაიხადეს.

ეს იყო ბედნიერება. მაგრამ ჯერ სადა ხართ! ნამდვილი ბედნიერება მაშინ უნდა გენახათ, როცა ჭაბუკმა ქვესკნელიდან ამოიყვანა თავისი ათასი ამხანაგი და მშობელთა კალთას დაუბრუნა!

ზარმაცას თავგადასავალი

ზაფხულის ცხელი დღე იყო. ყანის განაპირას უზარმაზარი წიფლის ქვეშ ზარმაცა იწვა და ცას გასცქეროდა. სახელიც ჰქონდა, კეხვსა-კაცი ერქვა, მაგრამ ყველა ზარმაცას

ეძახდა, რადგან უქმად ყოფნაში ტოლი არა ჰყავდა. ჰოდა, იმას ვაბობდით, ზარმაცი კეხვსა-კაცი იწვა და ოცნებობდა. თუ ზარმაცი იყო, ყანაში ვინ წაიყვანაო, იტყვით? ვინა და ცოლმა! არ მოასვენა, სიმინდი ბალახმა დაჩაგრა, თოხნაში მომეშველო! ზარმაცამ იფიქრა, ძილი იქაც კი შეიძლებაო და ხვნეშით წამოდგა. ერთი დაამთქნარა, თოხი აიღო და ცოლს მიჰყვა. თვალს არ აშორებდა, რადგან ყანის გზა დავიწყებული ჰქონდა. ყანა შორს იყო და კეხვსა-კაცმა მთელი გზა ფეხით გაიარა. რაღა თქმა უნდა, ესეც საკმაო შრომად ჩათვალა და თოხნაზე მაინცდამაინც თავი არ შეუწუხებია: ცოტა მოჩიჩქნა, მერე მიანება თავი და ჩრდილში წამოწვა, თავქვეშ თოხი ამოიდო და მოჰყვა ოცნებას იმაზე, თუ როგორ არის აგებული სამყარო.

უეცრად სივრცეში გამოჩნდა მტრედი, რომელიც ისარივით სწრაფად ახლოვდებოდა. აჩქარების მიზეზიც ჰქონდა: მიმინო მოსდევდა. როცა წიფელას გაუსწორდნენ, ზარმაცამ მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა, წამოდგა, დასტაცა ხელი თავის თოხს და ჰაერში შეისროლა. რაღაც სასწაულით თოხი მტაცებელს მოხვდა და თავი გაუტეხა. სწორედ ღირსიც იყო: ასეთი ბრძნული ფიქრები დაუფრთხო მამაც მაშვრალ კაცს, ხუმრობა საქმე ხომ არ არის!

ზარმაცამ მიმინო ბალახში გადაისროლა, თოხი ისევ ბალიშივით ამოიდო და თავი ოცნებას მისცა: არ იყო ამაყი კაცი, საგმირო საქმეებს იშვიათად ახდენდა, მაგრამ როცა ახდენდა, მაშინაც მათ განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ აძლევდა. მტრედი სულ გადაავიწყდა. უეცრად წიფლის ტოტებიდან ღუღუნი მოესმა:

— მისმინე, მამაცო კაცო! მტრედი გელაპარაკები. შენ რომ არ ყოფილიყავი, მტაცებელი დამგლეჯდა. მადლობის ნიშნად სამ სურვილს შეგისრულებ. ისურვე, რა გინდაო!

ზარმაცა ჭკვიანი კაცი იყო, დაუფიქრებლად პასუხს არავის გასცემდა. ახლაც ერთბაშად კი არ გამოთქვა თავისი სურვილები, თავდაჭერილობა გამოიჩინა და მტრედს ასე უთხრა:

— რაკი უმადური არ ყოფილხარ, ცოტაც დამაცადე, ახლა მეძინება. ხვალამდე ჩემს სურვილებს მოვიფიქრებ და მოგახსენებო.

— შენი ნებაა, — მიუგო მტრედმა, — მაგრამ მე ცხრა ამთას იქით ბაბილონი პარტყები ძელოდებიან, უნდა გავფრინდე. შენ იფიქრე თუნდაც მთელი თვე, მერმე ისურვე, ნატვრა უჩემოდაც აგიხდება. ოღონდ არ დაგავიწყდეს, რომ მხოლოდ სამი სურვილი შეგისრულდებაო.

თქვა ეს და გაფრინდა.

ზარმაცამ ცოტა ხნით გადაჭდო სამყაროს წყობაზე ფიქრი და ახალი თავსატეხის გადაჭრას შეუდგა, თან ბუზებს ხელით იგერიებდა, რადგან ტოტის მოტეხვა ეზარებოდა.

— რა უნდა ვინატრო? სიმდიდრე? ოჰ, ეს წყეული ბუზები!.. ოქრო-ვერცხლი? ამბობენ, ამას დიდი ბედნიერების ნაცვლად დიდი უბედურება მოაქვსო. მართლაც, მე დამჭირდება ამდენი ფულის დათვლა, სახლის აშენება... უჰ, რა მაღალი კიბეები ექნება! მე კი ამოდენა კიბეებზე ალმა-დალმა უნდა ვიარო! არა, არ მინდა სიმდიდრე! მეფობა რომ იყოს? მაშინ დილაობით ადრე უნდა ადგე, მთხოვნელები მიიღო, ლაშქარს უნდა გაუძღვე... ეჰ, სადა მაქვს ამდენი დავიდარაბის თავი! ლამაზი ქალი? რა საკვირველია, ცოლი მომკლავს!.. ოჰ, ეს ბუზები! მომკლეს ამ ბუზებმა! დაიწყებ წუთისოფელზე ფიქრს, მოფრინდებიან, თავს გეხვევიან, ერთი სიტყვით, არ დაგაცლიან ოცნებას. ახლაც, ასეთ ბაღალ აზრებში ვარ ჩაფლული, და ისინი ცხვირზე მაჯდებიან... ეაცა! რა აზრმა გამიელვა თავში! ეე და ჩემმა ღმერთმა, კარგი იქნებოდა, რომ ქვეყნად ბუზი არ ყოფილიყო! მოდი, ერთი ნატვრა ეს იყოს! ორი ნატვრა ხომ კიდევ დამრჩა! ცოლს ვეტყვი: ორი ნატვრა მქონდა-მეთქი... მტრედო! გაწყვიტე ბუზების სინსილა! ეს ორის ჩემი სურვილი.

როგორა გგონიათ, რა მოხდა? ვერც კი მოასწრო ბოლო სიტყვის თქმა, რომ ბუზები თითქოს მიწამ ჩაყლაპა. აღარც ერთი ბუზი არ იყო. თავის სიცოცხლეში პირველად დაეძინა ჩრდილში ზარმაცას. მოსვენებით და ისეთი სიზმრები ნახა, რომ ყველა მათგანი თითო სამეფოდ ღირდა.

გამოეღვიძა და შიმშილმა შეაწუხა. ცოლი ყანაში აღარ იყო. უკმაყოფილო მეუღლემ ზარმაცი ქმარი უმწეოდ მიატოვა, შინ წავიდა და სადილიც კი არ მოუტანა! კაცი ხედავს: გარშემო აუარებელი მარწყვია, თითქოს ზურმუხტის

მოლზე ლალის კენჭები დაუყრიათო, მაგრამ მოსაკრეფად ფეხსე ადგომა ეზარება.

— აჰ, რა კარგი იქნებოდა, რომ ახლა ერთი ჯამი ლობიო, ცხელი მჭადი და დოქი ღვინო მქონოდა! — წამოიძახა კეხვსა-კაცმა. — რა კარგი იქნებოდა, სანამ ვისადილებდე, ეს მარწყვი თავისით მოკრეფილიყო და კალათით ჩემ წინ გაჩენილიყო!

დაამთავრა და თან უნებურად სიხარულით შესძახა:

— ნატვრა! მე კიდევ ორი ნატვრა უნდა ამისრულდეს! ცოლსა ჰგონია, აქ შიმშილით მოეცვდები, მაგრამ ზარმაცას თავისი ჭკუა არასად დაღუპავს! მაშ ასე, მტრედო, მომიტანე ლობიო და მჭადი, დამიკრიფე მარწყვი და კარგად შემინახე მესამე ნატვრა!

ამას კეხვსა-კაცი თვალდახუჭული ამბობდა, რადგან ცაში ყურებამ თვალები ატკინა. რომ ინატრა და თვალები გაახილა, რა ნახა? ზედ ცხვირწინ, მიწაზე, სურნელოვანი ლობიოთი სავსე დიდი ბადია იდგა, საუცხოო მწვანილით შეკაზმული და მარჯვედ ამოზელილი. ლობიოს და ცხელ მჭადს ორთქლი ასდიოდათ. ზარმაცა ისეთ მადაზე მოვიდა, რომ საჭმელად ხელის გაწვდრევა სრულიად არ დაზარებია. ღვინოც მიირთვა. გემრიელად რომ ისადილა, ახლა მის წინ მარწყვით სავსე კალათი ნახა. ესეც დააცარიელა.

ნასადილევს ზარმაცა ისევ გაიშხლართა მოლზე და მალე ხვრინვა ამოუშვა. როცა გამოეღვიძა, მზე უკვე ჩასული იყო. გარშემო არავინ ჩანდა და ჩვენს გმირს, ცოტა არ იყოს, შეეშინდა: ვაითუ სადმე დევი გამოჩნდესო! მართლაც დევები ძალიან განაწყენებული იყვნენ მისი ოინებით, და თუ სადმე მოახელთებდნენ, არ დაინდობდნენ.

კეხვსა-კაცს ძლიერ მოუნდა შინ ყოფნა, მაგრამ წამოდგომა და წასვლა ეზარებოდა, ხის ქვეშ ღამის გათევა კიდევ სახიფათო იყო. ეს ხევი ხომ დევებით იყო სავსე! იფიქრა, იფიქრა და ბოლოს წმოიძახა:

— ნატვრა! მე ხომ კიდევ დამრჩა ერთი ნატვრა? მტრედო, შენს დალხინებას, შენი სიკეთით ისედაც ყელამდე ვარ! ბარემ ერთი შინაც მიმიყვანე და სხვა სანატრელი არაფერი მაქვს! ახლა ცოლი ალბათ ვახშამს ამზადებს და კერასთან ისე ვივახ-

შმებ, შენი მოწონებული! რა სჯობია შენს ჭერქვეშ ყოფნას! რაღა ბევრი გაეგრძელო, მადლი ჭქენი და მარილიც მოაყარეო!

ვერც კი მოასწრო ფიქრიდან გამორკვევა, რომ ჩვენი ზარმაცა უკვე შინ გაჩნდა და მაშინვე ცოლს მიაძახა:

— ჩემო მეუღლეკ! გეგონა, უშენოდ შიშითა და შიმშილით ფეხებს გავჭიმავდი? ნურას უკაცრავად, შიშსაც გადავრჩი და შიმშილსაც! შენ იმისი ჯავრი ნუ გექნება, კეხვსა-კაცს თავისი ჭკუა არსად დაღუპავს!

ნატვრაზე კი კრინტიც არ დაუძრავს. ძლიერ კმაყოფილი იყო იმით, რაც ინატრა, მეტადრე ბუზების გაწყვეტით. მართლაც, იმ დღიდან ცხრა წელიწადი ბუზი არავის აწუხებდა, მაგრამ ერთი ბუზი დარჩენილიყო რაღაც მარცხად სპილოს ყურში. ცხრა წლის შემდეგ გაიღვიძა, გამოფრინდა და ბუზები ისევ გაამრავლა, რადგანაც ბუზების მეფე იყო. ამ ცხრა წლის მანძილზე კეხვსა-კაცს ბევრი ხიფათი გადახდა, მაგრამ ამის შესახებ სხვა დროს გიამბობთ.

ნატვრის ამბავს გულმოდგინედ მალავდა, მაგრამ გულში ნანობდა, მფრინავი ხალიჩა რატომ არ ვინატრეო! რად უნდოდა ხალიჩა? ცოლი რომ ბუზღუნს დაუწყებდა, აფრინდებოდა და ჰაერში დაიძინებდა. ამიტომ კეხვსა-კაცი მუდამ მაღლა იყურებოდა, იქნებ მტრედი კიდევ გამოჩნდესო, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ!

კეხვსა-კაცი მტრედს დღესაც ელოდება.

მხატვარი მელა

მხატვარი ტყეში სურათს ხატავდა. შორიდან მელია უთვალთვალებდა. დიდი ხანია მხატვრობაზე ოცნებობდა, მაგრამ საღებავები არა ჰქონდა. ოსტატმა დახატა სურათი, აკრიფა საღებავები, აიღო თოფი და წავიდა. მელია კვალდაკვალ დაედევნა. მხატვარი წყაროსთან ჩამოჯდა, თოფი მოსინჯა, ჩანთა გვერდით დაიდო, წყალი დალია, წამოწვა და დაიძინა. მელია მიეპარა, ჩანთას კბილები ჩაავლო და ტყისაკენ გაექანა, ნახეთ, როგორ გარბის! აი, სამშვიდობოს გავიდა, საღებავე-

ბი ამოალაგა, ფუნჯი თათებით დაიჭირა, ცვარ-ნამით დაასველა და მკერდზე გაისვა. მალე მის ფაფუკ, თეთრ გულზე ცისფერი ხაზები გაჩნდა, ასევე დიდი გემოვნებით შეიღება ფეხები, გვერდები, კუდი, სახე და ზურგი, სადაც ფუნჯის მაგიერ კუდი იხმარა, მაშ, რაზე ეხატა? ან ტილო სადა ჰქონდა, ან დაფა?

ასე გახდა მელია მხატვარი, ახალი ხელობა ძალიან გამოადგა.

ჯერ სარკეში ჩაიხედა, ესე იგი — წყაროს კამკამა წყალში, და თავისი თავი ძლიერ მოეწონა. უკანა თათებზე დადგა, ულვაშები შეისწორა, გზას გაუდგა და თავისი საყვარელი სიმღერა შემოსძახა. ჰანგის შერჩევაზე ბევრი არ უფიქრია, რადგან მხოლოდ ეს ერთი სიმღერა იცოდა:

ჩიტო-ჩიტო, მზეწვია,
ხტუმარი რომ გეწვია,
საჩუქარი სად არი,
ბარგალიტის სადაური?

კბილები მაქეს ბროლისა,
თვალებია — ღადარი...
ვინ იქნება, ჩიორავ,
ჩემისთანა მხატვარი?

ზენ რომ ბუდე დაწანი,
ჩამოშალე — ჩემია!
შიგ ბარტყები რაც არი,
ვიდმოყარე — ჩემია!

მელიას წვრილი და გამკივანი ხმა მთელს ულრან ტყეს ედებოდა. ჩიტები შიშით ცახცახებდნენ, მაჩვები და ზღარბები ბუზღუნებდნენ — ძილს არ გვაცლისო, დათუნია კი, რომელიც თავის კალათში მაყვალს კრეფდა, უშიშრად მივიდა მელიასთან და ჰკითხა:

— მელაკუდავ, ასეთი სიმღერა სად ისწავლეო?

— დედაჩემმა მასწავლაო.

— დედაშენს ვინ ასწავლაო?

— ჩემმა დიდედამო.

დათვს კიდევ უნდოდა ეკითხა — შენს დიდედას ვინღა

ასწავლაო, მაგრამ სიტყვა ენაზე შეაშრა: სიმღერით მოხიბ-ლულმა მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ მელია საოცრად ჭრელია.

— ასე რამ აგაჭრელა, მელიავ? — ჰკითხა გაკვირვებულ-მა დათვმა.

— ერთმა ჭკვიანმა კაცმა, რომელსაც, წყაროსთან სძინავს.

— მეც მინდა მასეთი ჭრელი ვიყო!

— სულელო დათვო! ვის არ უნდა ასეთი ჭრელი იყოს, მაგრამ ვეფხვის გარდა ამას ვერავინ ახერხებს.

— ოჰ, როგორ მინდა მასეთი ჭრელი ვიყო! — ბურტყუ-ნებდა დათვი.

— რას მომცემ, რომ შენც აგაჭრელო? — ჰკითხა მელი-ამ.

— ამ კალათას მოგცემ. ხომ ხედავ, მაყვლითაა სავსე.

— მაყვალი რა კაცის საქმეა! მაგრამ რა გაეწყობა, დადგი აქ ეს კალათი და მომყევით.

მელია ამაყად გაუძღვა წყაროსკენ, შორიდან აჩვენა მძინა-რე მხატვარი და უთხრა:

— ჩუმად მიდი, შორიახლო ჩამოჯექი და უცადე. როცა გაიღვიძებს, შენებურად დაიბურტყუნე:

გამომგზავნა ქალბატონმა მელიამ.
ინდა ვიყო შენც მასავით ჭრელია.

მხატვარს კიდევ კარგა ხანს ეძინა. ბოლოს გაიღვიძა, მიი-ხედ-მოიხედა, მაგრამ ჩანთა გვერდით აღარ ედო. იქვე კი დათვი იჯდა და ბენგალურ ენაზე რაღაცას ბურტყუნებდა. მხატვარმა ეს ენა არ იცოდა და რას გაიგებდა. გადმოიღო თოფი და დაუმიზნა. დათვს ეგონა, მაჭრელებსო და ადგილი-დან არ დაიძრა. თოფმა დაიპენა. მხატვარი ცუდი მსროლე-ლი აღმოჩნდა, ტყვია დათვს ფეხში მოხვდა, შეპყვირა და მხა-ტვარს ზურგი აქცია. ვიდრე ის კოჭლობით ტყეში მიძუნძულ-ებდა, მელია მაყვლით გამოძღა და არხეინად განაგრძო სეირნობა.

უეცრად წინ ტურა შემოეყარა. პირში მამალი ეჭირა. შე-ჩერდა და შეუჩხაველა:

— ვინ აგაჭრელა, ჩემო ნათლიდედავ?

— დათვმა თათიამ. სამ წელიწადს სწავლობდა ამ ხელობას ფლანდრიელ ოსტატებთან.

— მეც მინდა მასეთი ჭრელი ვიყო! — დაიჩხავლა ტურამ.

— სულელო ტურავ! ვის არ უნდა ასეთი ჭრელი იყოს. მაგრამ ყველა კი ვერ ახერხებს ამას! — გაიცინა მელამ. თავი მიიბრუნა და გზა განაგრძო: ვითომ და შენთან ლაპარაკს მოვრჩი.

ტურამ მოუსვენრად ცმუკვა დაიწყო:

— ჩქარა ამაჭრელე, ნათლიდედავ!

— მერე რას მოიცემო? — ჰკითხა მელიამ.

— მამლის ნახევარსო.

„მაშ, მეორე ნახევრისათვის მე ვიზრუნებ“, — გაიფიქრა მელიამ, ხმამაღლა კი ასე თქვა:

— მომყევი, ოსტატთან მიგიყვანო.

მელიამ ტურა მიიყვანა დაჭრილი დათვის ბუნაგთან და დაარიგა:

— მიდი, ბუნაგში შეიხედე და 'მენებურად დაიჩხავლე:

დათვო, დათვო, დათუჩაო!
ხარ სულელი და ტურაო!
მინდა ვიყო ჭრელია.
როგორც სვინა მელია!

ტურამ ვერც მოასწრო ამ ლექსის ბოლომდე ჩაბულბულება, რომ დაჭრილი და გაბოროტებული დათვი ბუნაგიდან გამოვარდა, ჰკრა თათი მჩხავანა აბეზარს და ორმოში გადაგდო.

ვიდრე ტურა ამოვიდოდა, მელიამ მოიტაცა მამალი და მოჰკურცხლა. კვალის დასაკარგავად ჯერ წყალდაწყალ იარა, მერე ნაპირზე გავიდა და გემრიელად ისადილა. მხოლოდ ეს იყო ცუდი, რომ ჯერ მაყვალი ჭამა, მერე კი სადილი, მაგრამ ნადირთათვის სულერთია, — რასაც იშოვიან, იმას შეექცევიან.

ასე დადიოდა ტყეში მხატვარი მელია და აჭრელებდა ნადირებს. სამ დღეში საგრძნობლად გასუქდა. ვინც კი შეხვდა, ყველამ შენიშნა: „სად ირეკებდი და რამ გაგასუქაო?“ —

ეკითხებოდნენ. „სალებავებს ვისვამდი და გავსუქდიო“, — ბოკლად მოუპრიდა მელია, რომ თავის სიცოცხლეში ერთხელ მაინც ეთქვა სიმართლე, და ისიც ორაზროვანი: მართლაც სალებავების წყალობით გასუქდა.

უეცრად წინ მგელი შემოეყარა. ეს ამბავი მეოთხე დღეს მოხდა. მელია ძლივს მიაგორებდა თავის მსუქან გვერდებს და უკვე მეასედ არაკრაკებდა დაზეპირებულ სიმღერას. სწორედ იმ ადგილზე იყო მისული, სადაც ნათქვამია: „ბარტყები რომ დაზარდე, გადმოყარე, ჩემიაო“, — რომ ჩირგვებიდან სწრაფად გამოვარდა რუხი მგელი. მელიას შიშისაგან გააცივა, ჭრელ ზურგზე თითქოს ჭიანჭველებმა გადაურბინეს. მისი შიში საფუძვლიანიც იყო: მგლებს ხელოვნებისა არაფერი გაეგებათ და შეუძლიათ შეახრამუნონ თვით ისეთი მხატვარიც კი, როგორიცაა მელია.

— ჭრელო ორინბაზო! — შეუღრინა მგელმა. — მომყევი, მეფე გიბარებს! — თან ქურდულად შურით შეათვალიერა მელიის ჭრელი ქურქი. მგლებს ყველაფერი შურთ.

— ხომ არ მიწყრება კეთილი მეფე? — კნუტივით დაიკნავლა ცბიერმა მელიამ. — ან იქნებ წყალობა მელის ოსტატობისთვის?

— ამას სამსჯავრო გაარჩევს. მაინუნივით რომ აჭრელებულხარ და ნადირებს გზა-კვალს ურევ, ნეტა ვიცოდე, კიდევ რა წყალობას ელი? ხომ იცი, რომ ტყის კოდექსი სასტიკად კრძალავს ქურქის იმ ფერად შეღებვას, რაც ამა თუ იმ ნადირისათვის ბუნებას არ მიუცია?

— შენ ყანდარმი ხარ? — თავაზიანად იკითხა მელიამ.

— მე ხელმწიფის გზირი ვარ! — ამაყად მიუგო მგელმა.

მელამ ამოიოხრა: „ეს სულ ერთიაო“, გაიფიქრა, ხმამაღლა კი თქვა:

— ოჰ, რა კარგი გზირი იქნებოდი, რომ რუხი არ იყო! აჰ, რა სამწუხაროა, რომ მეფის ასეთი მამაცი შსახური ჭრელი არ არის! ნადირებს შენი ეშინიათ, გაგირბიან, ადამიანებს სალანძღავ სიტყვად გაუხდიათ „რუხი მგელი“. შენ რომ თეთრი ან თუნდაც მტრედისფერი იყო, არავინ დევნას არ დაგიწყებდა, არავინ თავს არ აგარიდებდა. ადამიანები ქოხებშიაც

კ? შეგიშვებდნენ და მწყემსებს კი, ვინ იცის, იქნება ცხვრის ფარაც... შენთვის მიენდოთო.

მგელს ამის გაგონებაზე გული გადაუტრიალდა, მის თვალებში ნაპერწკლებმა გაიელვეს. ის ვეღარც მელიას ხედავდა, ვეღარც ხეებსა და ბუჩქებს. ხედავდა მხოლოდ ცხვრებსა და თხებს — თხებსა და ცხვრებს, რომლებიც მწყემსებს მისთვის მიენდოთ.

— ოჰ, როგორ მინდა მტრედისფერი ვიყო! — შესძახა გონებადაკარგულმა მეფის გზირმა.

— ძვირფასო ბიძაჩემო! ვის არ უნდა მტრედისფერი იყოს, მაგრამ ტყის კოდექსის თანახმად... იკრძალებაო, წერია!

— მე დავხრავ ტყის კოდექსის იმ ფურცელს, სადაც ეგ წერია! — შესძახა მგელმა. მას რომ კოდექსი ხელში ჰქონოდა, მართლა დახრავდა. მგლებს არ უყვართ ყოყმანი.

— კოდექსის დახევა შეიძლება, მაგრამ კანონს ვერ დახევ! — ბრძნულად შენიშნა მელიამ. — აი, ცხრა წელი ჯსწავლობდი ფერწერის ხელოვნებას ფლანდრიის საუკეთესო ოსტატებთან, და ახლა სახრჩობელაზე მომიხდება ამისათვის პასუხისგება! მე ვიცოდი, კარგად ვიცოდი, რომ ასე მოხდებოდა, ვინმე შურიანი დამასმენდა ლომთან, და ახლა შენთან მოვიჩქაროდი; ვიფიქრე, სიკვდილამდე ბიძაჩემს მაინც ავაჭრელებ-მეთქი...

მელიას სიტყვებმა და ცრემლებმა მგელსაც კი აუჩუყეს გული.

— ჩემო კეთილო ძმისწულო! — უთხრა ნაზად, როგორც მგელს შეუძლია გამოიჩინოს. — შენ მუდამ სათნოებით აღსავსე გული გქონდა. ოჰ, ჩემი კოცნა რომ ასე სახიფათო არ იყოს, ყელში გაკოცებდი. მაგრამ ჩემს გვარს სისხლის დაულვრელად კოცნა არ შეუძლია, ამაჭრელე, ჩემო ძმისწულო და მე შენ საფლავზე მთელ ცხვარს მოგითრევ...

— ბიძაჩემო, თუ ჩემთვის სიკეთე გინდა, ახლა მომითრიე მთელი ცხვარი, საფლავზე კი ნულარ შეწუხდები: იმდენი სიკეთე მაქვს ჩადენილი, რომ საიქიოში საკვები უშენოდაც არ მომაკლდება. მე შენ ისე აგაჭრელებ, რომ საანდაზოდ დარჩეს. მეფესთან კი ხვალ წავიდეთ. აბა, გასწიე! თუ

მთელი ცხვარი არ შევჭამე, ისე ჩემს საღებავებს ძალა არ ექნება.

მგელს ცხვრის ფარამ სრულიად წაართვა გონება; ისიც კი დააკიწყდა, რომ მეფის გზირია და იმ დანაშაულს სჩადის, რისთვისაც სხვა სახრჩობელაზე აკყავს. სასწრაფოდ წაიღო ცხვრის მოსატაცებლად. ვიდრე ცხვარს მოათრევდა, მელიამ გამოიძინა კიდევაც.

მწყემსები იქვე ახლოს აძოვებდნენ ფარას და მგელმა მალე მოახერხა დაპირების შესრულება. მელიამ მისი დახმარებით საიმედო ადგილზე შეინახა ცხვარი და მგელს თავის სახელოსნოში გაუძღვა. ეს იყო მწყემსების ქოხი, რომელშიაც ჯერ კიდევ ენთო ცეცხლი. მელიამ ცეცხლში ორი რკინა ჩადო: სახნისი და შამფური, შემდეგ გამონახა თოკი და ისე შეკრა მეფის გზირი, რომ ბედშავს განძრევის საშუალებაც აღარა ჰქონოდა. ამასობაში რკინებიც ნაკვერცხლებივით გაღვივდნენ. გამოიღო სახნისის რკინა და გააყოლა ზურგზე. მგელმა ტკივილისაგან დაიღრინა, მაგრამ ოსტატი ულმობელი იყო. სახნისის რკინა რომ გაცივდა, ახლა შამფური გამოიღო და ამ გავარვარებულ ფუნჯით დაწყო მგლის ტყავზე ხატვა, თანაც ძალიან უფრთხილდებოდა, რომ თოკი არ დაეწვა და მგელს თავი არ აეშვა.

მგელი ღმუოდა, მელა ამშვიდებდა:

— ჭერს უცქირე. ჭერს! ნუ იღრინები, თორემ მტრედისფერი კი არა, შავი გამოხვალ და ცხვარი არ მოგეკარებაო!

როცა ხატვა მოსწყინდა, მიატოვა დატრუსული მგელი, წავიდა, საღებავები გულმოდგინედ ჩამოირეცხა და მეფეს ეახლა. სასახლის ანუ ბუნაგის ახლოს იმდენი ირბინა, რომ ოფლად დაიღვარა, მერე ასე დაღლილ-დაქანცული ბუნაგში შეიარდა და ლომს კალთაში ჩაუვარდა.

— დიდო მეფეო! საშინელი ამბავი მოხდა! ტყის კოდექსი დაარღვიეს! ის არამზადა შეთოკილი მომყავდა, მაგრამ გაიქცა. უჰ, სასწრაფოდ უბრძანე შენს მაიმუნებს ჩემთვის სახრჩობელა აღმართონ, ჩემი დოყლაპიობით მე ეს დავიმსახურე...

— დამშვიდდი, ჩემო ქვეშევრდომო და დალაგებით მითხარი, რა მოხდა! — წამოიძახა მეფემ.

— თქვენო უდიდებულესობავ! — შეკბღავლა მელამ. — ერთმა მაწასწალა მელიამ ჩემი გვარის სამარცხვინოდ და თავის სავალალოდ ფლანდრიულ სკოლაში ხატვა ისწავლა. დადიოდა ტყეში და მხეცებს ატყუებდა. დღეს შუადღისას მან ოინბაზობით შეკრა თქვენი უდიდებულესობის გზირი — რუხი მგელი, შანთით დატრუსა, თან ისეთი სისასტიკე გამოიჩინა, რომ ადამიანთა ბინაში მ ატივა. დიდი ბრძოლით მე მოვასერხე ოინბაზის შეთოკვა, ბაგრამ გზაში ჯადოქრობა იხმარა და გამექცა. აი თოკის ნაგლეჯები...

— დამშვიდდი! შორს ვერ გამექცევა! შენ კი ერთგულებისათვის ჩემი სამეფო სპილოს წინამძღოლად განიშნავ. ამიერიდან სპილოს ზურგზე იქნება შენი სახლი.

ასე გახდა მხატვარი მელია სპილოს ორდენის კავალერი. დატრუსული მგელი, რომელსაც მწყემსებმაც სცემეს და სიკვდილს რაღაც სასწაულით გადაურჩა, ისევ გამწარებული, რომ დღესაც იკბინება. მელია კი ამაყად ზის კოშკისოდენა სპილოზე და თავის მაღალ მდგომარეობასაც ოსტატურად იყენებს. ტყეში რომ სალაშქროდ მიდის, ხეებზე ქექავს ბუდეებს, რომელთაც უწინ ვერ სწვდებოდა. ახრამუნებს ქორფა ბარტყებს და თან ძველებურად მღერის:

ჩიტო-ჩიტო, ჩიორაო!
შავი შაშვი ჩიოდაო...

ჭრელი მელია-მხატვარი კი იმ დღიდან ტყეში არავის უნახავს. მხეცები ამბობდნენ, რომელიღაც კუნძულზე ბერად აღიკვეცაო. ერთმა თქვა, სხვა ქვეყანაში გაიხიზნაო. — მგონი, ჩინეთში თუ იაპონიაში, — შესაძლოა ეს ამბავი ჩვენც დაგვეჯერებინა, რომ საკუთარი თვალით არ გვენახა სპილოს ზურგზე დასკუპებული მელია.

რანკეს სარკე

იყო ვინმე რანკე. თავისთავად თვითონ არაფერით არ იყო შესანიშნავი, გარდა იმისა, რომ რანკე ერქვა. სამაგიეროდ, შესანიშნავი იყო მისი სარკე. უბრალო სარკე არ გეგონოთ:

მასში არეკლილი საგანი, მოჩვენებით კი არა, ნამდვილად ორ-
დებოდა. აი, ვთქვათ დგას თქვენ წინ მაგიდაზე რანკეს სარ-
კე. დაუშვათ, რომ მის წინ დავდგით ოქროს თასი. სარკეში
გამოჩნდა მეორე, სრულიად ისეთივე თასი. გაიხედავ, მაგი-
დაზე მართლა დგას მეორე თასი — ნამდვილი ოქროს თასი,
შეიძლება ხელით შეეხო, აიღო, კიდეც გაყიდო, შეგიძლია, შიგ
ღვინოც კი ჩაასხა, ერთი წვეთიც არ დაიკარგება.

დარწმუნდებით, რომ ამ სარკის მფლობელი შეიძლებოდა
უსაზღვროდ გამდიდრებული ყოფილიყო, მაგრამ რანკე ამ გზით არ წა-
ვიდა, რადგან ჭკვიანი კაცი იყო და ფიქრობდა, რომ უშრომ-
ლად შეძენილი დიდი სიმდიდრე ზოგჯერ დამღუპველია. მას
უნდოდა პატიოსანი შრომით ეცხოვრა და ერჩინა ცოლ-შვილი.
ამიტომ სარკეს საიდუმლო უჯრაში ინახავდა, ადრე დილით
მიდიოდა სახელოსნოში, რადგანაც ოქრომჭედელი იყო, და
შეღამებისას ბრუნდებოდა თავის ბინაში, რაც არაფრით არ
ჯობდა სხვა ოქრომჭედლების ბინას. სამაგიეროდ, რანკეს ცო-
ლი სჯობდა სილამაზით ყველა ოქრომჭედლის ცოლს, რომ-
ლებიც კი ქალაქში ცხოვრობდნენ. რანკე ამითაც კმაყოფილი
იყო, მაგრამ ცოლმა კიდევ მეტი მოინდომა. მას უნდოდა ყვე-
ლაზე ლამაზი და მდიდარიც ყოფილიყო.

ერთხელ ქმარმა ლამაზი საყურეები მოუტანა. საყურეები
ოქროსი იყო, ნამდვილი ოქროსი. ორივე საყურეში ჩასმული
იყო თითო ბრილიანტი, ისიც, რა თქმა უნდა, ნამდვილი და
არა ყალბი.

გახარებულმა ქალმა მეზობელ ოთახში შეირბინა, საყურე-
ები მაშინვე ჩამოიკიდა და, რადგანაც საკუთარი სარკე ვერ
იპოვა, ძებნის დროს ხელში რანკეს სარკე მოჰყვა, მაგიდაზე
დადგა და ჩაიხედა...

ასე დაიწყო შფოთის ხანა რანკეს ცხოვრებაში. პირველად
არაფერი უჩვეულო არ მომხდარა: რანკეს მეუღლეს მოეწო-
ნა საყურეები, თმა შეიწორა, ოთახიდან გავარდა და მეზობ-
ლებთან გაიქცა, რაც სრულიად ჩვეულებრივი ამბავია: ყოვე-
ლი ქალი ცდილობს, ახალი კაბა და სამკაული მეზობლებს აჩ-
ვენოს. ასეთი იყო რანკეს ცოლიც. შეირბინა ერთთან, შეირ-
ბინა მეორესთან: ყველას აჩვენა საყურეები, ყველამ მოუწო-
ნა საყურეები და შინ კმაყოფილი დაბრუნდა. მაგრამ, კარებ-

ში რომ შეიხედა გაშეშდა: მისი ქმარი დამშვიდებულ იჯდა ეიღაც უცხო ქალთან — სრულიად ისეთივე ქალთან, როგორიც თვითონ იყო, საყურეებიც მისი მსგავსი ჰქონდა, — და ალერსიანი ხმით ეჩურჩულებოდა, თან ხელში ძველი ხელი ეჭირა.

რანკეს ცოლმა შეკრთა და გულშეწუხებული დაეცა. ასე მოუვიდოდა მის ადგილზე ყველა სხვა ქალსაც.

შეიყარნენ მეზობლები. გაოცებისაგან პირდაღებული ქალები და კაცები შეაცქეროდნენ ხან რანკეს, ხან მის ცოლებს და ვერაფერი გაეგოთ: ორი სრულიად ერთნაირი გარეგნობის, სიმაღლისა და ჩაცმულობის ქალი იდგა ერთიმეორის გვერდით და თვითონ რანკესაც ვერ გაერჩია, რომელი მათგანი იყო მისი მეუღლე.

მძიმე დღე დაადგა საბრალო ოქრომჭედელს. ცოლებისაგან გალანძღული პატიოსანი კაცი მეორე ოთახში გავიდა და სკამზე დაეშვა. მის წინ მაგიდაზე იდგა ჯადოსნური სარკე.

— ახ! — წამოიძახა რანკემ. სხვა არაფერი უთქვამს. მიხვდა, რა ჭირსაც გადაეყარა: უჯრის დაკეტვა დაავიწყდა და ჯადოსნურმა სარკემ მისი ცოლი გააორა! ახლა ერთის ნაცვლად შინ ორი ცოლი უზის, ეს კი ყოველთვის სახიფათოა. რა ქნას?!

რანკემ სარკე ფრთხილად შეინახა. ჩაფიქრდა. უცბად თავი აწია, ოთახში გამოვიდა. მოჩხუბარ ცოლებთან მივიდა და დაუწყო მტკიცება, რომ ეს მისდაუნებურად მოხდა, რომ მის სარკეს ასეთი თვისება აქვს და მასში არ უნდა ჩაეხედათ; რომ ეს მეორე ქალი კი არ არის, არამედ მისი მეუღლის ორეული... მაგრამ ქალებს ქმრის ახსნა-განმარტების გაგონებაც არ უნდათ, არც ერთიც არ ფიქრობდა პირველობის დათმობას.

ასე შეეძინა რანკემ ერთის მაგივრად ორი ცოლი. მისი ოჯახი სულ აფორიაქებული იყო. გათენებიდან დაღამებამდე რანკეს სახლიდან წიოკობის მეტი არაფერი ისმოდა. ოსტატის ცოლსა და მის ორეულს სხვა საქმე არა ჰქონდათ, ან ეძინათ, ან ჩხუბობდნენ. ქალების გაუთავებელმა ჩხუბმა რანკეს სიცოცხლე მოაძულა, და თავის მოკვლა გადაწყვიტა: მდინარეში გადავვარდებიო! მაგრამ მდინარე შორს იყო, გზა მწვანე არყის ხეობაში გადიოდა, არყებზე კი მშვენიერი ჩიტები მხიარულად ყღურტულებდნენ:

— არ მოიკლა თავი, რანკე!
ისევ გიხსნის შენი სარკე!

— მართლა დიდი სისულელეა თავის მოკვლა, როცა ბუნება მშვენიერია! — ამ სიტყვებით ოქრომჭედელმა ტანთ გაიხადა და თავის დასრჩობის ნაცვლად მდინარეში იბანავა. თითქოს ზვირთებიც ასე დუდუნებდნენ.

— არ დაიხრჩო თავი, რანკე,
გადაგარჩენს შენი სარკე!

— რანაირად უნდა გადამარჩინოს სარკემ? — თავს იტეხდა რანკე ჩაცმის დროსაც და შემდეგაც — მთელ გზაზე, ვიდრე შინ დაბრუნდებოდა. სხვა ვერაფერი მოისაზრა და ბოლოს ასე გადაწყვიტა: მოდი, გავამდიდრებ ამ ქალებს, ავავსებ ოქრო-ვერცხლით, ჭურჭლითა და სამკაულით, — მაშინაც არ დაცხრებიანო?

საღამოს, სახელოსნოდან რომ დაბრუნდა, თავის ოთახში ჩაიკეტა, თან წამოღებული სამაჯურები, საათები, საყურეები, ბეჭდები, თასები, მარგალიტები და ანდამატები ჯიბეებიდან ამოალაგა და სარკის წინ დაწყო. სარკე რომ აიღო, მის უკან დახვავებული აღმოჩნდა სრულიად ისეთივე ძვირფასეულობა, როგორიც სახელოსნოდან წამოიღო. ახლა რანკემ სარკე შემოაბრუნა და მაგიდაზე მესამე გროვა გააჩინა. ერთი სიტყვით, ნახევარ წუთში მაგიდა განძით აივსო, მერე წამოდგა, სარკე დამალა, მოჩხუბარ ცოლებს კარი გაუღო და მაგიდაზე მიუთითა:

— ყველაფერი თქვენია, დაინაწილეთ, ოღონდ არ იჩხუბოთ!

ასეთი სიმდიდრის დანახვაზე ორივე ქალს — ოსტატის ცოლსაც და მის ორეულსაც — თვალები აუჭრელდა, ქიშპობა დაივიწყეს და შეუდგნენ სიმდიდრის განაწილებას. სულ ექვსი ერთნაირი გროვა იყო, მაგრამ რადგანაც ექვსიანი გროვა წინდახედულმა ოსტატმა ერთიმეორეში აურია, განაწილებას სამი დღე დასჭირდა და ამ ხნის განმავლობაში რანკეს სახლში მშვიდობა არ დარღვეულა, რადგანაც მოქიშპე ქალებს სადავოდ არ ეცალათ.

მეოთხე დღეს დავა ისევ დაიწყო. ახლა ორივე ქალი მდიდარი იყო, ამიტომ მათმა უკადრისობამაც იმატა და ჩხუბმაც.

ისევ გადაწყვიტა რანკემ თავის მოკვლა. მთელი დღე შინ არ დაბრუნებულა, საღამოს ბევრი ხეტიალის შემდეგ ერთი კლდის თავზე ავიდა და უფსკრულში გადაშვება მოინდომა, მაგრამ ისეთი სასიამოვნო საღამო იყო, რომ თვითონ მიცვალებულები ნანობდნენ. ასე მალე რად მივატოვეთ მშვენიერი ქვეყანაო! სადღაც ტოროლა გალობდა, სადღაც მწყეფსი ბიჭი მღეროდა, და თვითონ მჭუხარე ჩანჩქერი რანკეს უფსკრულებიდან ამოსძახოდა:

— არ მოიკლა თავი, რანკე!
დაამსხვრიე შენი სარკე!

„მივხვდი!“ — შესძახა რანკემ ისეთი ხმით, რომ მოპირდაპირე კლდემ ბანი მისცა. იმავე წამს ოსტატი მობრუნდა და შინ გაიქცა.

ცოლებს საქმე ფარულად სასამართლოში აღეძრათ ერთი ბარგალიტის გამო, რომლის გაყოფა ვერ მოეხერხებინათ და, რადგანაც რანკეს სიმდიდრის საქმე საქვეყნოდ იყო გახმაურებული, სხდომაც საჯაროდ დაენიშნათ.

სასამართლოს დარბაზი გაჭედილი იყო. ყველას უნდოდა ენახა მოქიშპე ცოლები, რომლებიც ორი წვეთი წყალივით ჰგავდნენ ერთმანეთს. ყველას ხიბლავდა სასამართლოს სამ მაგიდაზე დახვავებული საგანძური და ვერავის აეხსნა რანკეს სიმდიდრის საიდუმლოება.

სავარძელში იჯდა ძველი, გამოცდილი, ნამდვილი მოსამართლე. წარჩინებული მოსამართლე იყო, უბრალო ვინმე არ გეგონოთ. სამსჯავროზე ფეხით კი არ მოჩანჩალდა, სახედრით მოვიდა, თანაც არა უბრალო სახედრით: ეს ბრძენი პირუტყვი პირდაპირი ჩამომავალი იყო იმისა, რომლითაც ძველად იესო ქრისტე იერუსალიმში შევიდა. ასე ამბობდა თვითონ მოსამართლე და, მაშ, მოსამართლე ტყუილს ხომ არ იტყოდა! ასე იყო თუ ისე, სახედარი ეზოში ხეს მიაბა და თვითონ რანკეს საქმის გარჩევას შეუდგა.

დიდი ბრძენი ვინმე იყო ეს მოსამართლე, ბაკებიც კი ჰქო-

ნდა. მაგრამ ამ საქმის გარჩევა მასაც გაუჭირდა. მოსამართლეს ფაფუკი თითები ხშირ წვერებში გაიხლართა, მისი დიდი ტვინი — რანკეს საქმეში. იჯდა და ფიქრობდა.

სხდომა შუაღამემდე გაგრძელდა.

უეცრად სასამართლო ადგა და გავიდა. ათი წუთის შემდეგ საერთო დუმილში მოსამართლე კითხულობდა განაჩენს: „...აღძრული საქმისა გამო მოქალაქე რანკეს ორი ცოლის... და სხვა და სხვა... რომელიც აღმოჩნდა... სასამართლო ექსპერტმა დაადგინა... და გამომდინარე ყოველივე აქედან სასამართლო ადგენს: პირველი — მთელი საგანძური, რაც რანკეს სახლში აღმოჩნდა, ჩამოერთვას და გადაეცეს სამეფო ხაზინის საკუთრებაში“...

უეცრად სასამართლო სკამიდან გაქრა რანკეს ცოლის ორეული. თითქოს ამ სკამზე არავინ მჯდარიყო. იმავე წამს სამივე მაგიდაც დაცარიელდა. განძი სადღაც გაქრა. დარბაზი გაკვირვებისაგან გაქვავდა. რანკეს ცოლმა სიხარულისაგან შეჰკივლა, ხოლო ბაკებიან მოსამართლეს ხელიდან განაჩენი გაუვარდა...

როცა ოსტატის მეუღლე შინ მივიდა, მან ნახა სიხარულით სახეგანათებული ქმარი, რომელიც თავისი ჯადოსნური სარკის ნამსხვრევებს ფეხით თელავდა.

ამის შემდეგ რანკეს ოჯახში ისევ ჩამოვარდა მყუდროება, რაც დროებით იქიდან ოქრომ განდევნა. ცოლ-ქმარი დიდხანს ბედნიერად ცხოვრობდა და ორივენი კმაყოფილები იყვნენ იმით, რასაც პატიოსანი შრომით მოულობდნენ.

ჯადოსნური ხალიჩა

ჯარისკაცი ჯარიდან ბრუნდებოდა. გზად ერთ ქალაქში გაიარა. ქულბაქშიაც შეიხედა. ერთი ხალიჩა მოეწონა. მოდი, საცოლეს ვუყიდო, გაიფიქრა და ქისა გახსნა. ცხრა ვერცხლის უზალუნი აღმოაჩნდა. ეს იყო მთელი მისი ნაშოვარი ომსა და მშვიდობაში. ხალიჩის პატრონს ეცოტავა, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა: ჯარისკაცს მეტი ფული არ გააჩნდა და ხალიჩისათვის ტყავს ხომ არ გაძარცობდა! მერე კიდევ, ისიც

არ იცოდა, რომ ჯადოსნური ხალიჩა იყო, თორემ არც ათ უსალთუნად დაუთმობდა და ოცსაც არ დაჯერდებოდა. ეს არც ჯარისკაცმა იცოდა. მიდიოდა და მიიმღეროდა, რადგანაც ბუნებით მხიარული კაცი იყო. ბოლოს დაიღალა და გაჩუმდა. ან რა ემღერებოდა? გზა გრძელი იყო, დღე კი მოკლე. შემოაღამდა და ღამის გასათევად მუხის ქვეშ დაწვა, რადგანაც უშიშარი გახლდათ, ხალიჩაში გაეხვია და თავი ძილს მისცა. სიზმარში ხალიჩა ამეტყველდა:

— ჯარისკაცო! მე ჯადოსნური ვარ. თუ გინდა შაჰის ასული შეირთო, ისურვე და თეირანში ჩაგიყვან. იქ კი შენ იცი და შენმა ჭკუამაო.

— ჯარისკაცი ჩიტების ჭიკჭიკმა გააღვიძა. მაშინვე გაიფიქრა: ურიგო არ იქნება, თუ სოფელში ცოლად მზეთუნახავს ჩავიყვანო, ხალიჩაზე დაჯდა და თქვა:

— აბა, ჩემო ხალიჩავ! თუ ტრაბახი არა ხარ, ერთი თეირანში ჩამიყვანეო.

ხალიჩა აფრინდა, მთები და ზღვები გადაიქროლა და ჯარისკაცი თეირანის გზაზე დასვა.

ჯარისკაცი გადმოვიდა, ხალიჩა ლოდის ქვეშ შეინახა და ქალაქისკენ გასწია. წინ ერთი მოხუცებული დედაკაცი შემოეყარა.

— დედილო, აქ შაჰი სად ცხოვრობსო? — ჰკითხა მხიარულმა ჯარისკაცმა.

— შაჰი თავის სასახლეში, შვილო. რა გინდა შაჰთან?

— მინდა ღამე მასთან გავათიო და, თუ მისი ასული მომეწონა, ჩავეყიდო კიდევაც.

— რას ამბობ, შვილო? შაჰი ჯარისკაცებს როდის იღებს სტუმრად! გეტყობა, ან ავადმყოფი უნდა იყო, ან უცხოელი.

— ერთი პატიოსანი გლეხის შვილი ვარო, — მიუგო ჯარისკაცმა. — ჯარში ჯანმრთელი წამიყვანეს.

— მაშ, მოდი, მე გაგათევინებ ღამეს. აგერ, ჩემი ქოხი აქვეა.

— არა, მომწყინდა ღამის თევა სულ ქოხებსა და ყაზარმებში. გამიგონია, შაჰს ფართო დარბაზები აქვსო.

— ჰო, შვილო, შაჰს ფართო დარბაზებიც აქვს და ეიწრო ჯურღმულებიცა!

— რას ამბობ, დედი, ჯურღმულში რა მინდა, ჯერ ცოლი არ მითხოვია! — გაიცინა ჯარისკაცმა. — განა ასე უმასპინძლდება შაჰი სტუმრებს? ჩემთან არ გაუვა. მისი გამზრდელი ეშმაკი ჩემი გაზრდილია. ნახე, რა სეირი ვუყოო! — ასე თქვა ჯარისკაცმა და სატახტო ქალაქის შუაგულში აღმართული სასახლისაკენ გასწია.

საბრალო, ეტყობა, ომში გაგიჟდაო, გაიფიქრა დედაკაცმა და თავისი გზით წავიდა.

ჯარისკაცი კი ჭიშკართან მივიდა და ხმამაღლა დაიძახა:

— ჰეი, მასპინძელო, კარი გამიღეო!

შაჰის სასახლის გუშაგებმა გააფრთხილეს: შაჰთან ასე ლაპარაკი მიღებული არ არისო.

— ჭკუას ნუ მასწავლით! — შორს დაიჭირა ჯარისკაცმა.

— შაჰი ის თქვენთვისაა, ჩემთვის მხოლოდ მასპინძელია. წადით და ასე მოახსენეთო.

გუშაგებმა ვეზირს მოახსენეს, ვეზირმა — შაჰს.

შაჰი დაინტერესდა, ვინ არის ასეთი კადნიერიო და სადილზე მიიწვია: იქნება მასხარად გამომადგესო.

სამეფო დარბაზში შესულმა ჯარისკაცმა ნახა, რომ ტახტი ცარიელია, მის ორსავე მხარეს კი ვეზირები ჩამწკრივებულან. აშკარა იყო, მისი დაბნევა უნდოდათ, მაგრამ ჯარისკაცი წუთითაც არ დაბნეულა. პირდაპირ ტახტთან მივიდა, ზედ დაჯდა და სიცილით შესძახა:

— მასპინძლობაც ასეთი უნდა! ყველა მეფე რომ ტახტს ასე ადვილად თმობდეს, ამდენი ხოცვა-ჟლეტაც აღარ იქნებოდა. ამ უკანასკნელ ომში მე შემხვდა... მაგრამ რომელია თქვენს შორის შაჰი? ერთი ნაბიჯით წინ წამოდგესო!

შაჰი, მართლაც, გამოეყო ვეზირებს და წინ წამოდგა.

— აჰ, თქვენა ხართ? გამარჯობა, შაჰო! ჯერ არც ისე მოხუცებული ყოფილხართ, რომ ტახტი დამითმოთ. დაბრძანდით, მე ჯერ სხვა საქმეები მაქვს, ტახტზე ჯდომას მერეც მოვასწრებ.

შაჰს მოეწონა ჯარისკაცის ხუმრობა, ბევრი იცინა და აცინა ვეზირები, რომლებიც ერთგულად იმეორებდნენ მის ყო-

ველ საქციელს. შაჰმა ჯარისკაცი გვერდით მოისვა და ჰკითხა, რისთვის მოსულხარო?

— მინდა ჩაგეხიბრო, — მიუგო ჯარისკაცმა. — ამბობენ, მზეთუნახავი ასული ჰყავსო. გულახდილად რომ გითხრა, დროა ცოლი შევირთო და უარს არ ვიტყოდი შაჰთან დამოყვრებაზე, თუმცა ამით ბევრ მტერს შევიძენო.

შაჰს ასეთი სითამამე არ მოეწონა, მაგრამ არ შეიმჩნია და მხიარულად უპასუხა: ქალიშვილის ხელს სხვაც ბევრი მთხოვს, მაგრამ ჯერ არ ეჩქარებაო. ამაზე მხიარულმა ჯარისკაცმა უპასუხა, ყველაფერს თავისი დრო აქვსო.

დადგა სადილობის დროც. ხუმარა ჯარისკაცი სხვებთან ერთად სუფრაზე მიიწვიეს. მისი პირველი მეტოქე შაჰის მასხარა აღმოჩნდა. უცებ მიუბრუნდა და ჰკითხა:

— ჯარისკაცო, ამობენ, თქვენს ქვეყანაში ვირი იაფიაო, მართალია?

— ტყუილი უთქვამთ, — მაშინვე უპასუხა ჯარისკაცმა. — ჩვენში ეს ცხოველი არ ყრის, აქედან ჩაჰყავთ, ამიტომ ძალიან ძვირი ჯდებაო.

ამ დროს ჯარისკაცს პირველ კერძად სახედრის მოხარშული ტვინი მიაჯრთვეს. სტუმარი უმალვე შიხვდა, რაც მიუტანეს და შესძახა:

— ოჰო, ნამდვილი შაჰის საკადრისი კერძია! მეც ავდგები და თითო ულუფას ყველას გიზიარებთო.

ვეზირებს მეტი რა გზა ჰქონდათ, სახედრის ტვინი მიირთვეს და სახედრის ჭკუა მიეცათ, თუმცა იმასაც ამბობენ, ამისი ნაკლებობა არც უწინ ჰქონიათო.

ვირისჭკუა ვეზირებს ჯარისკაცი თავის ნებაზე ატრიალებდა. სასახლეში პირველი ადგილი ჯარისკაცმა დაიჭირა და თავისი ჭკუამახვილობით მეფის ასულის ყურადღებაც დაიმსახურა.

შაჰი მიხვდა, ჩემი სტუმრის გავლენა იზრდება და, სადაცაა, ასულის ხელსაც მომთხოვსო. ვიდრე ეს მოხდებოდა, სასახლის ძველი ხუმარის რჩევით ჯარისკაცი მოიხმო და უთხრა:

— თუ ჩემი ხათრი გაქვს, ერთ პატარა საქმეზე გამეგზავნეო.

— სასიმამროს ხათრი ვის არ ექნება! აბა, მითხარი, რა საქმეაო.

— მისრეთის მეფეს მზის სასახლეში ერთი თუთიყუში ჰყავს, უბრალო კი არა, ოქროს თუთიყუში. თუ არ დაგეზარება, წადი და ჩამომიყვანეო.

— რას ამბობ, შაჰო, სად ჯარისკაცი და სად სიზარმაცე! — თქვა ჯარისკაცმა, ადგა, იყიდა ათი გირვანქა ქიშმიში, მერე იპოვა თავისი ჯადოსნური ხალიჩა და უთხრა: სამხრეთის ყინულოვან ქვეყანაში ჩამიყვანეო.

ხალიჩა აფრინდა, გადაიქროლა მთები და ზღვები, გადაიქროლა ოკეანეები და სამხრეთ პოლუსზე დაეშვა.

სამხრეთ პოლუსზე ყინულის დედოფალი ცხოვრობდა. ჯარისკაცმა საჩუქრად ქიშმიში ჩაუტანა და სთხოვა: ყინულის ტანისამოსი მათხოვეო. დედოფალმა გამოაღო ბროლის კარადა, გამოიღო ქათქათა გამჭვირვალე ყინულის სამოსი და ჯარისკაცს გადასცა: შენთვის მიჩუქებიაო.

ჯარისკაცმა მადლობა გადაუხადა და ჩრდილოეთისაკენ გამობრუნდა. საღამოს უკვე მისრეთის მეფეს დაუკაკუნა კარზე და უთხრა:

— შაჰინშაჰ, გთხოვთ გაუგზავნოთ ოქროს თუთიყუში, მზის სასახლეში რომ გყოლიათო.

— დიდი სიამოვნებითო! — უპასუხა მეფემ. — თუ მზის არ გეშინია, შედი და გამოიყვანეო!

ჯარისკაცმა ჩაიცვა ყინულის სამოსი, დაიხურა თოვლის ქუდი და გაბედულად შევიდა მზის სასახლეში. მაშინვე თვალებზე ხელი აიფარა. დარბაზი ცეცხლის ალივით ბრიალებდა. აბა რა იქნებოდა, ჭერზე ჭაღის მაგიერ მზე ეკიდა! ისე ცხელოდა, რომ შეიძლებოდა ადამიანი დამდნარიყო, მაგრამ ჯარისკაცს ყინულის სამოსელში კიდევაც შესცივდა. წყნარად მივიდა კედელთან, გადმოიღო ოქროს გალია, გავიდა ეზოში, დაჯდა თავის ხალიჩაზე და უბრძანა:

— შაჰის სასახლეში წამიყვანეო!

— შაჰის გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა მისრეთის მეფის ოქროს თუთიყუში თავის სასახლეში დაინახა. ჯარისკაცს დაუშვადლა და საკვირველი ხელოვნებით გამოკვეთილ თუთიყუშთან ჩაიკეტა. თუთიყუშმა ისეთი ზღაპრები იცოდა,

ყველა სხვა ზღაპარი მოგონილი იყო, მაგრამ ხარბი შაჰის გული ვერც იმან მოალბო. როცა თუთიყუშმა ყველა ზღაპარი უკვე თქვა და ისევ თავიდან დაიწყო, შაჰი წამოდგა, ისევ დაიბარა ჯარისკაცი და უთხრა:

— მისრეთის მეფის მზე ჩამომიტანეო!

ჯარისკაცი შეფიქრიანდა. თავი მოიქექა. ადვილი საქმე არ იყო მისრეთიდან მზის ჩამოტანა, მაგრამ რა გაეწყობოდა, შაჰი იყო და ბრძანებდა! „ცდა ბედის მონახევრეაო", გაიფიქრა და ისევ ყინულეთის დედოფალს ესტუმრა. უძვირფასესი ხალიჩა აჩუქა, ჯადოსნური კი არა, სხვა, მეორე — და დახმარება სთხოვა.

— სიამოვნებით დაგეხმარებოდი, თუნდაც არაფერი გეჩუქებინა, — უთხრა დედოფალმა: — მზე მავიწროებს, ყინულებს ადნობს, და რაც უფრო შორს წაიღებ, მით უფრო გაფართოვდება ჩემი სამფლობელოებიო.

ყინულის დედოფალმა ყინულის ზარდახშა აჩუქა. ისეთი ცივი იყო, რომ შიგ დანთებული ცეცხლის ალი იყინებოდა და წითელი ლალის ენებად იქცეოდა.

ამ ყუთის მოიმედე ჯარისკაცი თავისი ხალიჩით პირდაპირ მზის სასახლეში ფანჯრიდან შეფრინდა, მზე ჩამოიღო, ყინულის ზარდახშაში ჩადო, ზარდახშა ხმაურით დახურა და სპარსეთისაკენ გაფრინდა.

შაჰი თავის ტახტზე იჯდა. გვერდით სულელი ვეზირები შემოესხა და ჯარისკაცის თავიდან მოცილების ახალ ვარაუდებს ადგენდა, რადგან ხედავდა, რომ ჯადოსნური ხალიჩა თეირანს უახლოვდებოდა.

თეირანში კი ყველას უკვირდა: მზე სამხრეთიდან რატომ ამოდისო!

ხალიჩა პირდაპირ ღია ფანჯარაში შეფრინდა და ჯარისკაცმა ზარდახშას თავი ახადა.

არასოდეს ენახათ შაჰსა და მის ვეზირებს ასე ახლოს ცხოველმყოფელი მზე. მისი მხურვალებისაგან ყველა ორთქლად იქცა და გაქრა. ტახტი, მზე და დედოფალი ჯარისკაცს დარჩა. იმავე დღეს ქორწილი გადაიხადა. ახლა სამეფოც მისი იყო.

ხოსროვის შემდეგ არ ყოფილა შაჰის ტახტზე ასეთი სამართლიანი მეფე. თავისი დატყვევებული მზით საპყრობილე-

შიც შეანათა და ყველა პატრიოსანი კაცი გაათავისუფლა, შემდეგ მზის სასახლე ააშენა და მზე ჭერზე დაჭკიდა. აქ ეკიდა ღამით, დღისით კი ქვეყნიერებას უვლიდა გარშემო.

სამი წელი იმეფა ჯარისკაცმა, შემდეგ ტახტი ერთ ჭკვიან კაცს დაუტოვა, თვითონ კი დედოფლის თანხლებით მშობლიურ სოფელს მიაშურა და საკუთარი ხელით გააშენა ვენახი. დედოფალი კმაყოფილი იყო: საკუთარი მარჯვენით მონაგარი უფრო მადლიანი ყოფილაო.

სპარსეთში კი დღემდე ახსოვთ ჯარისკაცი და მისი მეფობის დროს ოქროს ხანას ეძახიან.

ბრძენი ფინეზი

მაშრიყში ბრძენ ფინეზს ყველა იცნობდა. ბავშვმაც კი იცოდა, რომ ის სამართლიანი, თავმდაბალი და ყოვლისმცოდნე იყო, მაგრამ თუ გრძნეულიც იქნებოდა, აზრადაც არავის მოსვლია. ეს კი ქვეყანამ მაშინ გაიგო, როცა მეფის სისასტიკე საზღვარს გადასცილდა.

ერთი გულქვა და გაუმაძღარი ვინმე იყო ეს მეფე. ხალხს აბუჩად იგდებდა. სახელმწიფო საქმეები ნაკლებად აწუხებდა, სულ ნადიმობდა, ნადირობდა, სეირნობდა და ზეიმობდა. ეს კი ძვირი ჯდებოდა. რაც დრო გადიოდა, სულ უფრო ჭირდა ცხოვრება მის საბრძანებელში. ხაზინა დაცარიელდა და გაბოროტებულმა მეფემ ალარ იცოდა, როგორ ეშოვა ფული, რადგანაც გაძვალტყავებულ ხალხს ალარაფერი გააჩნდა. მიწა გმინავდა.

ამ დროს სასახლეში გამოჩნდა ბრძენი ფინეზი და მეფეს სთხოვა: შეიბრალე ხალხი, სული მოათქმევინეო. სულს მაშინ მოვათქმევინებ, როცა ოქროს გორაკებს დამიდგამსო, — მიუგო მეფემ. ფინეზი ბრძენი იყო. მაგრამ არც მან იცოდა, რომ ხარბის გულს მიწის მეტი ვერაფერი გააძღებს.

— მეფეო, მოასვენე ხალხი და ოქროს გორაკს მე დაგიდგამო, — თქვა ბრძენმა.

— ჯერ დამიდგი და მერე ვნახოთო.

ფინეზმა მეფე ველზე გაიყვანა, ერთ გორაკთან დააყენა.

გორაკს ხელი შეახო და... ჰოი, სასწაულო! — გორაკი ოქროდ იქცა.

— რა წყალობას ითხოვო? — ჰკითხა გულქვა მეფემ.

— ხალხი მოძსვენე, მეფეო. სხვა წყალობა მე არ მინდა, — მიუგო ფინეზმა.

— ბევრს ითხოვ, მოხუცო! — შეიკრა შუბლი ხელმწიფემ. — ხალხი იმისათვის არის, რომ მე დამასვენოს და არა იმისათვის, თვითონ დაისვენოსო.

— ხომ გაქვს ოქრო? მთელი გორაკი!

— ეს ცოტაა. მე ორი გორაკი მინდაო.

ფინეზმა მეორე ბოლოც ოქროდ აქცია.

— ახლა ეს ლოდიც ოქროდ აქციეო.

ფინეზმა ჯადოსნური ხელი შეახო ლოდს და ისიც ოქროს ზოდად აქცია.

— ახლა ეს ქვაც, ეს ხრეშიც... დაე, ჩემი გზა სასახლიდან ველამდე ოქროს ქვიშაზე გადიოდესო!

ფინეზი დინჯად უბრუნებდა ყოველ გიჟურ სურვილს და თანდათან შუბლს იკრავდა. მაგრამ მეფე არ უყურებდა ბრძენის შუბლს, ის ხედავდა მხოლოდ მის მარჯვენას. რასაც ეს ჯადოსნური მარჯვენა შეეხებოდა, მოელვარე ყვითელ ლითონად იქცეოდა.

— კმარა, მეფეო! — შესძახა ბოლოს ბრძენმა ფინეზმა. — ნუთუ აღარ გეყო? შენ შეგიძლია ოქროს სასახლე აიშენო, სამეფოები იყიდო. სხვა რაღა გინდაო?

— შენი მარჯვენა! — შესძახა გაგიჟებულმა მბრძანებელმა. — მომეცი შენი მარჯვენა!

ბრძენის შუბლი საავდრო ღრუბელივით მოიღუშა. მარჯვენა ასწია, მეფეს გაუწოდა და უთხრა:

— აჰა, ეს მარჯვენაც! შენ ოქრომ თავბრუ დაგახვია! მაშ, სულ თავბრუდახვეულმა იბზრიალეო! — ამ სიტყვებზე ბრძენმა ფინეზმა ხელი ჰაერში დაატრიალა და... ჰოი, სასწაულო! — მეფე მიწას მოსწყდა და ჰაერში ისე დატრიალდა, როგორც ნიავქარში ხმელი ფოთოლი. დატრიალდა და დღემდე ტრიალებს...

თუ გინახავთ ერთი პატარა შავი ბუზანკალი, ბნედიანივით რომ ბრუნავს ჰაერში, ცდილობს თვალში ჩაგიძვრეთ, ცდი-

ლობთ ძოციცილოთ, მაგრამ ვერც იცილებთ და ვერც ვერაფერს აკლებთ? ეს ის ბოროტი შეფეა, რომელიც დასაბამიდან ასე ტრიალებს.

ბრძენი ფინეზი კი ხალხმა მეფედ დასვა და დღემდე განაგებს თავისუფლების ბედნიერ ქვეყანას.

ოთხი ხელოვანი

ბაბუა ვიჩიმ თვითრი ულვაშები შეისწორა, ცნობისმოყვარე ყმაწვილებს გადახედა და წყნარად დაიწყო:

ალმოსავლეთის ერთ შორეულ ქვეყანაში ოდესღაც ოთხი დიდი ხელოვანი ცხოვრობდა: მომღერალი, მსახიობი, მხატვარი და ხუროთმოძღვარი. ოთხივეს დიდება მზემდე აღწევდა. ქვეყნიერების ყოველ კუთხეში ისმოდა მათი სახელი. უძლიერესი მეფეები იწვევდნენ თავიანთ სასახლეებში, მაგრამ ხელოვანნი ასეთ პატივს გაურბოდნენ. უბრალო გლეხის შვილები იყვნენ და თავიანთ მოძმეებს არ ტოვებდნენ. ხუროთმოძღვარი ხალხისათვის დიდებულ სახლებს აშენებდა. მხატვარი ისეთ სურათებს ხატავდა, რომ თვალი ზედ დაგრჩებოდათ. ქათმები მის დახატულ ყურძენს მისცვივდებოდნენ და მარცვლების აკენკვას ლამობდნენ. ირმები მის სურათზე მობიბინე ბალახს აცხრებოდნენ და ფუტკრები მის ყვავილებს უფრო ეტანებოდნენ, ვიდრე ნამდვილს. მდიდარი ადამიანები მის სურათებში დიდძალ ოქროს იხდიდნენ. ამ ოქროს მხატვარი როდი ხარჯავდა. ისევ ხალხის საკეთილდღეოდ იყენებდა: გაჰყავდათ არხები, ყიდულობდნენ ხარებსა და ძროხებს, ასწავლიდნენ ბავშვებს... მსახიობი ხალხისათვის ისეთ წარმოდგენებს მართავდა, რომ სინამდვილისაგან ვერ გაარჩევდით, ხოლო მომღერალი ისეთი ხმით უმღეროდა სამუშაოდ გასულ მაშვრალებს, რომ იმათ დაღლილობა ავიწყდებოდათ და მოსავალი ორმაგად მეტი მოჰყავდათ.

ასე დადიოდნენ ხალხში, სოფლიდან სოფლად, მხარიდან მხარეში და მათი წყალობით თანდათან აყვავდა, აშენდა, დამშვენდა და გაჯანსაღდა მათი სამშობლო მხარე. მადლიერმა ხალხმა სიმღერებში ჩააქსოვა თავის სახელოვან შვილთა

ქება-დიდება, მოხუცები ჭიანურზე და ჩანგზე აჭღერებდნენ მათი ხელოვნების საზღაპრო სრულყოფის ამბავს.

თავისი საქმიანობისათვის ეს ოთხი ძმა იღებდა საზრდოს და ხალხის სიყვარულს, მეტი მათ არაფერი უნდოდათ. ყველამ აღიარა, რომ ხელოვნება სიკეთის დაუშრეტელი წყაროა, ყველამ შეიყვარა შრომა, რადგანაც ხელოვნება შრომას ქადაგებდა. სადაც შრომაა, იქ დოვლათია. სადაც დოვლათია, იქ ხელოვნება იფურჩქნება. ასე იყო იმ ქვეყანაშიც.

ერთხელ ერთმა ბატონმა მხატვარი სასწრაფოდ იხმო და ის კი მხოლოდ მეორე დღეს ეახლა. ეს უკვე ურჩობა იყო.

ბატონი საბატონო სკამზე ღრუბელივით მოღუშული იჯდა. მხატვარმა თავი დაუკრა.

— რატომ არ მეახლე გუშინ? — დაიქშინა ბატონმა. — სამზარეულო მქონდა მოსახატავი.

— მე ყანაში ვმუშაობდი, ბატონო. თუ ყანა არ გათოხნე, სამზარეულო დაცარიელდება.

— ეჰე, რა ჭკვიანი ხარ! ხან მაოგლავ, ხან ხატავ, — ჩვენს ხელმწიფეს როდისღა ადიდებ?

— ყოველთვის, დიდო ბატონო! სხვა ხელმწიფე რომელი გვყავს, ეს ერთია და მისი შემყურენი ვართ. ეგ რომ არ გვყავდეს, მზე არც ამოვა, არც ჩავა. ქვეყანა გაბედნიერა. ქურდი და ავაზაკი გაწყვიტა, რადგან საქურდალი აღარაფერი დარჩა; ახლა დოვლათი? დაბლა თავი გაწყვიტა, მაღლა ძერა — საკბილო აღარაფერია. ადამიანებს კი მისი წყალობით ჯერაც სული გვიდგას... მოკლედ, დიდი ბედნიერი ხელმწიფე გვყავს და თავი რომ ჰქონდეს, ვილოცებდით, ღმერთმა მაგისი თავი არ მოგვიშალოსო! ისედაც სულ ვლოცულობთ, რომ ვიცოცხლოთ და ვცოცხლობთ, რომ ვილოცოთ.

— გეყოფა, მხატვარო! რო გაგაბი ჭიანურივით, ერთი ქების სიტყვა აღარ დაგრჩა ჩემთვინ?

— როგორ არა, ბატონო! უკეთესს შენთვის ვიზოგავ. განა ჩემი პერანგი ჩემს ტანთან უფრო ახლო არაა, და ჩემი ჯუბა ზედ არ მაცვია? რაც იმაზე ქება ვთქვი, იმაზე ბევრად მეტის ღირსი ხარ და ამით მოვრჩეთ.

— მოვრჩეთ და მოვისვეწოთ! შედი სამზარეულოში და ნომინატე.

მოკლედ, დიდი ხალამტკბილობა ჰქონდათ.

მაგრამ სადაც ყველაფერი რიგზეა, იქ ხშირად ხიფათი გაჩნდება ხოლმე, რომ ყველაფერი აუოიოს. ასე მოხდა ხელოვანთა საშობლოშიც.

ერთხელ ერთმა დიდმა ბატონმა ბაყათარმა ხუროთმოძღვარი დაიბარა და უბრძანა:

— ერთი კარგი ცოხე ამიშენე, „თორემ გლეხები თავს გადიანო.

— მე ცოხეებს არ ვაშენებო! — მიუგო ხუროთმოძღვარმა და წავიდა, რადგანაც ფიცხი კაცი იყო.

მემამულე გაწყრა და ჩოხის კალთა აიკეცა: აქაო და არ დამავიწყდეს ამ თავხედის ურჩობაო.

მეორე დღეს მსტეკარი დაბარა და უბრძანა:

— დამიხატე მოურავი, რომ ნაღვერდლებივით თვალები ჰქონდეს, კობლისტოლა მკლავები, და როზგითა სცემდეს გლეხს. მინდა მოედანზე დავკიდო და ურჩები დავაშინოო.

— მე ჯალათებს არ ეხატავო! — ცივად უპასუხა ოსტატმა და კარი ვაიკეტუნა, რადგანაც საქმეზე ეჩქარებოდა.

— რა უსირდელი ყოფილაო! — წამოიძახა თავადმა და ჩოხის მეორე კალთა აიკეცა.

სალამის მსახიობი დაიბარა და უბრძანა:

— გამართე ისეთი წარმოდგენა, რომ მოწყალე ბატონი მამასაკით დასტრიალებდეს ხალხს და ბრიყვი გლეხები კი მაინც უმადურები იყვნენო.

— ხალხს ვერ მოვატყუებო, — თავაზიანად მიუგო მსახიობმა და წავიდა.

— ესეც მეამბოხე ყოფილა! — გაწყრა ბატონი და ახლა კაბის კალთა აიკეცა, რადგან ჩოხის ორივე კალთა უკვე აკეცილი ჰქონდა.

მოკლედ რომ მოვჭრათ, ბატონი ბაყათარი ძლიერ გულმოსული იყო. მაგრამ ურჩების დასჯა ვერ მოხერხდა, რადგანაც თავისი მსახურები უხალისოდ ემორჩილებოდნენ, მეფემდე წასვლა კი ეზარებოდა, რადგანაც ჯირკვლოვით მსხვილი იყო და ცხენზე თუ არ შეედებდნენ, ისე ვერ შეჯდებოდა, მანქა-

ნა კი იმ დროს ჯერ არ ჰქონდათ გამოგონებული, და თუნდაც ჰქონოდათ, სულ ერთია, შიგ ვერ ჩაეტეოდა.

გაბრაზდა, გაბრაზდა ჩვენი მებატონე, დაიწყო ქშენა. აუვარდა ქოშინი და სულ ოფლად დაიღვარა. ისე ღმუოდა და ბრდღვინავდა, გეგონებოდათ, დარბაზში გველეშაპი დაუმწყვდევიათო.

ცოლმა ურჩია, მომღერალი მაინც დაიბარე, ჩემო ლამაზო, გაგართობსო.

მართლაც, დაიბარეს მომღერალი. გულგაღეღილი ბატონი ბუმბულზე გადაკოტრიალდა და უბრძანა:

— აბა, ისეთი მხიარული სიმღერა დასჭექე, რომ ყველა წყენა დამავიწყდეს და დარდიც გამიქარვოსო.

— ასეთ რამეს გასვენების დღეს გიმღერებ, ბატონო! ცოცხალი გვამებისათვის მე არ ვმღერიო, — თქვა მომღერალმა და კარი გაიხურა.

ბატონმა დაიქშინა, რადგანაც ლაპარაკის თავი აღარა ჰქონდა, აიკეცა კაბის მეორე კალთაც, დათვალა აკეცილი კალთები და რაკი უკვე ოთხი გამოვიდა, ასე ბრძანა:

— მომგვარეთ ჩემი მერანი! მეფესთან მივდივარო.

მოურავი ჭკვიანი კაცი იყო. მერანი გადაჩეხავსო და ერთი ბეხრეკი ცხენი მოჰგვარა. ბატონი ფრთხილად ავიყვანეს გალავანზე, იქიდან იმ აქლემისოდენა ჯაგლაგზე გადააგორეს, ზედ ბაწრებით დააკრეს, რომ არ გადმოვარდნილიყო, და ასე მიჰგვარეს მეფეს.

მეფეს ცხვირი ყორნის ნისკარტს მიუგავდა. გამხდარი იყო, სულ სიცინებდა, მისი ლაპარაკიც ყორნის ჩხავილს მოგაგონებდათ. მოკლედ, უცნაური მეფე იყო. თავისი ქვეშევრდომის დანახვაზე სიხარულით დაიჩხავლა და შორიდანვე ჰკითხა, რა გაგჭირვებიაო?

ბაყათარმა ყველაფერი უამბო. მეფე უსმენდა და ერთთავად ჩხაოდა: თუ ჩემს სამეფოში ასეთი ოსტატები იყვნენ, აქამდე რატომ არაფერი მსმენიაო!

— გიმალავენ, ჩემო ხელმწიფევ! — ამოიხვნეშა ბატონმა. — შაშრიყისა და მალრაბის მეფეები კაცებს უგზავნიან, და მალე კიდეც გადაიბირებენ. ხალხი მათ ხელისგულზე ატარებს. მეფეს ვინღა ახსენებს!

— ოთხივენი ახლავე აქ მომგვარეთო! — კვლავ დაიჩხავლა ხელმწიფემ.

დ-დოსტატები მეფეს წაუდგინეს.

— თუ ჩემს სასახლეში გადმოხვალთ და ერთგულად მემსახურებით, ყველაფერს გაპატიებთო, — უთხრა მეფემ.

— მეფეო! — მიმართა მსახიობმა. — აპატიებენ მას, ვისაც დანაშაული ჩაუდენია, ჩვენ კი არაფერი დაგვიშავებიაო.

— ეს რა თავხედი ოსტატები ყოფილან! — გაიოცა მეფემ. — მაგრამ არაფერია. მეც მიყვარს ხელოვნება. დრო არა მაქვს, თორემ ხატვაც მეშარჯება და სიმღერაც. ბედი გქონ-ათ. არ დაგსჯით. დღეიდან ჩემს სასახლეში იქნებით, საზრდოს არ მოგაკლებთ და წყალობასო.

— არა, მეფეო, ჩვენ ციხეში ცხოვრებას ჩვეული არა ვართო! — მიუგო ოთხივე ხელოვანმა და ყველანი სასახლიდან წავიდნენ.

მეფემ არაფერი თქვა, მაგრამ როცა მარტო დარჩა, ნისკარტი დაუგრძელდა, ხელ-ფეხი შავი ბუმბულით შეემოსა, თვალსა და ხელს შუა მეფე ყორნად გადაიქცა და სასახლიდან შეუმჩნევლად გაფრინდა. ასეთი ეშმაკობა ასწავლა მისმა პაპამ, რომელიც ყორანი იყო და სამეფო ტახტი გრძნეულებით ჩაიგდო ხელში. მაგრამ ხელოვნებას ვერც გრძნეულებით დაეუფლა.

ხელოვან ძმებს გზაში შემოაღამდათ და გაჩერდნენ ერთ კოშკში, რომელიც მაღალი კლდის თვზე იდგა. გზაში მშვილდისრით ერთი ხოხობი მოკლეს, ახლა ცეცხლი გააჩაღეს, ხოხობი შამფურზე წამოაგეს და ვახშამის მოლოდინში სასიამოვნო საუბარი გააბეს.

უეცრად კოშკის სარკმელზე შავი ყორანი შემოჯდა და დაიჩხავლა. ოთხივე ძმა ადგილზეევ გაქვავდა. ყორანი კი გაფრინდა. ეს იყო მეფე. რაკი ძალით ვერაფერს გახდა, ურჩ ქვეშევრდომებზე გრძნეულობით იძია შური.

გავიდა წლები. ხალხი გაღატაკდა. ქვეყანა კვნესოდა. ბატონი ზეიმობდა. ქანდაკებად ქცეული ოთხი ოსტატი კი შორეულ კოშკში უქმად იყო. დაეცა ხელოვნება. ხალხი ამაოდ ეძებდა თავის სახელოვან შვილებს და მფარველებს. ბოლოს აჯანყდა, შეიარაღდა და სასახლეს მიადგა.

— ვერაგო მეფევ, ძმები რა უყავიო? — ბობოქრობდა ხალხი.

შეშინებული მეფე თავის ოქროს ზანდუკში ჩაძვრა. კარი ხმაურით დაიხურა და მეფე-ყორანი სამუდამოდ შიგ ჩარჩა, რადგანაც ზანდუკის გასაღები ჯიბეში ჰქონდა. ათასი წელი დასტრიალებდნენ მეცნიერები ამ ზანდუკს, მაგრამ ვერც გახსნეს და ვერც გაიგეს, ბოკვდა გრძნეული მეფე თუ ჯერაც ცოცხალია. ეს დღესაც არავინ იცის.

გაქვავებული ძმების საქმე კი სხვანაირად წავიდა.

ჯადოსნურ კოშკში ერთი მოხუცი კაცი მივიდა. ოთხი გაქვავებული კაცი რომ დაინახა, გული სიბრალულით აევსო. მართალია, თან ჰქონდა ერთი წვეთი უკვდავების წყალი, მაგრამ ეს საკმარისი იყო ერთი კაცის გასაცოცხლებლად. ის ერთი აღმოჩნდა მომღერალი. როცა ბომღერალმა გაქვავებულ ძმებს შეხედა, მისი მკერდიდან მწუხარების გმინვამ ამოხეთქა. გმინვა თანდათან სიმღერად გადაიქცა. ის მღეროდა თავის მარტოობაზე, ხალხის უბედურებაზე, გაქვავებულ ძმებზე და გაყინულ ხელოვნებაზე. მღეროდა დიდხანს, მღეროდა ნაზად და გულსაკლავად.

უეცრად ქანდაკებები ამოძრავდნენ! ნელ-ნელა ამოძრავდნენ, თვალი გაახილეს, ენა ამოიდგეს. სამივე ძმა გაცოცხლდა, კეთილი მოხუცი კი სიხარულით გაქვავდა, ღიმილის სხივი სახეზე შეეყინა.

აღელვებული ხალხი ზღვის ტალღასავით მიაწყდა კოშკის გალავანს. მადლიერმა ხალხმა ჯერ გულში ჩაიკრა თავისი საყელოვანი შვილები, მერე კი მოხუცის წინაშე კრძალვით მუხლი მოიყარა.

ისევ აყვავდა ხელოვნება, ისევ აივსო ქვეყანა დოვლათით, ისევ გაიხსნა სკოლები და გაისმა ჩამკვდარი სიმღერა. მსუქანი ბატონი კი თავის ალფუთანან ქვეყრში ჩაძვრა და დაიხრჩო. უწინ ღვინოს სვამდა, ახლა ღვინომ დალია.

აქ ბაბუა ვიჩი გაჩუმდა, ულვაშები ისევ შეისწორა და დინჯად თქვა:

— ასე დასრულდა ხალხის სანაქებო ხელოვანთა ამბავი, თვითონ ხელოვნება კი არ დასრულებულა და არც არასოდეს დასრულდება. კიდევაც აშენდება უამრავი მაღალი სასა-

ხლე, დაიხატება ბევრი მშვენიერი სურათი, ნახავთ ბევრი მსახიობის თამაშს და მოისმენთ უთვალავ სიმღერას. მეფე-ყორანი ანდა ის გაბერილი ბაყათარ-ბატონი ვინ იყვნენ, რომ ხელოვნება შეებოჭათ!

მერვე ენა

ერთმა ჩინელმა ბრძენმა კონ-ცი-ლინმა შვიდი ენა იცოდა. მერვესაც სწავლობდა, მაგრამ უეცრად წიგნი ხმაურით დახურა, წამოდგა და სამოგზაუროდ წავიდა.

ამაში მისი ცოლი იყო დამნაშავე: ერთთავად ასე ებუზღუნებოდა:

— ენების კირკიტს თავი გაანებე და საქმეს მიხედე! ჩვენმა მეზობელმა ბენ-სინ-ლინმა მხოლოდ ერთი ენა იცის, მაგრამ ჩვენზე მდიდარია.

ადგა კონ-ცი-ლინი და უცხო ქვეყნებში გაეშურა. ბევრი ხეტიალის შემდეგ სიამის მეფეს ესტუმრა. ჭაბუკ ხელმწიფეს თეთრ სპილოზე ოქროს ტახტი ედგა და თავის საბრძანებელში ასე დასეირნობდა. მეფემ ჩინელი ბრძენი პატივით მიიღო და გვერდით მოისვა. მეორე გვერდით ვეზირი ეჯდა და იმდენ სისულელეს ელაპარაკებოდა, რომ კონ-ცი-ლინი შვიდსავე ენაზე დადუმდა.

მაგრამ ვეზირმა ამდენ სისულელეში ერთი საინტერესო ამბავიც გაურია: მეფეო, — უთხრა, — არ გინდა იყო კუნძულეთის სვეებედნიერი მბრძანებელი? ამ დილით ერთი ორაბი მოგზაური მესტუმრა და მითხრა, რომ მალედივის კუნძულების ახალგაზრდა დედოფალს გადაუწყვეტია ცოლად მას გაჰყვეს, ვინც შვიდ კითხვაზე სწორსა და გონივრულ პასუხს გასცემსო:

სიამის მეფეს დიდი ხანია მოსვენებას უკარგავდა მალედივის დედოფლის მშვენიერი სახე, რაიც ყოველ ღამით სარკესავით მოწმენდილ სიამის ცაზე მოჩანდა. ახლა, როცა ასეთი ამბავი გაიგო, საყვარელ სამეფო სპილოს ოქროს წკეპლა დაჰკრა და შესძახა:

— ვფიცავ ამ სპილოს ეშვებს, ჩემს პირველ ვეზირად დავ-

სვამ მას, ვინც დედოფლის კითხვების ამოხსნაში დამეხმარებაო.

— კითხვებს მე ამოვხსნი, მეფეო, — დინჯად უთხრა ჩინელმა ბრძენმა.

მეფე სპილოდან გადმოხტა, ხომალდში ჩაჯდა და ბრძენის თანხლებით მალედივისაკენ გაემართა.

კუნძულეთის ტურფა დედოფალმა სტუმრები ისეთი პატივით მიიღო, როგორიც მეფესა და ბრძენს ეკადრებათ. არასოდეს არც ერთ კუნძულზე არ ყოფილა მასავით მშვენიერი და თავაზიანი დედოფალი. ნაცადგული სავსე იყო უცხოელთა ხომალდებით. უფლისწულები ზარ-ზეიმით მოდიოდნენ და შეწუხებულნი უკანვე ბრუნდებოდნენ, რადგანაც ვერც ერთი სასიძო ვერ იძლეოდა სწორ პასუხს დედოფლის უცნაურ კითხვებზე.

სიამის მეფეს გადასცეს დაგრაგნილი აბრეშუმის ქაღალდი, რომელზედაც ოქროს ასოებით ეწერა შვიდი კითხვა სხვადასხვა ენაზე. ეს ენებიც მას უნდა სცოდნოდა, ვინც დედოფლის ხელს ითხოვდა.

მეფემ დედოფალს სთხოვა, ხვალამდე დაფიქრება მაცალეო.

— იფიქრე თუნდაც შვიდ დღეს, — კისკისით თქვა დედოფალმა. — ოღონდ თუ მერვე დღეს ვერ ახსნი, მეცხრე დღეს კუნძული უნდა დატოვო, რადგან მეათე დღეს, თავს მოგკვეთენ — ასეთია პირობა.

დაფიქრებული მეფე დაბრუნდა მისთვის მიჩენილ ბროლის დარბაზში, რომელიც სადაფითა და მარგალიტით იყო მოჭედილი, ძვირფას ნოხზე დაჯდა და გრაგნილი ბრძენს გაუწოდა. ბრძენმა, რა თქმა უნდა, სწორედ შვიდივე ის ენა იცოდა, რომელზედაც შვიდი კითხვა იყო დაწერილი.

მერვე დღეს სიამის მეფე დედოფალს წარუდგა. მისაღებ დარბაზში ირეოდა მთელი სამეფო კარი, დამატებით კი — ცამეტი სხვადასხვა ქვეყნის მეფე, უფლისწული და ელჩი.

სიამის უფლისწული და მალედივის დედოფალი სიტურფით ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ.

დაიწყო გამოცდა. გრაგნილი თვითონ დედოფალს ეპირა.

— როდიდან არსებობს ჩემი სამეფო? — იყო პირველი კითხვა.

— მისი შექმნის დღიდან, — მიუგო ჭაბუკმა მეფემ.

— სწორია, — თქვა დედოფალმა. — ახლა მეორე კითხვა: რამდენი თევზია ჩემს დიდ ოკეანეში?

— ასი მილიარდ შვიდასი მილიონ ოთხასიათას ხუთასი, — იყო პასუხი.

— თუ ეს სწორი არ არის?

— თავი მომკვეთე. მაგრამ ვიდრე ამას გააკეთებდე, დათვალე, დედოფალო!

— მესამე კითხვა ასეთია, — თქვა დედოფალმა, — რამდენი მისხლით მეტია მზე მთვარეზე?

— სწორედ იმდენით, რამდენითაც მთვარე ნაკლებია მზეზე, — იყო პასუხი.

— სწორია, — თქვა შუბლშეკრულმა დედოფალმა, თუმცა გულში უხაროდა კიდეც. რომ მისი საქმრო ასეთი ჭკვიანი და ლამაზი იყო, — ახლა მეოთხე კითხვაზე მიპასუხე: ვინ არის ყველაზე ჭკვიანი და ვინ არის ყველაზე სულელი?

— ყველაზე ჭკვიანი ის არის, ვინც ფიქრობს, რომ ძალიან ცოტა იცის, ყველაზე სულელი კი ისა, ვისაც ჰგონია, რომ ყველაფერი იცის.

— მომწონს შენი პასუხი! — გაიღიმა დედოფალმა. — ახლა მითხარი, ვინაა ის, ვინც კვდება და ვინც მაინც უკვდავია?

— ადამიანი კვდება და ხალხი მაინც უკვდავია, დედოფალო!

— რა არის ქვეყნად ყველაზე მშვენიერი და რა არის ყველაზე მახინჯი?

— სიცოცხლეზე მშვენიერი არაფერია, ყველაფერზე მახინჯი კი სიკვდილია, დედოფალო!

— ჩქარა მიპასუხე მეშვიდე კითხვაზე: რას ფიქრობს ეს ხალხი და რას ვფიქრობ მე? — მოუთმენლად იკითხა დედოფალმა.

— ეს ხალხი ფიქრობს, რომ მე და შენ ერთიმეორის შესაფერისნი ვართ, ხოლო შენ კი ფიქრობ, რომ ეს კითხვებ

მე ამოვხსენი, მაგრამ ისინი ჩემმა ბრძენმა ამოხსნა, — თქვა სიცილით სიამის მბრძანებელმა.

— ეს კი იმას მოწმობს, რომ შენ ლამაზიც ხარ და პატიოსანიც, — თქვა დედოფალმა და სტუმარს ხელი გაუწოდა.

მეფე-დედოფალმა ისეთი ქორწილი გადაიხადა, როგორიც ხმელეთისა და ზღვათა სამეფოების მბრძანებელთა ღირსებას შეეფერებოდა.

ბრძენმა კონ-ცი-ლინმა კეზირობა არ ისურვა, მაგრამ საჩუქრებით დატვირთული ასი აქლემი ჩაუყენა მეუღლეს თავის სამშობლოში და მის წუწუნს ამით ბოლო მოუღო; რამდენიმე აქლემი ბენ-სინ-ლინსაც აჩუქა, დანარჩენი ღარიბებს დაურიგა, თვითონ დაჯდა, წიგნი გაშალა და მერვე ენის შესწავლა განაგრძო.

მზეპაბუკი და გოლიათი

იყო ერთი მზეპაბუკი. როცა ეღვიძა, მზეს ჰგავდა, როცა ეძინა — მთვარეს. სულ კი წელიწადში ექვსი თვე ეძინა და ექვსი თვე ეღვიძა. რას იცინით? ძილის გუდა ყოფილაო, — ამბობთ? მესმის, მაგრამ განა თქვენ ამაზე ნაკლები გძინავთ? თუ დააკვირდებით, ამაში უჩვეულო არაფერია, რადგან მასაც თქვენსავით დღისით ეღვიძა, ღამით კი ეძინა და საბოლოოდ ასე გამოდიოდა: ექვს თვეს ლოგინში ატარებდა, ექვს თვეს კი ზეზე.

ერთხელ ამ ჭაბუკს შემოაკვდა ლომი, რომელიც სოფლის საქონელს იტაცებდა და მთელს ქვეყანას იკლებდა. ეს ლომი მეფისა იყო. მომხდარი ამბავი შეკრიკმა ვეზირს მოახსენა, ვეზირმა — მეფეს, მეფე კი განრისხდა, ზეზე წამოხტა, ფეხი ხალიჩაზე დაჭერა და შეჰყვირა:

— აქ მომგვარეთ ჩემი ბუმბერაზი!

ვიდრე ბუმბერაზი მოვიდოდეს, ჩვენ მისი გარეგნობა წარმოვიდგინოთ: გადმოპირქვავებულ ქვევრსა ჰგავდა, გაბერილ ტანზე პაწია თავი ება და ამ თავში ერთი ნამცეცი ტვინი არ ედო. სამაგიეროდ, მაგარი მუშტები ჰქონდა და რასაც შემოჰკრავდა, ფოლადიც რომ ყოფილიყო, ფეტვივით დაფშვნიდა.

ისეთი ბოროტი სახე ჰქონდა, რომ ერთი შეხედვით ადუღებულ წყალს გაყინავდა ,როცა წყრებოდა... მაგრამ, აგერ, ბუმბერაზიც მოვიდა! აკი გითხარით...

— რას მიბრძანებ, მეფეო? სისხლი მწყურია! სამი დღეა არავინ მომიკლავს.

— პაპის ძვლებს ვფიცავ, — შესძახა მეფემ, — თუ მეოთხე დღესაც არავის მოკლავ, მეხუთე დღეს თავად შენ თავს წაგაცლი.

— ჩემი თავის წაცლა აღვილია, მეფეო, უფრო ძნელია ჩემი მკლავების შებოჭვა. რას მიბრძანებ?

— ახლავე წადი და ის მზეჭაბუკი მოკალით!

— როგორც მიბრძანებ, მეფეო, — მიუგო ბუმბერაზმა.

ბუმბერაზის ყოველ ნაბიჯზე მიწა იძვროდა და ხიდან ვაშლი ცვიოდა. ერთი ასეთი ვაშლი თავში მოხვდა მზეჭაბუკს, რადგანაც ვაშლის ქვეშ ეძინა.

— ბუმბერაზი მოდის, — გაიფიქრა ვაჟკაცმა, — ადგა და შესახვედრად მოემზადა: მტერსაც დახვედრა უნდა და მოყვარესაც.

სოფლის განაპირას ერთი ჯმუხი მუხა იდგა. მუხის ზედა ნაწილი ვიღაცას გადაეჭრა, ძირი კი ორკაპად წასულიყო, ასე რომ გალაჯულ ადამიანს ჰგავდა. აი, ამ მუხას მზეჭაბუკმა უამრავი წვეტიანი რკინა მიაჭედა და ღამის მეხრეს ეთხრა:

— თუ ბუმბერაზმა აქეთ ჩამოიაროს და მიკითხოს, უთხარი, აგერ, იქა დგას-თქო, და ეს მუხა უჩვენე.

შუაღამისას მართლაც სათიბში შემოალაჯა ბუმბერაზმა და დაიღრიალა:

— შენ, ეი, ჯუჯუმკალავ! სად არის თქვენი მზეჭაბუკი?

— აქვეა, ყანაში, ვერა ხედავო? — და მუხაზე მიუთითა.

ბუმბერაზი მივარდა მუხას და მანამდე სცემა, ვიდრე ბოლოს დაღლილ-დაქანცული, დასისხლიანებული გოლიათი ულონოდ სათიბში არ გაიმხლართა და ხვრინვა არ ამოუშვა.

დილას, გონს რომ მოვიდა, წამოდგა, გააზმორა და სასახლეში გასწია. მეფეს მოახსენა — მზეჭაბუკი დავბეგვე და ჭაობში გადავაგდეო. საბუთად დასისხლიანებული ხელები და შუბლი უჩვენა.

მეფემ მადლობა გადაუხადა ბუმბერაზს და ახლა თავისი ველური ტახი აუშვა.

ტახი სოფელს შეუჩნდა და ნათესები ერთიანად ამოაგდო. მზეკაბუკმა მშვილდი მოზიდა, ისარმა გაიზუზუნა და სასოკვდილოდ დაჭრილი ტახი სიმინდის ყანაში დაგორდა.

შიკრიკმა ეს ამბავი ვეზირს შეატყობინა, ვეზირმა მეფეს ეცაბო, მეფე ისევ განრისხდა, ფეხი ნოხზე დაჰკრა და შეჰყვირა:

— ბუმბერაზი აქ მოსცვალეთ.

ბუმბერაზი მეფეს წარუდგა.

— რატომ არ მოკალი მზეკაბუკი? — დაუყვირა მეფემ.

— მოვკალი, მაგრამ ალბათ ჯადოქრობით გააცოცხლესო, — მიუგო ბუმბერაზმა.

— ამჯერად მიპატიებია. წადი და ან მოკალი მზეკაბუკი ან შეაკვდი. თუ არ შეგისრულებია, თავმან ჩემმან, ჯაჭვით დაგაბამო.

ბუმბერაზი წავიდა. დიდხანს იარა, ბოლოს სოფლის ყანაში მივიდა. გლეხები პურს ჩაიდნენ. არც მისალმებია, პირდაპირ ჰკითხა:

— სად არის თქვენი მზეკაბუკი?

— თვალები სადა გაქვს? ვერა ხედავ, ეგერ, შენი შიშით კლდეზე რომაა მიყუდებულიო?

ბუმბერაზი კლდესთან მივიდა. კლდის შვეულ კედელზე დახატული იყო მზეკაბუკის მშვენიერი სურათი. ბუმბერაზს რომ საკმაო ჭკუა ჰქონოდა, მიხვდებოდა, რომ ეს სურათი იყო, მაგრამ საკმაო ჭკუა არა ჰქონდა და ამიტომ ნამდვილ მზეკაბუკად მიიღო. დაუშინა მუშტები, ჰკრა შუბლი, ეცა მკერდით, სტყორცნა ლოდები, მაგრამ მზეკაბუკს ვერაფერი დააკლო, მხოლოდ თავპირი და მუშტები დაისისხლიანა. დაქანცული ბუმბერაზი დაეცა და მთელი დღე-ღამე უგრძნობლად ეგდო ძირს.

ბოლოს წამოდგა, თვალები მოიფშვნიტა, მეფეს ეახლა და მოახსენა: — მზეკაბუკი ისე დავეჭეჭე, რომ კლდეზეა მიტყეპილიო.

მეფემ მადლობა გადაუხადა და ახლა თავისი ავი მგელი

აუშვა. მგელს ყველა კარგად იცნობს — კარგი რა არის, აბი რა იყოს! დაეცა სოფელს და ჯოგებს სულ მუსარი გააკლო.

მზეკაბუკმა მგელიც მოკლა. ისევ განრისხდა მეფე. დაიბარა ბუმბერაზი, დაავალა: ან მზეკაბუკი მოკალი, ან ჩემმა თვალებმა არ დაგინახონო.

ბუმბერაზი სოფელში შევიდა და დაიღრიალა:

„მიჩვენეთ თქვენი მზეკაბუკი! ახლა კი ველარ გადამირჩება. ჭაობში ჩავახრჩობ თავხედსო!“

ერთი მოხუცი ქალი გამოვიდა და დაიკვნესა:

— ბუმბერაზო, მზეკაბუკი ისედაც ჭაობში გდია: ამ დილით ჩავარდა და ველარ ამოდისო!

— ისევ მატყუებ, ბებერო?

— წადი და თვითონ შენი თვალით ნახეო, — მიუგო დედაკაცმა და ქოხში შებრუნდა.

ბუმბერაზი ჭაობთან მივიდა. მთვარიანი ღამე იყო და დედაკაცის ლანდი ჭაობის წყალში სარკესავით აირეკლა. ბრაზისა და სიხარულისაგან დარეტიანებულ ბუმბერაზს თავისი ჩრდილი მზეკაბუკი ეგონა, დასახრჩობად წაეტანა და ჭაობში კი გადავარდა. ბევრი იყვირა და იფართხალა, მაგრამ არაფერი ეშველა, ქვევრსა ჰგავდა და ქვევრივით ჩაიძირა, მუცელი შლამით აევსო.

მზეკაბუკმა მთელი სოფელი შეყარა, ჭაობი საერთო ძალით დააშრეს, მიწით დაფარეს, ზედ ყანა დათესეს და საუცხოო მოსავალი მოიყვანეს.

მეფემ რომ მზეკაბუკის ასეთი მოხერხების ამბავი გაიგო, გული მოუბრუნდა, დაიბარა და ვეზირად დასვა. მეფის სიკვდილის შემდეგ ჭაბუკმა მისი ასული ცოლად შეირთო და თავის ქოხში მოიყვანა, მაგრამ ხალხმა მეფედ აირჩია და ისევ სასახლეში გადასვლა მოუხდა.

მზეკაბუკი დღესაც განაგებს თავის ქვეყანას. მის სამეფოში მტაცებელი მგლები, ლომები და ტახები ვერ გვაარობენ, რადგან მათთვის მძიმე ჰაერია და სურდო ემართებათ.

პატარა ლეოს ნატვრისთვალი

იცით თუ არა, ბავშვებო, რომ ზოგჯერ ციდან ქვები ცვივა? ეს სრული სიმართლეა და ამაში ახლავე დარწმუნდებით.

იყო ერთი ცელქი და ცნობისმოყვარე ყმაწვილი. სახელად ლეო ერქვა, რადგან მშობლებმა ასე მონათლეს. ყველაფრის ცოდნა სწყურდა, პირზე სულ „რატომ“ და „როგორ“ ეკერა. უნდოდა წიგნის კითხვა სკოლაში შესვლამდე ესწავლა, უფროს ძმაზე მაღალი ყოფილიყო და გაეგო, რა არის სულ ქვევით, მიწის გულში. ყველაზე მეტად კი მაინც იმისი გაგება ეწადა, რა ხდება ულრან ტყეში, იციან თუ არა ნადირებმა ერთმანეთის ენა, როგორ ცხოვრობს ფუღურეროში ბუ და ეშინიათ თუ არა დათვებს საკუთარი თავის.

ყველას ეკითხებოდა, მაგრამ ბევრს ვერაფერს გებულობდა. დედამ არ იცოდა, მამას არ ეცალა. ძმა კი ატყუებდა. ძალიან უყვარდა ავთანდილს ლეო, მაგრამ მაინც ატყუებდა და თავის უცოდინარობას ამით ავსებდა.

ერთხელ, როცა მამა ქალაქში იყო წასული, ძმა სკოლაში და დედა ხაჭაპურებს აცხობდა, ყმაწვილმა შემოირბინა ეზო, ბაღი, ყანა, ყანის მიღმა მწვანე კორდი, და როცა საგულისხმო ვერაფერი ნახა, საცალფეხო ბილიკს გაჰყვა, თავი ტყეში ამოჰყო. ტყეში ხეების ჯარი იდგა: ჯმუხი მუხა, თეთრი ვერხვი, მშვენიერი არყები.

ყმაწვილი ყოველ ხეს ეხვეოდა, ყვავილებს ეფერებოდა, მაცოცხლებელ ჰაერს ხარბად ყლაპავდა და კენჭარას შეექცეოდა. ჩიანჭველების საქმიანობას აკვირდებოდა. მაჩვის სორში შეიხედა, ჩიტების ჟრიამულსა და ფუტკრების სასიამოვნო ზუსუნს უსმენდა. ამასობაში დრო შეუმჩნეველად გაიპარა, მზე გადაიხარა, დაბინდდა და ბოლოს დაღამდა კიდეც. ულრან ტყეში მძიმე დუმილი ჩამოწვა და ყმაწვილს ცოტა შეეშინდა. მაგრამ არც იმდენად, რომ ტირილი დაეწყო. როცა შინ ზიხარ და ბნელ ღამეში გარეთ გადიხარ, უცებ ერუანტელი დაგივლის, მაგრამ როცა შემოღამებას თვალს ადევნებ, ეჩვევი და შიში არ შეგიპყრობს. ტყეში დარჩენა კი მაინც უხერხულია და პატარა ლეო შინ სიამოვნებით დაბრუნ-

დებოდა, მაგრამ ეს არც ისე იოლი აღმოჩნდა. იხეტიალა და დათვის ბუნაგს მიადგა. ბუნაგიდან ბურტყუნი ისმოდა. ლეოს შიში გაუქრა. მამისაგან იცოდა, რომ დათვი ადამიანის ხორცს არ ეკარება და არც დატორავს, თუ არ გააბრაზა. მივალ, მივესალმები, რას შავნებსო! ბევრი არ უფიქრია პირდაპირ ბუნაგში შერგო თავი.

ბუნაგში ბნელოდა. დათვს სტუმრები არ უყვარს. არც ლეოს მოსვლა ესიამოვნა მაინცა და მაინც. პირდაპირ ჰკითხა: ვინა ხარ და აქ რა გინდაო?

— კაცი ვარ, ადამიანის ნასახი. მინდა გავიგო, როგორ ცხოვრობ ამ სიბნელეში და შენი თავისა ხომ არ გეშინიაო.

— ბუჰ! ბუჰ! — გაიცინა დათვმა. — რაკი ასე სულელი და ცნობისმოყვარე ყოფილხარ, არაფერს გერჩი. ამ ბუნაგში მე ისე ვცხოვრობ, როგორც საკუთარ სახლში. ზამთარში მძინავს. სულელ ადამიანებს ჰგონიათ, რომ თათებში რძე მაქვს და იმასა ვწოვ, ნამდვილად კი ამით მხოლოდ ვერთობიო.

— შენი თავის არ გეშინია?

— ბუჰ! ბუჰ! აკი გითხარი, ადამიანების ჯილაგი სულელიაო. თქვენ, თავისა რად უნდა მეშინოდეს? თავისი თავის ვის ეშინია?

— არც მგლებს ეშინიათ საკუთარი თავის?

— არც მგლებს, არც ტურებს.

ამ დროს ბელებმა მოირბინეს.

— დედა, ეს ვინ მოსულა? — ჰკითხეს.

— ბაღშვია. — მიუგო დათვმა.

— ბაღშვი რა არის? მაიმუნი, არა?

— ბაღშვი ჰქვია ადამიანის ნაშიერს.

— უნდა შევეამოთ?

— ჭკუით იყავით! — გაუწყრა დათვი. — ადამიანის ხორცი არ იუმეევა, ცუდია. თანაც ეს კარგი ადამიანია: თოფი არა აქვს. თუ გინდათ, ეთამაშეთ.

ბელებმა ლეოსთან თამაში და წყეს. კარგი სათამაშო ყოფილაო, მოეწონათ. დიდხანს იცელქეს. ბოლოს ბელებმა დაიძინეს. ლეოსაც ჩაეძინა. ისე კარგად ეძინა, რომ ვერც კი გაიგო, როგორ გათენდა და ბუნაგში მზემ შეიჭყიტა. დათვს უკვე მოეტანა ბლომად საყვალი, ბელებსაც დაურიგა და

ლეოსაც გაუმასპინძლდა. ლეომ მადლობა გადაუხადა, ბელებს ხელი გადაუსვა და წავიდა. სწორედ შინ დაბრუნების დრო იყო. ვინ იცის, როგორ დაეძებდნენ.

შინ დაბრუნება მაინც გაუჭირდა. ბევრი იარა, დაიღალა, ხის ქვეშ დაჯდა და ატირდა. ამ დროს ბარტყის ჭყლოპინი შემოესმა. მაღლა ჩიტი წიოკობდა. ჩხიკვს ბუდე აეწიოკებინა, ბარტყი გადმოეგდო. ლეომ ჩხიკვი გააგდო, ბარტყი აიყვანა და ბუდეში ჩასვა. წივწივა ჩიტმა სიხარულით ეღურტული დაიწყო და ასე უთხრა:

— კეთილო ბავშვო! შენ ხომ ვინილი გადამირჩინე! ასეთი სიკეთისათვის, აი, ამ მარგალიტს გაჩუქებ. ის გუშინ ციდან ჩამოვარდა და ჩემს ბუდეში დაეცა.

ლეო თვალს არ უჯერებდა. მის ხელში ნამდვილი მარგალიტის თვალი ციმციმებდა. ჩიტს მადლობა გადაუხადა და თვალი უბეში ჩაიხუტა. უცებ მარგალიტმა დაილაპარაკა:

ბოსუელი ვარ ლაჟვარდ ციდან,
გადაგაცევ, რაღაც გინდა.

— მაშ, ლომად გადამაქციე! — დაუფიქრებლად მიუგო ლეომ, რადგან ლომის სეხნია იყო: ლათინურ ენაზე ლეო ლომს ნიშნავს.

თქვა თუ არა, ლომად გადაიქცა. დიდი, საშინელი ლომი ფაფრის ფრიალით ტყიდან გამოვიდა, მინდორში თავმოყრილ ხალხს გადახედა და ისე დაიღრიალა, რომ მიწა იძრა. ეს ხუმრობით გააკეთა, მაგრამ ხალხს ოაეუბარი დაეცა. იქ იყვნენ მისი ძმა, დედ-მამა, მეზობლები, ყველა ლეოს დაეძებდა და, აგერ, ნახეს კიდეც, მაგრამ რად გინდა! სიხარულის ნაცვლად შეჰკივლეს და შიშით დაფეთებულები ერთიმეორეს აწყდებოდნენ. ავთანდილს ისე შეეშინდა, რომ ღრიალი მოეთო. ლომი მაშინვე მარგალიტს მიუბრუნდა, პირიდან გამოიღო და რაღაც უთხრა. მაშინვე ისევ ლეოდ იქცა და ძმას ვაუცინა:

— რა გაღრიალებს? მე სომ ლომად ქცეული ლეო ვიყავი!

— მეგონა, რომ შემჭამდი! — მიუგო ავთანდილმა ღა გადაეხვია.

— შე სულელო, როგორ შეგჭამდი, მე ხომ ძმა ვარ შენი!

ახლა სხვებიც მოვიდნენ. შიშით ფერი აღარ ედოთ. კითხვები დააყარეს.

— ნუ გეშინიათ, — უთხრა ლეომ. — მე ვიხუმრე. მარგალიტი მაქვს ასეთი, წივწივამ მაჩუქა. ეს მარგალიტი რადაც მინდა, იმად მაქცევს. მაგრამ ჩხიკვად ქცევა არ მინდა, მჩხავანაა! არც ძერობა მინდა, მტაცებელია. აი, მერცხლად კი ვიქცევი მარგალიტო, მერცხლად მაქციო! — თქვა თუ არა, მერცხლად იქცა, მარგალიტი პირში დამალა, შეინავარდა და მოჰყვა თავისებურად ჟღურტულს.

ასე დასეირნობდა ლეო მთელი დღე. ისე გაიტაცა ამ თამაშმა, რომ მშობლებიც დავიწყა. ხან ირმად იქცეოდა, ხან კვერნად, მელიად, მტრედად. ყველა ფრინველისა და ნადირის ენა შეისწავლა. გაიგო, რას ეუბნებოდნენ ერთიმეორეს. თურმე ყველა ცხოველს თავისი ენა ჰქონია და ლეომ იმდენირამ გაიგო, რომ ვერ აგიწერთ. რასაც მეცნიერები მთელ სიცოცხლეში იკვლევენ და მაინც კერ აუხსნიათ, ლეომ ერთ დღეში შეიტყო.

საღამოს ლეო ტოტზე ჩამოჯდა, ბულბულად იქცა და გალობა დაიწყო. უცებ თავზე ჩხიკვმა დასჩხავლა. ბულბული შეკრთა და ნატვრისთვალი ნისკარტიდან ძირს დაუვარდა. მაშინვე ეცა ჩხიკვი, აიტაცა და თავის ბუდეში გააქროლა. ლეოს ნატვრა აღარ უსრულდებოდა და სამუდამოდ ბულბულად დარჩა. საშინლად მოუხდა ადამიანად ქცევა, თავისიანები მოენატრა. თუმცა ყველა ფრინველ-ნადირი პატივსა სცემდა, მაგრამ მას ადამიანობა უნდოდა, რადგან გული ადამიანისა ჰქონდა. მოენატრა სახლიც და უსაზღვროდ იტანჯებოდა. დღისით ნატვრისთვალს ეძებდა, საღამოობით კი ტოტზე ჩამოჯდებოდა და გულსაკლავ ხმაზე გალობდა:

> რა ბედნიერი ვიყავი მაშინ,
> როცა დავრბოდი პატარა ბავშვი!
> ო, როგორ მინდა ყმაწვილად ვიქცე,
> თუმცა მსუბუქად ვნავარდობ ცაში!
>
> კარგია მტრედი, მერცხალი, შველი,
> ორბი, აქწვიე მაღალხმიანი,
> ლომიც კარგია, მაგრამ ყველაფერს,
> ყველას სჯობია ადამიანი...

ნე ბულბულობაც აღარ მახარებს..
ოჰ, თუ არა გაქვს საჩქარო საქმე,
პატარა ბიჭო, წადი, ეძიე
და ნატვრისთვალი მიპოვე სადმე!

აქ შეიძლებოდა ზღაპარი დაგვემთავრებინა, რადგანაც ნატვრისთვალის ძებნა უიმედო საქმეა, მაგრამ მე მინდა ის უფრო მხიარულად დავამთავრო.

მომისმინეთ. ერთხელ ბულბულის გალობა შემოესმა ავთანდილს, რომელიც ტყეში დაკარგულ ძმას დაეძებდა. ძმამ ხმა მაინც იცნო. გულის ფანცქალით მივიდა და დაელაპარაკა. ბულბულმა გალობა შეწყვიტა და, თუმცა ძმა იცნო, ახლოს მაინც არ გაიკარა — გაველურდა, გაფრინდა, ავთანდილი კვალდაკვალ მიჰყვა, თან მარგალიტს დაეძებდა. ტყის ბინადარნი გრძნობდნენ ძმების გასაჭირს, ნატვრისთვალს დაეძებდნენ, მაგრამ ის თითქოს მიწამ ჩაყლაპა. მჩხავანა ჩხიკვი რას დაგიბრუნებს!

დაღამდა, გათენდა, ავთანდილი კი ისევ ტყეში დაეხეტებოდა. წვიწვივა ჩიტი წყაროსთან დაჯდა, ცალი თვალით წყალში ჩაიხედა, ცალი თვალით ზეცას ახედა: იქნებ ან წყალში ვნახო, ან ცაშიო... თუ დაკვირვებიხართ, ბავშვებო, ფრინველები რომ წყალს სვამენ, წარამარა ცაში იყურებიან. ეს ჩვეულება იმ დროიდან შემორჩათ, ჭიანჭველები და თხუნელები რომ სულ მიწაში იქექებიან, ლეოს ნატვრისთვალს ეძებენ, ხოლო არწივი რომ სულ მაღლა დაფრინავს, იმასაც იმედი აქვს: იქნებ ცაში ვნახოო ნატვრისთვალიო!

გავიდა ხანი. ნატვრისთვალის ძებნაში ავთანდილი გახდა და დაიქანცა. ფეხსაცმელი გაუცვდა, ტანისამოსი შემოეფლითა, ფეხები დაუსკდა და სულ სისხლი სდიოდა, მაგრამ ტკივილს არ გრძნობდა, სულ ბულბულს დაჰყვებოდა და ისიც გუმანით ატყობდა, ძმა რომ დაჰყვებოდა, ამიტომ შორს არ მიფრინავდა, თუმცა არც ახლოს იკარებდა. საღამოობით დაიწყებდა გალობას, ძმაც ტირილით აძლევდა ბანს და ასე ეძინებოდა ლია ცის ქვეშ.

ერთხელაც ავთანდილს უსიერ ტყეში შემოღამდა. ნაღირების შიშით მუხის ფუღეროში შეძვრა და გაოცდა: რაღაც მოციაგე ვარსკვლავმა სახეში შეჟანათა. ჯერ ფუტურო ეგო-

ნა, მაგრამ მაღლა რომ აცოცდა, გარკვევით ნახა, რომ ობობას ქსელზე მარგალიტის თვალი ეკიდა და ის ანათებდა. აბა, ვის მოუვიდოდა აზრად, რომ ჩხიკვის ბუდიდან ნატვრისთვალს ობობა მოიპარავდა და თავის ქსელზე დაჰკიდებდა მწერების მისაყუჩებლად! ობობები ხშირად იპარავენ ბრჭყვიალა ნივთებს და აბლაბუდაზე ჰკიდებენ. პეპელა შუქს დააფრინდება და ქსელში ეხვევა. ხედავთ, რა ეშმაკია შავი ობობა!

ავთანდილმა აბლაბუდა დაშალა, ნატვრისთვალი ჩაბლუჯა, ვულში ჩაიკრა და მთელი ღამე ასე ჰქონდა ჩახუტებული. დილით კი დაუყოვნებლივ ბულბულს მიუახლოვდა და ბუჩქის ძირას დაუდო. ბულბული ნატვრისთვალს ეცა, მაშინვე ისევ ყმაწვილად გადაიქცა და ძმას გადაეხვია.

ასე დასრულდა ლეოს ტანჯვა. ტყე ზეიმობდა. ფრინველები ერიამულით მიაცილებდნენ ბედნიერ ძმებს და თვითონ ნაცნობი დათვის ბელები სულ ყირაზე გადადიოდნენ. თუ დაკვირვებიხართ, ბავშვებო, დათვის ბელები დღესაც ყირაზე გადადიან და ასე იგონებენ პატარა ლეოს.

დედის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. სოფელი ზეიმობდა. მამამ მარგალიტი ერთ ოქრომჭედელს მიჰყიდა და ბავშვებს იმდენი წიგნი უყიდა, რომ დღემდე კითხულობენ და მრავალ საოცარ ამბავს გებულობენ. ოქრომჭედელმა ის თვალი ქალის ბეჭედში ჩასვა და იმ ბეჭედს ოქრომჭედლის მეუღლე დღემდე ატარებს, ის კი არ იცის, რა ჯადოსნული თვალია და რა ლექსი იცის იმ ციურმა მარგალიტმა: „მოსული ვარ ლაჟვარდ ციდან — გადაგაქცევ, რადაც გინდა!“

აი, ბავშვებო, როგორ ცვივა ციდან ქვები. მაგრამ ეს ძალიან იშვიათად ხდება და თქვენ მაინცა და მაინც ძალიან ნუ გამოიდებთ თავს მათი ძებნით, მით უმეტეს, რომ ყოველი ციური ქვა მარგალიტი როდია. ზოგი თხილის ტოლია, ზოგიც იმოდენა, რომ დიდ დარბაზში ვერ ეტევა. ერთმა ქვამ ციმბირში სახლისოდენა ნაპრალი გააჩინა... მაგრამ ეს უკვე ზღაპარი აღარაა და დროა წერტილი დავსვათ, რადგან მართალ ამბებზე გადავედით.

ციყვის სტუმრები

ციყვი ხის ფულურუში დაბინავდა, შვილები ფაფუკი ბეწვით შემოსა, კარი ჩაკეტა, ურდული გაუყარა და საახალწლოდ თხილის გარჩევას შეუდგა. საქმე თავზე საყრელად ჰქონდა, თავზე დაათენდა. დილით მოფრინდა ერთი ყვავი, ტოტზე დაჯდა და დაიჩხავლა:

— ყვა-ყვა! კარი გამიღე!

— ყვა-ყვა! არ გაგიღებ! — მიაძახა ციყვმა.

— ყვა-ყვა! მაშინ ფეხს მოვიტეხ!

— თუ გინდა, კისერიც მოიტეხე.

ყვავი ჭკვიანი იყო. არც ფეხი მოუტეხია, არც კისერი. ადგა და გაფრინდა. მთელი ამბავი ამით დამთავრდა.

შუადღისას მოფრინდა ნისკარტმარწუხა ჩიტი და დაუკაკუნა:

— წია-წია! კარი გამიღე!

— წია-წია! რისთვის უნდა გაგიღო?

— მშია, მშია!

— წადი და გირჩები ჭამე.

— მაშინ ნისკარტს მოვიტეხ.

— თუ გინდა, ფრთაც მოიტეხე!

ნისკარტმარწუხა სულელი იყო, მაგრამ არც იმდენად, რომ ფრთა მოეტეხა. ადგა და გაფრინდა.

ნასადილევს მოფრინდა წიწკანა ჩიტი და დააკაკუნა:

— კაკ-კუკ! კარი გამიღე!

— კაკ-კუკ! ვინა ხარ და რისთვის გაგიღო?

— კაკ-კუკ! წიწკანა ვარ, პატარა ჩიტი, მშია და მცივა.

ციყვმა ჭუჭრუტანაში გაიხედა და მობუზული ჩიტუნა დაინახა. შეეცოდა, კარი გაუღო და შინ შეიპატიჟა.

საღამო ხანს მოფრინდა ბუ და წაიდუდუნა:

— უ-ჰუ! უ-ჰუ! კარი გამიღე!

— უ-ჰუ! უ-ჰუ! არ გაგიღებ!

— უ-ჰუ! უ-ჰუ! მაშინ მარჯვენა თვალს ამოვითხრი.

— უ-ჰუ! თუ გინდა, მარცხენაც ამოითხარე.

ბუ გაბრაზდა, მაგრამ არც მარჯვენა თვალი ამოუთხრია, არც მარცხენა. გაფრინდა და მოისვენა.

ციყვი კი იჯდა თავის ფუღუროში, თხილს არჩევდა და თანაც პატარებს ასწავლიდა:

— შვილებო! მტერსა და მოყვარეს გარჩევა უნდა. ყველას რომ კარი გაუღოთ, მალე თვითონ სხვის კარებს მიადგებითო.

ჭკვიანმა ციყუნიებმა ულვაშები დააცმაცუნეს, დედის დარიგება კედელზე კბილებით წააწერეს, დაიკრიკინეს და ისეთი საახალწლო ფერხული ჩამოუარეს, რომ თოვლის ფანტელები გაკვირვებისაგან ჰაერში დნებოდნენ. მერე ის წყალი ნაკადულად იქცა, კორდებს ჩამოუარა და მშვენიერი ზამთრის ზღაპარი გაზაფხულის ყვავილებს უამბო. ყვავილებმაც მე მიამბეს. მე კიდევ წიგნში ვბეჭდავ, რომ ყველამ წაიკითხოს და გაიგოს, რა ხდებოდა ახალ წელს ციბენაკის ტყეში.

ბრძენი კატა

ერთ სოფელში ერთი ბერიკაცი ცხოვრობდა. იმ ბერიკაცს ერთადერთი რაც გააჩნდა, კატა იყო, ბრძენზე ბრძენი, ისეთი ბრძენი, როგორიც, საერთოდ, შეიძლება იყოს კატა. კაცმა რომ თქვას, ანკი რატომ უნდა დაეჭვდეთ: თაგვებს მუსრს ავლებდა, ყველს იშვიათად იპარავდა, თუ არ შიოდა, ჩიტსაც არ ააფრენდა, არ კნაოდა, არ ჩხაოდა, წიწილებს არას ერჩოდა და კიდევ... კიდევ რაღა გინდათ კატისაგან? ცაში ვარსკვლავებს ხომ ვერ დათვლიდა!

ერთხელ კი... ერთხელ ბრძენი კატა ტყეში სანადიროდ წავიდა. ტყე ულრანი, ბნელი და გაუვალი იყო. ბევრი იხეტიალა და რაკი საკბილო ვერაფერი ნახა, უკან გამობრუნება დაპირა, თანაც ასეთი ბრძნული აზრი მოუვიდა: — ვაითუ, თვითონვე გავხდე სხვა ნადირის საკბილოო.

უცაბედად საიდანღაც თაგვი გამოვარდა, კატა გაეკიდა, მაგრამ თაგვი იქვე კლდის ნაპრალში შევარდა და გაუჩინარდა. ფისო ნაპრალის შორიახლო გაინაბა; მე თუ კატა მრქმევია, ამ წრუწუნას მაინც დავიჭერო.

დიდხანს იცადა თუ ცოტა ხანს, გავიხედოთ და, კლდის ლოდმა გაიწია. გაიწია და გამოვიდა... თქვენ გგონიათ — თა-

ბვი? არა! ნაპრალიდან საშინელი ყაჩაღი გამოვიდა. ნადირივით ბანჯგვლიანი იყო, რუმბივით მრგვალი და კვაბივით უტვინო. თავზე ორი დიდი რქა ჰქონდა, შუბლზე ერთადერთი დოლაბისოდენა თვალი, რომელსაც ნაღვერდალივით აბრდღვალებდა. წელზე შემორტყმულ ტყავის ღვედზე ფოლადის ორპირი დანა ეკიდა, ხელში კი აღლიანი შამფური ეჭირა. ტახი არ იყო, მაგრამ ეშვები ჰქონდა. ვეფხვი არ იყო, მაგრამ კლანჭებს ილესავდა. ზღარბი არ იყო, მაგრამ ტანზე ეკლები ესხა. ერთი სიტყვით, საშინელი რაღაც იყო.

— ყოჰ! — შეუძახა. — რამდენი ხანია ადამიანის ხორცი არ მიჭამია! ერთი წავიდე სოფელში, ათიოდე კაცი შამფურზე წამოვაცვა, აი, გემრიელი სადილი მაშინ მექნებაო!

ჯაგარზე ხელი გადაისვა და გზას გაუდგა. ტყეში ისეთი ლაწანი ისმოდა, გეგონებოდათ, სპილო მოაბოტებსო. კატა ფეხაკრეფით მიჰყვა ავაზაკს.

სოფლის ბოლოს დაღლილი ყაჩაღი ნაილაღარ ხარივით ქშენას მოჰყვა.

— ყოჰ, რამდენი ვიარე, მეძინებაო! — ამ სიტყვებზე რუმბივით დაეგდო და დაიძინა.

კატა დაფიქრდა, რა უნდა ექნა? მორევით ვერ მოერეოდა. მართალია, ყველა ენა ესმოდა, მაგრამ ლაპარაკი არ შეეძლო. კიდევაც რომ წასულიყო სოფელში, ვის რას გააგებინებდა?

იფიქრა ბრძენმა კატამ, იფიქრა და ვერაფერი მოიფიქრა, დაღონდა, ძალიან დაღონდა. რა უნდა ექნა? უცებ რკოს კნატუნით გართული თაგვი შენიშნა და მისკენ გაექანა... თავზარდაცემული თაგვი მძინარე კურდღელს დაახტა. კურდღელი წამოვარდა და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა. სირბილში ვერც კი შენიშნა, ყანაში შეპარულ მაჩვს როგორ დაეჯახა. გაბრაზებულმა მაჩვმა გოგრის ყუნწი კბილების ღრჭიალით გაკვნიტა. გოგრა ღეროს მოსწყდა და დაგორდა. დაგორებული გოგრა — ყანის ძირას მძინარე ყაჩაღს თავში მოხვდა. გოგრა რომ გოგრას მოხვდება, ხმას გამოსცემს. აქაც ასე მოხდა. ხმაურზე ყაჩაღს გამოეღვიძა, გაცოფებული წამოიჭრა და დაიღრიალა:

— ვინ გამაღვიძა? ჩემს შამფურს ვფიცავ, თავხედობისათ-

ვის თვალის დათხრას ვერ გადარჩებაო! — და გამსკდარ გოგორას წაეტანა.

საცოდავმა კვახმაც კი იცოდა, რომ ყაჩაღი თუ თავის შამფურს დაიფიცებდა, მეექვსეს უსათუოდ აღასრულებდა.

— ო, დიდო მბრძანებელო, — ატირდა გოგრა, — ჯერ ერთი, მე თვალი არა მაქვს, მეორეც — რა ჩემი ბრალია; მაჩვმა შობაკვნიტა ყუნწი და დამაგორა, მაჩვია დამნაშავეო.

ყაჩაღმა ახლა მაჩვს დაუღრიალა:

— აქ მოდი, თვალები უნდა დაგთხარო!

— ვაი, — ამოიკვნესა მაჩვმა, — კურდღელმა გამაბრაზა და ყუნწი მიტომ მოვაკვნიტე. ყურაქვიტაა დამნაშავეო.

— კურდღელო, ერთთავად ცოფიანივით რომ დარბიხარ, აქ მოდი, თვალი ამოგთხარო!

კურდღელი ატირდა:

— დიდო მბრძანებელო, მე რა უნდა მექნა? ყურზე თაგვი დამახტა და შემაშინაო.

— თაგვო! — დაიქიშინა ტყიურმა, — ვერ დაინახე კურდღელი? თვალი სადა გქონდა?!

— ვაი, ცოლო და შვილო, — ატირდა წრუწუნა, — აბა, რა უნდა დაინახოს თაგვმა, როცა კატა მოსდევსო?

— ყოჰ! — დაიხროტინა ამდენი ლაპარაკით დაღლილმა ყაჩაღმა, — კატა ხარ, თუ რაღაც ჯანდაბა, — მოდი, ეგ ბოროტი თვალები ამოგთხარო!

— რასა ბრძანებ? — წყნარად მიუგო ბრძენმა კატამ. — მთელს ქვეყანას დავიმოწმებ, რომ მეც დამშვიდებით მეძინა, მაგრამ დევკაცის ხვრინვამ გამომაღვიძაო.

— სადა არის ეგ დევკაცი!

— აი, აქ გასლავთ, — მიუგო კრუტუნით კატამ და იქვე დიდი ჭის კიდეზე შესტა.

ბუმბერაზმა ჭაში თავისი გამოსახულება დაინახა და ბევრიც არ უფიქრია, დამნაშავის დასასჯელად შიგ ჩახტა. ჭა ღრმა იყო და ვიწრო.

ჭაში გაჭედილმა ბუმბერაზმა ისეთი ღრიალი მორთო, მთელი სოფელი შეიყარა. გამორბოდნენ კეტებით, ფიწლებით, ნაჯახებით; იქნებ ახლა მაინც მოვაშოროთ დევკაცი წუ-

თისოფელსო, მაგრამ ეს საქმე უკვე ისედაც მოგვარებული იყო.

ბრძენი კატა კი ფეხაკრეფით მივიდა შინ და პატრონის ხავერდის ბალიშზე დაღლილი მიწვა. მაშინვე დაეძინა. ძილში ისეთი სიზმარი ნახა, ხსვა დროს რომ გიამბობთ, არც იმის მოსმენაზე იტყვით უარს. რაღა თქმა უნდა, სიზმარშიაც მეტისმეტად ჭკვიანურად იქცეოდა.

ასე მოიცილა სოფელმა თავიდან კაციჭამია ბუმბერაზი. დღეს იმ სოფელში ყველა თანხმობით შრომობს, ყაჩაღისა არავის ეშინია და ბრძენი კატის ამბავიც თაობიდან თაობაში გადადის.

კატამ თავისი თავი შეახრამუნა

ბაბუა, ჩვენი კატა დილით რაღაცას ახრამუნებდა შენს ლოგინთან!

— არაფერია, შვილო, თავისი თავი შეახრამუნა, — თქვა ეს ბაბუამ და დაიძინა. მოხუცებს ყოველთვის ეძინებათ, თუმცა ერთთავად ჩივიან, არ გვძინავსო!

ბაბუამ დაიძინა, ბავშვებმა კი ერთიმეორეს გადახედეს.

— კატამ თავისი თავი შეახრამუნა!— წამოიძახეს ერთხმად. — ახლა რა ეშველება, უთავოდ როგორ ივლის? საწყალი ფისო!

— მოდი, რეზო, ვნახოთ, როგორია უთავო კატა!

დაუწყეს ძებნა. გადაქექეს მთელი ოთახი, ეზო, აშალეს ქათმის საბუდარი, რაც უკმაყოფილო დედალმა კრიალით შეიცხადა, და შემდეგ საკუჭნაოში შევიდნენ, მეზობლის ეზო დაირბინეს, მაგრამ კატა არსად არ იყო. მერე გადაწყვიტეს, ალბათ უთავოს გზა დაებნა და სადმე გადავარდაო. ოღონდაც, არც ისე ძნელია გადავარდნა უთავოდ და უთვალოდო. უამბეს მეზობლის ბავშვებს, მათ კიდევ — თავის შშობლებს, და შუადღემდე მთელს სოფელს მოედო საოცარი ამბავი: ბაბუა გაუს კატას თავისი თავი შეუჭამიაო! რას არ ამბობდნენ: გაცოფებულაო, კუდიანიაო (ამაში არცა ცდებოდნენ: ყველა კატა კუდიანია!), დაუმშევიათო, და კიდევ

ვინ იცის, რას! იყო ერთი მითქმა-მოთქმა. მშობლები ბავშვებს კარში არ უშვებდნენ: ცოფიანმა კატამ არ დაკბინოსო და ის კი არ აგონდებოდათ, რომ უთავო კატებს კბენა არ შეუძლიათ, რადგან კბილები მუცელში აქვთ.

მოხუცი ქალები გამოვიდოდნენ, პირჯვარს გადაიწერდნენ, ბაბუა გაუს სახლისკენ პირმიქცეულნი წამოიძახებდნენ: „ფუი, ეშმაკსაო!“ და სასწრაფოდ შინ ბრუნდებოდნენ. ახალგაზრდებს კი უფრო ცნობისმოყვარეობა სძლევდა. თვალი სულ იმ სახლისაკენ ეჭირათ, სადაც საოცარი ამბავი მოხდა. ბოლოს გადაწყვიტეს, მისულიყვნენ და დაწვრილებით გამოეკითხათ ბაბუასათვის, როგორ მოხდა ეს სასწაული. მოიმარჯვეს ჯოხები, ფიწლები და გასწიეს ბაბუას ქოხში.

ბაბუა გაუ უკვე ეზოში გამოსულიყო და გოდორს წნავდა. სკამ-ლოგინზე მისი კატა იჯდა და თვალებდახუჭული კრუტუნებდა. გაოცებულმა ახალგაზრდებმა შორიდან იკითხეს:

— ბაბუა! ყველა ამბობს, რომ შენმა კატამ თავისი თავი შეახრამუნაო.

— თავისი თავი კი არა, თავისი თევზის თავი, შვილო! — შეუსწორა ბაბუამ და გოდორს წვნა განაგრძო.

კურდღელი და ორი მგელი

რუხმა მგელმა თეთრი კურდღელი დაიჭირა, განზე გაათრია და უკვე შეხრამუნებას უპირებდა; ამ დროს საიდანღაც თეთრი მგელი გამოვარდა და კურდღელს ეცა.

რუხმა მგელმა შეუღრინა:

— ნადავლი ჩემია და ტყის წესებს ნუ არღვევო!

— ნადავლი მისია, ვინც შეჭამსო, — მიუგო თეთრმა მგელმა და კურდღელს დასწვდა.

— საით მიწანწალებდი, შე წუწკო ტურავ! — გააკრაჭუნა კბილები რუხმა მგელმა და გავაზე თათი გაჰკრა თეთრს.

— ვის ეძახი შენ ტურას, გუდამშიერო! — ეწყინა თეთრ მგელს. — ხომ ხედავ, თეთრი ქურქი დამისვარე შენი რუხი თათით! სამაგიეროდ კურდღელი ჩემია,

— არა, ჩემია!

— მაშ, თვითონ კურდღელსა ვკითხოთ!

რუხი მგელი საცოდავად მობუზულ ყურცქვიტას მიუბრუნდა და უთხრა:

— აბა, ჩემო კარგო, შენ ხომ პატიოსანი კურდღელი ხარ! ერთი ამ თეთრ ავაზაკს უთხარი, რომელს უფრო გვეკუთვნის შენი ფაფუკი ბეწვი? ხომ მე დაგიჭირე და თანაც ნამდვილი რუხი მგელი ვარ! ისე ფრთხილად შეგახრამუნებ, ვერც გაიგებ. მე...

— გეყოფა ყბედობა! — შეუღრინა თეთრმა მგელმა. — ხომ ხედავ, თეთრო კურდღელო, რა ყბედი და ვერაგია ეს რუხი ავაზაკი? აბა, სად რუხი და სად თეთრი მგელი! შენც ხომ თეთრი ხარ! ასეთი იშვიათი თეთრი მგელი რომ. შეგჭამს, მთელს ტყეში გამორჩეული კურდღლის სახელი დაგივარდება. აბა, გულზე ხელი დაიდევი და ისე თქვი: ხომ ის გირჩევნია, რომ მე შეგსანსლოო?

— ჩემთვის სულ ერთია, თეთრი მგელი შემსანსლავს თუ რუხი! — დაიკნავლა კურდღელმა. — ორივე ავაზაკი ხართ. კარგი მგელი ის იქნება, რომელიც ცოცხალს გამიშვებსო.

მართლაც! სასწაული მოხდა: ერთიმეორის ჯიბრით მგლებმა კურდღელი ცოცხალი გაუშვეს და ისიც მწვანე ტყეებში დღემდე დაცუნცულებს.

სიკვდილის ჯაჭვი

(ჯუნგლების ზღაპარი)

ულრან ტყეში, ტბის ნაპირას ერთი პაწაწკინტელა კოლო ცხოვრობდა. ნადირთა სამეფოში ეს ყველაზე პატარა არსება იყო, მაგრამ მისთვის არავინ ზრუნავდა — თვითონ დედაც კი, რომელმაც ის კვერცხშივე ბედის ანაბარა მიატოვა. სამაგიეროდ, თვითონ კოლო ზრუნავდა თავის საქმეებზე: დაჯდებოდა რომელიმე მძინარე ცხოველს, მოსწოვდა იმდენ სისხლს, რამდენიც ესაჭიროებოდა, მერე კი დაჯდებოდა სადმე ფოთოლზე და ბაიყუშივით იჯდა მთელი დღე.

მაშინ, როცა ეს ამბავი მოხდა, — სამხრობისას — იჯდა კოლო რომელიღაც ბალახის ფოთოლზე და თავისი სიცოცხ-

ლის ხანგრძლივობაზე ფიქრობდა: ძალიან უნდოდა ასი წელი მაინც ეცოცხლა...

მოულოდნელად — ტყეში ყველაფერი მოულოდნელად ხდება! — გამოჩნდა რომელიღაც მფრინავი ურჩხული, სიდიდით კალიას არ ჩამოუვარდებოდა, სიხარბით კი აჭარბებდა კიდეც. გრძელი კისერი, შახვილი თავი და მოკლე კუდი ჰქონდა, ჰაერს შხუილით ეპობდა. ერთი სიტყვით, ნამდვილი ბუმბერაზი იყო. დასტაცა პირი კოღოს და ჰაერშივე გადასანსლა... ვიცი, თქვენ იტყვით, ზღაპარში გმირები არ იღუპებიანო, მაგრამ ტყეში იღუპებიან! მაინც ბოლომდე მოისმინეთ, იქნება კოღო გაცოცხლდეს, თუმცა ძალიან საეჭვოა.

მტაცებელს კოღოს მონელება არ დასცალდა. თავისი ბუდიდან აფრინდა კოლიბრი, პაწია ჩიტუნა, დაეწია, ბასრი ნისკარტით ორად გააპო და ორივე ნაწილი სათითაოდ გადაყლაპა.

ჩიტუნა ტოტზე ჩამოჯდა და ჩაფიქრდა — ბუდეში დაებრუნდე თუ ცოტა კიდევ გავინავარდოო. ეს საქმე მის დაუკითხავად გადაწყდა. უეცრად ქარმა დაუბერა და ტოტი, რომელზედაც ჩიტუნა იჯდა, სწრაფად გადასწია. ყვავილების შვილი, ყვავილივით ფერადი პატარა ქოჩორა ჩიტუნა მოსწყდა ტოტს და რაღაც წებოვან ბადეში გაეხვია. ფაქიზ აბრეშუმის ბუმბულზე საზიზღარი აბლაბუდას თოკები მიეწება. გამეტებით ფართხალებდა, მაგრამ ძაფები გასაქანს არ აძლევდნენ. რაღა ბევრი გავაგრძელოთ, კოლიბრი უზარმაზარ ჩიტიჭამია ობობას ქსელში მოხვდა.

ჩიტუნა უმწეო ფართხალში დაიქანცა, ქსელზე დაეკიდა და თვალები დახუჭა. როცა თვალები ისევ გაახილა, შენიშნა, რომ უფსკრულის თავზე ეკიდა. ქსელის ბაწრების ბოლოები ყოველ მხარეს მიმაგრებული იყო ხის ტოტებზე, მხოლოდ ქვემო მხარეს რამდენიმე ბოლო მიწამდე არ სწვდებოდა, ჰაერშივე ეკიდა: მიწაზე მოსიარულე ნადირებს რომ ქსელი არ დაეგლიჯათ, მოხერხებულ ობობას ბოლოებზე დიდრონი კენჭები დაეკიდა და ამით გაეჭიმა. ერთი კენჭის ნაცვლად მარგალიტის თვალი ეკიდა. ჩიტუნამ არ იცოდა, სად იშოვა ობობამ მარგალიტი: არც ის იცოდა, თუ რატომ ეკიდა ქსელზე კენჭები. ამაზე ფიქრისათვის სად ეცალა! ხის

ფულუროდან მოდიოდა შავი ბანჯგვლიანი ურჩხული ცეცხლი-ვით მოელვარე თვალებითა და მარწუხივით მჭრელი პირით. ეს ობობა იყო, ქსელის ბატონ-პატრონი. შავი პირიდან უკვე გადმოსდიოდა შხამიანი ნერწყვი, რითაც კოლიბრი უნდა მოეკლა. შიშისაგან ცოცხალ-მკვდარ ჩიტუნას, ის იყო, სამუდამოდ უნდა დაეხუჭა თვალები, რომ მეორე დიდრონი ფულუროდან ვიღაცამ გამოყო უშნო კლანჭები, მოჰგლიჯა ჩიტი ქსელიდან და ფულუროში შეიტანა.

ობობა ხახამშრალი დარჩა, ბრაზით გადაატრიალა თვალები და საფარს მიაშურა, ფულუროში კი ბრძოლა გაიმართა. ალბათ, ჩიტუნას გამო. ნახევარი წუთის შემდეგ გამოჩნდა ბუს დიდრონი გამუდმებული ძილისაგან სასაცილოდ გასიებული თავი, მას მოჰყვა თვითონ ბუ, რომელსაც მეორე ბუ მოსდევდა. მის ბრჭყალებში პაწია ჩიტუნა აღარც კი მოჩანდა.

ბუმ შიმშილი კი მოიკლა მაგრამ ფულუროში დაბრუნება არ დასცალდა. ამ ბეც ბაიყუშს მოულოდნელად დააცხრა მიმინო, თვალის დახამხამებაში დაგლიჯა, გაფატრა და ძირს გადმოაგდო. მერე თვითონაც მიწაზე დაჯდა და ამოდენა ნადავლი ნახევარ საათში ჩაყლაპა. ისე გამოძღა, რომ არაფრის თავიც აღარა ჰქონდა: ოთხი სულის მირთმევა ჯერზე, საერთოდ, საზღაპრო, მით უმეტეს ისეთი პატარა არსებისათვის, როგორიცაა მიმინო!

ტყის კანონებით ნებადართულია მტაცებლობა, წაგლეჯა, ქურდობაც კი, მაგრამ თუ ვინმე შესძლებს დამნაშავის დასჯას, არც ამისი წინააღმდეგი წავა ვინმე, რადგანაც არსებობისათვის ბრძოლა ტყეში უმაღლესი კანონია.

მიმინოს ქცევას ზვერავდა ერთი წყვილი ცივი და სასტიკი თვალი. აი, მოულოდნელად ხის ტოტიდან მოწყდა მახრჩობელა გველი და ასაფრენად გამზადებულ მტაცებელს ფრთებზე შემოეხვია. არ გაუვლია ათიოდე წუთს, რომ მძლავრი კუნთებით გაგუდული მტაცებელი ფრინველის თავ-მკერდი ნელ-ნელა გველის ხახაში ჩადიოდა. ამ დროს გამოჩნდა მეორე, უფრო დიდი მახრჩობელა, დაისისინა და პირი მიმინოს ფეხებს ჩააკლო. სულ მალე ნადავლს უკანა მხარე დაუპატიჟებელ სტუმრის ხახაში ჰქონდა გაჩრილი. გველების ცივი პი-

რები ერთმანეთს შეეხო. ახლა ის, ვისაც ნანადირევი ეკუთ-ნოდა, სიამოვნებით დათმობდა მას, მაგრამ გვიან იყო. გველის კბილები შიგნითკენაა მოკაუჭებული და რასაც ერთხელ-ვე პირში იგდებს, უკან ვეღარ გამოაბრუნებს. დიდმა მახრ-ჩობელამ ნელ-ნელა ჩაყლაპა ჯერ მიმინო, მერე მის მფლო-ბელი. ახლა მის მუცელში ექვსი სული იმყოფებოდა: კოღო, მწერიყლაპია, კოლიბრი, ბუ, მიმინო და გველი. ადგილიდან დაძვრა ალარ შეეძლო და იქვე დასორსალდა, მიყუჩდა, დაი-ძინა... მახრჩობლები თვეში ერთხელ სადილობენ.

მაგრამ ეს იყო მახრჩობელას უკანასკნელი სადილობა. უც-ბად გამოჩნდა მაჩვზღარბა, ეცა, გაფატრა და... რაღა ბევ-რი გავაგრძელო, მაჩზღარბა მშიერმა მგელმა გაფატრა, მგე-ლი აფთარმა, აფთარს კი ლომმა თათის ერთი დაკვრით ხერ-ხემალი გადაუმტვრია, მაგრამ პირიც არ მიუკარებია: ჯერ ერთი, ლომს აფთრის ხორცი ეზიზღება, მერე კიდევ, ამ გაუ-მაძღარი ნადირის კუჭში ახლა მთელი სამხეცე იყო მოქცე-ული.

სიკვდილის ჯაჭვი ასე შეიკრა. ამ ზღაპარს ყოველ ნაბიჯ-ზე გაიგონებთ უღრან ტყეებში, გაშლილ ველებზე, მთებში და ბარად, განსაკუთრებით კი ცხელი ქვეყნების გაუვალ ჯუნგ-ლებში. მაგრამ ეს ამბავი აქ, ჩვენთან, ქალაქებსა და სოფლებ-შია ზღაპრად ქცეული, თორემ იქ, სადაც ასეთი რამ ხდება, მას ყველაზე უფრო ჩვეულებრივ საყოველდღეო ამბად თვლი-ან. რომ ამეტყველდებოდეს, ამას ყოველი სპილო გვიამბობ-და, ოდესღაც რომ ყველაფერს თავისი თვალით ხედავდა, დღეს კი ზოოპარკში ბუზებს იგერიებს.

ხალხის დროშა

შორს აქედან, სადღაც მთებში, ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით, იყო ერთი ქალაქი და ამ ქალაქში იდგა ციხე.

ციხეს ჰქონდა ფუძე მყარი, და კენწეროც მყარი ჰქონ-და, მის ზეთავზე ძველთაგანვე ფრიალებდა ქვეყნის დროშა. ფრიალებდა, რადგან ციხეს არ ენახა პატიმარი, ღია იყო მი-სი კარი, და ხარობდა გარეთ ხალხი.

ყოველ დილით ადრიანად გავიდოდა მოქალაქე, გახედავდა ციხის თავზე მოფრიალე ცისფერ დროშას, გახედავდა — მყისვე გული სიამაყით ევსებოდა. ევსებოდა, რადგან დროშა ისევ ისე ფრიალებდა...

ერთხელ დილით ბერიკაცმა გაიხედა ფანჯარაში — ციხის თავზე ლურჯი დროშა უკვე აღარ ფრიალებდა. შეშფოთდა და გაუკვირდა, მიუვარდა ქვეყნის მმართველს; ასე უთხრა:

— მოქალაქევ! მიპასუხე, ეს რას ნიშნავს: ციხის კარებს კლიტე აძევს, თავზე დროშა არ ფრიალებს! ქურდი, მკვლელი და მძარცველი არ გვყოლია არასოდეს. ყველა შფოთავს, ყველა ღელავს: დროშა რისთვის დაგიშვიათ?

ერისკაცმა უპასუხა:

— კარგად მესმის ერის გლოვა! მესმის ხალხის შეშფოთება, მეც იმ დარდით ვიტანჯები: სადაც არის შესრულდება სწორედ სამი საუკუნე, რაც ჩვენს ციხეს არ უხილავს ხუნდები და პატიმარი, ბორკილს ჟანგი ედებოდა, ედებოდა კედლებს ხავსი და დევნილი ღამურები თავს ამ დილეგს აფარებდნენ. გუშინ რკინის ურდულმა და ჟანგიანმა გასაღებმა დაარღვიეს საყრობილის საუკუნო მდუმარება. ძირს დავუშვით ციხის დროშა, ხალხის ხელით აზიდული და დუმილით უნდა შეხვდეს ერი თავის დღესასწაულს.

— პრეზიდენტო, შენი სიტყვა მძიმეა და შემზარავი! შეპყრობილი ვინ არის და ასეთი რა ჩაიდინა, იმის გარდა, რომ ქალაქი თავზედურად შეაშფოთა? ჩვენი ქვეყნის შვილია თუ უცხო მხრიდან ჩამოსული? ქურდია თუ კაცისმკვლელი, და რა სასჯელს იმსახურებს? ამ დაკოჟრილ ხელით მოვკლავ, თუნდაც იყოს ღვიძლი შვილი. მსესა ვფიცავ, ხალხის წყრომას ქვესკნელშიც ვერ გაექცევა.

— არც ქურდია, არცა მკვლელი, უფრო მძიმე გახლავთ საქმე! ლტოლვილია მაშრიყიდან, თავშესაფარს ეძებს ჩვენთან: ქვეყნის ტირანს შეებრძოლა, გასცეს, სიკვდილს გამოექცა...

— ახ, რარიგად დაცემულა სანაქებო რესპუბლიკა! — თუ ციხეზე მყუდრო ბინას ვეღარ აძლევს დევნილ გმირებს! პრეზიდენტო, მიპასუხე: როცა დგაჰდი ასეთ ნაბიჯს, წუთით ხომ არ დაივიწყე ხალხის ნება და სურვილი? წუთით ხომ არ

დაივიწყე შენ იმ ხლახის მისწრაფება, ვინც გენდო და რესპუბლიკის პრეზიდენტად აგირჩია?

— ვფიცავ, მაშინ საკნის კარებს მე პირველი შევაღებდი! მომისმინე, მოქალაქეო, ნუ იქნები განუსჯელი. რესპუბლიკის საბჭომ დიდხანს ითათბირა ამ საქმეზე: თუ მივცემდით თავშესაფარს შემოხიზნულ მამაც მებრძოლს, რესპუბლიკას დავატეხდით მაშრიყელი მეფის რისხვას; და თუ მის თავს მტარვალს მივცემთ, დროშა ისევ იფრიალებს...

— მაგრამ იგი, პრეზიდენტო, არ იქნება მტრედისფერი! წმინდა სისხლით დალაქული ფასს დაკარგავს ხალხის თვალში! ეს განძია, დიდი განძი, და საგანძურს დაცვა უნდა!

— ჩვენ ორგვარი ბოროტება თვალწინ გვედო ასარჩევად...

— და ორივე დაატეხე, ერთის ნაცვლად, რესპუბლიკას!

— ერთი კაცის დატყვევება სჯობდა ერის დამონებას.

— პრეზიდენტო! მზესა ვფიცავ, მე არ მომწონს შენი სიტყვა! ამით გინდათ მოისყიდოთ ულმობელი მეფის გული? დღეს დასჭირდა გულქვა ტირანს ჩვენი ციხის გასაღები, ხვალ მოითხოვს, რომ სასახლის გასაღებიც ჩააბაროთ. თქვენც მორჩილად გაუწოდებთ, დაეგებით ფეხქვეშ ტირანს — შეშინებულ ფრინველივით, გველს რომ პირში მიუძვრება. პრეზიდენტო! დამიჯერეთ მოხუცებულ რესპუბლიკელს: ციხის კარი გამოაღეთ და დაკეტეთ საზღვრის კარი!

— ასეთია ხალხის ნება! — დაიქუხეს ათასებმა. — მას, ვინც იცის, რისთვის იბრძვის, ვერ შეუნგრევ მკერდის ფიცარს!

კელაე გაიღო ციხის კარი, აფრიალდა ქვეყნის დროშა, და უცხოელ დევნილ მებრძოლს შეეგება რესპუბლიკა.

...ასე მოხდა უხსოვარ დროს, ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით. ამბობენ რომ, იმ დღეს ტირანს არ დასცალდა გაღვიძება: თურმე რაღაც ერთობ ცუდი სიზმარი რამ სიზმრებია; ძაღლის მსგავსად ყეფდა ძილში, რადგან ძაღლის სული ჰქონდა. მსახურებმა უცქირეს და ისე ძლიერ შეებრალათ, რომ მახვილი ჩასცეს გულში, ტკივილები დაუყუჩეს. ახლა ტირანს

წყნარად სძინავს წინაპართა აკლდამაში, საფრთხე აღარ ემუქრება და სიწმრები არ აწუხებს.

გაუქმებულ ციხის თავზე კვლავ ფრიალებს ხალხის დროშა, კედლებს ხავსი ედება და ბორკილს ჟანგი ყავისფერი. გასაღები დაჟანგული, ციხის კარებს აღარ კეტავს, და წარწერა ამკობს კედელს:

— ასეთია ხალხის ნება!

ხალხის გმირები

(თქმულება)

ტყეში გველები სისინებდნენ. მიწყდა ფრინველთა ჭრიამული, დაშრა წყაროები. მოიწამლა ჰაერი. გაჭირდა სუნთქვა. ხეებიდან სუროების ნაცვლად შხამიანი გველები ეკიდა. არც ერთი ცოცხალი სულდგმული არ დარჩა ტყეში, ყველაფერს ქვეწარმავლები დაეპატრონნენ. თვითონ მზის სხივები, რომლებიც მჭიდრო ხეებს შორის ძირს იჭყიტებოდნენ, ამდენი ქვემძრომის დანახვაზე აცახცახებულნი და შემკრთალნი უკანვე ბრუნდებოდნენ. ამიტომ ტყეში დღე და ღამე ბნელეთი მეფობდა. ყველამ იმედი გადაიწყვიტა და ჩათვალა, რომ ჩაკვდა სიცოცხლე დედამიწაზე.

. შორს გავრცელდა გველების სამფლობელო. ქვეწარმავლები ხეებიდან ჩამოდიოდნენ და მახლობელ ველ-მინდვრებს ესეოდნენ. სათიბები და ჯეჯილები ასპიტებით აივსო, ყანაში სამუშაოდ ვერავინ გადიოდა, გავერანდა ხალხის საარჩო-საბადებელი. გაწყდა შეშა, ჩაქრა ცეცხლი, კერა გაცივდა

გავრცელდა გველების სამოქმედო არე. ახლა ქვეწარმავლები სახლებში შედიოდნენ, კბენდნენ მოხუცებს, აკვანში ახრჩობდნენ ბავშვებს. შხამავდნენ მძინარე ადამიანებს.

მაშინ აიყარა ხალხი, სახელდახელოდ დააწყო ყველამ ურმებზე და მარხილებზე, რაც კი რამ გააჩნდა. მოგროვდა მრავალი სოფლის მოსახლეობა და ეხუცესნი შეუდგნენ იმაზე ბჭობას, თუ საით გახიზნულიყვნენ. სულ ერთია, გველები კვალდაკვალ დაედევნებიან, მოსვენებას ვერსად ეღირსებიან

მშობელ კუთხეს მოცილებულნი, მაგრამ სადმე ხომ უნდა გაეცალონ უხსენებელთა ჯგროს! ყველა შფოთავდა, გმინავდა, ოხრავდა მოხუცი და ბავშვი, ქალი და კაცი, ისმოდა მოთქმა და წივილ-კივილი.

ამ დროს გაიღო ღარიბული ქოხის კარი, გამოვიდა ახალგაზრდა მწყემსი, სალამური პირთან მიიტანა და დააკვნესა უბრალო, მაგრამ საოცარი ჰანგი; ანაზდად შეწყდა ხის ფოთლების შრიალი, მიყუჩდა მოთქმა და ტირილი, იერიშზე გადმოსულმა დიდმა ასპიტმა სისინი შეწყვიტა და თავი ძირს დაიღო. მიჰბაძა ასობით გველმა, ხალხის გარშემო რომ იკლაკნებოდა ფოლადის მავთულხლართივით.

შეკუჩდა ხალხი, ყველამ ჭაბუკ მუსიკოსს მიაპყრო მზერა, ის კი სალამურს აკვნესებდა, აჯადოებდა სულიერსა და უსულოს. აუჩქარებლად დაიძრა ადგილიდან, ფერდობს აჰყვა. მისი გზა მთებში მიდიოდა.

მიდიოდა და სალამურს არაკრაკებდა. გველებმა პირი იბრუნეს და დიდი ასპიტის წინამძღოლობით ყველანი მას მიჰყვნენ. გამოძვრნენ ბალახიდან, ხვრელებიდან, სახლებიდან და ყველა მუსიკოსს აედევნა.

მწყემსმა გაიარა ხნულები და ტყეს მიაშურა. ხალხმა თავისუფლად ამოისუნთქა. ყველას სახეზე იმედის ღიმილმა გადაურბინა. შუბლშეკრული დარჩა მხოლოდ მჭედელი მექი, თავის მძლავრ უროზე დაყრდნობილი განთქმული მოჭიდავე. ღრმა ფიქრს მიეცა, მერე თავი ასწია, ჰაერით ამოავსო საბურველივით გაშლილი მკერდი და თქვა:

— ჩემი დახმარება დასჭირდება მწყემსს! კეთილად გნახეთ, ხალხო! ჩვენი გზა სახიფათოა, მაგრამ არ არსებობს ამაზე მართალი გზა!

მეტი არაფერი უთქვამს, აიღო ურო და მიჰყვა გველების უთვალავ ლეგიონებს.

მუსიკოსმა ულრან ტყეს მიმართა. შხამიან მსმენელთა ახალ-ახალი ნაკადი ემატებოდა ყოველის მხრიდან. ასე რომ, ტყე გაიარა და ფერდობს აჰყვა, მთის კალთები ურიცხვი მცურავისაგან ერთიანად ბზინავდა, ირეოდა და ზღვის ტალღებივით დუღდა.

ხალხი გარინდებული იდგა. ყველა გზას ულოცავდა

ტკბილხმოვან მუსიკოსს. სალამურის ხმა აღარ ისმოდა, ჭაბუკი ხან მიიმალებოდა კლდის ბრეკებს შორის, ხან ისევ გამოჩნდებოდა, მაგრამ ისე შორს იყო, რომ ბუზისტოლაღა მოჩანდა, მალე კი სრულიად გაქრა თვალთაგან.

ჭაბუკი ავიდა მაღალ მწვერვალზე, აცოცდა უკანასკნელ ბექობზე და შეჩერდა. მის წინ ბნელი ხახა დაეღო ჩამქრალ ვულკანს, ხვრელი სადღაც თვალუწვდენელ სიღრმეში ჩადიოდა.

ჭაბუკმა დააკვნესა თავისი უკანასკნელი დიდი სიმღერა და ცრემლმორეულმა გახედა ნათელ ქვეყანას, რაც მუდამ სავსე გულით უყვარდა. გეგონებოდათ, კლდემ მხრები შეარხიაო, ისე ძლიერი იყო ეს სიმღერა და მისი გამოძახილი. უფსკრულები ყრუდ ქუხდნენ და მერცხლები ემშვიდობებოდნენ დიდ მომღერალს, მტრედები კი ცაში ღუღუნით გაიძახოდნენ:

...

მის გული რომ შიში გაკარებოდა,
დუმილს არჩევდა ათასწილადა:
მაგ რომ სიცოცხლე არ ჰყვარებოდა,
ამისთვის სიცოცხლეს არ გასწირავდა.

ჭაბუკმა მწყემსმა უკანასკნელად შეავლო თვალი საყვარელ იალაღებს და სიმღერით ჩავიდა ბნელ ხვრელში. მას მიჰყვა დიდი ასპიტი. მაშინ დაიწყო ვულკანის ჩამქრალ ხახაში გველების დაუსრულებელი ნაკადის დენა, ერთმანეთს მიჰყვა მახრჩობელა, ასპიტი, ჯარბი, ჩხრიალა თუ წითელი გველების საზარელი ტალღები. მზე უკვე ჩასვლაზე იყო, როცა უკანასკნელი გველხოკერა ჩაძვრა ვულკანის ყელში...

მაშინ მივიდა მჭედელიც ხვრელის ყელთან, მძლავრი მკლავებით მოჰგლიჯა კლდიდან უზარმაზარი ლოდი და ხვრელში ჩაჭედა. შემდეგ ქვას სამჯერ ბრიმე ურო დაკრა და სამუდამოდ დაუხშო ქვეწარმავებს ამოსავალი. მაგრამ დაისისინა ასი ათასმა ქვეწარმავალმა, ამოკაფდა ხვრელიდან წითელი ალის ქარი, მოიშხამა მთის სუფთა ჰაერი, შებარბაცდა მჭედელი და უგრძნობლად დაეცა ვულკანის ყელზე. თავისი სხეულით ჩაკეტა შხამიანი ანაორთქლის ამოსასვლელი ხვრელი.

ტყეში ისევ დაჭრილა მაცოცხლებელმა სიო, ისევ გაის-

მა ფრინველთა ერიამული, წყაროების რაკრაკი, მინდვრად გასული მუშების სიმღერა.

მთელს ქვეყანაში ხმა გავარდა: გველების წარღვნისაგან კაცობრიობა იხსნეს მწყემსმა და მჭედელმაო. ყოველი მხრიდან მოვიდნენ ცნობისმოყვარე ადამიანები, რომ პატივი ეცათ მათთვის, ვინც არნახულ ბრძოლაში გმირულად დაეცა.

ბეთის მწვერვალი ხალხით აივსო. მჭედლის სხეული გაქვავებულიყო და ხელში ურო შერჩენოდა იმის ნიშნად, რომ ყოველ ბოროტებას ასე მოეღება ბოლო.

ხალხმა მწვერვალზე ძეგლი აღმართა. მარმარილოს კედელზე გამოხატული იყო პირდაღებული გველების შავი წრით გარემოცული ორი გმირი: მწყემსი სალამურით და მჭედელი უროთი. მზის სხივები ღრუბლების შავ ბურუსს აღღვევდნენ და თავდადებულთა თავზე დაშვებულ დაფნის გვირგვინებს ეხებოდნენ. დიდ ხელოვანს ენერგია არ დაუზოგავს, რომ ღირსეული საჭმე ღირსეულად აესახა.

ეს ძეგლი დღესაც დგას იმ მაღალ მწვერვალზე, მერცხლები და მტრედები გამუდმებით თავს დასტრიალებენ და ორი ბულბული მონაცვლეობით გალობს თავდადებულთა საფლავზე: ერთი დღისით, მეორე კი ღამით.

მაგრამ ამაზე დიდი ძეგლი მომღერალმა და მჭედელმა დიდგეს ხალხის გულში, სადაც დარჩა ლეგენდა მათი სამაგალითო თავდადებისა.

ოჭროს ვარსკვლავი

ხალხი გმონავდა. ჩრდილოეთის ცივმა ქარებმა ქვეყნებს გადაუარეს და ავაზაკმა ყინვამ ხეხილს ზურმუხტის სამკაულები წაართვა: დაუჭკნო კვირტები და ყვავილი ზედ შეახმო. ნათესები ხან გვალვამ დასწვა, ხან ყინვამ დააზრო. ის, რაც ბუნების რისხვას გადარჩა, ყამთა სიავემ მოსპო. ასთავიანი გველეშაპი იტაცებდა და ნთქავდა ხალხის მონაგარს. ყველა სახის ქვეწარმავლი დაძრწოდა ქვეყნად და ადამიანებს საზრდოს ართმევდნენ, გესლავდნენ, ახრჩობდნენ; მწუხრი, სენი და სიღატაკე გამეფდნენ დედამიწაზე. მრავალი გმი-

რი შეეწირა ამაო ბრძოლას; თაობას თაობა სცვლიდა, მამას — შვილი, დღეს—ღამე. არ იცვლებოდა მხოლოდ უბედურება. ბოლოს ხალხმა იმედი დაკარგა, გლეხკაცმა ბარი და ნაჯახი დაავდო, მეომარმა — ფარი, მებრძოლმა — ხმალი. ადამიანები ხელიხელად ეცემოდნენ დედამიწაზე და სიკვდილის ძოლოდინში თვალება ხუჭავდნენ. ველზე ნისლი ჩამოწვა. ყმუოდნენ მგლები, ყრანტალებდნენ ყორნები და მწარედ ტიროდნენ მტრედები.

მაშინ ველზე გამოჩნდა ტანმორჩილი კაცი. არავინ იცოდა, საიდან მოვიდა და ვინ იყო. არც აბჯარი ემოსა ტანზე, არც მუზარადი ეხურა თავზე, არც ლახტი ეჭირა ხელში და არც ბასრი ხმალი ეკიდა გვერდზე. მისი ძალა იმალებოდა გამჭრიახ თვალებსა და გონიერებაში, რომელიც ისე ასხივებდა მზიურ აზრებს, როგორც მზე — ცხოველ სინათლეს.

კაცმა მკვირცხლად და ენერგიულად ჩაუარა დაცემულ ადამიანებს. ზოგს წყლული შეუხვია, ზოგს ნუგეში მისცა, ზოგი ფეხზე წამოაყენა. შეუმჩნევლად დადიოდა და სიცოცხლეს ამკვიდრებდა სიკვდილის ველზე. სახეზე ღიმილი დასთამაშებდა.

— წამოდექით, ადამიანებო! — შესძახა მჭექარე ხმით.

ადამიანებმა წამოიწიეს. აბჯრით მოსილი დევგმირი ეგონათ, მაგრამ უბრალო ტანმორჩილი კაცი იდგა მათ შორის, და ისევ ისე უიმედოდ დაეშხო ყველა მაშვრალი დედამიწაზე. მიწა კი ცივი იყო და ნესტიანი. სიკვდილი სუნთქავდა მოშხამულ მიწაზე.

უცხო კაცმა ხელი აღმართა და კიდევ უფრო მჭექარე ხმით შესძახა:

— ადამიანებო, წამოდექით! დაცემის უფლება აქვთ მხოლოდ გვამებს. ცოცხალთა ვალი მოქმედებაა: შრომა და ბრძოლა — ბრძოლა და შრომა! განა არა ჯობია ძირს დაგდებული ნაჯახი აიღოთ და მტარვალებს შეებათ? განა არა სჯობია ქვა დაჰკრათ ასპიტს, რომელიც სინანით გიახლოვდებათ? სარეველა მოთხაროთ თოხით, რომელსაც ყანგი ედებაზ? მე თქვენთან მოვედი. ოქროს ვარსკვლავის შვილი ვარ

და ნათელმა დედამ დამავალა თქვენი დახსნა. ადექით და გამომყევით იქით, ოქროს ვარსკვლავის ქვეყანაში!

— ოქროს ვარსკვლავის ქვეყანაში! — შესძახა გაოცებულმა ხალხმა და ნელ-ნელა წამოიწია, წელში გაიმართა.

— ოქროს ვარსკვლავის ქვეყანაში! — გაიმეორეს უიმედოებმა. — ჰო, ხშირად გვსმენია ასეთი ზღაპარი.

— არა! — შესძახა უცნობმა. — ეს ზღაპარი არ არის. ის, რაც გსმენიათ, მხოლოდ გსმენიათ, მე კი თქვენს თვალწინ ვდგავარ. ოქროს ვარსკვლავი თავს დასცქერის იმ მხარეს, სადაც ზამთარი არ იცის, აგერ, იქ! — და ხელი აღმოსავლეთისაკენ გაიშვირა. — წამოდით, მე წაგიყვანთ აღთქმულ ქალაქში. გზა ეკლიანია, მაგრამ სინათლის ძებნაში სიკვდილი ჯობს მიწაზე გდებას და სიკვდილის ლოდინს.

— იქით უღრანი ტყეა! — თქვა ერთმა სულმოკლე კაცმა.

— გავივლით, — მიუგო უცნობმა.

— ტყე სავსეა ქვეწარმავლებით.

— დავხოცავთ.

— ტყის მიღმა სისხლის ნაკადია.

— გადავლახავთ.

— ნაკადის თავში გველეშაპია და კაციჭამიების ტომები იცავენ.

— დავამარცხებთ ერთსაც და მეორესაც.

— შეეძლებთ კი ამდენს?

— შეთანხმებული ადამიანები ყველაფერს შესძლებენ. მაშ, ხელი დაავლეთ იარაღს და დროს ნუ კარგავთ. ოქროს ვარსკვლავი გაანათებს ჩვენს გზას!

ამ კაცის ძალამ და რწმენამ მოხიბლა ხალხი. მისი ყოველი სიტყვა ანდამატივით იზიდავდა მაშვრალთა გულებს.

— გაგვიძეხი! — ერთიანად შესძახა ხალხმა.

იმ დღეს დაიწყო ადამიანთა ტომის უკანასკნელი დიდი ლაშქრობა საუკუნო სიდუხჭირის დასათრგუნავად.

მძიმე იყო ეს გზა, მაგრამ ტანმორჩილი კაცის წინაშე თითქოს ქედს იხრიდა თვით სიბნელე, ძალას კარგავდა თვით ხუსხი, თვითონ ასპიტთა შხამი.

ტყეში ბნელოდა. სამასწლოვანი ხეებიდან უსურვაზები და

გველები ეკიდნენ, ფოთლებიდან ნესტი წვეთავდა. გარშემო მგლების ხროვა დაძრწოდა. ჭაობის შმორი სუნთქვას აძნელებდა, მხეცთა ღმუილი — ყურთასმენას. ადამიანები ზედიზედ იღუპებოდნენ, მაგრამ სხვები მიდიოდნენ. ხოცავდნენ ქვეწარმავლებს და კაფავდნენ მოშხამულ ტყეს. საკუთარი გულის სხივებით უნათებდა მათ გზას უცნობი წინამძღოლი. სხვა რამ ჯადო არ ჰქონია: სიმართლე, სიმამაცე და რწმენა აშუქებდა ტანჯულ ადამიანთა გზას.

დაბოლოს, ტყე გაიარეს.

უეცრად ველური ტალღების ქუხილი გაისმა. გაშლილ ველზე ხმაურით მიედინებოდა აქაფებული სისხლისფერი მდინარე. ეს იყო ადამიანთა სისხლი და ცრემლი. არ ჩანდა ხიდი და ნავი. რა ცივი და სევდიანი იყო სისხლის მდინარე!

— როგორ გადავლახავთ ამ მდინარეს, წინამძღოლო? — ჰკითხეს სასოწარკვეთილმა ადამიანებმა უცნობს.

— ჩვენ მას არ გადავლახავთ, — მიუგო ოქროს ვარსკვლავის ქვეყნის შვილმა ფიქრის შემდეგ.

— მაშ, აქ დავრჩებით? ამ ხრიოკ ველზე? განა ეს არის ოქროს ვარსკვლავის მხარე? თვითონ ეკალი არ ხარობს აქ და თვითონ მგლები არ დაძრწიან ამ ბედშავ მიწაზე.

— ჩვენ მას ნაყოფიერ ველად ვაქცევთ. მაგრამ ჯერ საჭიროა სისხლის მდინარის დაშრეტა. ამისათვის მისი გადალახვა კი არ არის საჭირო. უნდა ვიპოვოთ მისი სათავე. ყოველ მდინარეს აქვს სათავე. მომყევით.

და ადამიანები მიჰყვებოდნენ. შორს იყო სისხლის მდინარის სათავე, ბრინჯაოს ქალაქში. თვალსა სჭრიდნენ ადამიანებს სასახლეთა თეთრი გუმბათები. ქალაქს განაგებდა ასთავიანი გველეშაპი; ადამიანთა თაობების სისხლით კვებავდა ურჩხული საშინელ მდინარეს. ფოლადის ბალთებიანი ლაპლაპებდა მისი ჯავშანი.

საკუთარი გულის ცეცხლოვანი შუქით დაბრმავა წინამძ-

ღოლმა კაციჭამია გველეშაპი, ხოლო იერიშზე გადასულმა ხალხმა უთვალავი მახვილით გახგმირა ურჩხული. სისხლის და ცრემლის ნაკადი შეწყდა. გადარჩენილი ტომი მხსნელის წინაშე მუხლებზე დაემხო. მაგრამ ოქროს ვარსკვლავის შვილი უბრალო კაცი იყო. გაიღიმა და ხალხს უთხრა:

—წამოდექით, მეგობრებო! მეფე როდი ვარ, რომ მუხლი მომიყაროთ. უმჯობესია წელში გაიმართოთ და ხელში მახვილი აიღოთ. ახლა კაციჭამიების სასტიკი ლაშქარი დაგვესევა ყოველი მხრიდან.

შესვენებაც ვერ მოასწრო სასტიკი ბრძოლით ქანცგაწყვეტილმა ხალხმა, რომ მართლაც ახალი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა. ოთხივე მხრიდან — აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან მოაწვათ კბილებამდე შეიარაღებული სხვადასხვა მოდგმის ადამიანები. რიცხვითაც მეტი იყო მტერი, ბრძოლაშიც უფრო დახელოვნებული იყო და იარაღიც უკეთესი ჰქონდა. მაგრამ მას აკლდა ის, რაც ოქროს ვარსკვლავის შვილის ხალხსა ჰქონდა: იმედი, თავისი საქმის სიმართლის რწმენა. ეს კი საუკეთესო საბრძოლო იარაღია, როგორიც კი ოდესმე ადამიანთა მოდგმას ჰქონია.

ხუთ წელს გაგრძელდა უთანასწორო ბრძოლა, ომის ღმერთივით დაჰქროდა ბრძოლის ველებზე დიდი წინამძღოლი, მეხის ენასავით ჭრიდა მისი სიტყვა და ელვას ედრებოდნენ მისი რჩეული სარდლები. დიდი იყო განსაცდელი, მაგრამ დაუსაბამოა მართალი ხალხის ძალა. თანდათან იფანტებოდა ტყვიასავით ჩამოწოლილი შავი ღრუბელი და, ბოლოს, გამოჩნდა მოწმენდილი, საოცარი, მზიური ცა. გამარჯვებული, გადარჩენილი, თავისუფალი ხალხის თვალწინ აღთქმული ქალაქი გაადიშალა. ცასა სწვდებოდა ძველი ციხე-სიმაგრე, რომელსაც უწინ ურჩხული განაგებდა. მის სხივოსან გუმბათზე ციმციმებდა ოქროს ვარსკვლავი — მხსნელის გული.

თვითონ მხსნელი კი დაეარდა და ღიმილით დალია სული.

უჩინარი და უსინათლო

ქალაქში უჩინარი დადიოდა.

მოქალაქეთა უმეტესობა იტყოდა, არავინაც არ დადიოდაო, რადგანაც უჩინართა უმეტესობა ერთი შეხედვით შეუმჩნეველია. მაგრამ მე ნამდვილად ვიცი, რომ ის დადიოდა, რადგანაც ბოროტი იყო და ადამიანებს ლუპავდა. ზოგს დანით, ზოგს ფანდით, ზოგს ცბიერებით... შედეგი მუდამ ერთი იყო: ადამიანი მის სასტიკ ხელში იღუპებოდა. არავინ იცოდა, რატომ აკეთებდა ამას, ვინ იყო და რა იყო. ქალაქი შიშის ზარს აეტანა, მაგრამ ვინ რას დაიკლებდა! ის ყველას ხედავდა, მას კი ვერავინ აღჩნევდა, ამიტომ მასთან ბრძოლა ძნელი იყო, მაგრამ გამოჩნდა ერთი კაცი, რომელმაც უჩინარი შენიშნა, გაბედულად შეება და დაამარცხა კიდეც. მართალია, ეს კაცი ბრმა იყო.

ბრმები რომ ქუჩაზე გადადიან, ჯოხს აკაკუნებენ და გზას ამით იგნებენ. ეს ბრმაც ასე აკეთებდა. ნაბიჯსაც არ გადადგამდა ისე, თუ წინდაწინ დასაბიჯებელ ადგილს ჯოხით არ მოსინჯავდა. ერთ-ერთ გადასასვლელზე, სადაც სხვები სირბილით გადადიოდნენ, რაღაცას ეჯახებოდნენ, იქცეოდნენ და მანქანის ქვეშ იღუპებოდნენ, ამ ბრმამ ადგილი ჯოხით მოსინჯა და შეჩერდა: კრიალა ქუჩაში რაღაც მაგარი საგანი იდო.

ბრმა შედგა. საოცარი საქმეა! იქ, სადაც სხვები ვერაფერს ხედავენ, ბრმამ საეჭვო საგანი ნახა და შეჩერდა. დაბრკოლებას სხვა მხრიდან მოუარა და წავიდა...

არის შემთხვევები, როცა უსინათლოს ჯოხს მეტი გამჭრიახობა აქვს, ვიდრე თვალხილულის მზერას. თუნდაც ნუ დაიჯერებთ, მაგრამ ეს ასეა. ბრმა შემდეგ ჩაუფიქრდა ამ საქმეს და საყურადღებო დასკვნაც გამოიტანა.

არაერთხელ მოხდა ბრმის შეხვედრა დაუნდობელ უჩინართან, და ერთ-ერთი შეხვედრის დროს მას თავში გაუელვა აზრმა: „ხელი სტაცე! იხსენ ქალაქი!“

მძლავრი ხელი ჩაავლო ბრბამ უჩინარს, რომელიც ამას არ მოელოდა, და იქვე შებოჭა, გასაქანი არსაით მისცა. ეს მოხდა სწორედ მაღალ ბექობზე, უფსკრულის თავზე, საიდანაც

უჩინარი მზიან დღეებში ასეიერნოდ წამოსულ მოქალაქეებს მღვრიე მდინარეში აგდებდა.

ბრმამ მთელი თავისი ძალა დაძაბა და გამეტებით მოიქნია. ორთაბრძოლაში დამარცხებული მოწინააღმდეგე რომ ძირს დაენარცხებინა, მაგრამ სახიფათო ადგილი, რა თქმა უნდა, ვერ შენიშნა, ფეხი გადაუცდა და მასთან ერთად უფსკრულში გადაეშვა. ანდა, იქნება იცოდა კიდეც, უფსკრული რომ იყო, და ხალხს თავი შეაწირა, ვინ იცის!

ასპიტის მასპინძლობა

თეთრი თაგვი ხრიოკ ველზე დაცუნცულებდა. ქვებს შორის რაღაც ხვრელი შენიშნა და მსუნაგი დრუნჩი შიგ სულელურად შეჰყო. უეცრად ბნელში შენიშნა დაგრაგნილი თოკის გროვა, რომლის ერთი ბოლოც აწეული იყო და პირდაპირ წრუწუნას ემიზნებოდა. ეს იყო ასპიტი, შხამიანი და ულმობელი გველი.

თაგვმა შიშით კანკალი დაიწყო. ისედაც მრგვალი და საცილო გარეგნობა ჰქონდა და ახლა ხომ სულ მფეთქავ ბურთს დაემსგავსა.

გველმა ორკაპი ენა გამოჰყო და დაისისინა:

— ვინ მოგიწვია, სულელო თაგვო? რისთვის მიფრთხობ მოსვენებას ჩემს სახლში?

— მაპატიე, ბრილიანტებით დამშვენებულო ასპიტო! — დაიწრუწუნა თეთრმა თაგვმა. — მაპატიე... მე...

— სსს! — დაისისინა ასპიტმა. — სულელო თაგვო! ნუთუ დღემდე არ იცი, რომ ასპიტებმა პატიება არ იციან?

— დიახ... მაგრამ... მე... ისე... შეცდომით მომიეიდა...

— ჰოდა, ზეც შეცდომით უნდა გადაგყლაპო, მოემზადე!

თაგვმა ცახცახს მოუმატა. რაღა მომზადება უნდოდა! გველის თვალებმა ის სრულიად მოაჯადოვეს, ადგილიდან ვერ იძროდა. ფეხები გაუშეშდა, მაგრამ მისი თავი ჯერ კიდევ მუშაობდა.

— მაშ, უნდა გადამყლაპო? — ცრემლის ღვრით დაიწრი-

პინა უმწეო თაგვმა. — ასპიტო, შენს მუცელში ძალიან ბნელა?

— სს! — დაისისინა გველმა. — ბნელა, უფრო მეტად ბნელა, ვიდრე ამ ორმოში.

— ასპიტო, შენს კუჭში ძლიერ ცივა?

— სსს! უფრო მეტად ცივა, ვიდრე ამ სოროში.

— ასპიტო, შენი კუჭიდან ვეღარასოდეს ვერ გამოვალ?

— სსს! ვერასოდეს, ვერასოდეს!

— მაშ, ნება მომეცი, ჩემს პატარებს გამოვემშვიდობი. აქვე სოროში მელოდება შვიდი ნორჩი წრუწუნა. უკანასკნელად თვალს შევავლებ და დავარიგებ.

ასპიტს კიდეც გაუხარდა: შვიდი წრუწუნა მთელს თვეს მეყოფაო, და დაისისინა:

— სსს! შენს პატარებს მე მივხედავ, ვიზრუნებ მათთვის. გამიძეხი წინ!

თაგვი წელმოწყვეტილივით გამობრუნდა და რის ვაივაგლახით გზას გაუდგა. ასპიტის გორგალი გაიშალა და გველი კვალდაკვალ მიჰყვა თავის განწირულ სტუმარს.

იარეს, იარეს და ბოლოს მიადგნენ მოზრდილ ხვრელს. თაგვმა ერთი მოიხედა უკან, მერე უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, შევარდა ხვრელში და გველიც შეიპატიჟა. ეს იყო ზღარბის სახლი.

— ნათლია ზღარბო, დამიხსენი ასპიტისაგან! — ესლა დაიწრიპინა თაგვმა და გულწასული დაეცა.

ასპიტი ზღარბის პირისპირ დარჩა.

მამაცი ზღარბი დაუფიქრებლად ეცა დაუპატიჟებელ სტუმარს და დაუწყო გლეჯა. გველი იგრიხებოდა, იკლაკნებოდა, იკბინებოდა, მაგრამ მისი შხამი ტყუილად ეწვეთებოდა ზღარბის ეკლებს. ბოლოს დაქანცული და დაკბენილი გველი უკანასკნელად დაიკლაკნა. ახლა უკვე ზღარბის ნაცვლად სიკვდილს ებრძოდა. დასრულდა გველის ნადირობა.

თაგვი გამოცოცხლდა და მხიარულად დაიწრუწუნა:

— აბ, ბრილიანტებით მოქედილო ასპიტო, კვდები? მაშ, ჩემს წრუწუნებს ისევ მივხედავო! — მადლობა გადაუხადა კეთილ ზღარბს და შინისაკენ მოჰკურცხლა.

იყო ერთი პირქუში მეფე გორგონი. ყველა ქვეშევრდომი სძულდა, ლაპარაკისა და ყურადღების ღირსად იშვიათად ვინმეს გახდიდა და უყვარდა ცხოლოდ ერთი კარიკაცი მორგენი, ისიც ჩვეულების ძალით: ძალიან ესაჭიროებოდა ეს კაცი.

მორგენი ჭკვიანი და მამაცი ადამიანი იყო. ყოველ დილით ათ საათზე ის პირველი შედიოდა მეფის მოსასვენებელ ოთახში და დარბაისლურად ეტყოდა:

— დილა მშვიდობისა, თქვენო უდიდებულესობავ! — ამის შემდეგ მეფე იცვამდა და მიდიოდა საპირფარეშო ოთახებში. ასე იწყებოდა სამეფო დღე. არავის არ ჰქონდა ხმაურისა და რაიმე საქმიანობის უფლება, ვიდრე მეფე ჩაცმული და დავარცხნილი აივანზე არ გამობრძანდებოდა.

ასე გრძელდებოდა მთელი სამოცდაათი წლის განმავლობაში. მეფე ისე მიეჩვია მორგენის შემოსვლასა და მისალმებას რომ არასოდეს არ ადგებოდა, ვიდრე არ გაიგონებდა ჩვეულებრივ სალამს:

— დილა მშვიდობისა, თქვენო უდიდებულესობავ!

ვინ იცის, კიდევ როდემდე გაგრძელდებოდა ეს ამბავი, მაგრამ სწორედ ოცდამეჩვიდმეტე წლის დამდეგს, ახალწლის ღამეს, გრაფი მორგენი მოულოდნელად წუთისოფელს გამოესალმა. არ იფიქროთ, რომ სნეულებამ მოკლა. არა, მიზეზი აქ ცნობილი ძველი საშუალება იყო: შხამი. მეფე გორგონს დიდი ხანია ტანჯავდა ვეზობელი მმართველის სიძულვილი, რადგანაც ის უფრო ჭკვიანი, უბრალო და მამაცი იყო, სახელმწიფო საქმეებიც უკეთ ჰქონდა დაყენებული და ხალხსაც უფრო უყვარდა. შურისძიების სხვა საშუალება რომ ვერ გამონახა, საახალწლოდ მოიპატიჟა და მისთვის დაასხმევინა საგანგებო ღვინო, რომელშიაც შხამის წვეთები გაურია. ეს თასი შემთხვევით მოხვდა მის მხარმარცხნივ მჯდომ მორგენის ხელში და სტუმრის ნაცვლად ის მოიწამლა.

დილა გათენდა. ათი საათიც დაჰკრა. მეფის საწოლ ოთახში არავინ შედიოდა. დაჰკრა თერთმეტი, თორმეტი, კარი არ იღებოდა. ვერავინ ბედავდა მეფესთან შესვლას.

დუმდა სასახლე. ბრაზობდა მეფე. ელოდნენ მთხოვნელები. გადიოდა დრო, მაგრამ მას ცვლილება არ მოჰქონდა, რადგანაც არ იყო კაცი, რომელიც ოცდათექვსმეტი წლის განმავლობაში ყოველ დილით ერთსა და იმავეს იმეორებდა:

— დილა მშვიდობისა, თქვენო უდიდებულესობავ!

ძლიერ უნდოდა მეფეს ადგომა, მაგრამ ჩვეულებამ ლოგინზე მიაჯაჭვა.

სასახლეში არ იცოდნენ, რა გზას დასდგომოდნენ. ვერავინ ბედავდა კარის შეღებას. დრო გადიოდა, მაგრამ მას ცვლილება არ მოჰქონდა, რადგანაც მეფე იწვა.

ასე გაგრძელდა სამი დღე. მორგენი დაასაფლავეს. მეფე არ გამოჩენილა. მხოლოდ თავის მოსასვენებელ დარბაზში და საიდუმლო ტალანებში დადიოდა, სასახლეში კი მასთან შეხვედრას ყველა ერიდებოდა და ისიც აჩრდილივით ერიდებოდა ყველას. ზეცა საავდროდ ემზადებოდა.

მესამე დღეს შუაღამისას კარი წყნარად გაიღო. ფარდაგი გადაიწია და გამოჩნდა... არა, ჯერ არავინ გამოჩენილა, მხოლოდ ხმა გაისმა.

— მწუხრი მშვიდობისა, თქვენო უდიდებულესობავ!

გაოცებულმა და შეშინებულმა მეფემ, რომელიც იმის ვარაუდებში იყო, თუ როგორ გაეჟლიტა უდანაშაულო ადამიანები, თვალები გაახილა და მოიხედა.

მის წინ იდგა მორგენი. საზეიმო სამოსელში გამოწყობილი გრაფი შავი მოსასხამითა და სახეზე ჩამოფარებული პირბადით მიუახლოვდა მეფეს და მდაბლად დაუკრა თავი. ყოველ შერხევაზე, ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე მის სხეულზე რაღაც ძვლის ფირფიტები ჩხრიალებდნენ — ალბათ აბჯრის ქერცლი.

გარინდებული მეფე იწვა, შესცქეროდა იდუმალი სტუმრის შავ მოსასხამს და ცახცახებდა.

მორგენი მოხდენილი თავის დაკვრით ნელა გაბრუნდა უკან, ასწია მარჯვენა ხელი და მეფეს ანიშნა — მომყევიო.

გორგონი უმწეო ბავშვივით დაემორჩილა, ადგა, ჩაიცვა და გაჰყვა.

დერეფანში ნაბიჯების მწყობრი ხმა და აბჯრის ჟღარუნი

ისმოდა. მერე ეს ხმაც მიწყდა. დაიძინეს თვით ბაყაყებმა, გუბის მუსიკოსებმა. ყველა ხმაური მიყუჩდა და მხოლოდ ბრინჯაოს ძველთაძველი საათი სასახლის კოშკზე ისევ ერთგულად დარაჯობდა ჟამთასვლას: „ტიკ-ტაკ! ტიკ-ტაკ! დრო მიდის, დრო მიდის, დრო მიდის...“

დილით მეფის ლოგინი ცარიელი დახვდათ, კარები — ღია. აღარსად იყო პირქუში მეფე გორგონი.



ITAV-ARAKEZI



ფუჭად მაშვრალი

ერთი კაცი მუხას შესჩივლებოდა და ამოთხრას ლამობდა. მუხას რას აკნებდა, სამაგიეროდ, ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა.

გამვლელმა ნახა და გაუკვირდა.

— რას ეჯაჯგურები, კაცო, ამ მუხას? — ჰკითხა. — ხომ ხედავ, ღონე არ გეარჩის. გადი ყანაში და სარეველა ამოგლიჯეო!

— შენ რა იცი! — მიუგო ფუჭად მაშვრალმა. — სარეველას ამოგლეჯას საქმედ ვინ ჩამითვლის, მუხა კი მუხაა! თუ მოვერიე, ხომ მოვერიე, თუ ვერა და იმას მაინც იტყვიან, მუხის ძირიანად მოთხრა სცადაო!

„სულელი ყოფილაო!“ — გაიფიქრა მგზავრმა და გზა განაგრძო.

გუ და კაჭკაჭი

კაჭკაჭი ჩიოდა: ჩემი დღე და მოსწრება ენას არ ეაჩერებ და მაინც არავინ მისმენსო.

— ენას რომ კბილს დააჭერდე, უფრო მოვისმენენო, — მიუგო ბუმ.

მერანი და ტურა

ბალღებზე მონავარდე მერანს წუწკი ტურა არ ასვენებდა. უყეფდა, წიოდა, კბენდა კიდეც.

— რას გადაგკიდებია ეს ქეციანი ტურა? — უთხრა მერანს ხარმა. — ჰკარი წიხლი და მიასრისე სადმე!

— ეჰ, ტურა რას გვავნებდა, რომ ლომი არ მფარველობდესო! — ამოიოხრა მერანმა.

ვირი და ეზოკე

ვირმა მეგობარ ეზოპეს უთხრა:

— თუ კიდევ აპირებ ჩემზე რამის დაწერას, კარგი რამე დაწერე, თორემ ზურგს შეგაქცევ და...

— მესმის, — შეაწყვეტინა ეზოპემ. — ქვეყნად ბრძენკაცს ბევრმა ადამიანმა ზურგი აქცია და წიხლი დაუშინა, სახედრისაგან რა გამიკვირდებაო!

ბუზი და არწივი

ბუზმა არწივს უთხრა:

— ხომ ხედავ, რა მამაცი ვარ? ადამიანებს შორის ისე დავფრინავ, ვითომ არაფერი, თავზეც კი ვაჯდები მოურიდებლად, ტოლადაც კი არ მიმაჩნია. მის სახლში ისე შევალ და გამოვალ, თითქოს ჩემი ყოფილიყოს. შენ კი კაცს სამყოფელს ახლოსაც ვერ ეკარები. აღიარე, რომ ბუზი ქვეყნად ყველაზე მამაცი არსებაა.

— ყველაზე მამაცი კი არა, ყველაზე სულელია! — მიუგო არწივმა. — სულელია და ამიტომ არ ერიდება ადამიანს. არწივს კი, დიდსა და გონიერ არსებას, კარგად ესმის, რომ ადამიანი ქვეყნად ყველაზე ძლიერია, ამიტომაც არ ვეკარებით მის სამყოფელს და საჯიხვეებშიც კი ვერიდებით მასთან შეხვედრას.

«რამდენს ყბედობს!» — გაიფიქრა ბუზმა და გაფრინდა.

კუ და არწივი

კუმ უთხრა არწივსა:

— ერთი მეც ამაფრინე, დამანახვე ქვეყნიერება. ამით შენ არა დაგაკლდება რა, მე კი ცოდნა მომემატებაო.

არწივმა კუ აიყვანა, მწვერვალებს გაუსწორა, ატარა და უთხრა:

— ხომ ნახე ქვეყნიერება? ახლა გეყოფა, დაბრუნდი დედამიწაზე.

— რისთვის? — შორს დაიჭირა კუმ. — ვინაა შენზე ნაკლები? ღმერთმა ცა მარტო შენთვის ხომ არ გააჩინა? შენ თუ ცაში დანავარდობ, მე რაღა ვარ!

— შე საწყალო, ბუნებას რომ ცაში სანავარდოდ გაეჩინე, ფრთებს მოგცემდა და არა ბაკანს! — გაწყრა არწივი და კლანჭები გაშალა. კუ ბზრიალ-ტრიალით დაეშვა ძირს.

ბედაური და აქლემი

ქარავანში ბედაური ბუზღუნებდა:

— რა ჭირად უნდათ ეს მრუდე აქლემი! სამარცხვინოა მასთან სიარული.

— მოითმინე, — მიუგო მექარავანემ. — ბევრი ბედაური მინახავს, გზაში რომ დავარდნილა და მრუდე აქლემს აუკიდებიაო!

ტურა და მერცხალი

მსუნაგი ტურა იქადნებოდა:

— მაცადე, არწივო! ახლა მაღლიდან დამყივი, მაგრამ დრო მოვა, ჩამოვარდები და ჩემი ლუკმა გახდებიო!

— ტყუილი იმედია, ლეშიჭამიავ, — გადმოსძახა მერცხალმა: — არწივები ცაში იღუპებიან და უფსკრულში ინთქმებიან. შენთვის მიუწვდომელია მისი სიმაღლეცა და სიღრმეცა.

ბუ და ბულბული

— მომისმინე, ბულბულო! — მიმართა ბრძენმა ბუმ ციცინ-მგალობელს. — ჩვენი სახელები ერთნაირად იწყება, მაგრამ ვაქმით მე გჯობივარ: ტანადაც უფრო დიდი ვარ და ჩემი ხმაც უფრო შორსა სწვდებაო.

— დიდი კი არა, ჩემზე მსხვილი ხარ, — მიუგო ბულბულმა. — ხმის ამბავი კი ასეა: შენი ხმა შორს ისმის, რადგან გოდებაა. ჩემი ხმა კი გალობაა, ამიტომ ღრმად უნდა აღწევდეს, შორს კი არაო.

გამთენიებელნი ღამისა

თაგვსა ჰკითხეს: რას დაცუნცულებ ამ შუაღამისასო?

— ბუს ვაღვიძებო, — მიუგო.

ბუს ჰკითხეს: რა გაყვირებს ამ შუაღამისასო?

— მამალს ვაღვიძებო, — მიუგო ბუმ.

მამალს ჰკითხეს: უძილობა გაწუხებსო?

— არაო, მზეს ვაღვიძებო.

— კარგიო, — დაიჭახჭახა შაშვმა, — მაგრამ თაგვი, ბუ და მამლი რომ არ ყოფილიყვნენ, დღე არ გათენდებოდაო?

ტყე იცინოდა.

წიწაკა და საზამთრო

საზამთრომ ჰკითხა წიწაკას: ასე მწარე რათა ხარო?

— დღემოკლე ვარ და იმან გამამწარაო.

— მერე, მეც ხომ დღემოკლე ვარ, — მიუგო საზამთრომ. — გაზაფხულზე მთესავენ, შემოდგომაზე ვმწიფდები და მოწყვეტამდე ვტკბილდები, შენ კი მწარდებიო.

წიწაკამ ბრაზით ვერაფერი უპასუხა, მაგრამ ცეცხლივით გაწითლდა. მას შემდეგ წიწაკა წითელია.

აფთრის მუსიკა

აფთარმა სამხეცეში თავისი ჯუნგლების მუსიკა გააბა და ცხადირებს ძილი დაუფრთხო.

დილას დირექტორმა აფთრის გალიასთან ჩაიარა და მსაბურს უთხრა:

— ლეში მიუგდე.

— ეს რა სამართალია! — შეუღრინა მხეცმა. — მთელი ღამე თქვენთვის ვმღეროდი და საჩუქრად აშმორებულ ლეშს ფიგდებთ?

— ასეთი მუსიკისათვის ლეშიც დასანანია! — მიუგო დირექტორმა.

ირემი და ლოკოკინა

ფეხმარდი ირემი დიდხანს დასცქეროდა ბალახში მცოცავ ლოკოკინას და ასე მიმართა:

— შე საბრალო არსებავ, რა უმწეო ვინმე ხარ! რომ გაგიჭირდეს, მტერს საით გაექცევი! ვერ გამიგია, მიდიხარ თუ დგახარ. სირბილზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. შენს თანამგზავრს ჩაეძინება კიდეც. ერთი სიტყვით, ბედშავი არსებ ხარ და რქები კი ამაყად აგიშვეია.

— მშვენიერო და ქედმაღალო ირემო, — დინჯად მიუგო ლოკოკინამ, — ასეთი ამაყი ლაპარაკი შენს ღირსებას სულ არ ეკადრება. ყველა ისე დადის, როგორც ბუნებამ დაუდგინა. ჩემთვის ცოცვაც საკმარისია. რაც შეეხება რქებს, ჩემი რქები ჩემთვის უფრო მოხერხებულია, ვიდრე შენი გაშლილი რქები შენთვის. ამაში ახლავე დარწმუნდები.

მართლაც, ამ დროს მოვარდა ორი საშინელი მხეცი: ლომი და გომბეშო. ლომი ირემს მივარდა, გომბეშო — ლოკიკინას. ლოკოკინამ რქები სწრაფად შეიკეცა და ნიჟარაში შეიმალა, ირემი კი თავისი ქორბუდა რქებით ლერწმებში გაიხლართა. ლომი დაეწია და ნაფლეთებად აქცია.

ლოკოკინამ კი ზოზინით განაგრძო გზა.

ლომი და აქლემი

ლომი და აქლემი დავობდნენ.

— ნილოსი ტბაში ჩადისო, — ამბობდა ლომი.

— არა, ზღვას ერთვისო, — ჯიუტად გაიძახოდა აქლემი.

გაბრაზებულმა ლომმა თათი მოუქნია და აქლემს ხერხემალი ჩაუზნიქა. იმ დღიდან აქლემს ზურგი მრუდე აქვს.

გავიდა ხანი. აქლემი და ლომი ისევ შეხვდნენ ერთმანეთს.

— მოგირჩა წელი? — ჰკითხა ლომმა.

— არა, წელი მრუდე დამრჩა, — მიუგო აქლემმა. — მაგრამ ნილოსი მაინც ზღვაში ჩადის; ზურგის გამრუდება კი შესძელი, მაგრამ სიმართლეს ვერ გაამრუდებო.

მეოცნებეები

ბაყაყი და კუ კამათობდნენ.

— დღეს ლომი მესტუმრებაო, — ამბობდა ბაყაყი.

— არა, ჩემი სტუმარი იქნებაო! — უმტკიცებდა კუ.

დავა მთელი დღე გაგრძელდა. ლომს კი მათი სტუმრობა არც უფიქრია.

მუხა და ყვავი

თოვდა. გაშლილ ველზე ბერმუხას თეთრი ნაბადი მოესხა. მოფრინდა ერთი ყვავი, დაბარდნილი მუხის კენწეროზე დაჯდა და დაიჩხავლა:

— ოჰ, რა მძიმე ტვირთი დაგწოლია! ჩემი ძველი მეგობარი ხარ, გიყურებ და მებრალები.

— ნუ გებრალები, ყვავო ყვანჩალავ! — ყრუდ მიუგო ამაყმა მუხამ. — მე იმდენი თოვლი მაწვება, რამდენის გაძლებაც შემიძლია. გიჯობს თავს მიხედო. დაბლა არ დაჯდე, თორემ ტოტებს დავარხევ და ვაითუ გაისრისო!

მწვერვალები და გორაკები

მწვერვალს მეხი ეხვეოდა და გორაკი შეწუხდა: მეც არ ეომხვდესო.

— დამშვიდდი, — გადმოსძახა მწვერვალმა: — მეხი მხოლოდ მაღალ მწვერვალებს ეცემა.

გლეხკაცი და ღვარძლა



გლეხკაცი ჯეჯილს ასუფთავებდა. ერთი ღვარძლის ღერო შეირხა და ღვარძლიანდ გადმოსძახა:

— რას მერჩი? პურს რომ ტოვებ და მე მთხრი, ხომ ხედავ, ერთ მიწაზე ვიზრდებითო!

— ერთ მიწაზე კი იზრდებით, მაგრამ ერთს სიცოცხლე ამოგაქვთ, მეორეს კი შხამიო, — მიუგო გლეხმა და სარეველა ძირფესვიანად ამოგლიჯა.

ბუ და წივწივა

წივწივა ჩიტი ბევრს ყბედობდა.

— ენას კბილი დააჭირე, — ურჩია ბუმ.

„რა სულელია! — გაიფიქრა ყბედმა. — არ სცოდნია, რომ ფრინველებს კბილები არა გვაქვსო“.

შურიანი, უვიცი და ზარმაცი

შურიანი, უვიცი და ზარმაცი დაძმობილდნენ და გზას გაუდგნენ. მალე გამოჩნდა ერთი მწვანე ჭაობი. ხავსიან ქვაზე ბაყაყი იჯდა და ყიყინებდა.

— რა ტკბილად გალობს! — შესძახა უვიცმა.

— მშურს, — თქვა შურიანმა.

— რა ჭაობია! — შეწუხდა ზარმაცი. — ახლა ამაზე გასვლა არ გინდა?

— რა ვქნათ? — იკითხა უვიცმა.

— შევტოპოთ! — მიუგო ზარმაცმა. — ხიდი შორსაა...

— მშურს, რომ ამდენი იცით, — დაიძახა შურიანმა.

უვიცმა ჭაობში შეტოპა. ზარმაცი მიჰყვა. მიდიოდნენ და იძირებოდნენ.

—იხრჩობიან! — შეეძახა შურიანმა. — მშურს! — და ხიც უკან მიჰყვა.

სამივე იმ ჭაობში ჩაიხრჩო. ზედაპირზე ქუდებიღა დარჩა. ბაყაყი შესკუპდა და დაიყიყინა:

— ახია მაგათზე! ახლაც იკითხავენ, უსარგებლო ჭაობი რისთვის გაჩნდაო?

დამსახურებული სასჯელი

ერთმა სწავლულმა ცხოველების ენა იცოდა. ერთხელ ძაღლს ჰკითხა:

— რა გაჩხუბებთ შენ და კატას, რა გაქვთ გასაყოფი?

— ერთი პატარა ჩურჩხელა.

— როგორ თუ ჩურჩხელა?

— ჩანს, არაფერი გცოდნია, მე და კატა ხომ და-ძმანი ვიყავით! სულ ვჩხუბობდით, ერთმანეთს ვკბენდით, ვკაწრავდით, ვაწიოკებდით, პირში ლუკმას ვაცლიდით. ერთხელ ჩხუბი ჩურჩხელას მოვაყოლეთ და უცებ ბეწვი მოგვესხა, კატად და ძაღლად ვიქეცით, — აუხსნა ძაღლმა და კატას დაედევნა.

კუ ხანძარში

ტყე იწვოდა. ყველა ნადირი გარბოდა. მხოლოდ კუ მიჩანჩალებდა აუჩქარებლად. მელიამ უკან მოიხედა და მიაძახა:

— შე სულელო, ახლა მაინც იჩქარე, ქვეყანა იწვისო.

— მოჩქარეს მოუგვიანდეს, — მიუგო კუმ. — ან რა მეჩქარება, შენსავით დღემოკლე კი არა ვარ, ას წელიწადს ვცოცხლობ!

— ვხედავ, ამჯერად შენზე დღეგრძელი ვიქნებიო, — თქვა მელიამ და მოკურცხლა.

კურდღელი და გელურა

კურდღელმა თავისი გრძელი ყურების ჩრდილი დაინახა და გული გადაუქანდა:

— ამას რას ვხედავ! — შეუძახა. — სახედრის ყურები მქონია!

— ხომ არა გგონია, სახედარზე უკეთესი ხარ? — გადმოსძახა გელურამ. — მხოლოდ შენი თავის დარდი გაქვს, სახედარი კი მთელი დღე სხვის სარჩოს ეზიდება და მის გზაზე ცოტა საკენკი მეცა მრჩებაო!

— მართალია, მაქებარს საკენკით შოულობენო, — მიუგო კურდღელმა.

ლომი და აფთარი

ერთი ბეხრეკი აფთარი სულ კვალდაკვალ დაჰყვებოდა ლომს და მისი ნასუფრალით ირჩენდა თავს. ერთხელ ლომი მახეში გაება. აფთარი შორიახლოს დაწვა და ელოდა: როდის გამოიხსნისო თავს ჩემი მარჩენალი! ბოლოს, შიმშილით გასავათებულმა შეუყეფა:

— დიდო მეფეო, ნება მომეცი დაგეხმარო.

— რა შეგიძლია?

— რჩევას მოგცემ.

— რა უნდა მირჩიო?

— როგორ უნდა მოიკლა შიმშილი ასეთ გასაჭირში.

— ჯერ მაგ რჩევით შენ მოიკალი შიმშილიო, — მიუგო ლომმა და ზურგი აქცია.

მწყემსი და მგზავრი

ერთ მშიშარა მწყემსს ორასი სული ცხვარი ჰყავდა. მგლისა ეშინოდა, ფარის შუაგულში წვიბოდა და იძინებდა.

ერთხელ მგზავრმა გამოიარა, შეხედა ფარას, ნახა შუაში მძინარე მწყემსი და თქვა:

— საოცარ ამბავს ვხედავ: ფარაში ერთი ცხვარია და ორასი მწყემსი ჰყავს.

კუ და კურდღელი

კუმ უთხრა კურდღელსა:

— თუმცა ჩემზე სწრაფი ხარ, სიკვდილი ჩემზე ადრეე გეწევაო!

— მართალია, ჩემზე დიდხანს ცოცხლობ. მაგრამ შენი გაკეთებულიც არაფერი მიხახავს, — მიუგო კურდღელმა. — წელთა სიმრავლე რა ბედენაა, თუ შენი დღე და მოსწრება ჩანჩალში გაატარეო!

ეზოპე და სახედარი

სახედარმა ეზოპეს იგავი უთხრა:

— ერთი კეთილი კაცი იყო, სახედარი ებრალებოდა, ტომარას თვითონ აიკიდებდა და სახედარს წინ გაიგდებდაო.

ეზოპემ უსმინა და უთხრა:

— კარგი იგავი მითხარი, ახლა ბარემ შენი კეხიც მომეცი, მე ტვირთს ავიკიდებ და შენ იგავები თქვიო.

სახედარმა კეხი კი დათმო, მაგრამ იგავები ვეღარ თქვა, საბალახოდ წავიდა და მგელმა შეჭამა. ეზოპეს კი კეხი ზედ შეეზარდა და დაკუზიანდა.

— ახია ჩემზე, — თქვა მეიგავემ: — რაც თავისი საქმე არ არის, იმას არც სახედარი უნდა შეეჭიდოს და არც კაცი.

ბოროტი მეგობრები

ყვავი და გველი დაძმობილდნენ. ერთ ბაღში დასახლდნენ ვაშლის ხესთან. ყვავი ხეზე დაჯდა, გველი სოროში შეძვრა.

მოვიდოდა ვინმე, ვაშლს წაეტანებოდა, ყვავი დაიჩხავლებდა, გველი გამოძვრებოდა, დაგესლავდა და იყვნენ ამ საქმიანობაში

მოვიდა მებაღე და შესძახა:

— ყვავო და გველო! აქ რას აკეთებთო?

— ბაღს ვიცავთო, — უპასუხეს.

— ან ბაღს რად იცავთ, ან საერთო რა გაქვთო?

— ჩვენ ადამის ჟამიდან მეგობრები ვართ, — დაისისინა გველმა.

— ჩვენ ადამის ჟამიდან მეგობრები ვართ! — დაიჩხავლა ყვავმა.

— ეგ რა მეგობრობაა, სიკვდილის მოცქეულებო! — შესძახა მებაღემ, ყვავს ტყვია ჰკრა, გველს კი თავი გაუჩეჩქვა და წავიდა.

არწივი და ლოკოკინა

არწივი და ლოკოკინა დაკობდნენ, ერთიმეორეს უშვერი სიტყვებით ამკობდნენ. რა ჰქონდათ საკადავო? — ვინ უფრო ბედნიერად ცხოვრობსო?

— მიკვირს, როგორ იმცირებს თავს არწივი ლოკოკინასთან დავით? — უკვირდა ლომს.

— მე უფრო ის მიკვირს, როგორ უყადრებს თავს ლოკოკინა არწივს! — მიუგო თახვმა.

ყველას თავისი ქომაგი ჰყავს.

არწივი და თხუნელა

— ცაში რა დაკარგე, დედამიწაზე ვერ დაეტევიო? — უთხრა თხუნელამ არწივს. — მე რომ შენს ალაგას ვიყო, სულ თბილ სოროში ვიცხოვრებდიო.

— მე რომ შენს ადგილას ვიყო, თვითონაც ასე მოვიქცეოდიო, — მიუგო არწივმა.

კურდღლის გაგებით

ლომს წვეულება ჰქოდა, კურდღელი დაუპატიჟებლად ეს-ტუმრა, მიიღეს, სტუმარს ხომ არ შეეკამდნენ! შინ რომ დაბ-რუნდა, მოყვრებში დაიტრაბახა:

— ლომს ვეწვიე. მეფის გვერდით ვიჯექი და ქეიფს ვე-წეოდი. მოკლედ, დიდი პატივი დავდევი ლომს.

— ეგ მართალია, მაგრამ ლომმა თუ დაიდო პატივი შენი სტუმრობით? — ჰკითხა ერთმა ყურცქვიტამ.

— ეგ ლომს უნდა ჰკითხოო, — მარჯვედ მიუგო კურდ-ღელმა. — ერთი სცადე!

უღირსი მწყემსი

მწყემსს ყოველ ღამე ტკბილად ეძინა. მგელიც ყოველ ღა-მე თითო ცხვარს იტაცებდა.

ერთ დილას, მზის ამოსვლისას, მწყემსი ფარასთან მივიდა და ცხვრებს უსაყვედურა:

— კიდევ იყო მგელი? რა მოვიყიდათ, ლამის გაგანახეე-რათ, იმ ვერანმა!

— შენისთანა მწყემსის ხელში ნახევარიც რომ დავრჩით, არ გიკვირს? — მიუგო ერთმა ცხვარმა.

ბელურა და მერცხლები

სხვენზე მერცხალს ბუდე ჰქონდა. შემოდგომაზე, როგორც წესია, თბილ ქვეყნებში გაფრინდა. გაზაფხულზე ისევ მიბ-რუნდა და ნახა, რომ მის ბუდეს ბელურა დაპატრონებოდა. ეწყინა, აწრიალდა, მორთო ჟღურტული, ბუდე დამიცალეო, ეუბნებოდა ჩიტების ენაზე. მაგრამ ბელურა გამოსვლას არც აპირებდა. მაშინ მერცხალი გაფრინდა, ორ წუთში ოცი-ოდე მოძმე მოიყვანა და ბუდის შესასვლელი ამოქოლეს. სხვი-სი სახლის მიმთვისებელს სამარცხვინო აღსასრული ელოდა. ქალს მაინც შეეცოდა ბელურა და ბუდე ჯოხით ჩამოაგდო. დან-

გრეული ბუდიდან ბელურა გამოფრინდა, მაგრამ იქვე კატამ შეჭამა.

— სხვისი ნაამაგარის მიტაცება არავის შერჩებაო, — თქვა ქალმა.

თხის ჯაჭვა

თხისა და მგლის ამბავი მოგეხსენებათ. მათი მორიგება ზღაპრადაც არავის სმენია. თხას ტყისკენ უჭირავს თვალი, მგელს — თხისკენ. დათვმა კანონი და წესი იცის, ერთ თხას დაგლეჯს, სხვებს გაუშვებს. მგელი დაერევა არვეს და ასიც რომ იყოს, ცდილობს ასივეს ყელი გამოღადროს. მაგრამ ეს ხომ ისედაც ვიცით!

ერთმა თხამ ბევრი იფიქრა, იქნებ რაიმეთი მგლის გული მოვინადირო და ტყე-ღრეში თავისუფლად ვინავარდოო. ვერაფერი მოიფიქრა. იმ ხანებში ერთი ლომი მოკვდა. თხამ თავისი ჭკუით იფიქრა: მოდი, ჩემს გაზრდილ ღმერთს შევევხვეწები, მეფედ მგელი დასვასო; მადლიერი მეფე მოწყალე თვალით შემომხედავსო.

მივიდა ღმერთების მეფესთან, მამა ზევსთან, რომელსაც პატარაობაში თხა ამალეა აჭმევდა რძეს, მივიდა და სთხოვა: მეფედ მგელი დასვიო.

— კეთილი, ჩემო ძიძავ, მაგრამ არ ინანო ეს ამბავიო, — მიუგო ზევსმა და სამეფო ტახტზე მგელი დასვა.

თხამ გაიხარა: ახლა მეფე ჩემი დანიშნულია, რას მავნებსო. გამოეწყო, მეზობელი ცხვარი იახლა და მგელს ესტუმრა. მგელს გაუხარდა და გაუკვირდა კიდეც. — რამ მოგიყვანა აქ შენი ფეხითო? — ჰკითხა.

— უნდა მოგილოცო: ხომ იცი, მეფობა ჩემი ნებით გებოძაო! — მიუგო თხამ.

— მერე, როდის გთხოვე, თავხედო? — შეუღრინა მგელმა. — რამდენი საზრუნავი გამიჩინე! ამისათვის ახლავე უნდა შეგჭამოო.

— მართალია, მეფეო, — შეჰბღავლა შეშინებულმა ცხვარმა: — სულ ამას არ ვეუბნებოდი? არ გინდა, მგელი ისედაც

მეფეა-მეთქი! არ დამიჯერა და ახია მაგაზე! თხის ჭკუა მოგეხსენება, მეფეო...

— ბევრს ნუ ყბედობ! — გააკრაჭუნა კბილები მეფემ. — მოემზადე, შენც უნდა შგჭამო!

— მე რისთვისაო? — დაიბღაველა ცხვარმა. — მე ხომ არ მინდოდა შენი მეფობა!

— სწორედ მაგისათვის! — და იქვე ყელი გამოღადრა!

სუმბული და ცირცელი

— ოჰ, რამე რომ შეიცვლებოდეს! — ოხრავდა ჭაობში ამოსული სუმბული. — როგორ მომწყინდა ეს ერთფეროვანი დუმილი! როგორ მომწყინდა! ნეტავი, შეიცვლებოდესო!

— როგორ უნდა შეიცვალოსო? — ჰკითხა მაღლიდან დახრილმა ცირცელმა, რომელსაც სუმბულის ჩივილმა ნაყოფი გაუწითლა.

— სულ ერთია, — მიუგო სუმბულმა. — ოღონდ ეს ნისლი გაიფანტებოდეს, ძილის მომგვრელი დუმილი დაირღვეოდეს! გული გადამელია...

— დამშვიდდი, — უთხრა სუმბულს ცირცელმა. — ხომ ხედავ, ხან ზამთარია, ხან ზაფხული, ხან შეფოთლილი ვარ, ხან შიშველი. ახლაც ნაყოფი გამიწითლდა. ყველაფერიც იცვლება თვის კვალობაზე.

— აჰ, არა, მე სხვას გეუბნები, ცირცელო, შენ ეს არ გესმის, — დაიკვნესა სუმბულმა და ჩაეძინა.

სუმბულსაც კი სურს წინსვლა და ცვლილება. ზოგი კაცი კი ისე დაბერდება, რომ მის ცხოვრებაში საყურადღებო არაფერი ხდება.

მატყუარა კურდღელი

ერთი ცანცარა კურდღელი სამეზობლოში ტრაბახობდა:

— იცით, სადილად ლომთან ვიყავი. მოვეწონე, ბევრი იცინა და მითხრა: მოდი, ერთად ვინადიროთო!

ყველამ ყურები დაცქვიტა.

— რაზე ვინადირეთო? — ჰკითხა ერთმა: — ლომებზე თუ კურდღლებზეო?

— ხან ლომებზე და ხან კურდღლებზეო.

— ჰმ! — შეათამაშა ყურები ბებერმა კურდღელმა. — საოცარია!

— რა არის საოცარი? — ჰკითხა ცანცარამ. — ლომმა რომ ენა ამოიდგაო?

— არა, საოცარი ისაა, ლომმა ასეთ ცრუპენტელასთან ლაპარაკი როგორ იკადრაო! — მიუგო მოხუცებულმა კურდღელმა.

მაშვრალი მონადირე

ერთი მამაცი კაცი ლომ-ვეფხვებზე ნადირობდა, ხშირად კლავდა კიდეც. ხანში რომ შევიდა, მელიებზე და კურდღლებზე დაიწყო ნადირობა. ვერც ერთი მცირე ნადირი ვერ მოკლა. დაღონდა.

— რამ შეგაწუხა? — ჰკითხა მეგობარმა.

— არ ვიცი, რა მომდის, ლომთა მკვლელმა ერთი კურდღელიც ვერ მოვინადირეო, — მიუგო.

— შენი საქმე მიკვირს, — გაეცინა მეგობარს: — კურდღელზე დარდობ და შენი სახლის კედლები ლომ-ვეფხვის ტყავებითაა მოჭედილი!

დიდი საქმის მოქმედი მცირეზე არ უნდა გაისარჯოსო, ბრძენს უთქვამს.

კურდღელი, მელია და უშბა

მელია კურდღელს მისდევდა. კურდღელმა იფიქრა, თავს უშბას შევაფარებო, აღმა ავარდა, მაგრამ ქარაფიდან მოწყდა და ნაპრალში ჩავარდა. მელიას კი გადაურჩა, მაგრამ მწვერვალს მაინც უკმაყოფილოდ ახედა და თქვა:

— უსარგებლოდ დაყუდებულხარ, მთა ხარ თუ რაღა-

ცა! არც თავშესაფრად ვარგიხარ და არც სახნავ-სათესად! რა ჩრდილები გაქვს და რა ორმოები! მე რას მარგია? შენ ადგილზე სირცხვილით დავდნებოდი!

— შენს ადგილზე მეც მასე მოვიქცეოდი! — ჩასძახა მელიამ. — ირბინე ახლა მაგ ორმოში და ლანძღე მთა! მე იმდენი ჭკუა მაინცა მაქვს, რომ უშბას არ შევებაო! — და სანადიროდ სხვაგან წავიდა.

მგელი და ბუ

მომაკვდავი მგელი ჩიოდა:

— ასი მტერი მიძლევია, ასი რქოსანი, და ერთმა ურქომ როგორ მაჯობაო!

— ასი მტერი ვინ იყო? — ჰკითხა ბუმ.

— თხები და ცხვრები.

— ერთი მტერი?

— ვეფხვი!

— მაშ, ეს ერთი დამარცხება უფრო გესახელებოდეს, ვიდრე ის ასი გამარჯვებაო, — ურჩია დატორილ მხეცს ბრძენმა ბუმ.

ტურა და ლომი

ტყეში ლომის ნაცემი ტურა დაწანწალებდა და ყველას ლომური რიხით აძაგებდა. ყველა იცინოდა რიხიანი ტურის ამაო გულმოდგინებაზე.

ის კი მაინც ლომური იერით აცხადებდა:

— მიკვირს თქვენი ამბავი, ამ დიდ-დიდ ნადირებს რომ აქებთ და ადიდებთ; აბა, ვინ არიან და რანი არიან? ირემი ლაჩარია, დათვი — ბუზღუნა, ვეფხვი — ყაჩაღი, ლომი კი ნამდვილი ტურაა!

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ შენ ვინღა ხარო? — ჰკითხეს მქირდავ ტურას.

— მე... მე... მე — ლომი!

ამ დროს ლომი გამოჩნდა. ტრაბახა ტურას ლომური რიხი გაუქრა და თავი მელიას სოროს შეაფარა. ტყე იცინოდა.

ლომი და მაიმუნი

მეფე ლომმა თავისი კარის მხატვარ მაიმუნს უბრძანა: ჩემი ბუნაგისათვის ანგელოზი დამიხატეო.

მაიმუნმა ხატა, ხატა და თავის მეუღლე დახატა.

— კარგად დაგიხატავს, მაგრამ აქ მაიმუნი ხატიაო, — უთხრა ლომმა.

— ჩემი ანგელოზი ესაა, — მიუგო მხატვარმა.

— მე ანგელოზის დახატვა მიბრძანებია და არა შენი ანგელოზისა, შე მაიმუნო! — გაწყრა ლომი.

— ანგელოზია, მეფეო!

— მაიმუნია, ოსტატო!

— მაშ, ხალხსა ვკითხოთ, — არ თმობდა მხატვარი.

სურათი ტყეში გამოფინეს.

ჩამოიარა ტახმა და თქვა:

— ე რანაირი ანგელოზია, ეშვები არა აქვსო!

ჩამოიარა ირემმა და თქვა:

— შენს ანგელოზს რქები აკლიაო!

ჩამოიარა სპილომ და თქვა:

— უხორთუმო ანგელოზი არ გამიგონიაო!

ჩამოიარა ერთმა ლომმა და დაიქუხა:

— ფაფარი დაგვიწყებიაო!

მხატვარი ყველას უსმენდა და სურვილს უსრულებდა. თავის ანგელოზს ჯერ ეშვები გაუკეთა. მერე რქები, მერე ხორთუმით შეამკო და ბოლოს ფაფარიც მიაყოლა. მსაჯულად ბუ მოიწვიეს. შეხედა ბუმ და თქვა:

— საფრთხობელაა!

მაიმუნი ლომს მიუბრუნდა და უთხრა:

— აი, მეფეო, რა გამოვა, ყველას გემოვნება რომ გაიზიარო. პირველად მაიმუნი მაინც იყო. ახლა რა არის ეს?

— მაიმუნობაა! — თქვა ლომმა და სურათს თათი გაუკრა.

სულელი საშოვარზე

ცნობილია ერთი ძველი ოგანი: სულელი საშოვარზე წავიდა. რომ ვერაფერი იშოვა. ქუჩაში ეზოპეს ქვა ესროლა.

ბრძენმა მეიგავემ ერთი ვერცხლი აჩუქა და უთხრა: „მეტსაც მოგცემდი, მაგრამ არ გამაჩნია, მონა ვარ! მიდი, ეს ქვა იმ კაცს დაარტყი, მდიდარია და ოქროს მოგცემსო“. სულელი ასეც მოიქცა. მდიდარი კაცი მეფე აღმოჩნდა, სულელს ბორკილი დაადო და ციხეში უკრა თავი.

ძველი იგავი აქ თავდება. ახალი ისაა, რომ სულელი ციხეშიაც სულელი დარჩა. სულ იმას იმეორებდა: „რა კეთილი კაცი იყო ის კუზიანი ღარიბი, ვერცხლი რომ მომცა! რა ძუნწი ყოფილა ის ლამაზი მდიდარი! იგივე ქვა დავარტყი და ვერცხლიც კი არ გაიმეტა, მხოლოდ რკინა მომცაო!“

ს ი მ ა ღ ლ ე ე ბ ი

ერთი ჯუჯა მჯღაბნელი ერთ დიდ ხელოვანს კვალდაკვალ დასდევდა. ერთხელ შინ შეუვარდა და შესძახა:

— გეყოფა ხატვა, თორემ მაგ მწვერვალიდან გადაგიძახებო!

მხატვარს გაეცინა:

— ჩვენ, სამწუხაროდ, გაგვიჭირდება როლების გაცვლა: რა მწვერვალიდან გადამიძახებ, რომ გორაკზედაც კი გიჭირს ასვლა?

როდემდის იმუქრებოდესო?

— დახეთ მაგ ვეფხვს, რა თავხედია! — შესჩივლა ტურამ დათვს. — რა უნდა, ამ ჩვენს ტყეში რომ შემოხეტიალდება, ნადირობს და ნავარდობს, ჩირადაც არ გვაგდებს! როდემდის, როდემდის ვითმინოთ ეს ამბავიო?

— როდემდის, როდემდის ვითმინოთ ეს ამბავი? — ბურტყუნებდა დათვი.

— როდემდის, როდემდის? — კბილებს აკრჭუნებდა მგელიც.

ვეფხვი კი ამაყად დადიოდა თავის ვეფხვურ ბილიკებზე და ნადირთა ქადილი სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა.

ჩხიკვი — მსაჯული

ჩხიკვმა დაიჩხავლა:

— შეწყდეს იადონის ხმა! ეს კვნესაა და არა გალობა! დარბაისელი ვინმე მაინც იყოს!

— დარბაისელი შტერია! — თქვეს ფრინველებმა. — ყურები წაიღო!

მაგრამ ზოგმა ჩხიკვსაც დაუკრა კვერი. ხალხი ჭრელია.

— შენ რაღას იტყვი? — ჰკითხეს იადონს.

გაეცინა მგალობელს: „დამიშინეთ ქვა! სადაც ჩხიკვი მსაჯულობს, მე რა უნდა ვთქვა?“

ლომი და წრუწუნა

ლომი მოკვდა და მისი ქება გაზეთში მოხვდა. ნეკროლოგს არწივი აწერდა ხელს.

—მე რატომ არ მახსენა? — შეიცხადა თაგვმა. — ჩანს, მტაცებელი არწივი წიგნსაც არ კითხულობს! განა მე არ გადავჭერი ამ კბილებით ის თოკი, რითაც ადამიანებმა ლომი დააბეს? განა ლომის მეგობარი... განა განსვენებული ლომი ჩემი მეგობარი არ იყო? მაშ, რატომ არ მახსენა არწივმა?

— საბრალო წრუწუნავ! — მიმართა ირემმა. — რას ცხარობ, რად გახსენებდა, განა შენც მოკვდი? შენი შობაც არა გვჯერა და სიკვდილი დავიჯეროთ?

ცხენი და წურბელები

ცხენი დამდგარ წყალზე გადადიოდა. წურბელებმა გაიხარეს:

— ღმერთმა ჩვენც მოგვხედა! საკბილო გამოგვიგზავნა. ბევრს რომ დანავარდობს, ახლა სად წაგვივა! ის ერთია, ჩვენ ათასი! დავესიოთო! — მართლაც, ცხენს ურიცხვი წურბელა აეკრა ტანზე.

ცხენი კი გაღმა გავიდა. დაჰკრა მიწას ფლოქვები, შეიფერთხა. სისხლისმწოველნი ქვიშაზე დაყარა და ველზე გაინავარდა.

მშენებელი და მჩხრეკელი

ხელოვანმა მშენებელმა გორაკის სიმაღლის კოშკი ააშენა. ქონგურებით შეამკო, ჩამოვიდა, დაღლილი დაჯდა ლოდზე და თავის ქმნილებას ახედა.

გამვლელ-გამომვლელი შეჰხაროდა ქვეყნის სიმტკიცის ბურჯსაც და მის ხელოვან მშენებელსაც. ყველა აქებდა, მადლობას ეუბნებოდა ხუროთმოძღვარს.

მხოლოდ ერთი ავყია უსაქმური მიუბრუნდა და უკმეხად შეიახალა:

— ვერაფერი კოშკი აგიშენებია, ძმობილო. მეხუთე სართულზე რაღაც ჩრდილებია, სათოფური ვიწროა და ქვას კირი აკლიაო.

ხელოვანმა მჩხრეკელს დაცინვით გადახედა და უთხრა:

— შენი ხელობა კ-დეე ეგ არის, პურს მაგითა ჭამ და ამიტომ არა მწყინსო!

მელია და მეიგავე

მელია ერთი მეიგავე კაცის საქათმეში შეიპარა. ის იყო, ქათამს ჩაავლო პირი, რომ თვითონ მელიას კისერში ქათმის პატრონმა ჩაავლო ხელი და უთხრა:

— აი, შე ქურდო, ხომ დაგიჭირე?

— დამიჭირე და ტყავსაც გამაძრობ, მაგრამ სიმართლეს მაინც გეტყვი სოკვდილის წინ, — მიუგო მელიამ. — ძუნწები ხართ ადამიანები! აი, თუნდაც შენ. რამდენ იგივი დაწერე ჩემზე, რამდენს ატყუებ! მელიამ ეს თქვა, მელიამ ეს გააკეთაო! ცილსა მწამებ და სახელს იხვეჭ. ზღაპარი ვერ დაგიწერიათ უჩემოდ და ლექსი! ერთმა ბრძენკაცმა წიგნიც კი დაწერა ჩემზე და მე ერთი ქათამიც არ მეკუოვნისო?

მეიგავეს გაეცინა და მელია გაუშვა, ქათამიც თან გაატანა და გზაც დაულოცა.

მგელი და ცხვარი

ათას რამეს გვიყვებიან მგელსა და ცხვარზე. ეს ნამდვილი ამბავია.

ერთი ცხვარი ფარას ჩამოსცილდა და მგლის ბუნაგთან უშიშრად ჩაიარა.

მგელი ბუნაგიდან გამოვიდა და ცხვარს უთხრა:

— მოდი, ვიჭიდაოთო.

— ვიჭიდაოთო, — მიუგო ცხვარმა.

მიაბჯინეს ერთიმეორეს თავები და ჭიდაობენ. მგელმა უკან-უკან დაიწია და ცხვარი ბუნაგში შეიტყუა. იქ კი შუბლი მოაშორა და ყელში კბილები წაუჭირა.

— ეგ რა ილეთიაო! — უკაყვედურა ცხვარმა.

— ბუნაგში ყველა ილეთი კარგიაო, — მიუგო მგელმა.

— მაშ, ერთი ჩემი ილეთიც ისწავლე და მერე შემჭამეო, — უთხრა ცხვარმა.

— კარგიო, — მიუგო მგელმა. — ეკანასკნელ თხოვნას მველიც ასრულებს, ეგრე კი არ არისო!

ცხვარმა დაიბღავლა. ბუნაგში ნაგაზები შემოცვივდნენ და მგელს ეტაკნენ.

— ეგ რა ილეთიაო! — უსაყვედურა დასისხლიანებულმა მგელმა ცხვარს.

— ახლა არა თქვი, ბუნაგში ყველა ილეთი კარგიაო? — მშვიდად მიუგო ცხვარმა და ფარას შეერია.

ნაგაზებმა კი მგელი დაახრჩვეს.

ფინია და მთვარე

ფინია მთვარეს უყეფდა და სიხარულით კუდს აქიცინებდა.

— გეყოფა, ფინიავ! — შეუღრინა ქოფაკმა. — რა სარგებლობა მოაქვს შენს წკავწკავს?

— მთვარეს ვერეკები! ხომ ხედავ, დგას! შევუყეფე და დაიძრა.

— ეს ღრუბელი დაიძრა, სულელო, და არა მთვარე, — მიუგო ქოფაკმა.

ფინია და მდინარე

შეორედ ეს მოუსვენარი ფინია მდინარეს უყეფდა:

— შეჩერდი! შეჩერდი! დაგუბდი! დამყაყდი! აფ! აფ!

მდინარე კი მიდიოდა. ფინია ბრაზით გაცოფდა და ტალღებში ყეფით გადავარდა. მორევმა დაატრიალა და დაახრჩო. მდინარე კი მიდიოდა.

ზარმაცის ხვედრი

კაცი მდინარეს მიადგა. ხიდი არ იყო. გადავცურავო, თქვა.

— არ გირჩევ, — უთხრა მეთევზემ. — მარცხიანი მდინარეა, ვერ გახვალ. ეგერ, ხიდი არც ისე შორსაა.

— მაგდენი დრო არა მაქვს, — თქვა მგზავრმა და მდინარეში გადაეშვა.

გადაშვება იოლი იყო, გასვლა კი უფრო გაუჭირდა. იცურა, იცურა და... გაღმა დღესაც არა ჩანს.

— მოჩქარეს მოუგვიანდესო, — თქვა მეთევზემ.

ლომი და ცუგა

ლომმა ხბო გაიტაცა. ცუგა ყეფით დაედევნა.

— რას მისდევ, ცუგავ, ლომთან რას გახდებიო! — მიაძახა მამალმა.

— ვიცი, მაგრამ იმას ხომ იტყვიან, ლომს დაედევნაო! — მიუგო ცუგამ და ყეფა განაგრძო, რადგან იცოდა, ლომს მისთვის არ ეცალა.

სპილო და მაიმუნი

მაიმუნი სპილოს ზურგზე იჯდა და იმანჭებოდა.

— აბა გაიხედე, იმ ველზე ჯეირნებს თუ ხედავო? — ჰკითხა მაიმუნმა სპილოს.

— ჯეირნებს ვერა, მხოლოდ ჟირაფების თავებს ვხედავო.

— აჰა, ხომ დარწმუნდი, რომ მე შენზე შორს ვხედავო! — დაემანჭა მაიმუნი.

— ჩემზე შორს იმიტომ ხედავ, რომ ჩემს ზურგზე დგახარო, — დინჯად მიუგო სპილომ.

ტურა — ლომის გვირგვინით

ტურამ ტყეში ლომის გვირგვინი იპოვა, თავზე დაიდგა და ლომური რიხით თქვა: მიფრთხილდით, ლომი ვარო!

— ქეციანი ტურა ხარ! — უთხრა მელამ. — ლომის გვირგვინი გიპოვნია, მაგრამ ლომობას სადღა იპოვიო?

თემურლენგის განაჩენი

მონღოლთა მრისხანე მბრძანებელს, თემურლენგს, ორი მშენებელი მიჰგვარეს და ორივეს სიკვდილი მიუსაჯა.

— რისთვის მსჯი, მბრძანებელო? — ჰკითხა ერთმა.

— იმისათვის, რომ მეტისმეტად კარგი ტაძარი აგიშენებია, დანგრევა მიჭირს... ხალხიც ამას აწყდება და ჩემს ღმერთს არა ცნობსო, — მიუგო მტარვალმა.

— მე რაღას მემართლებიო? — ჰკითხა მეორემ.

— შენ იმას, რომ ცუდი ტაძარი აგიგია, შენი ღმერთი დაგიმდაბლებიაო, — გაიღიმა კოჭლმა დამპყრობელმა.

მოძალადეებს ერთნაირად აღიზიანებთ დიადი და მდარე, უფრო საშუალო ადამიანები მოსწონთ.

კაკლის ხე და ნეკერჩხალი

გზისპირას დიდი კაკლის ხე იდგა. გამელელ-გამომვლელი ქვასა და ჯოხს უშენდა. ფოთოლი ცალკე ცვიოდა, ნაყოფი ცალკე. გვერდით ერთი ნეკერჩხალი იდგა მოსვენებული. ერთხელ ენა ამოიდგა და კაკლის ხეს მიმართა:

— მეცოდები, მეზობელო, ყველა შენ გიშენს ქვასა და ჯიხს. ალბათ, ცუდი ჯიშისა ხარ, თორემ, აბა, მე რატომ არავინ მერჩიხო?

— მქონებელთ ერჩიანო, ბრძენთაგან თქმული, — მიუკო ყაყლის ხემ. — შენ რა შქონებელი და მსხმოიარე ხარ. ქვა-როლიებს შენთან რა ეაქმებათო?

ფუტკარი და ხოჭო

ხოჭო ფუტკარს შეხვდა და უთხრა:

— სულ ჯაფაში ხარ, თაფლი კი სხვას მიაქვს. კრაზანა შენ გერჩის და თაგვი. აი, მე შეჯავშნული ვარ და დროს არხეინად ვატარებ.

— თუ შენი ცხოვრების მიზანი მხოლოდ ისაა, რომ თავი დაიცვა და არავინ გერჩოდეს, ვერაფერი შვილი ყოფილხარ ამ დალოცვილი დედა-ბუნებისა, — მიუგო ფუტკარმა და გაფრინდა.

ვირის ლომობა

ერთ სოფელში თავისი ეტლით დიონისე ღმერთმა ჩაიარა, გზის პირას ერთი ვირი დაინახა, ხუმრობით ლომის ფაფარი გადააფარა და წავიდა. ვირმა პატივი შეიფერა და ხმამაღლა დაიყოყინა:

—მო-დით! მო-დით! მო-დით!

ნადირები მოგროვდნენ.

— აბა, რას გვეტყვი, მოვედითო, — მიაძახეს ახალ ლომს.

— რას გეტყვით? ლო-მი ვარ! ლო-მი ვარ! ლო-მი ვარ! — გააბა ვირმა. — მუხლი მომიყარეთ! ლო-მი ვარ!

— რანაირი ლომი ხარ შენ? — მიმართა ირემმა. — ფაფარი ლომისა გაქვს, ჩლიქები ირმისა და ხმა — სახედრისაო!

ვირმა რისხვის ნიშნად მხრები შეარხია და ნაბოძები ფაფარი ძირს ჩამოუვარდა. ყველას გაეცინა. გაწბილებულ ვირს, აბა, რა უნდა ექნა, ყურებიც ჩამოყარა და ბალახს დაუწყო წიწკნა.

ტუუილად დასცინით საბრალო სახედარს. ის გაჩუმდა და ვირობას დასჯერდა. ზოგი კაცი კი დროზე გაჩუმებასაც ვერა ხვდება.

ვირის სიამაყე

ლომს წვეულება ჰქონდა და როგორც ძველი ნაცნობი, ვირიც მიიწვია. სუფრის ბოლოში დასვეს. მოიღუშა, საჭმელს პირს არ აკარებდა, გაიბუტა.

— რა იყო, ვირო, რა გეწყინა? — ჰკითხა ძაღლმა.

— როგორ თუ რა მეწყინა! — სუფრის ბოლოში რომ დამსვეს, ვითომ რაო? ლომზე ნაკლები რითა ვარ? ხმა მაქვს ნაკლები თუ ყურები?

— გაჩუმდი, მეზობელო! ლომის ახლოს ჯდომა ყოველთვის სახიფათოა! აქ კი ხარ და არხეინად ახრამუნებ ნარ-ეკალს. ბოლოშიც კარგად მოვილხენთ, ვითომ თავს ჯდომა რა არის. თუ ლომზე უკეთესობის იმედი გაქვს, აქაც კარგად მოახერხებ: მოიპოვე სათანადო პატივი და ლომს ყველა ზურგს აქცევს, შენ მოგაჩერდებიან და სუფრის თავიც აქ იქნებაო!

ვირმა უსმინა, უსმინა და ჩაეძინა.

ტურის რაობა

მონადირე ჯუჯებმა სპილოს ფეხის ძარღვი გადაუსნეს. ბუმბერაზი სისხლისაგან იცლებოდა და ზეზეულად კვდებოდა.

— რა სულელია! — დაიჩხავლა ტურამ. — ახლა მაინც რატომ არ დაწვებაო?

სპილო თავის რაობას ამტკიცებსო, — აუხსნა ლომმა.

— ახლა მივალ და მის სისხლს დავლევ, მეც დავამტკიცებ ჩემს რაობასო, — დაიკვეხა ტურამ.

— შენს არარაობას დაამტკიცებო! — ზიზღით შეუსწორა ლომმა და გაეცალა.

მომაკვდავი გოლიათების ჯიჯგნა კაცუნებს გმირობა ჰგონიათ.

ვეფხვი და კურდღელი

ადამიანება ძლიერ მოსწონთ ჩემი ტყავი და მოსაკლავად ამიტომაც დამდევენო, — შესჩივლა ვეფხვმა კურდღელს.

— მეც ამ დღეში არა ვარ? — შეიფერა კურდღელმა. — თანაც მე ხორცისთვისაც დამდევენ, განა მარტო ტყავისთვის! შენს ხორცს ხომ ისინი არ...

—რაც შეეხება ხორცს, ასეთ რამეზე არც მე ვიტყოდი უარსო, — შეაწყვეტინა ვეფხვმა და ყბედი კურდღელი შეახრამუნა.

ლომი და მელაკუდა

მელა ლომთან მივიდა და ვითომც ასიამოვნა:

— ვიცი, დიდგულობ: „ერთსა ვშობ, მაგრამ ლომსა ვშობო". მაგრამ ახლა მონადირეები მომრავლდნენ, თოფები გამოიგონეს და, თუ სამ-სამის შობა არ დაიწყე, შეიძლება გადაშენდეო!

— მელაკუდობას გადაშენება მიჯობსო, — მიუგო ლომმა.

ვირის ჰკუით

კაცმა თავის სახედარს უსაყვედურა:

— უბედური წესი გაქვთ ვირებს: თუ მგელი გეტაკათ, გაიჯგიმებით, არც გაურბიხართ და არც თავს იცავთ. კბილები მაინც ჩაულეწეთ ტლინკებითო.

— ცდები, ჩემო პატრონო, — მიუგო ვირმა: — თუ მგელი გვეტაკა, ჩვენი საქმე მაინც გათავებულია და ჩამტვრეული კბილებით ჯიჯგნას ისევ სჯობს ბასრი კბილებით მორჩეს და მოგვასვენოს... თქვენ კი, ადამიანები, ხშირად მთელი სიცოცხლე ჯიჯგნით ერთიმეორეს, ჭამთ და გაიძახით: მოთმინებითა შენითაო...

სპილო და კურდღელი

სპილო და კურდღელი დამეგობრდნენ. ყველას უკვირდა: რა აქვთო საერთო? რომელი რომელს რას გამორჩებაო? მეგობრობა კი მაინც გრძელდებდა.

ერთხელ სპილო ორმოში ჩავარდა. შიმშილით სიკვდილისაგან რომ ეხსნა, კურდღელმა მთელი თავისი ნაშოვნი სტაფილო შიგ ჩაუყარა. სპილოს კურდღლის არჩევი ლუკმადაც არ ეყო. კურდღელი მაინც თავგამოდებით ეზიდებოდა თავის ნაშოვარს, თვითონ კი პირს არ აკარებდა.

გავიდა ხანი. სპილო ჩამოხმა და ბოლოს სულიც დალია. კურდღელიც უპმელობით დაილია და მოკვდა. ვერც მეგობარს არგო და სიცოცხლეც მოისწრაფა. სამაგიეროდ, ერთგული მეგობრის სახელი დაიგდო.

გორაკი და მწვერვალი

შურით ანთებული გორაკი გამვლელ-გამომვლელს მოსვენებას არ აძლევდა:

— ერთი შეხედეთ იმ აყლაყუდას, ჩემ წინ რომ აღმართულა და მწვერვალს ეძახით! აბა, რა მწვერვალი ეგ არის, ცივია და მიუდგომელი! ბალახიც კი არ ეკარება, ღრუბლებს ეპოტინება და სულ თოვლითაა დაფარული. თუ გონების თვალით შეეხედავთ, სულაც არ არის მწვერვალი!

— მაშ, რისი ჩრდილია, თავზე რომ გადგასო? — ჰკითხა ერთმა მგზავრმა.

გორაკი ბრაზით დამუნჯდა.

კუ და აქლემი

ერთ ხრიოკ ველზე კუ მიჩანჩალებდა. წინ აქლემი შეხვდა, მაღლიდან ამაყად დახედა და გადააფურთხა:

— ფუ, რას არ გაჩენს ბუნებაო! — უთხრა. — გიყურებ ჩემი სიმაღლიდან და მებრალები, გონჯი და უმწეო. ზურგზე ეგ რაღა ბაკანი გადგასო?

— ხურც ასე გადიდგულდები, აქლემო, — მიუგო კუმ. — ეიდრე შენი სიმაღლიდან სხვას განსჯიდე, ჯერ უკან მიიხედე, რა კუზი გამშვენებს! ჩემი ბაკანი ჯერ სიმაგრეა, მერე სამკაული, შენი კუზი კი — სიმახინჯეაო.

ყველას აქვს თავისი კუზი, ბაკანი და ეხვის ფეხები. ამიტომ გონიერმა ადამიანმა სხვას არ უნდა დასცინოს.

ჯაშუშის ხვედრი

თხა ლომთან მივიდა, თავი დაუკრა და მოახსენა:

— დიდო მეფევ, მგონი, რაღაცას გიპირებენ: ამასწინათ ხარმა შენზე თქვა: ვინც თავის ქვეშევრდომებს ჭამს, ის მეფე კი არა მხეცია. მე, შენი ერთგული თხა, მოვედი, რათა...

— იყურე, ჯაშუშო! — დაიღრიალა ლომმა. — ვინც თავის ჯილაგს ღალატობს, ის სხვას რა ერთგულებას გაუწევს? მაგრამ რაკი მე მეფე აღარა ვყოფილვარ, მაშ, შემიძლია ისე მოვიქცე, როგორც მხეცებს შეეფერება. ახლავე მოემზადე, უნდა შეგჭამო...

— რა მომზადება მინდა, მეფეო, თხას რაც გააჩნია, ყველაფერი ზედა აქვს.

— მით უკეთესი! — თქვა ლომმა და ჯაშუში თხა იქვე შეახრამუნა.

დათვი და კურდღელი

კურდღლებმა ბჭობა გამართეს: ყველა ჩვენ გვემტერება, თავის გადასარჩენად რამე ვიღონოთო.

— მოდი, ნადირთა ენა ვისწავლოთ, იქნებ მტაცებელთა გული მოვიგოთ, აღარ შეგვჭამენ და უკეთესადაც მოვეწყოთო.

ზოგმა მოუწონა, ზოგმა — არა: გადაგვარება რას გვარგებსო! ვინც მოუწონა, იმათთვის სკოლა გახსნეს და იმით დაიწყეს, რომ დათვი მოიწვიეს და სთხოვეს, შენებურად ბურტყუნი გვასწავლეო.

დათვს წინა დღეს ტახი დაეგლიჯა, მაძღარი იყო და ვიდრე მოშივდებოდა, ხალისით ასწავლიდა კურდღელს ბურტყუნს. საკმაოდ კარგად ასწავლა კიდეც. ახლა შეეძლოთ დათვის გვერდით მოკალათება და უკეთ მოწყობა. მასწავლებელმა ისინი შეიკედლა და მაყვალსაც კი სთავაზობდა მორჩილ მოწაფეებს.

ამასობაში დათვს მოშივდა და კურდღლების მოსმენა მოიწადინა. ისე მოეწონა მათი ბურტყუნი, რომ ცრემლებიც კი გადმოყარა, ალერსით ლოკვა დაუწყო, თანდათან ეშვებიც შეაპარა და ყველანი გადასანსლა.

— მშობლიური ენის დავიწყება სარგებლობას არავის მოუტანს, ახია მაგათზეო, — თქვა ბებერმა კურდღელმა.

ლომი, ჭურციკი და ბაყაყი

— სამჯერ დამედევნა ლომი და სამჯერვე გადავრჩიო, — თქვა ჭურციკმა.

— მეც სამჯერ შევხვდი ლომს, მაგრამ დევნა ერთხელაც ვერ გამიბედა, — ამაყად დაყიყინა ბაყაყმა. — ასე გასინჯე, ზურგი მაქცია და გაიქცა კიდეც. ასე რომ, მეც სამჯერ გადავრჩი ხიფათს...

— მჯერა. ლომს შენი ეშინია და არც მოგეკარება, მაგრამ, აი, ყანჩას კი უფრთხილდიო. — სიცილით მიუგო ჭურციკმა და გაინავარდა.

ბუს სიბრძნე

— საცოდავო ადამიანებო! — ყიოდა მამალი. — მე რომ არ გაღვიძებდეთ, ხავსი მოგედებოდათ! პატრონი კი მემუქრება: იმღერეს ყივი, უნდა დაგკლაო! მგონი, დღეს მიპირებს დაკვლას, მაგრამ მე მაინც ვიყივლებ: ყიყლიყოო!

— რა სულელია! — თქვა ბატმა. — თუ ყივილისათვის კლავენ, გაჩუმდესო!

— სულელი შენ ხარ! — ჩამოსძახა სხვენიდან ბუმ. — სიბ-

რძნე ისაა, რომ იცოდე, ყივილისათვის დაგკლავენ და მაინც იყივლო, არა ის, რომ გაჩუმდეო.

ნიანგი და ნიამორი

ნიანგი ნიამორს შეხვდა, მიესალმა, პირი დააღო და მიუალერსა:

— ჩემო ლამაზო მეზობელო, მოდი, დავმეგობრდეთ. მე შენისთანა მშვიდობიანი ნადირები მიყვარს. ლომ-ვეფხვებს კი არ ჰგავხარ, სისხლს რომ სვამენ, გაუმაძღრები! მათი ნება რომ იყოს, არც შენ დაგინდობენ, მაგრამ, აბა, სცადონ! გავფატრავ! შენი მეგობარი ნიანგი ყველაზე ძლიერიაო.

ამდენ ყბედობაში ნიანგი დაიღალა, ყბები დახურა და გაინაბა.

— ვაიმე, ლომი! — შეესძახა უცებ ნიამორმა და გაქცევა დააპირა, მაგრამ წინ ნიანგი იყო, უკან ლომი.

— სათ, მეგობარო? — გამოცოცხლდა ნიანგი. — ლომი ვინ არის, რომ მეგობარი დავაგლეჯინო? აბა, გაბედოს! აგერ, წყალში ჩაგიყვან და ერთი სცადოს იქ შემოსვლაო! — ამ სიტყვებზე ნიანგმა ნიამორს პირი ჩაავლო და მდინარეში ჩაათრია, იქ კი რა მაპინძლობასაც გაუწევდა მეგობარს, თვითონ განსაჯეთ.

არწივი და ყორნები

ერთ დილას ერთი ვაჟკაცი უშბის ბილიკებს აუყვა და უკან აღარ დაბრუნებულა.

სალამოს ზვავისაგან ტოტებმოლეწილ მუხასე ორი ყორანი დაჯდა..

— ხომ შევეშამეთო! — დაიყრანტალა ერთმა.

— ხომ ამოვკორტნეთ თვალებიო! — დაუდასტურა მეორემ.

— თქვენი თავი ამოიშამეთ, ყორნებო! — ჩამოსძახა არწივმა. — ის ვაჟკაცი უშბაზე დარჩაო.

ყორნებმა არწივს ვერაფერი გაუგეს და თავჩაქინდრულებმა დუმილი ამჯობინეს.

ოსირისი, ნიანგი და კაცობრიობა

ერთი უზარმაზარი ნიანგი მთელს ეგვიპტეს დაეპატრონა, ცხოველსა და ადამიანს ერთნაირად ნთქავდა.

— რა არის ასეთი სიხარბეო? — ჰკითხა დიდმა ღმერთმა ოსირისმა. — არავის ხომ არ აუჭანებ, რა პასუხს აძლევ კაცობრიობასო?

—არ ვიცი კაცობრიობა, ვიცი მხეცობრიობა, რომელიც ჩემი ლუკმაა და მიფრთხილდი, შენც არ შეგჭამო!

ოსირისმა ღია ხახაში შუბი სტყორცნა და გული გაუპო.

— დასრულდა ნიანგის მეუფება! — შესძახა თუთიყუშმა. — მაგრამ ოსირისი ათას წელიწადში ერთხელ მოდის და მანამდე რა ეშველება კაცობრიობასო?

მართლაც, რა ეშველება, თუ კიდევ გაჩნდა ისეთი ნიანგი?

ცხვარი

მიცვალებული კუბოში ესვენა. ქალები მოთქვამდნენ. ეზოში ცხვარი იყო დაბმული და ისიც ბღაოდა.

— შენ რაღა გაბღავლებს? — ჰკითხა ძაღლმა. — მიცვალებულს დასტირიო?

— არა, ჩემს თავს დავტირი. ხვალ დაკვლას მიპირებენ და, აბა, მე ვინ მიტირებსო, — ნაღვლიანად მიუგო ცხვარმა და ბღავილი განაგრძო.

ბრძენი და ლომი

დიდ ინდოელ ბრძენს — რიშის ერთი ლომი ჰყავდა. გონივრული მეტყველება კი ასწავლა, მაგრამ სათნოება — ვერა. ამაოდ უქადაგებდა, ნურავის ერჩი, სისხლს ნუ დაღვრი, მოძმეებს ნუ ჭამო.

— რასაც მე მეუბნები, ეგ ჯერ შენს მოძმეებს ასწავლე და მერე ნადირებსო, — მიუგო ლომმა.

ლომი და თხუნელა

ლომ-ს ბუნაგის მახლობლად თხუნელა სოროს თხრიდა. დიდ ჯაფაში იყო.

— რას წვალობ, რად გინდა ეგ სორო? — ჰკითხა ლომმა.

— მეშინია, არ შემჭამო.

— არხეინად ყავი, ლომები თხუნელებს არ ჭამენო, — მიუგო ნადირთა მეფემ.

ვირი და ფილოსოფოსი

ძველი ბრძენი ბერძენი ფილოსოფოსი თალესი ვირზე იჯდა და სადღაც მიემგზავრებოდა. ვირი ერთ მდინარეში შევიდა, გამობრუნდა და ისევ შევიდა. პატრონმა სახრე უთავაზა. ვირმა ენა ამოიდგა და უთხრა:

— მართალი ყოფილა ხალხი: სიმართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო. მე მინდოდა მეთქვა, რომ შენ შეგეშალა, როცა თქვი: ერთ მდინარეში ორჯერ შესვლა შეუძლებელიაო. აი, მე ორჯერ შევედიო...

— მე ვირზე არ მითქვამს, — გაეცინა თალესს და გზა განაგრძო.

უნდო მფარველი

მგელმა კრავი დაიჭირა და ის იყო შეჭმას უპირებდა, რომ უეცრად ლომი გამოვარდა, მგელს თათი ჰკრა და ლამის სული გააცლებინა: როგორ ბედავ, ვაგ ბატკნის მფარველი მე ვარო!

ბატკანმა ლომს თავი მოწიწებით დაუკრა და უთხრა:

— მადლობელი ვარ, დიდო მეფეო. სიკვდილამდე შენი მადლიერი ვიქნები.

— კარგია, ასე მოკლე ხნით მაინც თუ შეგიძლია სიკეთის აღიარება, — უთხრა ლომმა, — მაგრამ ვალს გადახდა უნდაო.

— რა ვქნა, რით გადაგიხადო, რა გამაჩნიაო? — შეწუხდა ბატკანი.

— როგორ თუ რა გაგაჩნია? განა ხორცი არა გაქვსო?

— ვაიმე, საიდან? მე ხომ ბალახის მჭამელი ვარ?

— ნუ შეწუხდები, სულელო! ხორცი შენ თვითონა ხარ! — მიუგო ლომმა და ბატკანი იქვე შეახრამუნა.

ზოგი „დიდი!" ხალხიც ასე მფარველობს „პატარა" ხალხებს!

მგელი და ირემი

— რას მედიდურობ, ეგ უსარგებლო რქები რომ აგიწევია? — უთხრა მგელმა ირემს. — სულ შიშის კანკალში ხარ, ბოლოს კი მაინც ნადირი დაგგლეჯს. შენი იხარული წამიერია...

— ეგ წამიერი სიხარული მირჩევნია შენს სიცოცხლიან ნადირობას, — ამაყად უპასუხა ირემმა და თავს უშველა.

ერთი არწივის ბედი

ერთი გამორჩეული არწივი თანამოძმეებმა აითვალწუნეს: ჩვენზე ლამაზი და ძლიერი რატომ ხარო და დაკორტნეს, გაძევეს.

გაფრინდა დიდებული ფრინველი, ოკეანეს გადაუქროლა, ერთ უკაცრიელ კუნძულზე ლაჯი. იქ რაღაც უცხო და მახინჯი ფრთოსნები დახვდა. შავი, მსხვილთვალა ზანტი ფრინველები ყორნებივით ჩხაოდნენ და სველი ჭილყვავებივით დაფარფალებდნენ. არწივს ეზიზღებოდა, ასტეხეს ყრანტალი და თავხედურად დაეხვნენ თავს. არწივმა ცოლად გონჯი ფრთოსანი უსულოდ დაყარა, ბევრიც განდევნა, მაგრამ არ ძალუძა ასეთი საფრთხობელების ბევრად ცხოვრება და ისევ გაფრინდა. ოკეანე უკიდეგანო აღმოჩნდა, არწივი დაიქანცა და ჰაერშივე დაღუპული უსულოდ გადაეშვა ტალღებში.

ხშირად კაცთა შორისაც ასეა ხოლმე: სიკეთე და ძლიერება ღირსეული ადამიანის დაღუპვის მიზეზი ხდება.

ჯოხიანი კაცის იგავი

ერთმა მგზავრმა ერთ სოფელს ჩაუარა და ძაღლებს ჯოხი მოუღერა. ძაღლები მაშინვე ყეფით მისცვივდნენ, ჯოხი დაადებინეს და დაკბინეს. პატრონმა ძაღლები გარეკა, მგზავრს ბოდიშები შეუხვია და ანუგეშა.

— რა ავი ძაღლები გყოლიათო! — ცხარობდა მგზავრი.

— არც ისეთი, შენ რომ გგონია, — მიუგო სოფლელმა. — დღეს აქ ათმა კაცმა მანც ჩაიარა, არც ერთი არ დაუკბენიათ. ჯოხი რომ არ გქონოდა, არც შენ დაგესხმოდნენ თავს. კაცი სიბრძნემ და სიკეთემ უნდა დაიცვას, ჯოხმა კი არაო.

აჩქარებული მსაჯულები

ერთ ქალაქში ვეფხვი ჩამოიყვანეს. ვიდრე ხალხს აჩვენებდნენ, ხმა გავარდა და ატყდა ერთი მითქმა-მოთქმა, ქალაქის საბჭოსთან მთელი ბრბო შეიყარა და დაიწყეს განსჯა, რა ცხოველიაო.

— სამთავიანი ყოფილაო. — თქვა ერთმა.

— არა, ორთავიანიო, — შეუსწორა მეორემ.

— ლომის თავი ჰქონია და ცხენის კუდიო, — ჩაურთო ვიღაცამ.

— ფრთოსანიაო.

— თხის რქები აქვსო, შხამიანიაო, ქიმერას ჰგავსო...

საკითხი განსახილველად საბჭოზე გაიტანეს. ვიდრე განაჩენი გამოცხადდებოდა ბაზრის ბალაგანში უკვე გამოიყვანეს უცხო ნადირი და ხალხს აჩვენეს. ეს იყო ვეფხვი...

ამაზე ითქმის: ჭორმა ვეფხვი აქლემად აქციაო.

კუ და არწივი

კუმ არწივს სთხოვა, ცაში ამიყვანეო.

— უკან როგორ დაბრუნდებიო?

— ჩემი ფეხითო.

— მაშ, კეთილი, — უთხრა, აიყვანა და გაუშვა. კუ გად-

მოვარდა და ბაკანი გაიტეხა. — „ვაი, ბაიო!“ — ატირდა.

გამოვიდა ზღარბი და უთხრა:

— ახია შენზე, მეზობელო, სავაგლახოდ რომ გაიხადე საქმე. ცაში რა დაგრჩენია, დაბლა ძლივს დაბობღავ! ისეთ ადგილზე წასვლა არ უნდა ისურვო. უკან შენი ფეხით ვერ დაბრუნდეო!

ლომი და ტურა

ლომი დაბერდა, დაუძლურდა, ეგდო და კვდებოდა. მისი ნასუფრალის შემყურე ტურამ სიკეთე დაივიწყა, მივიდა, შეუყეფა, დასუნა. ლომმა თათი მოუქნია და სული გააფრთხობინა. თვითონ კი მშვიდად მოკვდა.

ძლიერი არსება ისე არ დავარდება, რომ უმწეო მოლიზღარს საკადრისი პასუხი ვერ გასცეს.

სპილოს მეტოქეები

ჯუნგლებში სპილო მიაბიჯებდა. კეთილი ნადირები მორიდებით უთმობდნენ გზას, შურიანი და უკადრისი მხეცები კი სიძულვილს არ ფარავდნენ.

— ჩემს სოროში ვერ შემოძვრება ეს აყლაყუდა! — დაიწრიპინა თაგვმა.

— ვერც ჩემს ფუღუროში შემოყოფს თავს ეს საფრთხობელა! — დაიტრაბახა ბუმ.

— არც ჩემს ბუნაგში შემოვუშვებ! — დაიღრინა მგელმა. — ლეწოს ტყე-ღრე!

სპილო კი დინჯად მიდიოდა თავისი გზით, არც თაგვის სოროში აპირებდა შესვლას, არც ბუს ფუღუროში და არც მგლის ბუნაგში.

ახლა განსაჯეთ, რითი ჰგონიათ თავი სპილოზე ძლიერი თაგვს, ბუს ან მგელს.

მელიას სიყვარული

ცბიერი მელა ტყეში დადიოდა და ქადაგებდა: ერთმანეთი გვიყვარდესო!

— რომელ სიყვარულს ქადაგებ, შე ვერაგო და ვაუმაძ-

ღარო? — გადმოსძახა მტრედმა. — განა შენ ვინმე გიყვარს?

— როგორ არა! ადონი ძალიან მიყვარს.

— იმისათვის გიყვარს, რომ შესანსლო, არა? — მიაძახა მტრედმა და გაფრინდა.

ცხენი ხრამში

ცხენი ფერდობზე მოცურდა, მაგრამ ერთ მცირე შვერილზე მაინც მოიკიდა ფეხი და ბალახს წიწკნა დაუწყო.

— შე საცოდავო, ჰამის თავიდა გაქვს? სადაცაა, უფსკრულში გადაიჩეხებიო, — ჩასძახა პატრონმა.

— თქვენც ასე არა ხართ? უფსკრულის კიდეზე ხართ მოკიდებული და მაინც მხიარულობთ, — მიუგო ცხენმა და ბალახის წიწკნა განაგრძო. — წუთისოფელი დიდხანს არავის ახარებს, მაგრამ ვიდრე ვართ, მისი სიკეთით უნდა ვისარგებლოთო.

კოღო და არწივი

მთის არწივს უმწეო კოღო აედევნა, მაგრამ რას დაეწეოდა! უცებ ამოვარდა ქარი, კოღო წინ გაიტაცა, არწივს დინჯი ფრენა არ შეუნელებია, არც აჩქარებულა. კოღომ მოიხედა და დაცინვით მიაძახა:

— რა თავი მოგაქვს, არწივი ვარო! ნურც ასე გადიდგულდები! ხომ გაგისწარი! სადაც შენი თქვა, ჩემიც ახსენეო!

არწივმა მიუგო:

— კი არ გამისწარი, ქარმა წაგიღო, შე საცოდავო. აი, ჩადგება ქარი და ვნახოთ, ვინ ვის გაუსწრებსო!

ლომი და ტურა-უმადური

ლომმა ლაფში ჩავარდნილი ტურის ლეკვი ბუნაგში მიიყვანა და გაზარდა.

ერთხელ ამ ტურამ და ლომის ბოკვერს კამეჩის ფეხისა-

თვის ჩხუბი მოუვიდათ. ტურამ ლომს შესჩივლა. ლომმა ფეხი ბოკვერს არგუნა: პატარაკო!

—ძაღლი ძაღლს ტყავს არ გაძრეს! — დაიწყო ტურამ.

— უმადურო! ძაღლს როგორ ეძახი, მაგან გაგზარდაო, — შეუღრინა ბოკვერმა!

— რა გამზარდა, სულ ლეშით მკვებავდაო! — მიუგო ტურამ და ბუნაგი მიატოვა.

ტურა, ლომის ბუნაგშიც რომ გაიზარდოს, მაინც წუწკ ტურად დარჩება, არც ამაგს დაგიფასებს და არც ლომის ზნეს ეზიარება.

თხის ნიჟი

ერთხელ ნადირთა კრებაზე ჭოტმა თქვა:

— ჩარლზ დარვინს უთქვამს, არაფრის ნიჟი არ გამაჩნიაო. დარვინს თუ არა, მაშ, ვისლა გააჩნდა ნიჟი?

— მე! — დაიკიკინა თხამ.

— შენ? — ჰკითხეს: — თხას?

— მე, მე, მე! ციური ნიჟი, რაც დარვინს არ ჰქონდაო.

— ბარემ გვითხარი, რისი ნიჟი გაქვსო.

— რისა და ცოხნისო!

ზოგს თავისი ცოხნა-ღეჭვაც დიდი ნიჟი ჰგონია.

ნადირთა მსჯავრი

ტყეში უხუცეს ნადირთა სამსჯავრო გაიმართა.

— რაღაც ახალი ცხოველი ვამოჩენილა, ბრონტოზავრს ეძახიან, — ბრძანა ლომმა. — ჯერ არ ვიცი, რა სულიერია, მაგრამ დიდი გაუმაძღარი ვინმე ყოფილა. დღეს იმისათვის მოგიწვიეთ, რომ გკითხოთ, მივიღოთ ჩვენს ოჯახში თუ არა? რა ნადირია, რა შეუძლია, რას ჭამს. ძლიერია თუ სუსტი? იცით რამე?

— ცოტა რამ ვიცი, — თქვა ლოკოკინამ: — დიდი ხამი და ახმახი ვინმეა, საძთავიანია, ზარმაცი და ნიჟარაც კი არ გააჩნია. არც ჩემსავით რქოსანია.

— მეც ვიცნობ, — სიტყვა ჩამოართვა მელიამ. ჩემს ახალგაზრდობაში ქათმებზე სანადიროდ ერთად დავდიოდით. ნამდვილი ღორია, თვითონ ჭამს და შენ არ გაჭმევსო.

— მეც ვიცნობ იმ ბრონტოზავრს: ფრენას არ კადრულობს, თავს ანძასავით აქანავებს, ჩიტის ბუდეებში კვერცხი არ დატოვა და ისეთი უკადრისია, ლომსაც კი მაღლიდან დაცქერისო, — სიტყვა ჩაურთო ჭოტმა.

ასე მსჯელობდნენ, ტყუილი და მართალი ერთმანეთში აურიეს და სინამდვილე კი არავინ იცოდა. უმრავლესობა ცუდად ახასიათებდა.

— ეგ რა ყოფილა! მოესპოთ, გავანადგუროთ! — გაისმა შეძახილები.

ცხოველთა სამყარომ ერთხმად დაადგინა: გადავაშენოთო ბრონტოზავრი. მაგრამ ასეთ გადაწყვეტილებას, აბა, რა აზრი ჰქონდა, როცა ბრონტოზავრი ისედაც გადაშენებული იყო!

ზოგი უბრალო ჭორს აჰყვება და მაჩვსაც ბრონტოზავრის კუდს გამოაბამს.

კურდღელი და ლომი

ლომმა კურდღელს ბაჭია შეუჭამა. კურდღელი დაემდურა და მთელი სამი წელი ხმას არ სცემდა. ბოლოს მაინც ეახლა და უთხრა:

— დიდო მეფეო, სამი წელია გებუტები, ბოლოს ისევ გეახლე და ბოდიშს ვიხდი, შენ ხომ მეფე ხარ!

— მემდუროდი? — გაუკვირდა ლომს. — ღმერთმანი, არ ვიცოდი, ახლა კი უნდა დაგსაჯო, — და ბებერი კურდღელიც შეჭამა.

სიმრავლითა ზენითა...

ერთ ქეციან ტურას თავისი სორო ევიწროვა, ლომს მიადგა და შეეხვეწა:

— უძლეველო მეფეო და წარჩინებულო მეზობელო! ბინა-საფარი არ გამაჩნია. ვიწრო სოროში ვიხუთები, გამრავ-

ლება მიჭირს, თანაც მეშინია, მიწა არ იძრას და სულაც შიგ არ ჩამიტანოს. შეიბრალე, შემიფარე შენს დიდებულ ბუნაგში.

ლომს შეეცოდა მოკუნტული მეზობელი, ფართო ბუნაგში კუთხე მიუჩინა.

გავიდა ხანი. ტურა ლომის ნაუფრალით გასუქდა, ცოლშვილიც გადმოიყვანა, გამრავლდა და ლომს მთელი ბუნაგი დაიკავა. ლომს კი მხოლოდ ორი ბოკვერი ჰყავდა.

— ახლა გეყოფა, ტურავ, — უთხრა ერთხელ მაპინძელმა ხიზანს, — შენი ლეკვების წკავწკავისაგან დავიტანჯე, დროა გამეცალო, ამიყროლე ბუნაგი!

— როგორ გეკადრება! — შოქს დაიჭირა გადიდგულებულმა ტურამ. — ამ წვრილშვ ლის პატრონს სად მაგდებ, სად წამესვლება! მე უკვე ათი სულის მამა ვარ, შენ კი სულ ორი ბოკვერი გყავს.

— ორი მყავს, მაგრამ ორივე ლომია, — მიუგო მეფემ.

— დიდი ამბავი! მთავარია რაოდენობა და არა ღონე. ტყესაც ხომ აქვს კანონი! თუ მას მეფე დაარღვევს, სხვა ვინღა დაიცავს! არა, ბატონო, მე არსად წამესვლება; შენ თუ წახვალ, შენი ნებაა!

ლომმა აღარ იკადრა ტურასთან დავა, ადგა და წავიდა.

იმ დღიდან ტყის მგოსნები ასე გალობენ:

მოთმინებას ხშირად მოსდევს მონობა:
წახდა საქმე, სადაც ტურა შევიდა...
არ ახსენო სიმაღლე და ლომობა —
იტარაბახე სიმრავლითა შენითა.

თუმცა, ღირსეული ხალხი ამაზე სხვა აზრისაა.

ᲭᲝᲢᲘ ᲓᲐ ᲛᲢᲠᲔᲓᲘ

ჩინეთში ერთმა ᲭᲝᲢᲛᲐ მტრედს შესჩივლა:

— აღმოსავლეთში ჩემი ხმა არ მოსწონთ, დასავლეთში უნდა გავფრინდეო.

— კარგს იზამ, — მიუგო მტრედმა. — მაგრამ გირჩევ, საამისოდ ჯერ ხმა გამოიცვალე, თორემ ასეთი ᲭᲐᲜᲒᲘ არც დასავლეთში მოეწონებათო.

შულლის შედეგი

მგლები და აფთრები ერთიმეორის მეზობლად ცხოვრობდნენ. მათი შუღლი და მტრობა საანდაზოდ იქცა. ვერავინ შეარიგა ეს გამგელებულ-გააფთრებული მეზობლები. ერთხელ, ორიგი შეტაკების წინ, უეცრად მიწა იძრა და მათ შორის დიდი ნაპრალი გაჩნდა. იქით მგლები გაშეშდნენ, აქეთ აფთრები.

— დახეთ, — დაიჩხავლა ყვავმა: — საჭირო გახდა მიწისძვრა, რომ ეს ორი მტაცებელი შეერიგებინა.

ამ ჩხავილმა მგლები და აფთრები გონს მოიყვანა, ისევ ეცნენ ერთმანეთს, ნაპრალიც კი ვერ შენიშნეს და ორივე კლდნი უფსკრულში გადაიჩეხა.

მარგალიტების გედი

მარგალიტების მაძიებელმა ზღვის ფსკერზე ერთი დიდი ყვითელი ნიჟარა იპოვა, გახსნა და შიგ ისეთი დიდი მარგალიტი ნახა, რომ სხივმა თვალი მოსჭრა.

ვიდრე გახარებული მყვინთავი მაღლა ავიდოდა, ზღვის უცნაური არსებების საუბარი მოესმა და ყური მიუგდო, რადგან თევზების ენა იცოდა.

— რა საძაგელი მარგალიტი უპოვია! — შესძახა ზღვის ქაჯმა.

— რა ხორკლიანი, რა მძიმე და უფორმოა, — დასძინა ზღვის კატამ.

— მე ამისთანა მარგალიტისათვის დაღუპული გემის ნამსხვრევსაც არ ვავიმეტებდი, — თქვა თასმა-თევზმა და კუდი გაჭრა.

— მოკლედ, საძაგელი გორგოლია! — დაასკვნა ზღვის თაგვმა.

— ფასდაუდებელია, — მოკლედ მოუჭრა მსაჯულებს ზღვის ანგელოზმა.

მარგალიტის პატრონს უკვე სული ეხუთებოდა, ამოყვინთა და ნავში ჩაჯდა.

რა ბედი ეწია შემდეგ იმ მარგალიტს, რომელი დედოფლის გვირგვინს ამშვენებს, კაცმა არ იცის, მაგრამ ასეთი რაბეები დედამიწაზეც ხშირად ხდება: ცათა სწორ ტაძარს, უზადო ნახელავს, შეუდარებელ წიგნსა თუ საოცარ სურათს ცრუ მსაჯულები იწუნებენ, ბრძენთა კრებული კი საუნჯედ თვლის.

ნაკადული და მდინარე

ნაკადულს მოსწყინდა ქვებში რაკრაკი და მდინარეს უთხრა:

— ცოტა გაიწიე, შენი კალაპოტი დამითმე, მეც ლაღად ვიდინოო.

მდინარემ გაიწია. პატარა ნაკადული ფართო კალაპოტში გაიშალა და დაიკარგა. მდინარეს ეგონა, წავიდაო, და თავის კალაპოტს დაუბრუნდა.

ნაკადული სამუდამოდ დაიკარგა და მის კალაპოტში ეკალბარდი გაჩნდა.

ტყის კანონი

ლომთან ირემი მივიდა და მოახსენა:

— დიდო მეფეო, ტყეში სილატაკეა, სისხლისღვრამ იმატა, შიში სადგურობს, ტყის კანონი საფრთხეშია.

— ტყის კანონი ჩვენი კანონია, ის ასეთია და მას დავიცავთ, ესაა მთავარი, თავხედო! — მიუგო ლომმა და ირემს ტორი დაჰკრა.

— თუ ეს კანონი უვარგისია? — დაიკვნესა სადღაც ჩიტმა, მაგრამ ვინ უსმენდა ჩიტს!

ბებერი ლომი და ტურა

ერთხელ ჯუნგლებში გაუგონარი ამბავი მოხდა: მთვლემარე ლომს თავს დაესხა თავხედი ტურა. შეუყეფა, უკბინა, სისხლი ადინა.

ლომმა თავი ასწია, კუშტად შეხედა უზრდელს, გაიცინა, დაამთქნარა და თავი ისევ თათებზე დაასვენა. ტურამ იჩხავლა და ამაყად მოშორდა. ბრძენმა მგუდავმა უთხრა:

— წუნკალო ტურავ! ლომის სისხლი რომ დაღვარე, რისი იმედით დაესხი თავს იმას, ვისაც მე ვერ ვუბედავ შებმას?

— იმისი იმედით... მისი იმედით: ვიცოდი, რომ ჩემთან შებმას ლომი არ იკადრებდა.

— მაშ, ასეთი იმედი ჩემგან ნუ გექნება, — უთხრა დიდმა მახრჩობელამ, დაეხვია, გაგუდა და გადაყლაპა.

იყო და არა იყო რა.

ეს იგავი ზოგი პატარა ტომის საყურადღებოდაც გამოდგება.

დაღუპული ლომი და ნადირთა ხროვა

ჯუნგლებში ბებერი ლომი ძრისხანე კამეჩს დაეხა თავს. კამეჩმა იმარჯვა, მუცელში ატაკა რქები და გაფატრა. ლომი მარტოდმარტო ებრძოდა სიკვდილს და ერთი გმინვაც არ დასცდენია, ისე დალია სული.

ლომის გვამთან უამრავმა ნადირმა მოიყარა თავი. კარგახანს დუმდნენ, ზოგი ოხრავდა კიდეც: რა მეფე დავკარგეთო! მაგრამ როცა დარწმუნდნენ, რომ ლომი მკვდარია, თანდათან აღიმაღლეს ხმა, დაგმეს, გათათხეს, უწოდეს მოძალადე, სისხლისმსმელი, ბოროტი და კიდევ ათასი რამ.

დინჯი ნადირები დუმდნენ, უბრალო ლეშიჭამიები და ჭორიკნები კი ლომის ლანძღვა-თათხვას ერთიმეორეს არ აცლიდნენ. ყველაზე ცხარედ ისინი იჭაჭებოდნენ, რომელნიც დღეგრძელ მისი ნასუფრალით იკვებებოდნენ.

— ეგ რა ლომი ყოფილა, კამეჩი მოერია! — დაიჩხავლა ბაზაზიანით მსუქანმა კატამ.

— რას ერჩოდა კამეჩს, ირემს, ანტილოპებს, რა დაუშავეს! — ბუზღუნებდა მოუხეშავი გნუ.

— საერთოდ, რა უნდოდა ჩვენს ტყეში, ის ხომ სხვა ტომისა იყო! — დაიჩხავლა ტურამ, რომელიც ლომის ნადავლიდან აღებულ ძვალს ხრავდა.

— ახია, მაგ ღორმუცელაზე! — დაასკვნა მიწის მგელმა.

— ღორზე უაოესი! — დაიღრეტუნა ტახმა.

— ჰეი, მკვდარ ლომთან ღორიც ლომია! — სინანულით თქვა სპილომ და ჩაიარა.

სამეფო ირმები და ჭრელი აფთრები

მწვანე წალკოტში ათასობით სამეფო ირმი შეკრებილიყო და ყველასაგან შეეიწროვებული მოდგმის გადარჩენაზე თათბირობდა. უეცრად გათენების წინ გაისმა მხეცური ღრენა, ყეფა, ღმუილი, და მშვიდობიან ირმებს თავს დაესხა ჭრელი აფთრების ხროვა. მოკლე ხანში წალკოტი ჯოჯოხეთად იქცა. ხარბი მხეცები გლეჯდნენ დიდს და პატარას, აკვესებდნენ გოგირდის თვალებს და არ ინდობდნენ არავის, თან ილრინებოდნენ:

— თავისუფლება მოგინდათ? მიიღეთ ეშვები! ესეც თქვენ, ესეც თქვენ!

გაალმასებულ მტაცებლებთან უიარაღო ირმები რას გახდებოდნენ! ბევრი დაგლიჯეს, ბევრიც გადარჩა. გადარჩენილები ლომთან მივიდნენ და შესჩივლეს:

— დიდო მეფეო, აფთრების სისასტიკემ ტყის კანონსაც გადააჭარბა. სამართალი გააჩინე, დასაჯე ხარბი ქვეშევრდომები.

— მე არაფერი გამიგია, — მხრები აიჩეჩა ლომმა. — არც ჩემს ზოლებიან და რუხ ვეზირებს სმენიათ ასეთი ამბავი. ვინაა მოწმე?

ჩვენი სისხლი და ჩვენი გვამები.

— სისხლი მუნჯია და გვამი მოწმედ არ გამოდგება. მორჩილება გმართებთ.

— ჭრელი აფთრების მორჩილებას სიკვდილი გვირჩევნია, — მიუგეს ირმებმა.

— ნება თქვენია, — ბრძანა ლომმა, — ოღონდ ამ ტყიდან არსად წახვიდეთ.

— სისხლიანი კანონი მოძალადეს არ სჯის, მსხვერპლი

კი ისედაც დასჯილია, — დაიკვნესა ჩიტმა, მაგრამ ვის ესმის ჩიტის ენა!

ასე დაკანონდა წალკოტში ბისსლიანი კანონი. ამიტომაა მტაცებელი მრავალი და სამეფო ირემი ცოტა.

ღორის ჰკუა

ძველად ღორი ორ ფეხზე დადიოდა, კაცი კი ოთხფეხა ყოფილა.

ასე შექმნა ისინი ეშმაკმა, როცა ღმერთს ეძინა.

გამოეღვიძა ღმერთს და ღორს ჰკითხა:

— კმაყოფილი ხარ, ორი ფეხი რომ გაქვს?

— რა კმაყოფილი ვიქნები, თუ ღმერთი გწამს? მიწაზე რომ რკო დავინახო, წელში უნდა მოვიხარო, ჩემთვის კი მთავარია რკო.

— შენა? — მიუბრუნდა ადამიანს: — მოგწონს შენი ოთხი ფეხი?

— მე მზე მინდა, — მიუგო ადამიანმა. — თუ ცა და ვარსკვლავები ვერ დავინახე, მოვკვდები. როგორ ავიხედო?

ღმერთმა ადამიანი ორ ფეხზე დააყენა, ღორი კი ოთხი ფეხით შეამკო.

მას შემდეგ ორივე კმაყოფილია. ღორი რკოს დაეძებს, ადამიანი — მზეს.

მგელი და კურდღელი

ერთმა კურდღელმა მგლის მეზობლად დაიდო ბინა და ნადირს მორჩილება გამოუცხადა, თანაც მთელი წლობით უზიდავდა თავის წილ სანოვაგეს იმ პირობით, რომ მგელი არ შეჭამდა. ერთ მშვენიერ დღეს მგელს მოსწყინდა კენკრის ჭამა და თვითონ კურდღელი შეახრამუნა.

მგელი არ მოშლის მგლობასაო, ნათქვამია. რამდენიც არ უნდა ეფერო და ელაქუცო, ბოლოს მაინც შეგჭამს. ამიტომაც მასთან მეზობლობას ყველა ერიდება.

ბრონტოზავრის
ნაკვალევზე
ფანტასტიკური მოთხრობა

ჩრდილები მყინვარზე

ახალგაზრდა გეოლოგების გზა სვანეთის მთებში მიდის.

სიმაღლე, სიღრმე და სიჯრცე დასაბამიდან იზიდავდა და იზიდავს მაძიებელ გონებას. ჩვენც მივყვებით და ვჩქარობთ, მოგითხროთ მათი ამბავი. მართალია, ჯერ უჩვეულო არაფერი მოუხდენიათ, მაგრამ მომავალი ხომ ახალგაზრდობას ეკუთვნის.

ოთხნი არიან. წინ მიდის თეთრ ჯორზე ამხედრებული სერგო კარგარეთელი — ექსპედიციის მეთაური, ახოვანი ვაჟკაცი, რომელსაც ინსტიტუტში „პალეონტოლოგიურ ენციკლოპედიას“ ეძახდნენ. უკან მიჰყვება გამხდარი და ალვასავით ტანაყრილი მინერალოგი ვაჟა გიგაური. პირში ჩიბუხი გაუჩრია, თავზე თექის თეთრი ქუდი ახურავს, სომბრეროსებრი, თუმცა თავისი სიტყვაძუნწობით ნამდვილად არა ჰგავს მექსიკელს.

გურამი, რომელმაც ოდიშის ბაღი მიატოვა და მთებს მიაშურა, ვერცხლისწყალივით დაუდეგარია, ენაწყლიანი, ბავშვივით ლაღი, ოინბაზი და ცნობისმოყვარე.

სულ უკან მძიმედ მიაბიჯებს სვანურქალამნებიანი, ვერცხლის ქამარ-ხანჯლითა და სვანური ქუდით დამშვენებული გოლიათი, რომელსაც ხელში განუყრელი „სვანური თოფი“ უჭირავს. ნამდვილი ანაქრონიზმი ატომის საუკუნისა. მისი პაპის ვაჭედილი. ეს მეგზურია, სოგრატ გადრანი, პირდაპირი შთამომავალი იმ ძველ სვან დევგმირთა, რომლებიც დევებს ეჭიდებოდნენ.

ცის ტატნობზე ოქროს ბურთივით ამოგორდა მზე და მყინვარები თვალისმომჭრელად ალაპლაპდა. გურამმა თავისი საყვარელი სიმღერა წამოიწყო: „მთაო, გადმიშვი...“

ჯადოსნური დუმილი სუფევს სინათლის ზღვად გაშლილ სივრცეში. დუმან ნაპრალები და იალღები. ბროლის შადრევნად მოხეთქილა კლდიდან ფიცხი ნაკადი.

ვაჟა დიდხანს გაჰყურებს ჩრდილოეთის მყინვარს და ბოლოს ბრძნული სიდინჯით იშვერს იქით ჩიბუხიან ხელს:

— შეხედე, სერგო, იმ ყინულის კალოზე რაღაც ჩრდილების ზოლია... თუ არ ვცდები; ბრონტოზავრის ნატერფალი უნდა იყოს.

— რა თქვი, ვაჟა? — ახარხარდა გურამი. — ეგ ხომ ჩრდილია!

— ზოგი ჩრდილი ყურადღების ღირსია. სოგრატ, მოაბრუნე ჯორები!

— საით, სერგო? საჯიხვეში ჯორებით ასვლა არ გამიგონია.

— ჩემო სოგრატ, აქ იმის გასაგებად კი არ ამოვსულვართ, რაც გაგვიგია...

რის ვაივაგლახით აღწევენ „ბრონტოზავრის ნატერფალს!“. მართლაც, კვალსა ჰგავს, თითქოს რაღაც საარაკო ურჩხულს გაუვლია. სერგო მოუთმენლად მიდის წინ.

— გვირაბი! — შესძახა ანაზდად. — მომყევით! სანაძლეოს ვდებ, ეს ხვრელი ჯერ ადამიანის თვალს არ უნახავს!

მალე ყველას საიდუმლოებით მოცული მიწისქვეშა გვირაბი ნთქავს.

უსიტყვოდ მიდიან თეთრ თაღებს შორის და შიშნარევი ცნობისმოყვარეობით შესცქერიან მიწის გულში გაწოლილ გზას. თითქოს ქვესკნელიდან რაღაც მკრთალი ზღაპრული შუქი ამოდის.

— სერგო! — პირველი არღვევს დუმილს სვანი. — სად მივდივართ, კაცო?

— მეგზური შენ ხარ და მე მეკითხები? — იცინის წინამძღოლი.

— მე საიქიოს მეგზური არა ვარ.

— ოჰო, სვანს ეშინია! — განგებ შესძახა ფერწასულმა

გერმამმა. — ჰადესში ცოცხლებიც ჩასულან! მართლა შეგვშინდა?

— რაო? — შუბლს იკრავს სვანი. — მაშ, თუ ასეა, ვნახოთ, ვის უფრო მალე ეცვლება ფერი, — და პირველი გადის მორიგ მოსახვევში.

დროის ჭარიშხალი

უსასრულოა მიწისქვეშა ტალანები. დარბაზში ერთი დიდი მღვიმეა. თეთრად ციმციმებენ ბარიტის თაღები და იდუმალი ქნარის ჟღერასავით ისმის წვეთების ხმა.

— დალის სავანეა! — ამბობს სოგრატი. — მოდი, სერგო, აქ შევინახოთ ეს ზედმეტი ბარგი.

— ამ გზით რომ აღარ გამოვბრუნდეთ? — ცივ წყალს ასხამს სვანის იმედებს წინამძღოლი.

— ჰმ! მაშინ დაღუპულები ვიქნებით და დაღუპულებს ზედმეტი ბარგი რად გვინდა?

— ოჰ, ჩემო სოგრატ, ნეტავი, ეს უიმედობა ზემოთ დაგვეტოვებინა!

სოგრატს ოფლი ღვარად გადასდის.

— შენ იმედებს ამბობ და მე კი დამცხა. სერგომ ანეროიდს დახედა.

— სოგრატი მართალს ამბობს. — გაიცინა და შუბლი საზელოთი შეიწმინდა. — მაგრამ აქ მოულოდნელი არაფერია. რაც უფრო ღრმად ჩავალთ, მით უფრო დაგვცხება. ჩვენი ვარაუდით, ყოველ ას მეტრზე ტემპერატურა სამი გრადუსით მატულობს.

საფეხურების უსასრულო რიგი სულ ქვემოთ ჩადის. მოგზაურებს თვალწინ ახალი სამყარო ეშლებათ ზარდამცემი და საოცარი.

— ეს გვირაბი, ალბათ, ჩრდილოეთ კავკასიაში გაგვიყვანს, — ამბობს სერგო. — აქ უფრო რბილი ფენებია, ათასნაირი გადაშენებული ცხოველის ჩონჩხი დაგვხვდება...

— მაინც ვერ გამიგია, — თავისთვის ლაპარაკობს ვაჟა, — რამ გააჩინა აქ ნაპრალები და გვირაბები? კავკასიონის

საძირკველი ხომ გრანიტის მასივია. რკინასავით მყარი და მტკიცე!

— ეს თავსატეხი მეც საგონებელში მაგდებს, ვაჟა, — აღიარებს სერგო. — ვფიქრობ, ეს გვირაბი შედარებით ახალი წარმოქმნილი უნდა იყოს. ეტყობა, გამყინვარების შემდეგ მყინვარმა უკან დაიხია, რამაც გამოიწვია გარკვეული ფენების შემსუბუქება, აწევა, დანაპრალება, დაცარიელება. ყინული წავიდა, ღრმა ნაკვალევი დარჩა, დახლოებით ისე, როგორც ბრინჯაოს ქანდაკების ჩამოსხმის დროს ხდება ხოლმე.

— ჰაერი არ მყოფნის, — ჩივის სოკრატი.

— საჯიხვეებიდან ჩამოსულ კაცს ეს არ უნდა გიკვირდეს! — ანუგეშებს სერგო, თუმცა თავადაც სუნთქვა ეკვრის. ქვესკნელში მწუხრი წვება...

„ამათ ვის გადაეყარე!“ — ბუზღუნებს სოკრატი.

* * *

იმ ღამეს ვაჟას ცუდად ეძინა. ჯოჯოხეთური სიზმარი ენახეო, ჩივის.

— ამ ჯოჯოხეთში სამოთხე რომ გენახა, ის უფრო გამიკვირდებოდა, — შენიშნავს გურამი, — ნეტავი, ახლა სადა ვართ?

— დროის ჯუნგლებში! საერთოდ, დავკარგე დროისა და სივრცის შეგრძნება. ასე მგონია, ეგვიპტიდან მოვდივარ-მეთქი.

— არა უშავს, ვაჟა, ჯერ ახლოს ყოფილხარ! — იცინის გურამი. — ეგვიპტე აქედან ყურისძირშია!

— მაინც რა ნახე, ფარაონების გარდა, ეგვიპტეში?

— რაც გვაწყვლეს: ნიანგები, პირამიდები, სფინქსი, ეროგლიფები... ვითომ ბრონტოზავრი იდგა ოქროსაგან ჩამოსხმული, თავი თებეში ჰქონდა, ფეხები — მემფისში, კუდი ხმელთაშუა ზღვაში ჩაეყო და თავზე ფარაონის გვირგვინი ედგა. ადამიანთა სახელით თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი და ქვეწარმავალს შევძახე: „ვინ მოგცა რამზესის გვირგვი-

ნი, შე ხვლიკო, ნიანგის ნათესავო?“ მან თავი დახარა და დაინსინა: „ლაპარაკი ვინ გასწავლა, შე ბუზანკალავ! — ან რას მედიდგულები, შენ ხომ ჩემგან გაჩნდი? გეკითხა ავტრალიელებისათვის!“ მერე პირი დააღო და... ბედზე იქვე პირამიდა იდგა, კარი ეღოვე და შევვარდი. სული რომ მოვითქვი, გადავწყვიტე ტუტ-ანხ-ამონის მუმიას მოვძებნი და ვნახავ, ფარაონს რა მინერალები ჩააყოლეს-მეთქი. მაგრამ გზა ამებნა, ლაბირინთებში ძალ-ღონე გამომეცალა. ჩემ წინაშე ორი გვირაბი იყო. გავჩერდი, ვერ გადამეწყვიტა, რომელ გვირაბს გავყოლოდი. უეცრად კლდოვანი კედელი გაიპო, გამოვიდა მზის ღმერთი — ოქროს ოზირისი — და მითხრა:

— დაკნინებულო შთამომავალო, საიდუმლოს გეტყვი, რადგან ფარაონის ღირსება დაიცავი ეგვიპტის თავზე დაწოლილი ბრონტოზავრის ჩრდილისაგან... სფინქსი დუმს... ეს არის ატომის ლანდი — იმის ავბედით ნიშნად, რომ ადამიანმა საკუთარი მოდგმა უნდა გაწყვიტოს და ყველაფერი ისევ ბრონტოზავრების ეპოქიდან დაიწყოს... ჩვენ ძალებით ბრძოლას გვაყვედრით, თქვენ ცეცხლის ღრუბლებით იბრძვით. მაგრამ შენ ამას ვერ გიგებ, ჭაბუკო... წადი! მარცხნივ წახვალ — სიკვდილს ნახავ, მარჯვნივ წახვალ — ფონსაც გახვალ!

— ჰე, ბიჭო, ჭკუაც უსწავლებია და გზაც, დიდება მზისა და სინათლის ღმერთს! — შესძახა არც თუ ხუმრობით სერგო კარგარეთელმა. — ერთხელ სიცოცხლეში მეც მინდა ცრუ რწმენას ავყვე!

შეუმჩნევლად გადაკვეთეს კავკასიონის გრანიტის ხერხემალი და გავიდნენ უფრო რბილი დანალექი ფენების არეში.

სერგოს ვარაუდი თითქოს მართლდება. გვირაბი გაორდა.

— რომელ გვირაბს გავყვეთ? — კითხულობს ვაჟა.

— ეს საქმე ხომ ოზირისმა გადაწყვიტა! — ამბობს სერგო და ჩრდილოეთის გვირაბს უჩვენებს. — ვიაროთ, დე. მხე იყოს ჩვენი შეშველ!

ასე გადაწყვიტა ექსპედიციის ბედი ვაჟამ. სიზმარმა. მაგრამ თვით ვაჟა ფანტასტიკურ ქვეყანაშიაც რეალისტად დარჩა და ჩიტილნ მოჰყვა:

— რა მინდოდა ამ გვირაბში, თუ მინერალები არ იქნებოდა!

— პირველად ვხედავ გეოლოგს, რომ წარსულს უარყოფდეს, — გაოცდა სერგო.

— წარსულს კი არა, წარსულში ჩვენს შეჭრას უარვყოფ!

— ო, ვაჟა, რამდენი მეცნიერი ოცნებობს ასეთ შეჭრაზე! ჩვენ წარმოუდგენელი პატიკი გვხვდა წილად... მართალია, სამგზავრო ტრანსპორტი არ არის, მაგრამ, სამაგიეროდ, ისეთი საიმედო ჯორები გვყავს, რომ ბიბლიის ავტორები იტყოდნენ: „ფერხნი ცხენთა მათთანი ვითარცა მყარი კლდე და ვითარცა ნიავქარი...“

თითქოს ამ ბიბლიური სიტყვების ხსენებას უცდიდაო, გვირაბში ისეთი ქარიშხალი შეიჭრა, რომ მხიარული გეოლოგები ჯორებიანად ბუმბულებივით აიტაცა, თავბრუდამხვევი სისწრაფით დააბზრიალა და სადღაც შორს მილიონი წლების მიღმა გადაისროლა.

სწორედ რომ კოსმოსური ნახტომი გამოუვიდათ ახალგაზრდა მკვლევარებს ქვეყნიერების წარსულისაკენ... მეზოზოური მდინარეები საუკუნოვან კალაპოტებში მიიზლაზნებიან. მღვრიე ზღვები გუგუნებენ ამ დაღლილ, თბილ, ნესტიან სამყაროში. გიგანტური გვიმრები, შიშველთესლიანი მცენარეები, კვიპაროსები, სეკვოიები, ნაძვის ხეები, არაუკარიები, კაცის თავისოდენა გირჩებით დამშვენებულნი, და მრავალი სხვა ჩვენთვის უცნობი მცენარე ქმნის ტროპიკული ჯუნგლების მსგავს ტყეს, რომელშიაც ათასნაირი დიდი და მცირე რეპტილია დაეხეტება: ჯავშნოსნები და უჯავშნონი, ორფეხნი და და ოთხფეხნი, ფრთიანნი და უფრთონი, რქიანნი და ურქონი...

ღრმა მიწისქვეშეთში მიკარგული იურული სამყარო სრულ წყვდიადში ჩაფლულა.

შავი, უკუნი, ჩაქურუხებული სივრცე ხროტინით ითვლის თავისი არსებობის უკანასკნელ დღეებს. ქვები და კლდეთა ჩანაქცევები მოხეოლთა ყორღანებივით ყრია გროვა-გროვად. ურჩხულთა ძვლები ისე დაზვინულა, ოქროს ურდოს ბანაკი გეგონებათ. ულიმლამო სივრცეში ხრწნისა და გოგირდის სუნი დგას.

— ეს რა ქვეყანაში ვართ, ძმებო? — კითხულობს სოგრატი.

— განა ეს ქვეყანაა? — უბღვერს ვაჟა.

საზიზღარმა სუნმა გააბრუა მოგზაურები. უმწეობის გრძნობა დაეფლათ უცხო სამყაროში შეჭრილ ადამიანებს.

ჭრელი ქანებისაგან ასორგილ ბექობს რაღაც ნესტიანი ნიალი გადაეკრა. ეს არ იყო დედამიწის ამინდი. მწუხრი ჩამოწვა და სამყარო ორად გაიყო.

სოგრატს შუბლი შეუკრავს.

— რას შეორგულდი, ბრძენო სოგრატ? — ამხნევებს სერგო. — ხომ ხედავ, აქ მარადიული ზაფხულია. შენს სვანეთში კი მკაცრი ზამთარი იცის,

სოგრატი უსიტყვოდ ანიშნებს წინამძღოლს, ყველაფერზე მსჯელობა არ არისო მართებული.

რას დაეძებენ ადამიანები?

— ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ორ-სამ დღეში ფეხით მოვაღწევდი შორეულ კეოლოგიურ ეპოქას, რომელიც ჩვენი დროიდან ასორმოცდაათი მილიონი წლითაა დაშორებული! — ოთქოს ბურანში ლაპარაკობს კარგარეთელი და გაოცებული აკვირდება უჩვეულო ლანდშაფტს, რაც დღემდე მხოლოდ სურათებში უნახავს.

გურაგს ღიმილი ბაგეზე ეყინება, შეძრწუნებული ეკითხება მეთაურს:

— მაშ, შენი აზრით, მართლა ვიმყოფებით...

— მეზოზოური ერის იურულ პერიოდში! აქ ათასეული წლები შრეებად დალაგებულან და მე თავგზა მებნევა...

ქვანახშირის უღრანი ტყე გამქრალა და მის ადგილზე გადაჭიმულა უცნაურ, პალმისებრ მცენარეთა მეჩხერი ტყე, ბუჩქისმაგვარი ხეები და ხისმაგვარი ბუჩქები, მარადმწვანე ლეპიდოდენდრონები, კვიპაროსთა და ურთმხელთა მსგავსი მცენარეები, ერთიმეორეზე აჩხორილი ხრიოკი კლდეები, შორს გადაშლილა დამყაყებული ჭაობისნაირი ტბები. მწვანე ბორცვები და ყვითელი უდაბნოები, უგზო-უკვლო ხრამები და შავი ხეებით ჩახერგილი ველები; მძიმე, ჩამკედარი, გაყინული ცოცხლე და სადღაც სქელ ნისლებში მოკარგული, ნახევრად

ჩამქრალი მზე, ფერფლით დაფარული, ბურთივით რომ მიგორავს მთვნარებისმომგვრელი ცის თაღზე... ეტყობა, სითბო უფრო ქვემოდან, მიწის თბილი გულიდან მოდის, ვიდრე ცის თავზე მბეუტავი მზიდან. განა ეს მზეა? კვდრის მზე გახლავთ! უნდა ირწმუნო, სხვა რა გზაა! უდაბურობა და რაღაც ათასწლოვანი სინესტე დაუფლებია ამ მიეიწყებულ მხარეს. დამძიმებული ჰაერი არც ათბობს, არც აცივებს. ყველაფერს გამოუცნობი, იდუმალი ელფერი ადევს.

— აი, ბრონტოზავრის კვალიც! — შესძახა ვაჟამ. — აკი გეუბნებოდით...

— რა არის „ბროტოზავრი“? — ეკითხება სოგრატი.

— ხვლიკი.

— ხვლიკი? — შეცბა სოგრატი. ლუკმა კინაღამ გადასცდა. — ჩემს დღეში არაფერი მძულებია ისე, როგორც ხვლიკები და გველები.

— ესენი ცოტა სხვანაირი ხვლიკებია.

— რანაირი?

— დიდი, საზარელი, ოცდაათმეტრიანი, ბერძნულად ბრონტე მეხია, ზავრი — ხვლიკი... ესე იგი, მეხთამტეხი ხვლიკები! მაგრამ ჯობს თავიდან დავიწყოთ...

— ადამიანს ერჩიან?

— ადამიანს? — როგორ გითხრა, მათ არასოდეს არ უნახავთ ადამიანი.

— რა იცი?

— ის ვიცი, რომ ბრონტოზაკრების ეპოქაში ადამიანი ჯერ კიდევ არ იყო გაჩენილი: ეს ოცდაათტონიანი გოლიათი, რომელიც ორას წლამდე ცოცხლობდა და თან იზრდებოდა, ხულ ცოტა ასორმოცდაათი მილიონი წლის წინათ არსებობდა, ადამიანი კი შედარებით „ახალგაზრდაა“. ახლო წარსულში მისი „გაჩენის“ დროიდან ჩვენს ასაკს, დაახლოებით, ორმოცი ათასი წლით ვარაუდობდნენ, თუმცა პრიმიტიული კულტურის პირველი ნიშნები უკვე იყო სამი მილიონი წლის წინ. ადამიანის მსგავსი პრიმატები, მაიმუნ-ადამიანები, კერძოდ, ავსტრალოპითეკი ცხოვრობდა, დაახლოებით, ორი მილიონი წლის წინ. ახალმა აღმოჩენებმა კი ადამიანის ასაკი წარმოუდგენ-

ლად შორს გადასწიეს. თურქეთში აღმოჩენილი ახალი მონაცემებიდან მეცნიერებამ დაადგინა, რომ ადამიანი გაჩენილა თოთხმეტი მილიონი წლის წინ. ამრიგად, ჩვენც მოვხუცდით.

სოგრატი სმენად ქცეულიყო, დანარჩენებს კი, როგორც ჩანს, ეს საკითხები არ აინტერესებდათ და დასაძინებლად გაშლართულიყვნენ თბილ მიწაზე.

— ჩემო სოგრატ, — განაგრძობს წინამძღოლი, — იმ დროიდან, რაც ჩვენი პლანეტის კოსმოსური ფაზა დასრულდა, ცხელი ღვართქაფი შეწყდა, მზე ასეული მილიონობით წლის მანძილზე ღრუბელთა ასკილომეტრიანი ფენით დაიფარა და მზესმოწყვეტილი დედამიწის ახლანდელი ფორმის მიღებაც დასრულდა, დღემდე მეცნიერები სამ-ოთხ მილიარდ წელს ვარაუდობენ. იმ უძველეს ხანას არქაულ ერას ეძახიან. ამას მოსდევს პროტეროზოული ერა, რომელსაც ამჟამად არქაულთან აერთიანებენ კამბრიულწინა დროის სახელწოდებით. ამ უძველეს ხანას მოჰყვება ძველი, ანუ პალეოზოური ერა, რომელიც დახლოებით 550—600 მილიონი წლის წინათ დაიწყო და 200 თუ 250 მილიონი წლის წინათ დამთავრდა. შემდგომი, მეზოზოური, ანუ საშუალო ერა, რაც ორასიოდე მილიონი წლით მოვიტოვეთ, იცვლება მეოთხე — ახალი, კაინოზოური ერით, რაც დღემდე მოდის. ყოველ ამ ერას თავისი დამოუკიდებელი პერიოდები ჰქონდა. პალეოზოური ერის უძველესი პერიოდია კამბრიული. შემდეგ მოდის ორდოვიკული, სილურული, დევონური, კარბონული და პერმული. ეს სახელწოდებანი სათანადო ადგილთა სახელებია, გარდა კარბონისა, რაც ქვანახშირს ნიშნავს: სწორედ ამ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი უზარმაზარი ჩაწოლილი ხეებისაგან ქვანახშირის უდიდეს საბადოს. ქვანახშირის პერიოდში ცხოველთა სამყარო საკმაოდ მდიდარია, მეტადრე წყალთა წიაღში, სადაც მტაცებელი ზვიგენები — პლევრაკანთები — უწყალოდ ნთქავენ ლამაზფორეკებიან ქერცლიან თევზებს. ჰაერში მწერები დაფრინავენ, საკმაოდ უცნაურნი. ერთი მათგანის — გიგანტური ჭრიჭინას — სიგრძე მეტრზე ცოტა ნაკლებია. მეცნიერებმა მას მეგანეურა უწოდეს.

ბუმბერაზი ხეები გრუხუნით წვებიან შლამსა და ჭაობში, რათა 250 მილიონი წლის შემდეგ მათი ქვანახშირად ქცე-

ული ჩაქვავებული მერქნით ღუმელები გაახურონ, მატარებ-ლები ააბოძრაონ...

შემდგომ, მეზოზოურ ერაში სამი პერიოდი გამოიყოფა: ტრიასული, იურული და ცარცული. ბოლოს, კაინოზოურ, ახალ ერაში არჩევენ მესამეულ და მეოთხეულ პერიოდებს... ზუსტად ვინ დაადგენს დროს, როცა უჩვეულო ჯუნგლები ფარავდა უსაზღვრო სივრცეებს, მეხთა ქუხილი და ქარიშხალთა გუგუნი არღვევდა ათასწლოვან დუმილს... ვინ შეაფასებდა ამ გრანდიოზული სურათები სიდიადეს! ადამიანი ჯერ არ იყო ქვეყნად! მეზოზოური, ანუ საშუალო ერა, ქვეწარმავალთა ბატონობის ერაა, ხოლო მესამეული პერიოდი ყველაზე უფრო მღელვარე და დიდებული დროა დედამიწის ისტორიაში, როცა სავსებით გაბატონდნენ ძუძუმწოვრებიც და ფარულთესლიანი მცენარეებიც, თუმცა, ამ უკანასკნელი სივრცეები დაფარეს ჯერ კიდევ ზედა ცარცულში...

ტყე მწვანით არის გადაქარგული. ფერად ყვავილებზე ვერცხლის მძივებს სხივთა ძაფებზე აცვამს ცხოველმყოფელი მზე... მაგრამ შორეულ მიწისქვეშეთში ისევ გაისმის გამაყრუებელი გრუხუნი. ზღაპრული ვულკანი მუშაობს თავის ცეცხლოვან სამეფოლოში? არა, ეს ბუნების დაუცხრომელი ძალა ახალ ფორმას აძლევს დედამიწას. ვულკანების ქუხილში, მიწისძვრების შემმუსვრელ გუგუნში პლანეტის ზედაპირს ახლადელი სახე ეძლევა. ლაქვარდში აღიმართა ალპები, მშვენიერი კავკასიონი, აპენინები, კარპატები, ჰიმალაის დევგმირული მთაგრეხილები და ანდები. ღრმულებში ჩადგა ტბები და ოკეანეები. ბუნების გარდაქმნებს ცხოველთა ახალი სახეები მოჰყვა... და ბოლოს, მეოთხეულ პერიოდში, ადამიანი წარმოიშვა, მაშასადამე, რამდენმა ასეულმა მილიონმა წელმა განვლო, ვიდრე ბუნების ეს დიადი მოაზროვნე მბრძანებელი გამოჩნდებოდა!

ორგანულ სამყაროს განვითარების ამ საფეხურებს მეცნიერები დედამიწის დანალექ წარმონაქმნებში, შრეებსა და ფენებში დაეძებენ და ფხიზელი თვალით არჩევენ, ალაგებენ, სწავლობენ. ეს დედამიწის დიდი მატიანეა, ჩემო სოგრატ. ბუნება უდიდესი წიგნია და დაკვირვებული თვალი ამ წიგნის ფურცლებზე კითხულობს საოცარ საიდუმლოებებს, რაც დე-

დამიწაზე ხუთასი მილიონი წლის წინათ და უფრო ადრე ხდებოდა. ბუნების დიადი მუზეუმი, რომელმაც თავის ღრმა მღვიმეებსა და შრეებში შემოგვინახა გიგანტური ჩონჩხები, გაქვავებული კვერცხები, ბევრისმეტყველი ეშვები, ყბები და ზღაპრული თათები, ის ნდიდარი ასპარეზია, რომელშიაც პალეონტოლოგები ნაშარს ცხოველთა და მცენარეთა მკვლევარნი — და გეოლოგები ჩონჩხგამჭრელ ხორცს ხელახლა ასხამენ და ჩვენ თვალწინ აღადგენენ ფერფლით დაფარულ დიდ სინამდვილეს — აღადგენენ ბუნების წარსულს...

— აფსუს! ცელის ქნევას გეოლოგია მეხწავლა, არ ჯობდა?

— რას მოიგებდი? — სიტყვას ართმევს გურამი, რომელიც სოგრატის შეძახილმა გამოაღვიძა. — აი, ჩვენ ვისწავლეთ და მაინც ვერ აგვიხსნია ამ ქვეყნის არსებობა მიწის გულში. რას იტყვი, სერგო?

— ჩემი აზრით, ესაა განვითარების რკინის კანონის გაყინვა ერთ უბანში. მესამეულ პერიოდში ხომ ცხოველები სწრაფად განვითარდნენ და შედარებით მოკლე ხანში გამოჩნდა ადამიანი, რომელიც მხეცებისაგან მხოლოდ საზრიანობით გამოირჩეოდა. საყურადღებოა, რომ ხვლიკების გაჩენას მრავალი ათეული მილიონი წელი დასჭირდა, ადამიანი კი მეოთხეული პერიოდისათვის სულ რაღაც ერთი მილიონი წლის მანძილზე „გაჩნდა". ეტყობა, ეგზომ დიდი მნიშვნელობა აქვს გარემოს შეცვლასაც. ჰოდა, აი, როცა დედამიწას ახლანდელი ფორმა ეძლეოდა, ხელუხლებელი დარჩა ბუნების ეს დიდი მიწისქვეშა უბანი, ღარ განვითარდნენ მისი მცენარეები და ცხოველები და თავდაპირველი სახით დარჩნენ. მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია. რას იღიმები, გურამ? განა მორიელი დღესაც ისეთივე არ არის, რაც ორასი მილიონი წლის წინათ იყო? ყოველ კანონს აქვს გამონაკლისი...

შეუმჩნეველად წვება საოცარი ნესტიანი ბინდი.

ადამიანს რაღაც უჩვეულო განცდა მოიცავს, როცა უცხო და უცნაურ გარემოში ხვდება. რამდენად უფრო სრულყოფილია ის სამყარო, რაც მაღლა დატოვეს! თეთრ, ფხვიერ მიწაზე უსიცოცხლო სვეტებით აზიდულან უფოთლო მცენარე-

ები, პატარ-პატარა დამყაყებული ტბები კუპრისფრად ზიმზიმებენ და ბებერი ხე-გვიმრები უპატრონო სამეფოს სპორების მტვერში ახვევენ.

უცნაურ ბინდბუნდში ადამიანები ლანდებივით მიიწევენ წინ.

გურამი შეშფოთებით იყურება ირგვლივ, თითქოს რაღაც ასდევნებია.

— რა დაგიკარგავს, ოდიშელო? — იცინის ვაჟა.

— ჩრდილი!

— წიგნების ბრალია! — ხარხარებს ვაჟა. — დედამიწაზე ბევრს კითხულობდი.

— მოიცა, ვაჟა, — გამოექომაგა ოდიშელს კარგარეთელი. — გურამის აღმოჩენა მის გონიერებაზე მეტყველებს. მართლა, სადაა ჩვენი ჩრდილები?

— შენგან მიკვირს, სერგო, — არ თმობს ვაჟა, — ნუთუ შენც ჩრდილის მაძიებელს აჰყევი? მოეშვით ამ უსარგებლო ძებნას, ჩვენი ჩრდილი მაღლა დარჩა, დედამიწაზე. ვერა ხედავთ, აქ ლანდები ვართ? მე უფრო ის მიკვირს, რა ანათებს ამ მიწისქვეშეთში?

— ეს მეც მიკვირს, — აღიარა სერგომ. — მზე აქ არ მზეობს და... აჰა, ვიცი! აბა, იმ გორაკს შეხედეთ!

აქლემის კუზივით აზიდული გორაკიდან ისეთი მჭრქალი შუქი მოდის, თითქოს ქვანახშირს ცეცხლი შენთებია და ზეღ ზეწარი გადაუფარებიათო.

— რა ანათებს? ქვანახშირი?

— ბრონტოზავრების სამარხი? ეტყობა, დროთა მანძილზე ერთგან დახორგილი დინოზავრების გაქვავებულ ორგანიზმებში გაჩნდა ნივთიერება, რასაც გამოსხივების უნარი აქვს.

უსახელო ქვეყანაში აგრილდა. მოგზაურები ძილს ეძლევიან, რადგან ჯერაც არ იციან, რა ქვეყანაში მოხვდნენ და რა მოელით ხვალ.

ალოზავრების ნადიმი

ღამის სამი საათია. მეზოზოურ ტყეში შემზარავი ყვირილი გაისმის. თავზარდაცემულ მოგზაურებს ტიფონის ხროტინი აღვიძებს. მკრთალ ფოსფორულ შუქზე კარგარეთელი ხედავს საზარელ სანახაობას: ორსართულიანი სახლის სიმაღლეზე, უზარმაზარი გველეშაპის პირში ქანაობს განწირული მინერალოგი ვაჟა გიგაური. ეტყობა, ქვეწარმავალს ტანისამოსში ჩაუვლია მისთვის მახინჯი პირი, ჰაერში სულელურად აქანავებს და აღარ იცის, რა უყოს უცნაურ „პეპელას", რომელიც დღეს პირველად შეხვდა მცენარის მჭამელ გიგანტს. ეტყობა უკვირს: თუ ცხოველია, ასე მსუბუქი რად არის და თუ ბალახია, ასე რამ დაამძიმაო! სერგო უკვე ხვდება, რომ ესაა არა მაწრჩობელა, არამედ ბუმბერაზი ხვლიკი — ბრონტოზავრი, რომლის სამფლობელოშიაც დაუკითხავად შეჭრილან ეს უცნაური პაწია უკუდო ხვლიკები — ადამიანები.

იქუხა სოგრატის კაჟიანმა თოფმა.

გადატეხილ ანძასავით ირყევა ქვეწარმავლის დრეკადი თავ-კისერი და მთაგრეხილივით წამოქცეული გიგანტი მთელი თავისი მძლავრი რბილი სხეულით, მტვრევითა და ხმაურით იშხლართება ძირს. ამასთან, ერთ-ერთი ჯორი ჭიანჭველასავით ისრისება ორიათასფუთიანი ხვლიკის თბილ ბეჭებქვეშ.

ტყეში საშინელი ლაწანი გაისმის. დაფეთებული ჯორები აწყვეტას ლამობენ.

ქვეწარმავალი ერთხელ კიდევ ასავსავებს თავის უშნო კისერს და დამსხვრეულ თავს უმწეოდ ახეთქებს მიწაზე, თუმცა, თბილი ძარღვები ჯერ კიდევ დიდხანს უთრთის. მოგზაურები გადარჩენას ულოცავენ ვაჟას...

— ჩქარა დავტოვოთ ჭალაკები! — იძახის სერგო. — ეჭვი არაა, აქ მტაცებელთა მთელი ჯოგი გაჩნდება, ჩვენი შეცდომის შედეგებით რომ ისარგებლონ.

სწრაფად ხსნიან ორ დარჩენილ ჯორს, აჩქარებით ჰკიდებენ ტვირთს და მახლობელი გორაკისაკენ გარბიან.

უეცრად დაბურული ჯუნგლების სიღრმიდან მოისმის რაღაც უცნაური ხმა, თითქოს მეზოზოურ ტყეში იერიქონის საყვირებს აყვირებენო. ჯერ საბრძოლო ნაღარა ჰგონიათ, მერე

ვირის ყროყინი, ბოლოს რწმუნდებიან, რომ რომელიღაც ძალუმი უცნობი მხეცი დაადგა სისხლიან ბილიკს. მკერდის სიღრმიდან ნიაღვარივით ამოხეთქილი გაურკვეველი ბგერები, ერთმანეთში არეული ღმუილი, ხოტბისი, ყიყინი და კიდეკრაღაც აუწერელი, ზმუილისმაგვარი ხმები მოწმობს, რომ მათი გამომცემი რაღაც ტიფონი, უჩვეულო ძალის ნადირი უნდა იყოს. უღრანი ტყის სიღრმიდან მომავალი ლაწანის ხმა ადასტურებს მოგზაურთა ვარაუდს.

— ფიქრი ნუ გაქვთ! — გაისმის სერგოს ხმა. — ნადირი ბრონტოზავრის ლეშისაკენ წავა სავახშმოდ. ერთადერთი საფრთხე, რაც ჩვენ გვემუქრება, ესაა დაყრუება. ჰოდა, რომ არ დავყრუვდეთ, მომყევით. ოღონდ ჩქარა! იარაღი მზად იქონიეთ! პირდაპირ გორაკისაკენ!

გარბიან. თითქოს ჯორებიც გრძნობენ განსაცდელს, თავდაუზოგავად მისდევენ ადამიანებს უსიერ ტყესა და ღრეში. ადიან გორაკზე. დაბლა ხელისგულივით ჩანს ქვაბის ფსკერივით დაწეული ტაფობი და ზედ გაწოლილი ჯერაც მტოკავი „მთაგრეხილი", ოცდათხუთმეტტონიანი ბრონტოზავრის ლეში. მას სწრაფად უახლოვდება საზარელი არსება. უკანა ფეხებზე შემდგარა და მორგვივით კუდი მოუშველიებია. წინა ფეხები წინ გაუშვერია. როგორც ჩანს, მათ მხოლოდ წონასწორობის დასაცავად იყენებს. მსხვილსა და მოკლე კისერზე რუმბივით თავი ადგას. უზარმაზარი ყბები ბასრი კბილებით აქვს გამოჭედილი. გველური თვალები გადმოუკარკლავს და მოუხეშავი, სწრაფი ნახტომებით უახლოვდება ბრონტოზავრის ლეშს. ყვითელ-მწვანე ლაქებიანი სხეული მთვარის შუქზე ულაპლაპებს.

— ალოზავრია, — ამბობს სერგო. — ზედა იურული დროის ეს საზარელი მტაცებელი თავისი ტლანქი ნახტომებით გაქანებულ ცხენს დაეწევა. მისი ნაშთები მხოლოდ ამერიკიდანაა ცნობილი. ახლა ვხედავ, რომ მას იურულ კავკასიაშიც უცხოვრია... ხედავთ, როგორ სწრაფად უახლოვდება ლეშს?

— ვხედავ, ორი სხვა ხვლიკიც მოალაჯებს უდაბნოდან! — უდასტურებს გურამი.

— სამი პტეროდაქტილი! — ღელავს ვაჟა. — ნახეთ, როგორ

ფართხალებენ მფრინავი ხვლიკები და ლეშზე დაჯდომას ლამობენ.

— მადლობას ვწირავ ქვეყნელის მბრძანებელს, რომ შენ გადაგვირჩი, ვაჟა! — ზეიმით ამბობს სერგო.

მფრინავი ხვლიკები ველურ კუდებს დააფრიალებენ და ყრანტალით ცდილობენ დაჯდომას, მაგრამ ბრონტოზავრის ჯერაც მფეთქავ ტანს უკვე მთელი ჯოგი ეხვევა; ისინი გლეჯენ და დაუღეჭავად ყლაპავენ ხორცს ნაჭრებს.

— რა პატარა ტვინი აქვთ და რა დიდი მუცელი! — ზიზღით ამბობს გურამი,

— ასეთი არსებები ადამიანთა შორისაც ბევრი მეგულება! — შენიშნა ვაჟამ.

მიწის ხვრელებიდან და კლდეთა ნაპრალებიდან ზღაპრული არსებები გამოდიან და ხროტინით უახლოვდებიან ხორცის მთას. აგერ, ალოზავრი ბრონტოზავრის თავს დასწვდა. სისხლის მეწამული ნაკადი მწვანე მდინარისაკენ მიედინება და მტაცებელთა ახალ-ახალ ჯოგებს იზიდავს.

საიდან გაჩნდნენ ეს საკვირველი ცხოველები? რამდენი მხეცია! ვინ დაიჯერებს, რომ გადაშენებული ურჩხულების ქვათამსგავსი ხერხემალი ამოძრავდა და მათი ხახა გამოსცემს ხმებს, რომლებიც კაცისშვილს არ სმენია! როგორ დაალწევენ თავს ამ გიგანტურ მხეცებს უსუსური მოგზაურები, რომლებიც მათ სამეფოში თავხედურად შეჭრილან, რომ ასი მილიონი წლის საიდუმლოებას ფარდა ახადონ?

აი, დიპლოდოკი ხროტინებს.

— წინამძღოლო, ცუდადაა ჩვენი საქმე. — ხმას იმაღლებს ვაჟა, — სისხლიან ნადიმს რომ შორჩებიან, შეიძლება ჩვენ გვეწვიონ. მაგრამ, შეხეთ, ერთმანეთს დაერივნენ.

მართლაც, ბრონტოზავრის ჩონჩხთან იმართება საზარელი, სისხლისმღვრელი ბრძოლა. პირდაღებული ალოზავრები ფოლადივით დრეკადი უკანა ფეხების დახმარებით საოცრად მაღლა ხტებიან და სხეულის მთელი სიმძიმით ეცემიან მოწინააღმდეგეს — მონათესავე ცერატოზავრს, თავდასაცავად გულაღმა გაწოლილ ათმეტრიან მეტოქეს. ტყავის ნაფლეთები, სისხლის ტბორები, დაგლეჯილი ხორცი და ძვალი — ყველაფერი ერთმანეთში ირევა. განსაკუთრებით მძაფრია ალოზავრისა და

ათმეტრიანი მცენარისმჭამელი ხვლიკის — იგუანოდონის — ორთაბრძოლა. იგუანოდონი, ჩვეულებრივ, უკანა ფეხებზეა აწოწილი, ხუთი მეტრის სიმაღლეზე უაზროდ აფჩენს ცხვენის დრუნჩის მსგავს პირს და მძლავრი კუდის დარტყმით ცდილობს გვერდები ჩაუმტვრიოს ვერაგ თავდამსხმელს, რომელიც საშინელი ნახტომებით თავგზას უბნევს. იგუანოდონის წინა კიდურები საოცრად ჰგავს ადამიანის ხელებს. ამ „ხელებით“ მოკრიველსავით იცავს თავს. აი, მან აიცდინა თავსდატეხილი საფრთხე და ისე ძალუმად დაჰკრა მოსისხლე მტერს წვეტიანი კუდი, რომ ალოზავრის ხერხემლის მტვრევის ხმა ბორცვზე გაისმა. მაგრამ იმავე წამს იგუანოდონს ნასუქი ხარივით სქელ კისერში ჩაეფრინდა მეორე ალოზავრი, მძლავრი ყბებით გაუვლიჯა ხორცი და ძვალი. თქრიალით წამოვიდა სისხლი და იგუანოდონი ხროტინით დაეცა არაუკარიებსა და ციკადებს შორის.

ამით მთავრდება დიდი ბრძოლაც და სისხლიანი ნადიმიც. მცხრალი მთვარე გულგრილად დასცქერის სურათს, რაც მას, ალბათ, ასიათასჯერ მაინც უნახავს. ორიოდე გადარჩენილი მტაცებელი კოჭლობითა და პირის ლოკვით შორდება საზარელი ღრეობის ადგილს. ქვეყნელის ჯუნგლებში სრული დუმილი მყარდება.

— შეეწირა ჯორი მეცნიერებას! — დარდობს ვაჟა.

გიგანტების ნადიმს შორიდან ზვერავდა დინოზავრების მეფე — ატლანტოზავრი. ორმეტრიან ფეხებზე შემდგარი ბუმბერაზი არ ჩარეულა ხორცისმჭამელთა ღრეობაში. იქნებ გონივრულად მოიქცა: ტბისაკენ წაბაჯბაჯდა.

სასწაულებრივ გადარჩნენ კლდეზე მიმწყვდეული ადამიანები.

ზანტად ზიმზიმებს თავის მარადიულ კალაპოტში ქვესკნელის მდინარე — ჭაობი. ასევე ზანტად აღებენ აჯაგრულ ნისკარტისმაგვარ დინგს ექვსმეტრიანი უძველესი ნიანგები — ტელეოზავრები, იურული დროის ჭაობთა ჯავშნიანი რაინდები.

— აქ ყვავილები არ იცის? — იცინის სერგო.

— სულ ცოტა, ასი მილიონი წლის ლოდინი დაგჭირდება, ჩემო სოგრატ, რომ ია და ყაყაჩო ნახო.

— გასაოცარია, — შენიშნა გურამმა, — ათმეტრიანი ბუმბერაზები შედარებით უცებ შექმნილან, პატარა ტურფა ყვავილები კი...

— უჩვეულო არაფერია, — აწყვეტინებს ვაჟა. — ბუნება დიდხანს თლიდა მოუხეშავ ლოდებს, ვიდრე შექმნიდა ჩიტს, ყვავილს, ადამიანის გონებას. რაც დახვეწილია, უფრო ძნელად იქმნება. ბუნება ნელა ქმნის, რადგან მარადისობას ქმნის.

დიალოდოკის პირისპირ

კოშმარული ღამე მიიწურა. ბუმბერაზი შიშველთესლიანი და მომცრო გვიმრები ამომავალმა მზემ ქვიშის, მტვრისა და მწვერების კორიანტელში გაახვია.

— აი, თქვენი მზე! აი, თქვენი ჩრდილი! — შენიშნა ვაჟამ.

— ყოჩაღ, ვაჟა! — უხარია გურამს. — თვალების ნაცვლად ბუდეებში ნამდვილი ძვირფასი მინერალები გაქვს. როგორ გამახარე! თუ ჩრდილი ჩემი თან მახლავს, ღარიბად არ ვიხსენები. მაგრამ ქვეყნად რამდენი მზეა?

— რამდენიც სამყაროა! ძველი მეცნიერები ლაპარაკობენ მზეებზე...

უხიდო ოღრეჩოღრო გზები და უნავო ტბები გეოლოგებს მალე ქანცავს. ერთ-ერთი ტბის ნაპირზე სოგრატის ჯორს ტელეოზავრი ესხმის თავს და წყალში ჩათრევას უპირებს. მაგრამ სერგომ მარჯვედ ესროლა. ტელეოზავრი სიხარბემ იმსხვერპლა, ჯორმა კი გზა განაგრძო. თუმცა უკუდოდ.

დიდხანს უხმოდ მიაბიჯებენ გოლიათების მხარეში, ბოლოს დუმილი ისევ ბრძენმა მზვერავმა დაარღვია:

— საოცრად მერევა ძილი. მოდი, დავბანაკდეთ... აი, თუნდაც იმ ბორცვზე. იქიდან მიდამოსაც კარგად დავზვერავთ...

გურამი თავშეუკავებლად იცინის და თან მოძრავ ბორცვს გასცქერის, რომლისკენაც ვაჟას ხელი გაუშვერია.

— ჰოი, მთის კაცო, რა ხუმარა ხარ! — განაგრძობს ოდიშელი ჭაბუკი. — ნუთუ ვერა ხედავ შენი ყოველისმხილველი

მინერალური თვალებით, რომ ამ მოძრავ ბორცვს კუდი მდინარეში აქვს, ტანი ველზე, თავი კი ტყეში?

სერგო დურბინდს იმარჯვებს და გაოცებული იძახის:

— ოპო! დიპლოდოკი! მე მჯერა, ჩემო ვაჟა, რომ შენი ცვალი უფრო მახვილია, ვიდრე შენი მეხსიერება, მაგრამ ამჯერად თვალმა გიმტყუნა. ეს ხომ დიპლოდოკია, ოცდაშვიდმეტრიანი და ოცდათტონიანი ქვეწარმავალი! მის სიდიდეზე თვით მისი გვარის ბერძნული სახელწოდება ღაღადებს: დინოზავრები — „საშინელი ხვლიკები“! ხოლო „დიპლოდოკი“ ნიშნავს...

„ორმაგ მორს!“ — დაასწრო გაოცებულმა ვაჟამ, რომელიც თავის ბორცვს თვალს არ აშორებს.

— დიახ, ესაა მოსიარულე მორი, რომელიც ბრონტოზავრისაგან განსხვავდება უჩვეულოდ გრელი, წვრილი კისრითა და წვრილი კუდით. ეს ქვეწარმავალი ხომ საუცხოოდაა შესწავლილი. მისი ექვსი ჩონჩხიდან ერთი მთლიანია და პიტსბურგში ინახება. ამ ჩონჩხის აღმომჩენმა კარნეჯიმ თაბაშირისაგან დაამზადებინა რამდენიმე ასლი და აჩუქა ვენის, ბერლინის, მოსკოვის, პარიზის და სხვა ქალაქთა მუზეუმებს.

— მახსოვს, სერგო, ერთხელ შენ ასე იხუმრე: პარიზში რომ ჩავალ, პირველად დიპლოდოკს ვნახავ და მერე ლუვრის სახახლეს.

— სწორედაც მოვიქცეოდი: დიპლოდოკი ლუი მეთექვსმეტეზე ადრე ცხოვრობდა ასორმოცდაათი მილიონი წლით! გარდა ამისა, მას ორტვინსაც ეძახიან, რადგან კუდისა და ზურგის შესაყარზე მას აქვს მეორე ტვინი, რაც ორჯერ აღემატება თავის ტვინს. ესაა მენჯის ტვინი. ერთმა სწავლულმა იხუმრა: „ეს ხვლიკი კუდით მეტს ფიქრობდა, ვიდრე თავითო“. მაგრამ ხედავთ? ამ საშინელმა მორმა გზა გადაგვიღობა. ომს გვიპირებს.

— მარჯვნივ, ბუჩქებში რაღა მოჩანს? — ეკითხება წინამძღოლს ვაჟა და უჩვენებს უზარმაზარ საფრთხობელას, რომელიც თავისთვის წყნარად „ბალახობს“ გვიმრების მწვანე ხეივანში. წვრილი უკბილო ხვლიკისებრი თავიდან დაწყებული, მთაგრეხილივით მოხრილი ხერხემლის გასწვრივ, მძლავრი კუდის შუამდე სამ წყებად გასდევს ძვლის ბრტყელი ფირ-

ფიტები. კუდზე მას ორი წაკვილი წითელი წვეტიანი რქა ამოსდგომია.

— სტეგოზავრია! — განმარტავს სერგო. — სწორედ სტეგოზავრია, ესეც დინოზავრების ოჯახიდანაა; არ შეგეშინდეთ, სრულიად უწყინარი ხვლიკია. სულ სხვა ამბავი იქნებოდა, რომ შეგვხვედროდა ტრიანტოზავრის მონათესავე კბილბასრი მეგალოზავრი, ანუ „დიდი ხვლიკი", როგორც უწოდეს კიუვიემ და ბუკლანდმა.

— რამდენი ზაური ყოფილა ამ სამეცნიერო საიქიოში! — ზიზღით ამბობს სოკრატი. — მოდი, ამ ადგილს ზავრეთი დავარქვათ.

— ზაურიტანია! — მოეწონა კარგარეთელს სახელი და რუკაზე გადაიტანა.

დიპლოდოკი გედივით გრძელ კისერს მაღლა სწევს და მიდამოს ზვერავს. მის მსგავლ სმენას არ გამოპარვია უცხო ხმა.

— ვერ გამიგია, რით იკვებებიან ამოდენა გველეშაპები? — ამბობს სოკრატი. — რა უნდა ჭამონ, რომ კუჭი ამოიავსონ?

— საქმე არც ისეა, როგორც შენ ფიქრობ, ჩემო სოკრატ, — უხსნის სერგო. — მეცნიერებმა სპირალივით დახვეული განავალი გამოიკვლიეს და დადგინდა: ნაწლავებში სარქველები ჰქონიათ, რომელშიც შიგთავსი ძნელად გადადიოდა, ამიტომ ისინი არც ისე ხარბნი იყვნენ და იმით კმაყოფილდებოდნენ, რასაც მათ ბუნება აძლევდა.

— შენ ჯორები არ გაუშვა, სოკრატ!

— რა ჯორების დარდი მაქვს! ნეტა რას დაეხეტები ამ დასაკარგავში.

— რა მოხდა, სოკრატ, რამ გაგაგულისა?

— რამ და, სახლის დარდი მაქვს. სამუშაოს მოვცდი.

— სახლის დარდი გაქვს? შენი სახელი სამუდამოდ დარჩება ისტორიაში...

— როგორც ჯორების მტვირთავისა, რომელიც ხვლიკებზე სანადირობდ წავიდა?

— მერე რა? მეცნიერებმა ჯორებისა და ვირების შემწეობით აღმოაჩინეს, რაც აღმოაჩინეს. როცა პერეგრინოზავრის სოკარი გაქვავებული ჩონჩხი ნახეს, ჯორებს აპკიდეს ყუთებით

და გაზიდეს უდაბნოდან, სადაც ეს სამოცი მილიონი წელი გა-ნისვენებდა.

დიპლოდოკი თითქოსდა შეკრთა, მეც ხომ არ გავქვავდი, დაიძრა და ბაჯბაჯით გამოსწია მეტყველი არსებებისაკენ.

უეცრად გურამი „სულიკოს“ სიმღერას იწყებს, დიპლოდო-კი ჩერდება და გაოგნებული უსმენს, მაგრამ როგორც კი სიმ-ღერა შეწყდა, უფრო ეჩქარებით განაგრძო გზა, თითქოს იმუქ-რება: „ახლა „თავო ჩემო“ იმღერე, თორემ გადაგთელავთო“.

სოგრატმა ხანჯალი ეშიშვლა და ურჩხულის შესახვედრად მოემზადა.

— თქვენ კი სოგრატს ბუზღუნას ეძახით! — ამბობს ვა-ჟა. — დარწმუნებული ვარ, ასეთი ნადირის დანახვაზე თვით ლომთამჭელეტი ბომბონელი კანკალს დაიწყებდა, ეს კი რა თამამად მიდის მასთან შესახვედრად და თანაც ხანჯლით.

— მაშ რა ქნას? — ეკომაგება გურამი. — ვიდრე პაპის თოფს გატენინ, დიპლოდოკი უბრალო ხვლიკად იქცევა.

სოგრატი მთვრალი გმირივით თამამია. ამირანის ხმალს იქნევს და დიპლოდოკის თავს მარჯვედ აგებებს ხანჯალს, ის კი მაინც ლამობს აიტაცოს ეს თავხედი ბუზანკალი. ურჩხულ-მა ერთი ნაბიჯი წინ წამოდგა, სოგრატმა განზე გახტომა მო-ასწრო, დიპლოდოკმა კი საზარელი პირი ქვიშაში ჩარგო. სოგ-რატმა ისარგებლა შემთხვევით, ხანჯალი მოიქნია და ყელში ატაკა.

სრულიად მოულოდნელად ყელგამოღადრულ დიპლოდოკს თავს დაესხა თორმეტმეტრიანი მტაცებელი — იხთიოზავრი. ეს გარეგნულად დელფინის მსგავსი ხვლიკთევზა წყალში მო-ბინადრე ცხოველია, მხოლოდ ჰაერის ჩასასუნთქავად ამოდის ზედაპირზე. სხვა ქვეწარმავლებისაგან განსხვავებით, იხთიო-ზავრი ცოცხალმშობია და ზვიგენივით გაუმაძღარი. აბა, რა ხეირს დააყრიდა ასეთი კბილბასრა ხვლიკთევზა დაჭრილ დიპ-ლოდოკს! მდინარე ერთ წამში ალამით იმღვრევა და სისხ-ლით იღებება.

— სასარგებლო საქმეს აკეთებენ; — ამბობს სერგო. — ამ ოცდახუთტონიან ლეშებს რომ ასეთი სიხარბით არ ნთქავდნენ, ჰაერი ერთიანად აყროლდებოდა და მიაზმი დაასნეულებდა ცოცხალ სამყაროს.

— ამ გოლიათს რომ შესცქერი, ძალაუნებურად გაგიკვირ-
დება, რამ გადააშენა ცხოველთა მოდგმის ეს უძველესი და
უდიდესი წარმომადგენელი? — ხმამაღლა ფიქრობს ვაჟა.

— მისმა სიდიდემ! — შესძახა ვურამმა. — მე პოეტურად
აგიხსნი: თავისი სიდიდის გამო დიპლოდოკი ნოეს კიდობანში
ვერ აიყვანა და მსოფლიო წარღვნის დროს დაიღუპა. ოიხ!
ფეხებზე შეგდგარი სპილენძის ბუმბერაზის ამბავი არ იცი?
კენჭი ესროლეს და დაიმსხვრა!

— შემცდარა, ჩემო პოეტო! — იცინის სეკგო და ჯორ-
დან გადმოდის.

— ვინ შემცდარა, ნოე?

— არა, ვინც შენ გეოლოგიურ ფაკულტეტზე მიგიღო!

პტეროდაქტილები, მოზოზავრი და „უნივერსალი"

მოგზაურობის მესამე დღე არავითარი ხიფათით არ აღ-
ნიშნულა, თუ ხიფათად არ ჩავთვლით იმას, რაც ვაჟას შეემ-
თხვა. პირქუშ მინერალოგს მფრინავმა ხვლიკმა — პტეროდაქ-
ტილმა — სასტიკი ომი გაუმართა, ჯორდან გადმოიგდო და
ბრონტოზავრის კვერცხებზე დასცა. ეტყობა, პტეროდაქტილე-
ბმა სწორედ ამ კვერცხებისათვის ატეხეს ომი.

სხვა მფრინავი ხვლიკებისაგან განსხვავებით, პტეროდაქ-
ტილები ნაოჭიანები არიან. ზოგი ბელურაზე დიდი არაა, ზოგი
ყორანსაც აღემატება სიდიდით, ზოგიც ფასკუნჯისტოლაა.
პტეროდაქტილს ვაჟა ალბათ ბარტყებისათვის უნდოდა, მაგ-
რამ რაცა განზრახვა ვერ შეასრულა, გაბრაზებულმა თავისი
ბარტყები თვითონვე შესანსლა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც
მახინჯმა ექვსადლიანმა მტაცებელმა, რომელმაც შემდეგ „ეშ-
მაკის გაჩენილი" უწოდეს, ვაჟა ჰაერში აიტაცა. სოგრატმა
იმარჯვა და თავისი კაჟიანი თოფით თავის ქალა გაუხვრიტა
მას. პტეროდაქტილმა ეს რომ ნახა, „მქუხარე ხვლიკებს" თა-
ვი დაანება და ჯავრი საკუთარ ბარტყებზე იყარა.

— თუ ჩვენ ქათამი ამათი გაჩენილია, შალიანის ხატსა
ვფიცავ, ქათმის ხორცს აღარ მივეკარები, — ამბობს სოგრა-
ტი.

— დამშვიდებული იყავი, სოგრატ! — იცინის სერგო. — პტეროდაქტილები სულაც არ არიან ქათმის წინაპრები. ეს ქვეწარმავალთა ცალკე გვარია და ცარცის პერიოდის დასასრულს სხვა ქვეწარმავლებთან ერთად საკვებით გაქრა დედამიწიდან, უმრავლესობა კი განვითარდა... საერთოდ, სამყარო თვითნებურად გაფანტულ სახეთა უწესრიგო ჯოგი კი არა, უზარმაზარი კანონზომიერი მთლიანობაა. როგორც ერთ დღეს მოსდევდა მეორე, ასევე ერთ სახეს ცვლიდა მეორე. ერთი არსება მეორეს განვითარების შედეგი იყო. დიდი რომაელი პოეტი ოვიდიუსი ამბობდა: „ქვეყნად არაფერი არ კვდება, მხოლოდ სახეს იცვლისო“...

— აი, კვერცხი...

— კვერცხი? ქათამი სადაა? — კითხულობს სოგრატი. — მახსოვს, მოწაფეები კამათობდნენ, კვერცხი უფრო ადრე გაჩნდა თუ ქათამი. თუ შინ ცოცხალი დავბრუნდი, მათ თამამად ვეტყვი: კვერცხი-მეთქი.

— შენს ნათქვამში არის სიმართლის ნაწილი, — ღიმილით ეუბნება სერგო. — მაგრამ ეს ხომ პტეროდაქტილის კვერცხია, პტეროდაქტილი კი ქათამი არაა.

— მაშ, ხვლიკია?

— დიახ, ხვლიკია, ქათამი ჯერ კიდევ არ არსებობს.

— მაშ, მაინც ვერ გამიგია, ქათამი ადრე გაჩნდა თუ კვერცხი.

— არც ერთი და არც მეორე! საკითხის ასე დასმა მეცნიერულად არაა სწორი. საქმე ისაა, რომ ერთბაშად არაფერი არ გაჩენილა და ყოველი არსება ხანგრძლივი განვითარების შედეგია. მაგრამ დაკვირდი: ქვეწარმავლები კვერცხებით მრავლდებიან და გამონაკლისები არც ჩვენი ახალი ნაცნობები არიან, ალოზავრების ნადიმზე რომ ვნახეთ. რეპტილიებმა მისცეს დასაწყისი ჩვენი დროის ფრინველებს, მათ შორის გარდამავალია პირველფრინველი, არქეოპტერიქსი, აგრეთვე არქეორნისი, რომელიც აგრეთვე იურულ დროს გაჩნდა. შემდეგ გაჩნდნენ თანამედროვე ფრინველები. ეს აზრი ახლა უკვე მიღებულია. მაგრამ არავინ იცის, როგორ იქცა ქვეწარმავლის ქერცლი ფრინველთა ბუმბულად. ალბათ, ხანგრძლივი სტომა-გაფრენის ცოცხში თანდათან გაიზარდა, შემსუბუქდა.

— მაინც ქათამზე ადრე კვერცხი გაჩენილა, ოღონდ არა ქათმის, არამედ ხვლიკის, — არ ივიწყებს თავის კითხვას სოკრატი. — ახლა ბარემ ესეც ამოხსენი: ხვლიკი თუ კვერცხი, რომელი გაჩნდა პირველად!

— ესეც საჩოთირო კითხვაა. ქვეწარმავლებზე ადრე გაჩნდნენ თევზები და ამფიბიები, რომლებიც ქვირითს ყრიან. ჩანს, პირველად ქვირითი გაჩნდა. ასე მიდის ცხოველთა განვითარების თანმიმდევრული ხაზი თვალით უხილავი პაწაწინა არსებებისაკენ, და არსება, რომელმაც პირველი კვერცხი დადო, სულაც არ ჰგავდა ჩვენს მოკრიალე ქათამს.

დაქანცული რობინზონები ეახშმობენ და მკვდარივით იძინებენ გამოფიტული დოლომიტის კედლებს შორის, კოშკის ნანგრევებივით რომ აღმართულა უნაპირო ველზე.

— მალე კონსერვებიც გამოგველევა, — თავისთვის ბუბუნებს სოკრატი.

ისევ დუმილია. ჭაობის კვიპაროსების ხეივანში უზარმაზარი იხვნისკარტა დინოზავრები დაეხეტებიან და ჩალრმავებული თვალებით ჩასცქერიან წყალს. ჭანჭრობში ჭყაპანით შემოაბიჯა რომელიღაც მტაცებელმა და გაალმასებულ კბილთა ლრჭენით შეიჭრა ჯოგში. ხერხემალგადატეხილი დინოზავრი საზარელი ზმუილით ეშვება მღვრიე წყალში და ხავსმოდებული ფრეგატივით იძირება, დანარჩენები კი დამფრთხალი ბატეების გუნდივით იფანტებიან. ცოტა ხანიც და ჭაობში ისმის ბზოლოდ მძლავრი ყბების ხმაური, მთელ-მთელად მოგლეჯილი ხორცის ნაფლეთებს რომ ნთქავენ დაუღეჭავად.

— ტირანოზავრი ეახშმობს, — თქვა ვაჟამ და ყველას გაოცერეოლა.

ღამდება. შორს ველზე, ტბის ნაპირას, ორი ახალგაზრდა ბრონტოზავრი მწვანე ჭანჭრობში ჩაფლულა სანახევროდ და საშინელი კისრების რხევით წყალმცენარეებს შეექცევა. თბილ ტბებში ზანტად დაცურავენ კიბოსნაირი არსებები და თავიანთი ჯავშნის მიღმა არაფერს ხედავენ.

— ასეთები დედამიწაზეც მეგულებაო, — თავისთვის ამბობს ვაჟა.

ექსპედიციის წევრები ჯიბის ნათურის შუქზე დღიურებს ავსებენ.

უეცრად მდინარეში წყვილად იელვა მსესავით კამკაში შუქმა და დამაბრმავებელი ძალით მიანათა პირდაპირ კლდის ქიმს. ადამიანებს ელდა ეცათ. თუ ეს რომელიმე ცხოველია... მაგრამ ასეთი ცხოველი არ არსებობს: მას საკუთარ თვალთა სიხათლე დასწვავდა. არა, ცხოველი არ არის. და თუ ელექტრონათურებია, ვინ განაგებს მათ, ვინ შეიტანა ნათურები ბეზოზოურ წყალთა წიაღში! მტერია თუ მოყვარე? ორსავე შემთხვევაში დაკარგულია ზავრიტანიის აღმოჩენის უპირატესობა. რა უსიამოვნო მოულოდნელობაა! — ელვასავით უვლის თავში ეს ფიქრები კარგარეთელს.

შუქმა გადაუარა მოგზაურებს და ანაზდეულად გაქრა.

— უნდა გადავინაცვლოთ! — იძახის სერგო. — ეს ხუმრობას არ ჰგავს.

ცეცხლი ქრება. ადამიანები ფეხაკრეფით იცვლიან ადგილს. ბანაკს მთელი ღამე მორიგეობით დარაჯობენ. უცხო შუქი აღარ ანთებულა. აღარსად ჩანდა ცა და ვარსკვლავები.

ვაჟა ბრონტოზავრს ათვინიერებს

— წავალ, იმ გორაკიდან სანაპიროს დავზვერავ! — აცხადებს ვაჟა. — ხომ უნდა ჰქონდეს სადმე სარკმელი ამ ერთფეროვან ქვეყანას! — თქვა და წავიდა. მძიმე მოლოდინში გადის საათი. ბანაკი შეშფოთებულია.

შეიარაღებული სერგო და სოგრატი მდინარისაკენ მიდიან. არავითარი კვალი! მხოლოდ რომელიღაც დინჯი ცხოველი არხევს მწვანე მდინარის ზვირთებს. დუმს ზავრიტანია. უეცრად წყალში რაღაც მძიმე სხეულის ტყლაშუნი გაისმის; სოგრატი დაძახებასაც ძლივს ასწრებს, რომ კარგარეთელისაკენ პირდაღებული მოისწრაფვის ხუთმეტრიანი გველთევზისმაგვარი არსება, ნამდვილი ფარფლებიანი გველეშაპი.

— მოზოზავრი! — გაუელვა თავში გეოლოგს და თოფს ხელი სტაცა. მაგრამ დრო არ ითმენს. ერთი წამიც და მას ბასრი კბილებით ჩააფრინდება ხვლიკისნაირთა ეპოქის წყალთა ყველაზე უფრო საშარელი მტაცებელი. ფოლადის ხერხივით იგრიხება მის ზურგზე ძვლის ეკლების წყება. მაგრამ ასპარე-

ზზე გამოდის უხილავი მხსნელი. ესაა თითისტარის ფორმის კრიალა წყალქვეშა ნავი, რომელიც რაღაც სასწაულით მწვანე მდინარეში გამოჩნდა. ელვის სიჩქარით დაეტაკა იგი მოზოზავრის სლიპსა და ფრეკად სხეულს და უჩვეულო ძალით გახლიჩა მისი ტომარასავით დამრგვალებული მუცელი. რამდენიმე ცოცხალი პატარა მოზოზავრი გადმოცვივდა მისი გაფატრული მუცლიდან, ფარფლებიანმა გიგანტმა უმწეოდ დააფჩინა პირი, დაკლაკნა და ფსკერისაკენ დაეშვა.

იდუმალი მხსნელი ისე უჩინარდება მწვანე ტალღებში, რომ დაბნეული მოგზაურები გონს მოსვლას ვერც კი ასწრებენ. მხოლოდ ნავის ქიმზე ამობურცული ლათინური ასოები იუწყება მანქანის სახელწოდებას: — „უნივერსალი".

მოულოდნელად კარგარეთელის წინ ქვიშაზე რაღაც მძიმე საგნი ეცემა. უბრალო რკინის ნატეხია, ზედ წერილია მიმაგრებული.

ათრთოლებული ხელებით შლის ქაღალდს კარგარეთელი და კითხულობს:

„შეგობრული სალამი! თქვენ გელაპარაკებათ „უნივერსალის" კაპიტანი ინჟინერი ანდრესი. რამდენიმე დღეა თვალყურს ვადევნებ თქვენს გაბედულ წინსვლას უცნობ სამყაროში, სადაც ჩემი ნავით მიწისქვეშა გვირაბიდან შემოვედი. ნუ ღელავთ, აღმოჩენის ყველა საიდუმლოებას ვტოვებ თქვენს განკარგულებაში. არ შემიძლია შევუერთდე თქვენს ექსპედიციას, მაგრამ მინდა დახმარება გაგიწიოთ. აჰყევით მდინარეს. იჩქარეთ. დიდი სიფრთხილე და წინდახედულობა გმართებთ. ქვესკნელის ძალები ბორგავენ და მალე დაასრულებს არსებობას ბრონტოზავრების სამეფო. გისურვებთ წარმატებას.

ინჟინერი ანდრესი".

მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა ეს ბარათი.

— არაფერი მესმის, — აღიარებს სერგო. — ალბათ, მიწისქვეშა გვირაბის გარდა, არსებობს რაღაც მიწისქვეშა არხიც, გეოლოგებს ეს არ უნდა გვიკვირდეს... რაც შეეხება მოზოზავრს, მე ის გარეგნული ნიშნებით მაშინვე ვიცანი. მაგრამ დამავიწყდა, რომ ზღვის მცხოვრებია. თუ ამ გარემოებას და-

ვუკავშირებთ „უნივერსალის“ გამოჩენასაც, ცხადი ხდება, რომ სადღაც ახლოს მდინარე ზღვას უნდა ერთვოდეს. ოღონდ, ეს საკითხის მხოლოდ ერთი მხარეა. ბევრად უფრო რთული საკითხია იურული მდინარის კავშირი ზღვასთან. რომელი ან როდინდელი ზღვაა? იურული თუ ჩვენთვის ცნობილი დღევანდელი ზღვა? საიდან შემოვიდა წყალქვეშა ნავი?

— ვაჟა ისევ არ ჩანს, — შფოთავს სოგრატი.

მომხდარი ამბით ელდანაცემი მოგზაურები მალე ეჩვევიან ამ ახალ სასწაულს და უფრო დაიმედებულნი განაგრძობენ გზას. იდუმალი მეგზური მათ ყოველ საჭირო შემთხვევაში ფასდაუდებელ დახმარებას უწევს და ისევ უკვალოდ ქრება, როგორც გამოჩნდება ხოლმე.

გაფაციცებით დაეძებენ ვაჟას.

უხმობენ, თოფებს ისვრან, მაგრამ მხოლოდ დამფრთხალი პტეროდაქტილები ეხმაურებიან მქისი ყრანტალით.

— პირდაპირ საოცარია! — შეშფოთებით ამბობს სერგო. — კვალი ამ ხესთან მოდის, აქ კი თითქოს მიწამ ჩაყლაპაო. მხოლოდ ბრონტოზავრების ნატერფალია. ეტყობა, აქ დაეხეტებოდნენ, ვაითუ გასრისეს...

კარგარეთელი აზრს ვეღარ ამთავრებს. ყველას კრიჭა შეეკრა.

უეცრად ერთ-ერთი მწვანე ხის ტოტები შეირხა და მაღლიდან პირდაპირ სოგრატის მხრებზე დაეცა დაკარგული მინერალოგი.

მეგზურს ნადირი ეგონა და ხანჯალი იშიშვლა, მაგრამ თავისი მეგობარი შერჩა ხელში.

— ციდან ჩამოვარდი?

— არა, ხიდან... ბრონტოზავრს შევაჯექი ზურგზე და დასაზვერად წამოვედი.

— ბრონტოზავრს?

— გადავწყვიტე, ხეზე ავალ და გარემოს ისე დავზვერავ-მეთქი. ასეც მოვიქეცი. მდინარეში არაფერი ჩანდა, არც სანაპიროზე. სამაგიეროდ, ტყეში ისეთი ლაწანი გაისმა, ბაყბაყდევი გეგონებოდა. ვინანე წამოსელა, მაგრამ გვიანღა იყო! ვხედავ, ბრონტოზავრი მოალაჯებს, მიწა ირყევა. აი, მოახლოვდა კიდეც. სწორედ ჩემს „ხეს“ ჩამოუარა, ზედ ეხახუნება და

ძირფესვიანად არყევს. მგონი, გვერდს იფხანდა. რა დასამალია, შიშისაგან ელეთმელეთი მომივიდა. ვეუბნები: „ჰეი, ცოტა ფრთხილად, თორემ, სადაცაა, ზღართანს მომადენინებ. გაჩა ტყეში ცოტაა ხეები, რაღა ჩემს ხეს ედები-მეთქი?! ის კი დგას და სულელურად აქნევს თავს. ჩამოვეარდი, ზურგზე დავაჯექი. ერთი მთასავით შეირყა, კისერი წაიგრძელა და წატორტმანდა. მიდის, ტყე ზანზარებს, მტვერი ცაში ადის... მერე დრო ვიხელთე, ტოტს ჩავავლე ხელი, ხეზე შევრჩი. დანარჩენი თვითონაც იცით.

მცირე რაზმი ხალხიანი საუბრით ეიუყკება „ძაბრის კედელს". ვაჟა გიგაური ახალ შრეებში მინერალებს დაეძებს, მაგრამ ამაოდ. ისინი თითქოს არქეოპტერიქსებს აეკენკოთ.

თეთნულდის ზღვის სანაპიროებთან

ცხელა. სულის შემხუთავი დუმილი მეფობს ზავრიტანიის მიწაზე. მოგზაურებს მოსვენებას არ აძლევენ გიგანტური მწერები, მეტადრე ბატისოდენა კელები. სოგრატი ხანჯლით შებმია კელას...

თეთრად მოციაგე ტბაში მსუბუქად დასრიალებს სამხრეთის წყლების განსაცვიფრებელი ხვლიკი — მეზოზავრი. მისი სიგრძე მეტრს არ აღემატება. მოქნილი კუდის შემწეობით ელვის სისწრაფით დაცურავს, ნისკარტისმაგვარი პირი დაუღია, ასობით გაალმასებული კბილი დაუკრეჭია და საბრალო თევზებს დარევია.

მოგზაურთა გაოცება გარინდებით იცვლება პლეზიოზავრის დანახვაზე. მეცნიერებს იმთავითვე აოცებდათ ეს არსება — ხვლიკის თავის, ნიანგის კბილების, გველის კისრის, კუს ტანის, ქამელეონის გვერდებისა და ვეშაპის ფარფლების ნარევი.

რა საზიზღარი არსებები ირევიან გარშემო! აი, ხვრელიდან ჯავშნიანი ჯოჯო ამოძვრა და ათასწლოვანი ძილით დამძიმებული თვალებით აკვირდება ორფეხა სტუმრებს. კომბალივით მსხვილ თავზე დრაკონივით რქები აქვს, კუდზე — მი-

წისფერი ხერხი, ჯირკიანით აგდია ქვიშაში და სოგრატს გაქვავებული ჰგონია, მაგრამ თვალებს რომ ახამხამებს?

ეს კიდევ რა ყიპყიპი ისმის? ჰაერი დამძიმებულა. პატარა ტბაზე ღამურებივით დაფართხალებენ კბილებიანი თუ უკბილო მფრინავი ხვლიკები, „თევზებზე“ ნადირობით იქცევენ თავს. ტბიდან გორაკებზე კი ამ სასიზღარა ცხოველთა მთელი „ქალაქი“ გამ'ლილა, ათასობით ბუდეა და შიგ უთვალავი ბარტყი ამაზრზენი ყიპყიპით მოუხმობს ბრბოლებს.

უცებ რომელიღაც მფრინავი ხვლიკი ვაჟას სომბრეროს დასწვდა ნისკარტი პირით და კუნძულისაკენ გააქროლა. ქუდის დაკარგვით მოთმინებიდან გამოსული ვაჟა სოგრატს სთხოვს, ესროლეო, და განგმირული ქვეწარმავალი ხროტინით ეცემა ბუჩქებში. სომბრერო გადარჩენილია. სამაგიეროდ, მფრინავი ხვლიკების ახალი ნაკადი გამოჩნდა. ერთი მათგანი მზეს აბნელებს.

— ო, დანტე, დანტე! — ბრძნულად იძახის ვაჟა. — ახლა კი ვხედავ, რომ შენი „ღვთაებრივი კომედია“ ფანტაზიის ნაყოფი არ ყოფილა. შეხედეთ, მეგობრებო, შავი ლუციფერი ამოფრენილა ჯოჯოხეთის მეცხრე გარსიდან!

მართლაც, მუქ სივრცეში ხმაურით დაფართხალებს პირღია კუდიანი არსება, ვიწრო და გრძელი ღამურანაირი ფრთები ქოლგასავით გაუშლია, შოლტივით წვრილი და გრძელი კუდი რაღაც ბუშტით თავდება, ნისკარტი კი ბასრი კბილებით აქვს მოჭედილი... ასე ხატავდნენ ზღაპრულ დემონებს.

— მართლა ლუციფერია? — ეკითხება წინამძღოლს გურამი.

— ჩვეულებრივი რამფორინქია, იურული პერიოდის ფრთოსანი ხვლიკი... მაგრამ მალე გავცილდეთ აქაურობას, მე უკვე გული მერევა.

„ლუციფერი“ და მისი ამალა ყრანტალით მიაცილებენ მოგზაურებს. ვაჟამ ნაბიჯი შეანელა. მხარი ხტკვა. „კრაზანებს გადავურჩი, ბრონტოზავრებს გადავურჩი, პტეროდაქტილებმა კი მიმსხვერპლეს. საზიზღარი ფრთოსანი შხამიანიც ყოფილა“, — ბუზღუნებს ვაჟა.

— დღემდე ვერ აეხსნა მეცნიერებას, იყო თუ არა პტეროდაქტილი შხამიანი, ვაჟამ კი ერთბაშად გადაჭრა. — იცი-

ნის გურამი. — ასი მილიონი წელი იტეხდა თავს კაცობრიობა...

— რომელ ას მილიონზე ლაპარაკობ, უმეცარო? ადამიანი ხომ რაღაც მეოთხედი მილიონი წლის წინათ გაჩნდა! განა ჩვენ ასი მილიონი წლით ვართ ზავრიტანიაში მოვლინებულნი?

მოგზაურები ხუმრობით მიჰყვებიან გზას, მაგრამ განა შეიძლება გზა ეწოდოს ხვლიკების კუდით გაღარულ უდაბნოს?

— ძლივს არა ვნახე ნამდვილი ფრინველები! — შეესძახა სოგრატმა და ხელი წინ გაიშვირა.

— რა ფრინველებზე ლაპარაკობ, სოგრატ? — იცინის სერგო. — დააკვირდი და ნახავ, ნისკარტი კბილებით აქვს ამოვსებული, უკან კი ხვლიკის კუდები გაუშვერიათ.

— ფუ, რა მახინჯები არიან!

— ნურც ასე ლაპარაკობ, სოგრატ. ასეთი ფრინველის ერთი ჩონჩხი ამ ასიოდე წლის წინათ ბერლინის მუზეუმმა ოცი ათას მარკად შეიძინა.

— ერთ გროშსაც არ მივცემდი არც ცოცხალში, არც მკვდარში.

— რა დავარქვათ ამ ტბას, წინამძღოლო? — საუბრის თემას ცვლის გურამი.

— თეთნულდივით თეთრია! — თავისთვის ამბობს სოგრატი.

— თეთნულდი?! კარგია! მისი მეორე ნაპირი, ალბათ, ცარცულში გადადის. მე კი კანზასის ზღვას ვუწოდებდი, — ამბობს ვაჟა.

— კანზასი! — იმეორებს გურამი. — ეს სიტყვა გამიგონია.

— ოდიშელო! — იცინის ვაჟა. — კანზასის ზღვა ხომ ზედა ცარცულის ზღვა იყო, კანზასის შტატში...

— ჩვენ კი მას მაინც თეთნულდის ზღვას დავარქმევთ! — აცხადებს სერგო. — ნიშნად იმისა, რომ ამ მყრალ ორმოში თეთნულდის მაცოცხლებელი სიო მოგვენატრა. შეხედეთ, რა საკვირველი კუნძულებია!

— „მე ამაზე უფრო მეტსა საკვირველსა ვხედავ!“ — ძველი სვანური სიძველის სტუდენტს იმეორებს სოფრატი.

კუნძულსა და ნაპირს შორის ატორტმანებული თეთნულდის ზღვის ტალღებში პლანეტივით ეშვება ნამდვილი დირეკონი, ზედა ცარცული პერიოდის საჰაერო სვრცეთა ზუჩიანი „თვითმფრინავი“. უკბილოა და კეფაზე გვირგვინის მსგავსი ძვლის უცნაური წანაზარდი აქვს, რაც მის თავს წერაქვის ფორმას აძლევს. კუდის მაგიერ უკან აპკიანი ფეხები წაუშვერია; რვანეტრიან ფრთებს კი არ აფარფატებს, პლანეტივით მიაბჯენს და მდოვრედ მიაპობს ჰაერს. მათ ოდნავ იეცავს მხოლოდ მაშინ, როცა მსხვერპლის დასაჭერად დაეშვება ხოლმე წყალზე. აი, ერთ „პლანერს“ უკვე უჭირავს ნადავლი, მეორე ახლა ეშვება, მაგრამ ზღვა ორად იპობა და ქვესკნელიდან მოძურება ბასრი კბილებით ყბებშეპედილი ურჩხული. წამით და უკბილო მონადირე თვითონ ხდება საზარელი მცურავი მხეცის საკბილო. მეორე ფარფლებიანი ნიანგი, ნამდვილი ლევიათანი, ნადავლის წასართმევად მიეშურება. შავი აპკი თალხად ეფარება თეთრ ქაფს.

— რა ხდება, ძმებო? — ბავშვივით ცმუკავს მეგზური.

— პტერონოდონი დაგლიჯა ტილოზავრმა, საკვირველი აქ არაფერია: კბილიანი მუდამ გლეჯდა უკბილოს! — მშვიდად ამბობს სერგო, — მე უფრო ის მიკვირს, როგორ მოხვდა ამ ზედა იურულში ეს ორი მხეცი, რომელთა არსებობა უფრო ქვედა ცარცულში, „მხოლოდ“ 60 მილიონი წლის წინათაა მოსალოდნელი. ჩანს, ეს ზავრიტანია ცოცხალ მუზეუმს წარმოადგენს, სადაც ორმოცამდე მილიონი წლის განსხვავება ბუნებას ისევე დასაშვებად მიუჩნევია, როგორც იქ ჩვენი შეჭრა... აი, ეს პტერონოდონიც! მისმა დანახვამ იმედი მომცა. გამოდის, რომ ჩვენ თანდათან ისევ აღმა, დედამიწის ზედაპირისაკენ მივდივართ და ამ ჩვენს ჯოჯოხეთს ისეთი წრიულ-ძაბრისებრი ფორმა აქვს, რასაც მხოლოდ დანტეს კარგი მცოდნე გაიგებს. ესაა პტერონოდონების კუნძული. სახელი თითქმის იმას ნიშნავს, რომ კუნძული ამ სახელწოდებით მონათ-

ლეს, ათასობით პტერონოდონი წარმოიშვა ხრიოკი ბორცვებიდან, ტილოზავრებით აქოთებულ თეთნულდის ზღვას თავზე გადაეკლო და ღმერთებზე ამხედრებული შავი დემონების ლაშქარივით მიაშურა ცარცისფერ მზეს.

— რამ შეაშფოთა საკუთარ კუნძულზე მფრინავი ხვლიკები? — უკვირს გურამს. — ისე აჩოჩქოლდნენ, თითქოს, მდულარე გადაასხესო.

— მაღლიდან არ ვიცი, დაბლიდან კი მართლა მდუღარე გოგირდის ბოლი ამოდის! — შენიშნა ვაჟამ.

— ო, ვაჟა! — უდასტურებს სერგო. — ჰეფესტოსის ურო ვფიცავ, მართალს ამბობ. ასე მგონია, კომბალა ნისკარტი დაჭერეს ვულკანის საფარველს და ქვეკნელმა ცეცხლის ღველფები ამოისროლა.

— აგერ, ბოლი მატულობს! — შფოთავს გურამი. — კუნძული ბურუსმა დაფარა.

— სიცხემ ცხოველები ჰაერში გარეკა, მათი მილიონობით კვერცხი კი ცხელ ქვიშაში იხრუკება! მეგობრებო, ჩვენ დედამიწის გიგანტური გარდაქმნების არეში ვიმყოფებით! — აღტაცებით და თან შეშფოთებით აფასებს შექმნილ ვითარებას სერგო.

— ვშიშობ, ასეთი პატივი სიცოცხლის ფასად არ დაგვიჯდეს! — დუდუნებს ვაჟა. — გოგირდწყალბადის სუნი ადამიანს კლავს...

— წავიდეთ, მეგობრებო! დედამიწისათვის ერთი და ორი დღე არაფერია. მალე ამ ძაბრიდან ამოსავალ ხვრელსაც მივაგნებთ, რათა ისევ ვიხილოთ ცა და ვარსკვლავები!

ოცდაათტონიანი „გედები“ და „ცოცხალი ტანკები“

— ვარსკვლავებისა რა მოგახსენო და ქვესკნელის „გედები“ კი ნამდვილად დაცურავენ კუპრის ტბაში, — ამ სიტყვებზე ვაჟა თანამგზავრებს ჩიბუხით უჩვენებს ჭაობს. საიდანაც რამდენიმე „გედის“ გიგანტური თავი აღმართულა, ბასრკბილებიანი პირი დაუღიათ და წამოზიდული შუბლის ძვალი ჯიღასავით ადგათ თავზე.

„გედის“ სიგრძე ოცდახუთ მეტრს უახლოვდება. ერთმა ჩაყვინთა, მეორემ კი თავი ამაყად ასწია და მიიხედ-მოიხედა — ხომ არაფერი მომხდარაო. თან წყალმცენარეებს დაუწყო ღეჭვა. ახლა მეორე წაეტანა, მაგრამ პირველმა თავში უკბინა, არც მეორემ დააყოვნა და ყრანტალით ჩაავლო ყელში ბასრი კბილები. ზედაიურული ჭანჭრობის წიაღში გაიმართა ბრძოლა წყალმცენარის ღეროსათვის. მესამე გოლიათი გულგრილად უყურებს თვისტომთა ორთაბრძოლას, ზანტად მიცურდა ნაპირზე, ზემოთ ამოვიდა და მწვანე მთების ფონზე გამოიკვეთა ბუმბერაზი „გედის“ შავი მოხაზულობა: მისი გრძელი კისერი, სიდიდით რომ უდიდეს მჯხრჩობელჯს არ ჩამოუვარდება, საოცრად ფართო გავა დ ბეჭი აქვს... მარტო ლავწის ძვლების სიგრძე ორ მეტრამდე იქნება.

— ნამდვილი მოსიარულე მთაგრეხილია! — თავის ქნევით ამბობს სოგრატი.

— ძალიან მოგწონს? — იცინის ვაჟა. — დავარქვათ შენი სახელი! ლათინურად ეს ასე იქნება: „სოგრატუს გადრანუს“.

სოგრატი საავდრო ღრუბელივით იღუშება:

— არა თქვა! სვანეთში ისედაც ათას მეტსახელს უგონებენ ვაგლახად ერთმანეთს, მეც „მეხვლიკეს“ მომაკერებენ, აღარ მომაშორებენ... მოკლედ, თუ კიდევ გაგიმეორებია...

— ნუ დავობთ, მეგობრებო, — იცინის სერგო. — გიგანტები, რომელთაც ეს-ესაა მეზოზოურ ემბაზში იბანავეს, უკვე მონათლულნი არიან: ესაა ბრაქიოზავრი, „ხელებიანი ხვლიკი“. მისი სიმაღლე თორმეტ მეტრამდეა.

— ო, მას თავისუფლად შეუძლია შეიხედოს მეოთხე სართულის სარკმელში! — ვარაუდობს ვაჟა.

ბრაქიოზავრი კი ზემოდან დასცქერის დაბლა მოფუსფუსე არსებებს და ფიქრობს: „საცოდავები! ნაადრევად გამოჩეკილან და ისე პატარები არიან, ჯერ მხოლოდ ორ-ორი ფეხი აქვთ!“

ადამიანები მზერით მიაცილებენ მოსეირნე ურჩხულებს. უეცრად ველზე ორი გორაკი ამოძრავდა.

— ტანკები! — შესძახა გურამმა. — მე კი ვფიქრობდი, მივირბენ, იმ გორაკიდან გავხედავ-მეთქი ჩვენს უფრთო გედებს!

— მართლაც, გორაკებია! — ჩიბუხს ბერტყავს ვაჟა.

— პალეონტოლოგი იტყოდა, სტეგოზავრებიო! — იცინის სერგო. — ზედაიურული დროის ეს საოცარი შეჯავშნული ხვლიკები ყოველმა მოწაფემ უნდა გამოიცნოს. ხომ ხედავთ ზურგზე ორ წყებად გაყოლებულ უზარმაზარ ძელის ფირფიტებს და წვრილი კუდის ბოლოში ორრიგადვე წამოზრდილ ადლიან ეკლებს? ეს მცენარის მჭამელი ცხრამეტრიანი შეჯავშნული გოლიათი ტანკზე მოუხეშავია და, რომ დასჭირდეს, ვერც კი გაიქცევა.

მეტისმეტი ჯავშანი ხშირად ტყუილად ამძიმებს პატრონს.

— სამაგიეროდ, ტვინი ამსუბუქებს! — შენიშნავს სერგო. — ამ უზარმაზარი გოლიათისათვის შეუფერებლად პატარა თავში რა ტვინი დაეტეოდა! ამიტომ მსხვილ ხერხემალში გადაუტანია ბუნებას ათჯერ მეტი დამატებითი მარაგი.

— დახეთ, ტვინი ამასაც კუდში ჰქონია! — იცინის სოგრატი. — ამ ქვეყანაში ყველაფერი უკულმაა, — და ის ზურგს აქცევს „ცოცხალ ტანკებს“.

— ნეტავ, რით გათავდება ბრაქიოზავრებისა და სტეგოზავრების შეხვედრა? — ამბობს გურამი.

— მე მგონია, მეზობლური ზავით. ხადავო მაგათ არაფერი აქვთ.

— მაშ, არც ისე უტვინოები ყოფილან! მეომარ გენერლებს ბევრ რამეში შეეძლოთ მათთვის მიებაძათ. რისთვის წყდებიან ხალხები?!

ზედაიურული დროის გოლიათები, მართლაც, არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ერთიმეორეს და გზას განაგრძობენ. ათიოდე წუთის შემდეგ „სტეგოზავრს“ ბუჩქებთან ჩასაფრებული ცერატოზავრი ესხმის თავს. ცერატოზავრი ექვსმეტრიანი მტაცებელი ხვლიკია, რომელსაც წინა ფეხები გადაგვარებული აქვს და ამიტომ უკანა ფეხებსა და კუდზე დგას, მოუხეშავ ყბებში ალმასივით კბილები უელავს. თავზე ამოსული პატარა რქის გამო მას ცერატოზავრი — რქოსანი მხეცი — ეწოდა.

ცერატოზავრი ორიოდე ნახტომით თავს გადაევლო შიშველთესლიანთა ბუჩქებს და საზარელი ყბებით ჩააფრინდა სტეგოზავრს. „ცოცხალი ტანკი“ არც შემობრუნებულა, მოწ-

ყველაფერ იქნევს მძლავრ კუდს და ბოლოზე წამოზრდილ ოთხ თითოადლიან ბასრ რქას მტაცებელს შიგ მუცელში უყრის. მუცელგაფატრული საბრალო ცერატოზავრი მწვანე „მოლზე“ მოცელილივით ეცემა.

— აი, თურმე რა დანიშნულება ჰქონია ურჩხულის კუდის სიმკაულებს! — ჩაილაპარაკა ვაჟამ.

ჰეროდოტეს ჰიანჰველები

...ქამთასვლას ჩამორჩენილი დღეებივით მიეხეტებიან უსასრულო გზაზე ადამიანები და არაფერი არ იცვლება, როგორც გურამმა უწოდა, ამ „გიგანტიზმით დაავადებულ სამეფოში“.

— ჩქარა წავიდეთ ამ შავეთიდან, თორემ ყორნების საჯიჯგნი გავხდებით! — ამბობს ყოველივეს ხილვით გულგადალეული სვანი.

კიდევ რამდენიმე დღე მიდიოდნენ თიხაკირიან ფერდობზე და არავითარი ხიფათი არ შეხვედრიათ, თუ არ ჩავთვლით ერთი მყრალი ტბის ნაპირზე მთვლემარე კუსთან შეხვედრას. კინაღამ ოთხივე გადასანსლა დამშეულმა გიგანტმა, მაგრამ ბედზე სვანურ „ლაჰვეჯას“ ტყვია შიგ ღია ხახაში მოახვედრა სოგრატმა და მეცნიერები „კიდევ ერთხელ იხსნა წმინდა შალიანიმ“.

მიწისქვეშეთში თანდათან იკლო ძველი სახეობის ცხოველებმა, სამაგიეროდ ხვდებოდა ახალი; მეტადრე მოსვენება დაუკარგეს პითონისნაირმა ზარდამცემმა ქვეწარმავლებმა.

— ეპოქა იცვლება! აქ სხვა ჰაეაა, სხვა გარემო, სხვა მცენარეები და ცხოველები. ნიანგები, გველები, კუ და პატარა ხვლიკები ჯერ კიდევ გვხვდებიან, მაგრამ გიგანტები აღარ ჩანან. ეპოქა იცვლება, წინამძღოლო! — შესძახა თავისი აღმოჩენით გახარებულმა გურამმა.

— განა მარტო ეპოქა, თვით გეოლოგიური ხანაც და ნალექებიც, ჩემო გურამ! ჩვენ, ალბათ, უკვე ცარცულ პერიოდში გადავედით, მერე კი შევალთ კაინოზოურ ერაში, სადაც შენ და სოგრატს ფინოზავრები გულს აღარ აგირევენ... სამაგიე-

როდ იქნებიან უფრო საზარელი და საშიში მტაცებლები... მაგრამ, აი, კიდევ ერთი „ზავერი"! სოგრატ, გაიხსენე, ასეთი ხარი თუ გინახავს ოდესმე მთაში? — და სერგო ხელს იშვერს გორაკებს შორის გამოჯგიმული საოცარი ქვეწარმავლისაკენ, რომელიც თავისი ჯიუტი მზერითა და საოცარი გარეგნობით ადამიანს ერთდროულად შიშსა და სიცილს ჰგვრის.

— მართლაც, რა სულიერია, ნაჯოგარი ხარივით რომ ვალაღებულა? — იცინის სოგრატი.

— რქოსან ხვლიკებს დავარქმევდი, თუმცა უკვე ვნახეთ ის... ცერატო...

— ცერატოზავრი! ყოჩაღ სოგრატ! პალეონტოლოგად გამოდგები! ამ მხეცსაც, დაახლოებით, ასე უწოდეს მეცნიერებმა, „ტრიცერატოპსი", სამრქოსანი! ზედა ცარცულის ქვეწარმავალია.

— რა ქვეწარმავლები! შეშლიათ მეცნიერებს! დედამიწაზე ძლივს ეტევიან.

— მაინც რარიგად ჰგვანან სურათებზე გამოხატულ არსებებს!

— ეს მეცნიერთა დიდებაა! — ამაყად ამბობს სერგო. — ცოდნა, ნამარხი ყბა და ფანტაზია — აი, სამი რამ, რითაც შემოქმედის გონება წელთაღრიცხვამდე დაფარულ სინამდვილეს აღადგენს. თუ გახსოვს, კუვიე თურმე თავისი ღრმა ცოდნის წყალობით ერთი ძვლის ნატეხის მიხედვით არკვევდა მთელი ორგანიზმის ფორმას!

ტრიცერატოპსი დიდხანს ჯიუტად შესცქერის მისთვის უცხო არსებებს, თითქოს ფიქრობს, ღირს თუ არა მათთვის თავის შეწუხებაო: მერე, ეეგონებოდათ, მუხის ჯირკი მომართესო. კისრის დაკბილული ძვლის ფარის ნელი რხევით გამოხოხდა ეს გიგანტი ბალახისმჭამელი ხვლიკი. არც ერთი გაბედული ტორეადორი არ ისურვებდა ამ ხარისრქებიან და ჭოტისნისკარტიან ტოროსთან შეხლას.

მოგზაურები გორაკს ეფარებიან და ფეხაკრეფით შორდებიან ტრიცერატოპსის სამეფოს, მასთან ერთად „ცარცულის მიჯნად" წოდებულ ქედსაც და მდინარის ხეობაში ჩადიან.

აქ გაბედულ მაძიებელთა ცხოვრებაში ჭიანჭველები იჭრებიან: საიდან? ცარცული ასაკის ნალექებიდან ხომ სულაც

არ არის ცნობილი მწერები! ასეა თუ იმე, ორი გეოლოგიური ეპოქის მიჯნაზე გამოჩნდნენ მოუხელთებელი მეომრები — კუპრივით შავი და აფთარივით შეუპოვარი ექვსფეხა რაინდები, სწორედ ისეთები, რომლებზედაც ჰეროდოტე ამბობდა: მელაზე დიდრონები იყვნენ და ინდოეთში ოქროს მადანს თხრიდნენო.

პირველად ჭიანჭველები სოგრატმა შენიშნა. დიპლოდოკოთამქლეტი, როგორც გურამმა უწოდა, თვალების ფშვნეტით ბიუბრუნდა სერგოს:

— გაიხედე. იმ გორაკზე ქაჯები ირევიან. ამას რას ვხედავ!

— ჭიანჭველები არ გინახავს?

— ჭიანჭველების მეტი რა მინახავს, მაგრამ რაც მინახავს, იმ სიდიდისა მინახავს, რამდენიც ჭიანჭველას შეეფერება და არსად არ შემხვედრია ძაღლისოდენა ჭიანჭველა, რომელიც ბელტებს ატრიალებს.

— მე მხოლოდ ორს ვხედავ... მზვერავებია! უნდა გავეცალოთ, — და გარბიან.

— ცეცხლი! — ბრძანა სერგომ. — გაამზადეთ მაშხალები!

ექვსფეხა რაინდები პირველად ხედავენ ცეცხლს და უკან იხევენ ცეცხლის რკალიდან, რაც მოგზაურების გარშემო ჩნდება, მაგრამ, აი, ერთი გაშმაგებული მწერი ცეცხლს არ ეპუება და ჯორს უტევს. ჯორი ტლინკების ცემით იგერიებს მას. მეორე ჭიანჭველა პირდაპირ სოგრატს ეტაკა. სოგრატი ხანჯლით უპობს შეჯავშნულ თავს, მაგრამ ჭიანჭველამ მოასწრო მკლავში ბასრი ყბების ჩავლება. დანარჩენები ცეცხლში ხტებიან და წინ მოიწევენ.

ადამიანები ტბისაკენ იხევენ და წყალში ჩადიან. ჭიანჭველებისათვის წყალი დიდ დაბრკოლებას არ წარმოადგენს. ისინი რომელიღაც მცენარის ფოთლებს მოათრევენ, წყალში აგდებენ, ზედ ხტებიან და მწვანე ტივებს ერთმანეთის დახმარებით წინ მიერეკებიან.

„ნუთუ ამ ცარცის გორაკებში დავიღუპებით?“ — გაუელვა თავში სერგოს. მაგრამ ანაზდად უცნაური შხუილი და ში-

შინი გაისმის, მდუღარე წყლის ჭაელი ჭიანჭველებს ერთიანად ფუფქავს და ფანტავს.

— უკან, მდინარისაკენ! — ისმის უხილავი კაცის ხმა. მოგზაურები ანგარიშმიუცემლად ემორჩილებიან ამ ხმას და უკან ისევენ ერთადერთი გზით, რაც ჯერ კიდევ არ შეუკრავთ ექვსფეხა ავაზაკებს.

სამარცხვინო და უაზრო სიკვდილს გადარჩენილი მოგზაურები ამაოდ დაეძებენ უჩინარ მხსნელს, რათა მადლობა გადაუხადონ. ისევ გაუჩინარდა „უნივერსალი“.

სოგრატი ჭრილობიდან ნაწილ-ნაწილ იღებს ჭიანჭველას ნესტარს და თან ბუტბუტებს: თუ თქვენს ღღიურებში ჩემს ტანჯვას არ შეიტანთ, მეს არავითარი ღირებულება არ ექნებაო.

როგორ იღუპებოდნენ ბრონტოზავრები

მძიმე და მომქანცველია ქვესკნელის გზა. ადამიანს მუხლი აღარ მოსდევს. სანოვაგე თითქმის გამოელიათ. უსარგებლო ჯოჯოების გარდა, არც ერთი სულდგმული აღარ ჭაჭანებს გარშემო. გაქრა წიწილიანი ხის ნაყოფი, რითაც შიმშილს იკლავდნენ, შორს კი ასკუზიანი აქლემივით გაწოლილა ვულკანური მთაგრეხილი. მიწვებიან მოქანცულები და ძილშიც საშინელ სიზმრებს ხედავენ. კოშმარული სიზმრით გულგახეთქილი ვაჟა დილით დაღრეჩილი მოუთხრობს მეგობრებს:

— ვითომ ჭაბურღილიდან ამოვძვერი და სახლის გზა ვეღარ გავიგენი. ნათურქალს ჰგავდა მიწა. ულაბნოდ ქცეულიყო მშვენიერი ველები. გადარუჯულიყო მწვანე იალაღები და მხუთავი ბოლი ამოდიოდა დამსკდარი მიწის ნაპრალებიდან. შიშმა ამიტანა. ქვესკნელიც წალკოტად მეჩვენებოდა იმასთან შედარებით, რაც მშობლიურ დედამიწაზე ვნახე. ცეცხლს აღეგავა დედამიწაზე სიცოცხლე და გაუმაძღარ ხახაში გადაეშვა. საშინლად დავიკვნესე და გამომეღვიძა.

— მართლაც, შემაძრწუნებელი სიზმარია! — ამბობს სერგო და სიერცეს გასცქერის. — ბნელეთის ძალები დაღუპვას უქადიან იმას, რაც ადამიანის გენიას კაცობრიობის საკეთილ-

დღეოდ შეუქმნია... მაგრამ თავი ნუ ჩაჰკიდეთ, ყმაწვილები! ბნელი ღრუბელი მრავალჯერ ჩამოსწოლია დედამიწას... სიზმარი სიზმარია. ასეთი რამ შეუძლებელია: უბრალოდ, ნებისყოფამ გიმტყუნათ. წამოდექით! ნათქვამია, კარგი წყარო გვალვაში გამოიცდება, კარგი ყმა — გაჭირვებაშიო... გამიგეთ?

დარცხვენილებმა თავი ჩაჰკიდეს.

საღამოს დაქანცული სერგო, ვაჟა და სოგრატი ისევ ძილს ეძლევიან, გურამი კი თავის პოეტურ დღიურს ავსებს:

„...და მიდიოდნენ ბრონტოზავრების ბილიკებით მეცნიერების რაინდები. მათი ყოველი ნაბიჯი უდრიდა ათას წელს, ამიტომ გაცვდა მათი ფეხსაცმელი და სოგრატი „ბრონტოზავრის ტყავისაგან უკერავდა მეცნიერებს გამძლე ქალამნებს". ასე განაგრძობდნენ გზას, უკან ტოვებდნენ ეპოქებს, პერიოდებს, ნალექებს და მთაგრეხილებად დამდგარ ურჩხულთა ძვლებს. ჰორიზონტზე აიმართა შიშშილის ლანდი..."

გზას დასასრული არ უჩანს: ადამიანები წყურვილით იხრჩობიან, გაჭირვებით მიათრევენ დაოსებულ ფეხებს და იგონებენ იმ დროს, როცა წყალი ჰქონდათ.

ვაჟა წელში მოხრილა, მიწას დასცქერის.

— ბრონტოზავრი! — შესძახა აღტაცებით.

— ხომ არ გაგიჟდი!

— გავგიჟდი კი არა, გადარჩენილი ვართ! შეხედე ბრონტოზავრი!

— მერე, ჩვენს გასაჭირს ახლა ბრონტოზავრი უშველის?

— უშველის! სადაც ბრონტოზავრია, იქ წყალიცაა! ეს კი მთავარია.

ოცდოდ წუთიც და ექსპედიცია ანკარა წყაროს პირას დაბანაკდა. წყარო ტბიდან გამოდის, ტბაში ბრონტოზავრია. გაოცებული შესცქერის პაწია არსებებს და ებრალება, ადრე გამოჩეკილანო.

ტბის სარკეში აზიდულ ნისლის ფონზე ყოვლად უმწეოდ გამოიყურება ეს მოძრავი ხორცის მთა და ადამიანების ხილვით გაოგნებული ვერ ხედავს, რა საფრთხე დასტრიალებს თავს. რომელიღაც ყვავისოდენა ბასრკბილებიანი მფრინავი ხვლიკი ფართხალით ეშვება პირდაპირ მის თავზე და კომბალივით მსხვილ ნისკარტს უბრახუნებს.

— ვესვრი! — ამბობს სოგრატი.

— აცალე! ჩვენ არ ვერევით ზავრიტანიის საშინაო საქმეებში, — იცინის სერგო. — დაკვირვება უწინარეს ყოვლისა!

მფრინავი ხვლიკი თავის ქალაზე გადაკრულ ტყავს გლეჯს. ბრონტოზავრი თავს ტბაში ყოფს, მტაცებელი ჰაერში ფარფატებს, ვიდრე მისი მსხვერპლი წყლიდან თავს ისევ ამოყოფს, მაშინვე ისევ ბრაგუნს უწყებს და ასე გრძელდება, ვიდრე ეს გაბრუებული კოლოსი მთელი თავისი სიმძიმით ტბაში არ ეცემა. ხვლიკი გაფრინდა. ტბაზე ნისლი წვება.

ღამდება. აღარსად ჩანს ცა და ვარსკვლავები.

ზავი ქალაქის მისადგომებთან

— გამიგონე, სერგო, როგორც ჩემს ძმაკაცს, ისე გეუბნები. შენ მეცნიერი კაცი ხარ და ჩემი წონა ცოდნა ერთ ფრჩხილში გაქვს, მაგრამ ცოტა მეც დამიჯერე. რას ვარგებთ მეცნიერებას, თუ ყველანი ამ ხვრელში დავიხოცებით? მხეცებს გადავრჩით, მაგრამ შიმშილისაგან როგორ ვიხსნათ თავი? ასკილის ყვავილობაა, საჭმელი გაწყდა, მე კი ძაღლივით მშია. მოდი, დავბრუნდეთ უკან?

— რას ამბობ, სოგრატ, გზას მიგრძელებ? სადაცაა შინ მივალთ, შენ კი...

— ჭიანჭველები! — შესძახა უცებ გურამმა, მაგრამ ერჩია ეთქვა: „ლომებიო!“ სოგრატმა ხანჯალი იშიშვლა.

თითქოს ამირანი დატრიალდა არაბთა ლაშქარში!

მაგრამ რა უაზრო ბრძოლაა! არასოდეს არ ყოფილა ასე ახლოს ჩვენს მოგზაურებთან ულმობელი სიკვდილი.

უეცრად ქვიშის ბორცვებთან რაღაც მოხდა. მოახლოებული შავი ლაშქარი შედგა, შეირყა, აფუსფუსდა და ერთბაშად უკან გაბრუნდა.

ჰოი, სასწაულო! რა უნდა მომხდარიყო ისეთი, რომ გამძვინვარებული ლაშქარი ერთბაშად უკუქცა? თურმე ჭიანჭველების ქალაქში დიპლოდოკი გამოჩნდა. დიდი შავი ქალაქის მცველებმა მოიერიშე ლაშქარს ზარდამცემი ცნობა მოუტა-

ნეს. ეს-ეთ წუთში ბრძოლის ველზე არ დარჩენილა არც ერთი ჭიანჭველა, დაჭრილები თუ არ ჩავთვლით.

დიპლოდოკი, ეს ჩვენი ნაცნობი სულელი ბუმბერაზი, მთელი თავისი სიმძიმით თელავს შავ ქალაქს და პაწია ტვინით იმასაც ვერ ხვდება, რა საშინელ საფრთხეში იგდებს თავს.

აი, მის სვეტებად დამდგარ ფეხებზე და ხიდივით გაწვდილ კუდზე უკვე მიცოცავენ პირველი რაზმები, დიპლოდოკი შეირყა, გრძელი კისერი მოღუნა და მძლავრი ყბებით გაჟყლიტა ჭიანჭველა, ბეჭთან რომ კბენდა. თუმცა ახლა მაინ ათობით, ასობით, ათასობით ჭიანჭველა კბენს. გოლიათი ხვნეშის, იგრიხება, მუსლებზე იჩოქებს, აქეთ-იქით აწყდება, მაგრამ ამაოდ. გაქცევის ნაცვლად უმწეო გრეხვით იქანცება, ეცემა, იწყებს გორაობას და წაქცეული უთვალავ ძაღლისტოლა მწერს თელავს, მაგრამ თვითონაც უკვე ისეა დაკბენილი, რომ მისი ყოველი კუნთი თანდათან დუნდება... გოლიათმა იხსნა ადამიანები, მაგრამ თვითონ გმირულ ბრძოლაში დაეცა.

— ჩქარა, გავეცალოთ აქაურობას, ვიდრე გვიან არ არის! — ბრძანა სერგომ.

ურჩხულების სამარხი

საღამო ხანია. ისედაც მილეულ მზეს შავი ღრუბელი სუდარასავით ეფარება. ახლა მხოლოდ ჩონჩხები ანათებენ ულიმღამო მხარეს. მოგზაურები კირქვის ღარტაფებს შორის ბანაკდებიან.

ნისლი ჩამოწვა და უეცრად მიწა იძრა. პიტალო კლდეს რამდენიმე ლოდი მოსწყდა და გრუხუნ-გრიალით დაინთქა უფსკრულში. ხმაურით შეშფოთებული მოგზაურები ზეწამოიჭრნენ და ერთადერთი ვიწრო გასასვლელით უკან დაიხიეს, მაგრამ გზა გადაკეტილია. გიგანტური პითონი შემოხვეულა ტრიცერატოპსის მაჯლაჯუნასავით მოუხვეია სხეულს, საშინელი პირი დაუღია და ცდილობს საფეთქელში უკბინოს. ხვლიკი-მარტორქა კი საზარელი ხმით ხრიალებს, ნისკარტივით მოკაუჭებული პირი დაუღია და ამაოდ აქნევს ძვლის ფარით შეჯავშნულ ორმეტრიან თავ-კისერს.

— რა უმწეოა ეს რქოსანი გიგანტი! — მღელვარებას ვერ ფარავს სერგო.

— ტრიცერატოპსი ხომ სამრქოსანს ნიშნავს? მესამე რქას კი ვერ ვხედავ.

— თვალს ზემოთ დააკვირდი, პირდაპირ ძირში აქვს მოტეხილი. ეტყობა, რომელიღაც ბრძოლაში დაუკარგავს. მაშინ გადარჩენილა, მაგრამ საბრალო გიგანტის საქმე ახლა კი წასულია.

სიგრატი „ჩრდილოამერიკული ხელიკის" და პითონის ორთაბრძოლას შესცქერის. ჯავაშანთა ტკაცუნის ხმა აძრწუნებს ხაფანგში მოხვედრილ ადამიანებს.

მიწა ისევ იძვრის. ლოდები გრიალით ეშვება უფსკრულში და კლდის ნაპრალებიდან რაღაც მხუთავი ბოლი ამოდის. ჰაერში ყორანივით ჩხავის რვამეტრიანი „უკბილო ფრთოსანი" პტეროდონი, ეს დახავსებული დემონი, რომელიც გადაშენების გზით მიფართხალებს.

სერგო გამოსავალს ეძებს. სად შეიძლება თავი შეაფაროს? წინ სიკვდილია, უკან — პითონი, ძირს — უფსკრული.

გურამი პითონის მოკვლას მოითხოვს, სერგო მოცდას არჩევს.

— ხალხო! ერთი იქით გაიხედეთ, — ფილოსოფური იერით მიმართავს ვაჟა თანამგზავრებს და ხელს იშვერს აღმოსავლეთისაკენ. გაიხედეს და... თავზარი დაეცათ. ერთადერთი გზით, საიდანაც მხოლოდ ლოდების საფრთხე ემუქრებოდათ, ახლა უწესრიგოდ გამორბოდა უთვალავი ბრონტოზავრი, დიპლოდოკი, ნიანგი, ცერატოზავრი, იგუანოდონი, ტირანოზავრი, უამრავი დიდი თუ პატარა ქვეწარმავალი, დაწყებული გომბეშოსმაგვარი ჯოჯოებით და გათავებული ორმოცტონიანი ატლანტოზავრით.

— ურჩხულთა ამბოხებაა! — გახუმრებას ცდილობს სერგო, რათა რამდენადმე შეარბილოს საფრთხის სერიოზულობა. — რაღაც საშინელ განსაცდელს დაუძრავს ადგილიდან ზავრიტანიის ბინადარნი. შეხედე, გურამ, მე მაოცებს მათი სახესხვაობა. ყველაზე წინ რომ გამორბის, მძლავრი უკანა ფეხები მამონტისას უგავს, სუსტი წინა კიდურებით კი საკუთარ პირსაც ვერა სწვდება. ეს, თუ არ ვცდები, ტირანოზავ-

რია — „მკვლელი ხვლიკი". სწორედ ასაა! ხახუ, ოთხმეტრიანი ნახტომებით გამორბის. ეს დინოზავრების ჯგუფის ყველაზე დიდი და საშიშარი ნტაცებელია, როგორიც კი ოდესმე დედამიწაზე არსებულა. მისი კლდესავით მკვრივი, ოთხწუტმეტრიანი სხეული ბიწას ამძიმებს, ფოლადივით მტრელი კბილებით ემუქრება ყველას და ყველაფერს. მისი ერთი გაღმოჩენა თავზარსა სცემს იურული დროის ყველა ბინადარს, მაგრამ ახლა ამ პერიოდის ნამდვილი ტირანი არავის ერჩის, თვითონ გაურბის რაღაც უფრო ძლიერ ძალას. „ასეთმა მოუვა ყველა მოძალადეს! — ხარობს გურამი. — მაგრამ რა ძალამ გადააშენა ეს ძალუმი ბუმბერაზები?"

არც სხვა ქვეწარმავლები იკბინებიან. საფრთხემ დააძმობილა ჩაგრული და მჩაგვრელი. ტანკივით მიხოხავს ტრიცერატოპსის ნათესავი სტირაკოზავრი, ირმისებრი „ქორბუდა" რქებითა და მახინჯი დრუნჩით ყველას აოცებს.

— ასეთი გრანდიოზული სანახაობის შემდეგ არც სიცოცხლისათვის იწუწუნებდა კაცი! — ამბობს აღტაცებული სერგო. — მე საკუთარი თვალით ვხედავ გარდასული ეპოქებია ხორცშესხმულ ჩონჩხებსა და ამოძრავებულ კოლოსებს. მაგონდება ევროპის ხალხთა გოდება, გალების შემოსევისას რომ გაისმა: „მოდიან! მოდიან! ვინ დაუდგება მათს შეჯავშნულ ფოლადის მკერდს!" აი, მოდიან ზავრიტანიის ლეგიონები... მხოლოდ პერმული დროის დინოცეფალი და გორგოზავრი აკლიათ! მე მაგონდება მიუნხენის პანიკა, რაც შეშინებულმა სპილოებმა გამოიწვიეს...

— აქ ყველა გაგიჟებულია. ჩემი აზრით, ეს ან საკვების ნაკლებობის შედეგია, ან რაღაც კატასტროფას მოელიან ტვინთხელი გიგანტები...

— ორივე შემთხვევაში შეუძლიათ ისე გადაგვთელონ, როგორც პიროსის სპილოებმა გადათელეს რომის ლეგიონები, — შენიშნავს ვაჟა.

რეპტილიები კი, რომელთაც პიროსის სპილოები მუხლებამდე ვერ შესწვდებოდათ, მართლაც, გიჟურად მოტორტმანებენ. აქეთ კი პითონი უკვე იმორჩილებს რქოსან გიგანტს, გზა ჩაუკეტავს და კლდეს თავშეფარებული მოგზაურები ელი-

ან სასწაულს. სოგრატი „დიდ ღმერთებს“ პოუხმობს, ძაგრეს ღმერთების ნაცვლად ღვართქაფი მოდის.

ანაზდად ცამ იქუხა, მიწა იძრა და მოსკდა არნახული წვიმა. სივრცეს პირი შეუკრავს. ცა და მიწა ერთიან ქაოსად ქცეულა და მთის კალთებიდან მოხეთქილი ნიაღვარი გაუმაძღარ უფსკრულებში გრუხუნ-გრიალით ინთქმება. საზარელ გუგუნში კლდე ორად იპობა... ჩამორღვეული ლოდების მთა „ტიტანთა ხეობაში“ წვება.

მიწა იძვრის. ნაპრალები გმინავენ.

— წარღვნა იწყება! — ყვირის გურამი და თავისი ხმა თვითონვე არ ესმის.

ნისლისა და ღვარის მძიმე საფარველში მოგზაურები უფრო გრძნობენ, ვიდრე ხედავენ, როგორ ჩამოწვა უზარმაზარი მეწყერი, ცოცხალი და არაცოცხალი სამყარო გამდნარ ტყვიასავით ატორტმანდა, დაიძრა და ცხოველთა არაჩვეულებრივი ხროვა მიწა-კირის ათასტონიან მასასთან ერთად პირღია უფსკრულში ჩამარხა. მთის ქანებისა და რეპტილიების რიოშმა უფსკრული ამოავსო და მეზოზოური ერის უკანასკნელი გოლიათების სამარხი საუკუნო ღუმილმა მოიცვა.

თვით პითონი წყვეტს ბრძოლას და ნაკადს მიჰყვება. გზაზე რჩება ტრიცერატოპსის ჯერ კიდევ მფეთქავი სხეული.

ღვართქაფი არ წყდება. ნამეხარი მიწა გმინავს, ქვესკნელის სამეფოს ბინდი ჩამოსწოლია.

სად არიან მოგზაურები? იქვე, კლდის კედელთან. „მომყევით!“ — მოესმათ ანდრესის ნაცნობი ხმა. ლოდებს შორის მიკუნჭულები უჩინარ ხელს დოლომიტის დიდ გამოქვაბულში შეჰყავს. მრუმე თაღების ქვეშ საოცნებო ცეცხლი გიზგიზებს. მალე ანდრესმა იდუმალი ხმით დაიწყო:

— ამ გამოქვაბულს შემთხვევით წავაწყდი ერთი კვირის წინ და წინაპართა სავანე ვუწოდე, რადგან ადამიანის ნაკვალევი შევნიშნე.

— ისევ ნაკვალევი! — შესძახა ვაკამ. — მე უკვე მეშინია ყველა ნაკვალევისა... ყველა ნაკვალევი ქვესკნელში ჩადის-მეთქი, მგონია...

— დამშვიდდით, მეგობარო! ზოგი ნაკვალევი დედამიწაზეც ადის. ჩვენ საკვირველი კამარა შევკერით დროში... თითქოს

ბეიკუნშა ქვესკნელის ძაბრი და ზედაპირზე ამოგვაგდო... მოსალოდნელია ადამიანებთან შეხვედრა... ცხადია, მათ ტანი ევროპული კოსტიუმით არ ექნებათ შემოსილი, ალბათ, არც საპარსი შენიბია მათ სახეს... მით უფრო ფრთხილად უნდა ვიყოთ...

— აქ რა გზით შემოაღწიეთ, ამ მიწისქვეშა სამხეცეში? — ეკითხება ოდიშელი.

— სრუტით, — მოკლედ მოუჭრა ანდრესმა. „ამ მაშვრალსა და ათას განსაცდელში გამოვლილ ადამიანს ტიტანთა ნებისყოფა დაჰყოლიაო", — ფიქრობს სერგო და ეკითხება:

— სრუტით?

— ჰო, სრუტით. თუმცა, ჩემს „უნივერსალს" ფრენითაც ასეთივე წარმატებით შეეძლო აქ შემოსვლა. თქვენ, გეოლოგებს, არ უნდა გაგიკვირდეთ, თუ გეტყვით, რომ შავი და კასპიის ზღვების ოდესღაც გაერთიანებულ წყალთა დაშრეტის შემდეგ დარჩა მცირე სრუტე, რაც კავკასიონის ქედის სიღრმეში გადის მარადიული წყვდიადით მოცული არხის სახით. ტეთისის, ანუ ძველი ხმელთაშუა ზღვის თანდათანობით დანაწევრების შემდეგ, როგორც ცნობილია, გამოიყო ახლანდელი შავი ზღვა — კასპიის ზღვის აუზი. ეს უზარმაზარი წყალსაცავი ნეოგენის მონაკვეთში ძირითადად დამოუკიდებლად ვითარდებოდა და ზოგიერთ ისტორიულ შუალედში კავშირს აბამდა ცენტრალურ ევროპაში არსებულ ზღვასთან ან დღევანდელი ხმელთაშუა ზღვის აუზთან.

— ეს ცნობილია, — სიტყვას ართმევს სერგო. — ზედა მიოცენის წინა ხანებში, ზედა სარმატულ დროში, როცა ძირულის მასივის ამოწევამ შავი და კასპიის ზღვები ამიერკავკასიაში გაყო, ჩრდილოეთ კავკასიაში ისინი ჯერ კიდევ გაერთიანებული იყვნენ. ქვედა პლიოცენის დასასრულს შავი და კასპიის ზღვები ჩრდილოეთ კავკასიის მხრიდანაც გაიყო, მაგრამ კასპიის ზღვა, როგორც ფიქრობენ, სრუტით უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ან ჩრდილოეთის აუზთან, ან, პირიქით, სამხრეთის ზღვებთან, ირანის მხრიდან.

— ორივე ჰიპოთეზაა, მაგრამ მეორე ვარაუდი სწორი აღმოჩნდა, — ღიმილით იბრუნებს სიტყვას კაპიტანი. — თქვენ უკვე დაამტკიცეთ, რომ თქვენს გაოცებას ჩემი აქ გამოჩე-

ბის გამო საფუძვლად უკიცობა არ უდევს, მაგრამ პრაქტიკულად თქვენთვის, მეცნიერებისათვის, მაინც უცნობია, რომ მიწის სიღრმეში დარჩა ვიწრო უბე, რაც კასპიის ზღვიდან „ბინერალურ წყლებამდე" გადის. ახლა, როცა ქვესკნელის კატასტროფაა მოსალოდნელი, ეს სრუტეც ისე მღელვარებს, როგორც სისხლი ატერიაში ინფარქტის წინ... უნდა ვიპოვოთ რაიმე გასასვლელი. ჩემი ვარაუდით ასეთი გასასვლელი არსებობს. ამიტომ ახლა მე ვსწავლობ მდინარეების ხასიათს, რადგან უკანდასახევი გზა მოკრილი გვაქვს.

— ვხედავ, თქვენც ისეთივე უნივერსალური ყოფილხართ, როგორც თქვენი ქმნილება! — ვერ შეიკავა თავი კარგარეთელმა.

— გვადლობთ, მაგრამ ახლა კომპლიმენტების დრო აღარაა! უნდა ვიჩქაროთ... თქვენ რომ არა, ალბათ, აქედან უკვე გასულიც ვიქნებოდი... ბედზე შეგნიშნეთ და გამოგყევით, რადგან ვიცოდი, დაგჭირდებოდით... ნუ მეუბნებით მადლობას, გასაკვირი როდია, რომ ადამიანმა ადამიანური ვალი მოიხადოს... დაელოდეთ გამოდარებას და წყალგამყოფი ქედის გაღმა გადით, იქ სხვა სამყაროა... მაპატიეთ, „უნივერსალი" შელოდება ცისფერი მდინარის პირას! — თქვა ეს და მოგზაურებს წინ მოზრდილი ყუთი დაუდო, თვითონ კი გაუჩინარდა.

„მდინარის პირასო!" — ამბობს ფიქრის შემდეგ სერგო. — მაგრამ მე მაინც ვერ გამიგია, ეს „უნივერსალი" ნავია თუ ავტომობილი.

— უნივერსალი არის უნივერსალი! — დაასკვნა ვაჟამ და ამით ყველაფერი თქვა.

მიწიქვეშეთის გამოქვაბულში მოგზაურები ისე შეეხარიან ცეცხლს, თითქოს აქ მათი კერა იყოს. სადაც ცეცხლია, იქ სიცოცხლეა.

ღამე ჩამოწვა.

დუმილს მოუცავს ტიტანების ხეობა.

სერგო სურსათით სავსე ყუთის გახსნას იწყებს.

— კიდევ ერთი ასეთი შეტევა და ზავრიტანიას კატასტროფა მოელის! — ამბობს იგი და სიტყვები ბაგეზე ეყინება...

„გველეშაპის გვირაბის" სიღრმეში ადამიანის ხარხარი ის-

მის. თუ შეგიძლიათ ს

სარჩევი

ავტორისაგან

ზღაპრები და მოთხრობები

ფეტკრის ზღაპარი 7
დეკის თვალი 12
პუმბერაზის სათვალე 18
ალმი ძმა 23
შავი ყვავილი 26
ალანძურის უძვირფასესი თვალი 29
ცის ჩამოქცევა 35
„ჰაიტ!" 39
ზარმაცას თავგადასავალი 42
ზხატვარი მელა 46
რანკეს სარკე 53
ჯადოსნური ხალიჩა 58
ბრძენი ფინეზი 64
ოთხი ხელოვანი 66
მერეე ენა 72
მზეკაბუკი და გოლიათი 75
პატარა ლეოს ნატვრისთვალი 79
ციყვის სტუმრები 85
ბრძენი ქატა 86
ქატამ თაფლი თავი შეახრამუნა 89
ყურდღელი და ორი მგელი 90
სიკვდილის ჯაჭვი 91
ხალხის დროშა 94
ხალხის გმირები 97
ოქროს ვარსკვლავი 100
უჩინარი და უსინათლო 105
ასპიტის მასპინძლობა 106
მწუხრის სალამი 108

იგავ-არაკები

ფუჭად მაშვრალი 113
ბუ და კაჭკაჭი 113
მერანი და ტურა 114
ვირი და ეზოპე 114
ბუზი და არწივი 114
კუ და არწივი 115
ბედაური და აქლემი 115
ტურა და მერცხალი 115
ბუ და ბულბული 116
გამოენებელნი ღამისა 116
წიწაკა და საზამთრო 116
აფთრის მუსიკა 117
ირემი და ლოკოკინა 117
ლომი და აქლემი 118
მეოცნებეები 118
მუხა და ყვავი 118

მწვერვალები და გორაკები 119
გლეხაკი და ღვარძლა 119
აე და წივწივა 119
შურიანი, უვიცი და ზარმაცი 119
დამსახურებული სასჯელი 120
კუ ხანძარში 120
კურდღელი და ბეღურა 121
ლომი და აფთარი 121
მწყემსი და მგზავრი 121
კუ და კურდღელი 122
ეზოპე და სახედარი 122
ბოროტი მეგობრები 122
არწივი და ლოკოკინა 123
არწივი და თხუნელა 123
კურდღლის გაგებით 124
ულირსი მწყემსი 124
ბეღურა და მერცხლები 124
ოხის ქკუა 125
სუმბული და ცირცელი 126
მატყუარა კურდღელი 126
მაშვრალი მონადირე 127
კურდღელი, მელია და ეშმა 127
მგელი და ბუ 128
ტურა და ლომი 128
ლომი და მაიმუნი 129
ხელელი საშოვარზე 129
სიმაღლეები 130
როდემდის იმოქრეზოდესო? 130
ჩხიკვი — მსაჯული 131
ლომი და წრეწუნა 131
ცხენი და ნურბელები 131
მშენებელი და მჩხრეკელი 132
მელია და მეიგავე 132
მგელი და ცხვარი 133
ფინია და მთვარე 133
ოინია და მდინარე 134
ზარმაცის ხვედრი 134
ლომი და ეშვა 134
სპილო და მაიმუნი 134
ტურა-ლომის გვირგვინით **135**
ოემეულენგის განაჩენი 135
ყაკლისხე და ნეკერჩხალი 135
ფუტკარი და ხოკო 136
ვირის ლომობა 136
ვირის სიამაყე 137
ტურის რაობა 137
ვეფხვი და კურდღელი 138
ლომი და მელაკუდა 138
ვირის ქკუით 138
სპილო და კურდღელი 139
გორაკი და მწვერვალი 139
კუ და აქლემი 139
ჯაშუშის ხვედრი 140

ფაროვი და კურდღელი 140
ლომი, ქურციკი და ბაყაყი 141
ბუს სიბრძნე 141
ნიანგი და ნიამორი 142
არწივი და ყორნები 142
ოსირისი, ნიანგი და კაცობრიობა . . 143
ცხვარი 143
ბრძენი და ლომი 143
ლომი და თხუნელა 144
ვირი და ფილოსოფოსი 144
ენდო მფარველი 144
მგელი და ირემი 145
ერთი არწივის ბედი 145
ჯოხიანი კაცის იგავი 146
აჩქარებული მსაჯულები 146
კუ და არწივი 146
ლომი და ტურა 147
სპილოს მეტოქეები 147
მელიას სიყვარული 147
ცხენი ხრამში 148
ყოლო და არწივი 148
ლომი და ტურა-უმადური 148
თხის ნიჭი 149
ნადირთა მსჯავრი 149
კურდღელი და ლომი 150
სიმრავლითა შენითა 150
ჭოტი და მტრედი 151
შეღლის შედეგი 152
მარგალიტების ბედი 152
ნაკადული და მდინარე 153
ტყის კანონი 153
ბებერი ლომი და ტურა 153
დაღუპული ლომი და ნადირთა ხროვა . . 154
სამეფო ირმები და ჭრელი აფთრები . . 155
ღორის ჭკუა 156
მგელი და კურდელი 156

ბრონტოზავრის ნაკვალევზე

ჩრდილები მყინვარზე 159
დროის ქარიშხალი 161
რას დაეძებენ ადამიანები? 165
ალოზავრების ნადიმი 171
დიპლოდოკის პირისპირ 175
ტეროდაქტილები, მოზოზავრი და „უნიკერსალი" . . 179
ვაჟა ბრონტოზავრს ათვინიერებს 182
ოეთნულდის ზღვის სანაპიროებთან 185
ტეროზავრების კენძული 188
ოკადათტონიანი „გველები" და „ცოცხალი ტანკები" . 189
ტეროდოტეს ჭიანჭველები 192
როგორ იღუპებოდნენ ბრონტოზავრები . . . 195
შავი ქალაქის მისადგომებთან 197
ურჩხულების სამარხი 198

ს. ბ. № 2636

რედაქტორი მანანა ზუბადალაშვილი
მხატვარი ჯიბო ყავლაშვილი
მხატვრული რედაქტორი შ. დოლიძე
ტექნიკური რედაქტორი ზ. დონდუა
კორექტორი ლ. თავართქილაძე
გამომშვები გ. ჩიღუნაძე

გადაეცა ასაწყობად 5.05.90, ხელმოწერილია დასაბეჭდად 2
ქაღალდის ზომა 84×108 1/32; გარნიტური ვენა; ბეჭდვა
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 10.92; საბ. ქაღალდი № 1 —
სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 9,1 ტირაჟი 1000 შეკვ.

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „ნაკადული", თბილისი, კონსტანტინე გამსახურ
გამზირი, 28

საქციო საზოგადოება „ფარნაოზი", თბილისი, რობაქიძის გამზი